

ISSN—0132—6068

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

75-ე / 2
ხ

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3

1. 1991

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1991

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 8 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე),
გ. თოფურიძე, ს. ცაიშვილი, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1991, № 1

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 14. I. 91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. III. 91;
ანაწყოების ზომა $7 \times 12\frac{3}{4}$; ქაღალდის ზომა $70 \times 108\frac{1}{16}$; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.0;

ტირაჟი 2300;

შეკვეთა 27;

ფასი 2 მახ.



გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ა. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის დიალოგი	5
რ. ფირცხალაიშვილი, კვლავ რუსთაველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო	7
მ. დედაბრიშვილი, ხალხური „ტარიელიანის“ საკითხი „ივერიაში“	38
ბ. არველაძე, აკაკი წერეთელი და სომხეთი	51
ი. იმერლიშვილი, უნგრული მწერლობის ნიმუშები ქართულად	61
ნ. ფანცულაია, აჰმედის „ისქანდერ-ნამეს“ ტექსტის დასურათების ერთი ასპექტი	70
კ. გაბუნია, დიქტურობის სისტემა და ხმოვანთა განაწილების საკითხი ქართველურ ენებში	83
ვ. კუზიბაბაშვილი, ქ -ს დისტრიბუცია ინგილოურში და მასთან დაკავშირებული მორფოფონოლოგიური პროცესებისათვის (კახურთან მიმართებით)	96
ქ. ქირია, კაუზატივის ფორმალური ნიშნისა და ამოსავალი ფუძის საკითხისათვის ზანურში	101
რ. ასათიანი, ერგატივი, როგორც პაციენსის გრამატიკული აქტუალიზაციის ერთ-ერთი საშუალება	107
რ. ტყეშელაძე, მარკირების მიმართება წარმომშობსა და ფუნქციონალურ ფონოლოგიაში	119
მ. სახოკია, „პურის“ ველი შუმერულში	126
დ. თურმანიძე, ზედსართავ სახელთა მნიშვნელობის პრაგმატულ-შეფასებითი ასპექტი და ანტონიმთა კლასიფიკაციის პრობლემა	132

პუბლიკაცია

ლ. ხაჩიძე, ეფრემ მცირის უცნობი თარგმანი	137
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

თ. მარგეელაშვილი, „ათას ერთი ღამის“ ქართულად თარგმნის ზოგიერთი საკითხი	155
--	-----

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

А. Г. Барамидзе, Диалог в «Витязе в барсовой шкуре»	5
Р. В. Пирцхалайшвили, Еще раз вокруг проблемы биографии Руставели	7
М. И. Дедабришвили, Вопрос народного «Тариэлиани» в газете «Иверия»	38
Б. В. Арвеладзе, Акакий Церетели и Армения	51
И. Б. Имерлишвили, Образцы венгерской литературы на грузинском языке	61
Н. Г. Панцулая, Аспект иллюминирования текста «Искандер-Наме» Ахмеди	70
К. А. Габуниа, Система дейктичности и вопрос распределения гласных в картвельских языках	83
В. Б. Кузибабашвили, О дистрибуции $\mathfrak{z}_q$ в ингилойском диалекте грузинского языка и связанных с ней морфо-фонологических процессах (в сопоставлении с кахетинским диалектом грузинского языка)	96
Ч. К. Кирия, Для вопроса формального показателя и исходной основы в занском	101
Р. А. Асатиани, Эргативная конструкция как одна из возможностей грамматической актуализации пациенса	107
Р. В. Ткемаладзе, Отношение маркированности в порождающей и функциональной фонологии	119
М. Д. Сахокия, Семантическое поле слова «хлеб» в шумерском языке	126
Д. К. Турманидзе, Прагматико-оценочный аспект значения прилагательных и проблема классификации антонимов	132

Публикации

Л. А. Хачидзе, Неизвестный перевод Ефрема Мцире	137
---	-----

Критика и библиография

Т. С. Маргвелашвили, Некоторые вопросы перевода с арабского на грузинский язык «Тысячи и одной ночи»	155
--	-----

ვეფხისტყაოსნის დიალოგი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთიან მხატვრულ კომპონენტებს მხარს უბამს საუცხოო დიალოგები. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“, ავთანდილისა და ტარიელის, ასევე ვთქვათ, თავისებური ფილოსოფიური დისპუტი („პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“), „თათბირი“ ქაჯეთის ბრძოლის წინ და სხვანი. თავისი მძაფრი შინაარსით, ექსპრესიულობითა და დინამიზმით უთუოდ გამოირჩევა „ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვასს შიგან“. მაცთუნებელია ამ უკანასკნელის შინაარსის გადმოცემა და მცირე ანალიზი-კომენტარი.

ავთანდილმა მიაგნო ტარიელის (უცხო მოყმის) სადგომს, მაღალი ხე შეარჩია, ზედ ავიდა და სათვალთვალ საშალავი გაიკეთა. ავთანდილს აკვირვებდა უცხო მოყმისა და ვიღაც ქალის უცნაური ქცევა, ერთმანეთს რომ ეხვეოდნენ და ხმამაღლა ტიროდნენ. მეორე დილით ქალმა იმ მოყმეს ცხენი შეუკაზმა, კვლავ მოეხვივნენ ერთმანეთს და ტირილით გაშორდნენ. მოყმე გაუჩინარდა, „ქალი ტირს და მკერდსა იცემს“. ავთანდილი ხიდან ჩამოვიდა, გადაწყვიტა შეეპყრო ის ქალი და აეძულებინა ეამბნა მოყმის თავგადასავალი. ავთანდილი ქვებისკენ გაემართა, „მუნით ქალი გამოიჭრა“, ეგონა უცნობი მოყმე დაბრუნდაო. იმის ნაცვლად ვიღაც უცნობი ჭაბუკი შემოეგება წინ. ქალი შეცბა, გაიქცა, ყვირილი მორთო. ავთანდილმა ქალი შეიპყრო, „დააბა ვითა კაკაბი მახესა“. როგორც არწივის კლანჭებში მომწყვდეული კაკაბი, ქალი აქეთ-იქით აწყდებოდა, უცნობი კაცი დასანახავად ეზიზღებოდა, ვიღაც ტარიელს უხმობდა დამხმარედ. ავთანდილი ცდილობს დაამშვიდოს გააფთრებული ქალი, დაუჩოქა, ეხვეწებოდა დაწყნარებას, ნუ გეშინია, არაფერს გავნებ, „კაცი ვარ, ადამიანო“, იმ მოყმის ამბის გაგება მსურსო. ამაო გამოდგა ხვეწნა-მუდარა, ქალი განაგრძობდა გაბმულ ტირილს, კიოდა. ჭკუაზე მოდი, დამეხსენი, ტყუილად ნუ ცდილობ, „ნუ ელი მაგა ამბვისა ცნობასაო“, ეუბნება ქალი ჭაბუკს. ავთანდილი თავს აცოდებს ქალს, შენ არ იცი, რა ტანჯვა და გასაჭირი გადავიტანე (იმ მოყმის საძებნელად), ახლა შენ „მიპოვნისხარ“, ვერ მოგეშვები, უნდა მიაბმო ყველაფერიო. ქალი გაკერბდა. არა და არა, „ვერ გიაბობ; რაცა გინდა, იგი ქმენო“. ავთანდილმა კვლავ დაუჩოქა, დააფიცა, მაგრამ ვერაფერი წამოაცდენინა. ავთანდილი გაბრაზდა, „გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა“, ადგა, ქალს თმა მოქაჩა, „ყელზე დანა დააბჯინა“, მოკვლით დაემუქრა. ქალი არ შეკრთა, განმაცვიფრებლად გონივრული პასუხი გასცა. თუ არ მომკლავ და დამარჩენ, ვერაფერს მათქმევინებ, თუ მომკლავ (სიკვდილი ჩემთვის სასჯელი არ არისო), მით უფრო ვერაფერს შეიტყობო. ავთანდილი აშკარად გამოუვალ ჩიხში მოექცა, ხედავდა, რომ მუქარით, ძალადობით ვერაფერს მიაღწევდა, საჭირო ხდებოდა სამოქმედო გეზის შეცვლა. ქალს ხელი გაუშვა, შორიახლოს დაუჯდა და მწარედ ატირდა. ქალიც რამდენადმე გამწყრალად („კუშტგვარად“) მიჯდა და იმანაც ტირილი მორთო, მტირალი მოყმე შეეცოდა. ავთანდილი მიხვდა, რომ ქალს გუნება შეეცვალა. ისევ დაუჩოქა მას, ისევ შეეხვეწა, ბოდიში მოუხადა, პატიება თხოვა, დაიმოწმა სახარება „შეცოდება შეიდგზის თქმულა შესანდობლადო“. თუმცა კი ავად მოვიქცევი და გაწყენინე, წესია „მიჯნურისა შებრალეზაო“, არავინ მყავს შემწე, საულს მოგცემ გულისათვის, სხვა მეტი რა მამადიაო. როგორც კი ქალმა მიჯნურობის სხენება შეიცნო, ერთბაშად გატყდა, გულამოსკვნით

(„გულამოხვიხვით“) დაიწყო ცხარე ტირილი. ავთანდილიც გაუტყდა, ერთი ვინმე გახელებული მიჯნური ვარ, ჩემმა შვემ გამომგზავნა იმ მოყმის საძებნელადო. ასმათი მთლად მოლბა. ავთანდილს „მოყვრობაც“ შესთავაზა და დობაც. აღუთქვა მისი წადილის სრულყოფა. მერმე ერთხანს საუბარი კვლავ გრძელდება. მაგრამ მთავარი და არსებითი სათქმელი უკვე ითქვა და დიალოგიც დასრულდა.

ჩემი მშრალი პროზაული მონათხრობი შორეულადაც ვერ გადმოსცემს ამ წარმტაცი დიალოგის ავტორისეულ ხასიათს. გიტაცებს, გაჯადოებს და გზიბლავს დიალოგის ცოცხალი, ბუნებრივი, მოულოდნელობით სავსე, მძაფრი, უკიდურესად დაძაბული ცხარე პაექრობა სხვადასხვა სიტუაციაში მყოფ ორ ადამიანს, სუსტ ქალსა და ვაჟკაცობით განთქმულ მამაკაცს შორის. მსჯელობა, სიტყვა-პასუხი, კამათი, თუმცა არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს, მაინც მწყობრია, თანმიმდევრული, ლოგიკური და დინამიკური. საკვირველზე საკვირველია თითქოს სავსებით განწირული, სრულიად უმწეო, მძლავრი ჭაბუკის მკლავებში მომწყვდეული ქალის (მეტაფორა — არწივი, კაკაბი) სულიერი მხნეობა, შეუპოვრობა და ქედმოუხრელობა. ვერც დაყვავებამ, ვერც დაშინებამ და სიკვდილით დამუქრებამ (დანის ყელზე მიბჯენამ) ვერ შეუტევალა ნირი ქალწულს. ძალადობამ ვერ გაჭრა, სიტყვა ვერ დააძრევინა უცხო მოყმის ვინაობაზე. კიდევ მეტი, გაკერპებულმა ქალმა თავისი ბრძნული, მახვილგონივრული განსჯით ყოველი გზა მოუჭრა ჭაბუკს და გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია; თუ დამარჩენ და მაცოცხლებ, ვერაფერს დამტყუებ, თუ მომკლავ (სიცოცხლე მაინც არაფრად მიიღირს, სიკვდილი სასჯელად არ მიმაჩნია), მით უფრო ველარაფერს გაიგებ ჩემგანო. ავთანდილი მიხვდა, რომ დამარცხდა. სიტყვა-პასუხით ქალმა დაჯაბნა. ავთანდილიც იძულებულია რადიკალურად შეცვალოს ქცევის ტაქტიკა. მართალია, შესანიშნავი გამოსავალი მოიგონა, სიტყვა ჩამოაგდო მის მიჯნურობაზე. აი აჰან, მიჯნურობის ხსენებამ შეძრა კერპი, ქალის გული, მოათვინიერა, მოაღბო, აღთქმა გაატეხინა. ამ ჯადოსნური სიტყვის ხსენებით ყველაფერი გადაწყდა. ევრიკა! აღმოჩენილია ყოფნა-არყოფნის გასაღები. სიცოცხლე დახსნილია, სიკვდილი — დათრგუნვილი.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის სულმნათმა ავტორმა ამ დიდებული დიალოგითაც მკაფიოდ ცხადყო სიყვარულის ფენომენის უკვდავება, რაც ასე მკაფიოდ და გამოკვეთილად გასდევს პოემას დასაწყისიდან დასასრულამდე, აცისკროვნებს იმის შინაარსს და ნათელმოსილს ხდის იმის დედააზრს. ამდენად, ასე მოკლედ გაანალიზებულ ამ დიალოგს ავტორის ჩანაფიქრით პერიფერიული, ლოკალური, ეპიზოდური მნიშვნელობაც აქვს შენარჩუნებული და პოემის მთელი სულისა და გულის, მისი ცენტრალური იდეის გაშუქებასაც ბუნებრივად უმართავს ხელს. და, ბოლოს, დიალოგის ეს ეპიზოდი საცნაურს ხდის პოემის ორი შესანიშნავი პერსონაჟის (ავთანდილისა და ასმათის) ინდივიდუალური ხასიათის თვისებებს.

А. Г. БАРАМИДЗЕ

ДИАЛОГ В «ВИТЯЗЕ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

В статье рассматривается один из художественных компонентов поэмы Шота Руставели — диалог. На одном примере (диалог Автандила и Асмат) показано высокое поэтическое мастерство автора.

კვლავ რუსთველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო

მკითხველმა საზოგადოებამ 1987 წელს მიიღო ჩვენი ნაშრომი, რომელიც შოთა რუსთველის ბიოგრაფიულ პრობლემას ეძღვნებოდა¹. ნაშრომში განხილული იყო შოთაძეთა (შოთაშვილთა) გვარის ისტორია და რუსთველთან მისი მიმართების საკითხი, შესწავლილი იყო საქართველოს სეფე ჯვარ-ხატისა და ჯვარისმტვირთველთა ისტორია. აღნიშნულ საკითხთა ისტორიული დოკუმენტაციის საფუძველზე შესწავლის შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ რუსთველის ბიოგრაფიულ საკითხთა კვლევის საქმეში ერთიანდებოდა ორი გზა: თუ აღრე მეჭურჭლეთუხუცესობის ორიენტირმა მიიყვანა რუსთველოლოგიური ძიება თორელთა საგვარეულო სახლამდე, ამჯერად ამავე სახლამდე მივყავდით შოთაძეთა გვარის ორიენტირსაც. გაირკვა, რომ შოთაძენი საუკუნეთა მანძილზე იყვნენ „თან წამებად“ მხლებელნი და მცველ-მტვირთველნი საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრისა. ე. ი. სეფე ჯვარისმტვირთველნი: ამავე დროს დოკუმენტურად დადასტურდა ისიც, რომ სეფე ჯვარისმტვირთველნი იყვნენ თორელნი. ყოველივე ამის საფუძველზე შოთა რუსთველი წარმოჩნდა ერთიანი საქართველოს სეფე ჯვრის, ანუ ომებში მეფისა და ლაშქრის წინააღმდეგ ჯვრის, მცველ-მტვირთველთა (ჯვარისმტვირთველთა) ისტორიული სახლის შვილად, იმ გვარის წარმომადგენლად, რომელიც საუკუნეთა მანძილზე „თანწამებად“ ხლებია ერის ისტორიულ განძს — ერთიანი საქართველოს სეფე ჯვარს.

ჩვენი ძიება რუსთველის ბიოგრაფიული პრობლემის ირგვლივ ამჯერადაც შოთაძეთა გვარის ისტორიის თვალსაწიერიდან წარიმართება. წინამდებარე ნაშრომი ფაქტობრივად შევსებაა იმ კვლევისა, რომლის შედეგები უკვე გამოქვეყნებული გვაქვს. ამჟამად წარმოვაჩინო საკითხებს, რომლებიც ჩვენს წიგნში ვერ მოხვდა ორი მიზეზიდან ერთ-ერთის გამო: ნაწილი იმიტომ, რომ მკაცრად ვიყავით შეზღუდული საგამომცემლო თაბახთა ოდენობით, ნაწილი კი იმიტომაც, რომ ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთაც კავშირი აქვს შოთაძეთა გვარის ისტორიასთან, გაირკვა შემდგომ, დამატებით დოკუმენტურ ცნობათა მოძიების შედეგად.

კვლევის შედეგებს არსებითად ორი საკითხის ირგვლივ ვაჯგუფებთ:

1. საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის, ანუ წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის, ტიტულაციისა და საბრძოლო ისტორიის საკითხები.

2. თორელთა საგვარეულოს განშტოებანი და ბარათაშვილთა გვარის წარმომავლობის საკითხი.

ვიდრე მითითებული გეგმის მიხედვით კონკრეტულ კვლევას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებაც, რომელთა პრაქტიკულად გადაწყვეტის აუცილებლობას ქართული მეცნიერების, საერთოდ ქართული საზოგადოებრიობის წინაშე დღეს აყენებს შოთაძეთა გვარის ისტორიის გამოწვლილვითი დოკუმენტური შესწავლა და რომელთა წინაშე წაყრუების უფლება არა გვაქვს.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პიროვნების შესახებ

¹ რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის, თბილისი, 1987.

ყოველად უეჭვოდ და სარწმუნოდ ზოგ მეტად მნიშვნელოვან უწყებას გვაწვდის თვით პოემის პროლოგ-ეპილოგის მონაცემები, აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მასალებში შემონახული ცნობები. ამავე დროს, ცხადია, დიდად მნიშვნელოვანია ისიც, რაც „ვეფხისტყაოსნის“ იდეური კონცეფციების განზოგადების გზით თვით ავტორის ზოგად პიროვნულ სახეს წარმოაჩენს, ე. ი. ის, რაც ავტორის პიროვნების პერსონიფიკაციას ემყარება. ეს უკანასკნელი გზა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პიროვნების წარმოჩენისა ბუნებრივი, ლოგიკური და აუცილებელიცაა, მით უფრო — კონკრეტულ ბიოგრაფიულ ფაქტთა უქონლობის ვითარებაში. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიულ პრობლემასთან მისადგომი ეს გზები მაინც ცალმხრივია, არა ჩანს ფაქტოლოგია ამ გზებზე, და ამას იმდენად მივეჩვიეთ, როგორც ისე სამუდამო ხვედრად დავისახეთ ეს უფაქტობა, რომ — გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით — თითქოს მოგვიდუნდა კიდევ უნარი, ვირწმუნოთ საბედისწეროდ გადარჩენილი ფაქტოლოგიისა. თუკი მისი კონტურები წარმოჩნდება; ამავე დროს სადღაც, თითქოს ზღაპრულ ცხრაკლიტულთა მიღმა დახშულ საცავში, მაინც შესაძლოა იდოს საოცნებო ფაქტობრივი სინამდვილე რუსთველის შესახებ, მხოლოდ იმ სინამდვილისკენ მიმავალი გზები და ბილიკები დახშულა ჩვენთვის. შოთაძეთა გვარის ისტორიის სახით ამ საოცნებო სინამდვილეს ერთი მისადგომი გზა გაეხსნა, გზა ფაქტობრივ-დოკუმენტური, და არა ჰიპოთეტური; ესაა ფაქტი, რომლის უარყოფას ვერავინ შეძლებს, რადგან დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონდეს ამისი. შოთაძეთა გვარის ისტორია რეალურად წარმოაჩენს დვრიტას, საიდანაც შეიძლება შევიჭვრიტოთ რუსთველის აღთქმულ სამყაროში. საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის საკითხის გარკვევამ, ე. ი. წმინდა გიორგის ჯვრის ისტორიული ფუნქციის წარმოჩენამ და ამ ჯვრის მიმართ შოთაძეთა გვარის ისტორიული დამოკიდებულების დადგენამ, გახსნა ერთი ბილიკი რუსთველისაკენ. საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის გვერდით, როგორც მისი მტვირთველნი, საუკუნეთა მანძილზე მდგარან შოთას საგვარეულო სახლის წარმომადგენელნი, რომელთაც გარკვეულ ეტაპზე თავიანთი განშტოებისათვის შოთაძენი (შოთაშვილნი) უწოდებიათ. სწორედ შოთაძეთა გვარის ისტორია არის ბილიკი რუსთველისაკენ მიმავალი, ძნელად სავალი, მაგრამ უეჭვო და საიმედო. საუკუნეთა მანძილზე დარჩა ქართველ ერს შოთაძეთა გვარის ისტორიის საკითხი უყურადღებოდ, მაგრამ ნიჰილიზმმა ამ საკითხის მიმართ, ვფიქრობთ, თავისი დრო განვლო. მისი ხელახალი აღორძინება შეუძლებელია, რადგან ამ ნიჰილიზმს არ გააჩნია თუნდაც სულ მცირე დოკუმენტური საფუძველი. ბუნებრივია, რუსთველოლოგიის წინაშეც დგება გადაუდებელი ამოცანა — ყოველმხრივ შეისწავლოს ეს გზა. რათა რეალურად მივუახლოვდეთ რუსთველს. ვფიქრობთ, შოთაძეთა გვარის ისტორიის მნიშვნელობის საკითხს სასწავლო სახელმძღვანელოებშიც უნდა დაეთმოს ადგილი, რადგან შოთაძეთა გვარის ისტორიის სახით ჩვენ წინაშე უდიდესი ფაქტი — რუსთველის რეალური ნაკვალევი ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში, ქართულ სინამდვილეში. ხომ ცნობილია, რომ ნიჰილისტური პოზიციებიდან არაერთგზის თქმულა მსუსხავი შენიშვნა — რუსთველის ნაკვალევს არარსებობის შესახებ საქართველოში. შოთაძეთა გვარის ისტორიის დღის სინათლეზე გამოტანა და მისი ყოველმხრივი შესწავლა სრულიად გაუმართლებელსა და შეუწყნარებელს ხდის ამგვარ აზრს. ქართველმა ერმა შეძლო თავისი უდიდესი შვილის ნაკვალევის შენახვა და სამუდამო დაფარვაც დავიწყებისგან, — ჩააქსოვა რა მისი სახელი მისივე მემკვიდრეთა გვარში და საუკუნეებში გაუკაფა გზა რუსთველას სახელიან გვარს; ეს ჩვენ ვერ შევძელით მხოლოდ მისი ნაკვალევის ამოცნობა და თვალხილული წყარო ლამის განზავდა განურჩევლობის ოკეანეში.

დიდი, უზარმაზარი ნაკვალევი დარჩენილა რუსთველისა საქართველოში. ცხადია, ამჯერად მხედველობაში გვაქვს არა იდეურ-შემეცნებითი და კულტურული კვალი რუსთველისა, რაც თავისთავად უდიდესი რეალობაა, რომლის ღირებულება განუზომელ-აუწონელია, რაზედაც არავინ დავობს, არამედ სწორედ ფაქტობრივი კვალი, რუსთველის საგვარეულოს ცხოვრებისეული ფაქტობრივი ანაბეჭდები ქართულ ნიადაგზე, რომლის თითქოსდა უქონლობა დღემდე ფრიად საყვარელი და ბასრი არგუმენტი ნიპილისტთათვის, რაზედაც მოხერხებულად აგებენ ხოლმე მათთვის სასურველ დასკვნებს. შოთაძეთა გვარის ისტორიის შესწავლით კი ირკვევა, რომ ქართველ ერს არ დაუკარგავს რუსთველის რეალური ნაკვალევიც, გადაურჩენია იგი ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი.

იმის საფუძველზე, რაც საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის, შოთაძეთა გვარის ისტორიისა და სეფე ხატის შესახებ გაიკვია. ჩვენ წინაშე რეალურად დგება სამი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტის პრობლემა:

1. უნდა აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა მოძიებული იქნას გზა-კვალი საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის მთავარი განძისა. საქართველოს ისტორიული სეფე ჯვარი ჩვენამდე მოღწეულა განძარცვული სახით. მასში აღარაა სწორედ ის უწმინდესი განძი, რომლის წყალობითაც ეს ჯვარი საუკუნეთა მანძილზე იყო სეფე-სიმბოლო, მეფისა და ლაშქრის ომებში წინსაძღოლი და მთელი ერის საესავე: ამ ჯვარში დღეს აღარაა შოთა რუსთველის წინაპართა და შთამომავალთაგან საუკუნეთა მანძილზე ხელით ნატარები აღთქმული განძი, შოთაძეთაგან „თანაწამებად ხლებით“ ჩვენს საუკუნემდე მოტანილი წმინდა გიორგის ძელები. ამგვარად, ქართველ ერს არ დაუკარგავს ძელები წმინდა გიორგისა — „თავის ძვალს. ქალა“². ბეჭი (ვახუშტი ბატონიშვილი), მაგრამ მათ საოცარი განსასვენებელი ხედომია წილად. ქართველი ერის ამ უძველესი გმირი შვილის, საკაცობრიო გმირობამდე ამადლებულის, ძვალთშესალაგი საქართველოში ყოფილა, მაგრამ არა ქართულ მიწაში. წმინდა გიორგის ძვალთა სავანე გამხდარა ძველი საქართველოს უდიდესი და უწმინდესი განძი, ომებში მეფისა და ლაშქრის წინსაძღოლი სეფე ჯვარი. წმინდა გიორგის ძელები, ჯვრის სავანეში განსვენებულნი. ქართველებმა ხელით ატარეს საუკუნეთა მანძილზე, დაასწრეს უდიდესსა და უწმინდეს ომებს, ერისა და ქვეყნის გადარჩენა რომ ედო მისიად; წმინდა გიორგის ძელები იყო მოწამე და შთამავონებელიც გამარჯვებებისა. ამ ჯვარმა გამოიარა დავით აღმაშენებლისა და თამარის სახელოვანი ომები; დაესწრო თემურ-ლენგის აღმომფხვრელი მისიის მარცხსაც საქართველოში და, როგორც ქვემოთ წარმოვაჩინთ, თავის ტიტულაციაშიც ჩაიწერა (როგორც ორდენი) სამუდამო. სამარადისო აღმოფხვრა თემურ-ლენგის ავი მისიისა. სწორედ თემურ-ლენგის წინააღმდეგ გადახდილი უდიდესი საბრძოლო ეპოპეა ყოფილა უკანასკნელი საბრძოლო დიდების გზაც ამ ჯვრისა საკუთრივ ქართულ მიწა-წყალზე.

ომებში წინსაძღოლ სეფე ჯვარში მოთავსებული წმინდა გიორგის ძელები, როგორც თვით წმინდა გიორგის სიმბოლური სახება. თავისებურად შთავგონებდა ქართულ ლაშქარს. ამის შესახებ ცნობა შემონახულა მატიაწეშიც. დიდგორის ომში მეგრძოლებს თითქოს რეალურად უხილავთ მათსავე შორის მეწინავედ მეგრძოლი წმინდა გიორგი. ამ ასოციაციას უთუოდ ის რეალური ფაქტიც

² ტოლოჩანოვის იმერეთში ლაშქრობის მუხლებრივი აღწერილობა. 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანითა და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ისე ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 118-119.

ედო საფუძვლად, რომ ქართული ლაშქრის მეწინავე რიგებს მართლაც ხელით მიჰქონდათ საბრძოლო ჯვარში ჩასვენებული წმინდა გიორგის ძვლები. სიმბოლური იყო ამ ძვალთა განსხეულებული ხილვაც უდიდესი საბრძოლო აღგზნების ჟამს.

რადაც საოცრად სიმბოლურია ისიც, რომ სწორედ მაშინ გაეცალა წმინდა გიორგის ძვლები ქართული ლაშქრის მეწინავეობას, როცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაიწყო დიდი დაკნინების, დაუსრულებელი მარცხის, უსაშველო და თავდაუღწეველი დაღმა სვლის ხანა. ეს მოხდა XV ს.-ის დასასრულიდან, საქართველოს დაშლისა და დაქცევის ხანიდან. სწორედ ამ ხანიდან იწყება დიდი დაისი საქართველოს საბრძოლო ისტორიაში და, მიუხედავად შემდგომ და შემდგომ ცალკეული გამონათებებისა, ამ დაისის განქარვება ველარ შეძლო ქართველი ერის პოტენციამ ჯერჯერობით.

ეს ჯვარი, რომლის სახელი ქართველმა ერმა გაუთანაბრა თვით წმინდა გიორგის სახელს იმდენად, რომ მას ისტორიულ დოკუმენტაციაში ზოგჯერ არა ჯვარს, არამედ პირდაპირ წმინდა გიორგისაც უწოდებენ, იქცა სიმბოლოდ ქართველი ერის სამართლიანი, გამირულ-თავდაცვითი ომებისა. ამჟამად, როგორც ითქვა, ეს ჯვარი განძარცულია. შორეულ, უხსოვარ წარსულს არ ეკუთვნის დანაკარგი. საქმე სწორედ ისაა, რომ უსაშველო სისხლიან წარსულს გადაურჩა ეს ჯვარი და მისი აღთქმული განძი — წმინდა გიორგის ძვლები. ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ საზარელი ომების აღწერისას მემკვიდრე ზოგჯერ საგანგებოდ აღნიშნავდა: „გარნა ჯვარი გამოყვანებული იქნა მშვიდობით“. ჩვენს დრომდე, 1921 წლამდე, განსვენებდა წმინდა გიორგის ძვლები საქართველოს ისტორიულ სეფე ჯვარში. ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან იმ თაობათა წარმომადგენელნი, რომელთაც შეეძლოთ თავიანთი თვალთ ენახათ ეს ჯვარი თავისი აღთქმული განძით — წმინდა გიორგის ძვლებითურთ. მეცნიერთაგან უკანასკნელად ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს ამ ჯვარში წმინდა გიორგის ძვლები 1920 წელს. სწორედ 1920 წლის შემდეგ, ჩვენს ეპოქაში, გაქრა ეს სიმბოლური სიწმინდე და განძი ჩვენი ერისა. ვფიქრობთ, დღეს უკვე დადგა ჟამი მოვიძიოთ სად გაქრა ისტორიული სეფე ჯვრის განძი — წმინდა გიორგის ნაწილნი. რა ვითარებაში მოხდა მათი გაქრობა და ვინ იყო კონკრეტულად პასუხისმგებელი ამ აქციისა. თარიღობრივი რკალი წმინდა გიორგის ძვლების გაქრობისა 1921—1924 წლებია (1920 წელს ე. თაყაიშვილმა თავისი თვალთ ნახა ჯვარი წმინდა გიორგის ძვლებითურთ, ხოლო 1925 წელს, როცა ჯვარი ხელოვნების მუზეუმს გადაეცა, მასში წმინდა გიორგის ძვლები აღარ იყო). ყველასათვის ცნობილია რა საშინელი ანარქიის, განუკითხაობისა და სისხლისღვრის ხანა იყო 1921—1924 წლები. ისიც ცნობილია, რა აუწერელი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას იმ პერიოდში მძვინვარე „ურა“ ათეიზმმა. მოსაკითხია, ჯვრის ჩხარიდან წამოღების ჟამს ჩხარშივე გაქრა წმინდა გიორგის ძვლები უნატიფო აღმასთან ერთად, ჯვარზე რომ ყოფილა დამაგრებული, თუ თბილისში გაუჩინარდა იგი? ინახება თუ არა სადმე ჩხარის რევკომის არქივი? შემონახულა თუ არა რაიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა ჯვრის „განწმენდა“ სიწმინდისაგან და რა ბედი ეწია საუკუნეთა მანძილზე ქართველი ერის მიერ ხელით ნატარებ წმინდა გიორგის ძვლებს მე-20 საუკუნეში, ჩვენს ეპოქაში? მოუჩინეს თუ არა მათ სადმე მიწაში განსასვენებელი ადგილი და შედგა თუ არა ამის შესახებ რაიმე ოქმი ან სხვა დოკუმენტი? მიუხედავად იმისა, რომ გვემის რა საზარელი განუსჯელობის ხანა იყო 1921—1924 წლები. მაინც ვიტოვებთ იმედის ნასახს, რომ ათეიზმის დროშით მძვინვარე იმ ანარქიის ხანაშიც ადამიანები მაინც გამოიჩინდნენ მინიმალურ პასუხისმგებლობას და უკვალოდ და უპატიოდ არ გაატანდნენ ქარს თუ წყალს.

ისტორიის უხსოვარ სიღრმეებში ხელით ნატარებ წმინდა განძს, ერის მოწმესა და მოზიარეს. დასადგენია, ინახება თუ არა სადაც ჯერ არს რაიმე ცნობა წმინდა გიორგის ძვლებისთვის ახალი ადგილსამყოფელის მიჩენის შესახებ. წმინდა გიორგის ძვლები მოკითხული უნდა იქნეს როგორც უდიდესი ეროვნული განძი, ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ისტორიის სიმბოლო საუკუნეთა მანძილზე და ამავე დროს როგორც უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეც. ამ სიწმინდის შესაძენად მსოფლიოს ყველა ქრისტიანული ეკლესია გაიღებდა უდიდეს სახსარს, ჩვენ კი შეუწყნარებლად ვაგვიანებთ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი და ჩვენი დაცემის მიზეზით უგზო-უკვლოდ დაკარგული ჩვენივე განძის გზა-კვალის მოძიებას.

2. შემდეგი პრობლემა, რომელიც პრაქტიკულ გადაწყვეტას მოითხოვს, საკუთრივ შოთაძეთა გვარის ისტორიულ ანაბეჭდებს შეეხება.

სოფელი ვეძისხევი კახეთში შოთაძეთა გვარისა და მის წინაპართა რეზიდენცია ყოფილა. საუკუნეთა მანძილზე აქ ჰქონიათ მათ საგვარეულო სასახლე, ეკლესია და სასაფლაო, საძვალე. როგორც ცნობილია, საგვარეულო სასაფლაოების ლოდების წარწერები, თუ ისინი შემონახულა, ჩვეულებრივ, უმნიშვნელოვანესი წყაროა ხოლმე ისტორიულ პირთა ბიოგრაფიული ფაქტების დასადგენად. XVI ს.-ის 70-იან წლებში, კერძოდ 1571 წელს, ჯერ კიდევ შემონახული ყოფილა შოთაძეთა საგვარეულო სასახლე, ჭურ-მარანი, კარის ეკლესია და სასაფლაო ვეძისხევეში³. ცხადია, საფლავთა ლოდების წარწერებში შემონახული იქნებოდა დღეს რუსთველოლოგიისთვის სანატრელი ცნობები ძველ შოთაძეთა შესახებ. უფრო გვიან, მართალია, შოთაძეები ვეძისხევეში აღარ სახლობენ, მაგრამ, ცხადია, მათ ფუძისაყრას ვეძისხევიდან საგვარეულო სასახლის, ეკლესიის, მით უფრო — სასაფლაოს დაქცევა და იავარყოფა არ მოჰყვებოდა შედეგად (გამოქვეყნებულ ნაშრომში გარკვეული გვაქვს, თუ რა ბედი ეწია შემდგომ შოთაძეთა საგვარეულო სასახლეს. იგი ნაწილობრივ შეუსყიდა, ნაწილიც კი მეფისგან წყალობად მიუღია ვინმე ჯიმშიტს. საბოლოოდ სოფელი ვეძისხევი ეკლესიის საკუთრება გამხდარა). სოფელი ვეძისხევი ადმინისტრაციულ ერთეულად არსებულა თვით XX საუკუნემდეც. საფიქრებელია, ნანგრევების სახით მაინც შემორჩენილი იქნებოდა ძველი სასახლის, ეკლესიისა თუ სასაფლაოს ნაშთები. XX საუკუნეში გაქრა ადმინისტრაციული ერთეული სოფელი ვეძისხევი, იგი შეიერთა სოფელმა შილდამ. დიდად სამწუხაროა ამ ისტორიული პუნქტის, რუსთველის მემკვიდრეთა (შოთაძეთა) ნასახლარის ნაშთის გაქრობა, მაგრამ იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს მთლად გვიან. საჭიროა დადგენა — რა ბედი ეწია სოფელ ვეძისხევის ძველი სასახლისა და სასაფლაოს ნანგრევთა ნაშთებს, მთლიანად და უკვალოდ გაქრა ისინი, თუ მაინც შემორჩა მიწის ზემოთ ან მიწაში მათი რაიმე კვალი. საჭიროა არქეოლოგიური შესწავლა, იძებნება თუ არა სადმე წარწერებიანი ლოდების ნაშთები ყოფილი ვეძისხევის ძველი სასაფლაოდან. არქეოლოგიური შესწავლის დაგვიანება ამჯერად დიდად სახიფათოა, რადგან თუ სადმე ჯერ კიდევ არის გადარჩენილი შოთაძეთა გვარის ისტორიის ანაბეჭდების ნაშთები, ხვალ შეიძლება ისინიც უკვალოდ გაქრეს.

3. დასასრულ, პრაქტიკულ გადაწყვეტას ითხოვს შემდეგი საკითხიც: მოძიებული უნდა იქნეს საქართველოს ისტორიული სეფე ხატიც ოქონისა, რომელიც ვახტანგ VI-ის გზას გაჰყვა რუსეთს. ოქონის ხატი ნამზითვი იყო ბიზანტიიდან და მას თან ახლდა სამსჯვალიც ქრისტესი. განძი სეფე ხატისა — ქრისტეს სამსჯვალი ცალკე უფრო ადრე არჩილ მეფეს წაუღია საქართველოდან რუსეთს; ახლა, როცა სეფე ჯვარ-ხატის ისტორიული ფუნქციები გარკვეულია, სრულიად აშკარაა, რომ ქრისტეს სამსჯვალის წაღება არჩილის მიერ რუსეთს შემთხვევი-

³ სტსა, ფ. 1451, დავთ. I, 1, საბ. № 82.

თი არ ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როცა ყაენმა დაჟინებით მოითხოვა „განძება არჩილისა“ არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ დვალეთიდანაც, გიორგი მეფემ თავისი ძმა ლევანი და გივი ამილახვარი წარგზავნა არჩილთან და აუწყა ეს მძიმე ამბავი. იმ ეტაპზე შექმნილ ვითარებათა გამო არჩილი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ყაენის ნებას. მაგრამ არჩილისათვის ეს საკითხი მაინც უმძიმესი გადასაწყვეტი იყო. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, რაოდენ მძიმედ დათანხმებულია არჩილი ამ მოთხოვნას. აქვე მოვლენათა მსვლელობაში კატეგორიულად შემოყვანილია ქრისტეს სამსჯვალის საკითხიც. არჩილი იმ პირობით თანხმდება რუსეთში ემიგრაციას, თუ მას მისცემენ ქრისტეს სამსჯვალს: „არჩილ ითხოვა სამსჯვალის ქრისტესი და სუდარა და საბელი: „უკეთუ მომცეთ, წარვიდე რუსეთს“; ესე შეუძნდათ მეფესა, კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და მთავართა. გარნა შემდგომად მას პირსა ზედა მისცეს ესენი და წარვიდა არჩილი რუსეთს“⁴. (როგორც ვხედავთ, სამსჯვალთან ერთად არჩილს რუსეთს წაუღია ქრისტეს სუდარა და საბელიც). რით იყო აღძრული არჩილის ეს კატეგორიული მოთხოვნა, რომლის აღსრულებაც მან აუცილებელ პირობად წამოაყენა რუსეთს წასვლაზე თანხმობის მიცემის დროს, ან რატომ იყო მისთვის ესოდენ მთავარი ქრისტეს სამსჯვალის დაუფლება? ცხადია, ამ შემთხვევაში რაიმე ანგარებით მიზეზებზე საუბარი საერთოდ გამორიცხულია, და არც მხოლოდ სარწმუნოებრივი გრძნობებით შეიძლება ამ გარემოების ახსნა. სეფე ჯვარ-ხატის ისტორიულ ფუნქციათა გამოკვეთის გარეშე საერთოდ შეუქლებელი იყო ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობის მნიშვნელობის მართებული გააზრება. ახლა, როცა სეფე ჯვარ-ხატის ისტორიული ფუნქციები გარკვეულია, კერძოდ, ვიცით, რომ სეფე ხატიც სამეფო ხელისუფლების ოფიციალური ნაშანი იყო, ისევე, როგორც სეფე ჯვარი, ნათელი ხდება ისიც, თუ რატომ მოუთხოვია არჩილს კატეგორიულად სეფე ხატის მთავარი განძი — ქრისტეს სამსჯვალი. ამ მოთხოვნით არჩილი თავის კანონიერ პრეტენზიებს გამოკვეთდა ქართლისა თუ, საერთოდ, საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ. ტოვებდა რა საქართველოს გაურკვეველი ვადითა და ბუნდოვანი მომავლით, არჩილს საჭიროდ დაუნახავს თავისი პრეტენზია სამეფო ტახტზე მკვეთრად გამოეხატა ფორმალურადაც. ამგვარად, არჩილის მოთხოვნას პოლიტიკურ-სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. არჩილი თავისთვის თუ თავისი მემკვიდრეებისათვის სიმბოლურად იტოვებდა სამეფო ტახტზე ხელის დადების უფლებას. არჩილის მოთხოვნა დააკმაყოფილეს, რადგან მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო. სწორედ იმიტომ დაუმძიმდათ ამ მოთხოვნის აღსრულება მეფეს, კათალიკოსს, ეპისკოპოსებსა თუ მთავრებს, რომ უალრესად მძიმე სიტუაცია იქმნებოდა. საქმე შეეხებოდა არა მხოლოდ უდიდესი რელიგიური სიწმინდის. არამედ სამეფო ხელისუფლების ოფიციალური სიმბოლოს ხვედრსაც. ამ სიმბოლოს მთავარი განძი საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა გაეტანათ და არავინ იცოდა, რა ბედი ეწეოდა მას მომავალში. ეს გარემოება კი, ცხადია, ართულებდა და ამწვავებდა სამომავლოდ ტახტის კანონიერად დაუფლების საკითხს.

სეფე ხატი მისი მთავარი განძის — ქრისტეს სამსჯვალის გარეშე საქართველოში დარჩა, მაგრამ მოგვიანებით ისიც რუსეთში აღმოჩნდა ვახტანგ VI-ის გზით. ჩვენთვის უცნობია, შეერთდა თუ არა შემდგომ რუსეთში საქართველოდან სხვადასხვა დროს წაღებული ქრისტეს სამსჯვალი და საქართველოს ისტორიული სეფე ხატი ჯვარცმისა (კარის ოქონის ხატი). ორივე მათგანის გზა-კვალი

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 458.

უნდა მოძიებულ იქნეს. საქართველოს ეკლესიამ და მთავრობამ ყოველი ღონე უნდა მოიძიოს ამ უძველესი ქართული ისტორიული განძის უკან დასაბრუნებლად.

ოქონის ხატთან დაკავშირებით ქართული საზოგადოებრიობის წინაშე გადართმობდა დაისმის მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი და უკიდურესად მტკივნეული საკითხიც. საქმე იმაშია, რომ კარის ოქონის ხატის, ანუ საქართველოს ისტორიული სახელმწიფოებრიობის მეორე (სეფე ჯვრის შემდეგ) ოფიციალური სიმბოლოს, ხსოვნის მიმართ ჩვენს საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი იქნა ვანდალიზმის ერთი ფაქტიც. ეს იყო ტოპონიმ ოქონის ამოძირკვა ქართული სინამდვილიდან, ქართველი ადამიანის გონიდან. კარის ოქონის ხატი რომ ფიზიკურად დაეკარგეთ და საძიებელი გვაქვს, ეს საქართველოს ისტორიული ზეგდრის ტრაგიზმით, უცხოეთის აგრესიის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული ბედუკუდმართობით შეიძლება ავხსნათ; ამიტომაც ძიება ჩვენი ისტორიული ცხოვრების ამ სიმბოლოსი მშვიდი სინდისით წარვმართოთ და უფლის ნებით ბოლომდეც მივიყვანოთ; მაგრამ რა დავარქვათ იმ თავზარდაცემს ხედრს, კარის ოქონის ხატის ხსოვნას ჩვენ თვითონ რომ ვარგუნეთ, წავშაღეთ რა ტოპონიმ ოქონის სახსენებელი საქართველოს რუკაზე? დიახ, ადმინისტრაციული პუნქტი ოქონი ღდეს საქართველოს რუკაზე აღარ არსებობს, იგი შეცვლილია ზნაურით. ქართველთაგან არავინ იცის, ვინ იყო ზნაური, ხოლო საქართველოს წინაშე მისი დამსახურების შესახებ ხომ საკითხის დასმაც ზედმეტია. მაშ, რა უფლებით განდევნა მან ისტორიული ტოპონიმი, უმტკიცესად დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან, გარდამსახველი იმ ხატის სახელისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე წინამძღვრობდა ქართველთა თავდაცვით ომებს, რომლის საბრძოლო მეწინავეობით ჩვენმა ერმა აუწყველი უწმინდესი სისხლი გაიღო თავისი არსებობის, ენის, რწმენის, კულტურის შესანარჩუნებლად? ოქონის ხატი და, შესაბამისად, ტოპონიმი ოქონი საუკუნეთა მანძილზე ნაქედი ცნებებია საქართველოს ისტორიაში. მათი ამოძირკვა ქართული სინამდვილიდან უპირველესად შეცოდებაა უფლის წინაშე, რამდენადაც ფაქტობრივად მოხდა ხელყოფა ქრისტეს ჯვარცმის ხატის (ქრისტეს სამსჭვალთურთ) და მისი განსასვენებელი პუნქტის ხსოვნისა. ტოპონიმ ოქონის ამოძირკვით ჩადენილია უდიდესი დანაშაულიც ქართველი ერის წინაშე, რადგან მას დაეკარგა ერთი უდიდესი ხილული წყარო თავისი ისტორიისა, გაბუნდოვანდა საქართველოს სახელმწიფოს სეფე სიმბოლოს ისტორიული გზაკვალი.

სეფე ჯვარს, როგორც ვიცით, რამდენიმე განსასვენებელი ეკლესია ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ამიტომაც მისი ისტორიული გზა საქართველოს რამდენიმე ადმინისტრაციულ პუნქტთან არის დაკავშირებული. სეფე ხატის ერთადერთი სასვენი ადგილი აღინიშნება წყაროებში — ოქონის ეკლესია. მით უფრო ხელშეუხებელი უნდა იყოს ტოპონიმი ოქონი, როგორც ერთადერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწმე სეფე ხატის ისტორიული გზისა. სეფე ხატის ხსოვნის გაცოცხლებისა და მისი ისტორიის აღდგენის გზაზე უპირველესი ნაბიჯი უნდა გახდეს სწორედ ტოპონიმ ოქონის აღდგენა. ოქონის ღვთაების ეკლესია (დ. ჩუბინაშვილი: „ღვთაება, ს. არსება ან თვისება ღვთასა, მსოფლიონი ღვთაებად, მღვთაებად ან პირი ღვთისად უწოდებენ ხელთუქმნელსა ხატსა მაცხოვრისა“) და მასში განსვენებული ქრისტეს ჯვარცმის ხატი მრავალგზის ფიგურირებს საქართველოს ისტორიაში. ოქონის ხატთან დაკავშირებით ისტორია წარმოაჩენს მხოლოდ მეფეთა სახელებს, რამდენადაც სეფე ხატი, ისევე როგორც სეფე ჯვარი, სამეფო საკუთრება იყო და მასზე წყალობათა თუ განკარგულებათა გაცემა ხელეწიფებოდა მხოლოდ და მხოლოდ

მეფეს. კერძოდ, ოქონის ხატისა თუ ეკლესიის სახელთან ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით ფიგურირებს ბაგრატ IV-ის, თამარის, დავით მეფის, სვიმონ I-ის, ვახტანგ V-ის, გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ის სახელები. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს გამოქვეყნებულ ნაშრომში, ოქონის ხატი ქრისტეს სამსჭვალთუთრთ მზითვად მოპყოლია საქართველოში ბაგრატ IV-ის მეუღლეს, რომანოზ კეისრის ასულს ელენეს. შემდგომ ამ ხატთან დაკავშირებით ისტორიულ დოკუმენტაციაში მოჩანს თამარ მეფის სახელი. მართალია, ჩვენამდე თამარ მეფის სიგელი არ მოღწეულა, მაგრამ ცნობა თამარის წყალობის შესახებ ოქონის ღვთაების ეკლესიისადმი წარმოდგენილია დავით მეფის სიგელში (1392 წ.). პირი დავით მეფის სიგელისა გამოცემული აქვს ს. კაკაბაძეს. სიგელში აღნიშნულია, რომ ოქონის ტაძარი აუშენებია, მოუხატვინებია და მისთვის სოფელი ხიდისთავი (აგრეთვე სხვა მამულები) უბოძებია თამარ დედოფალს. ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, რომ ს. კაკაბაძე ოქონის ტაძრის მწყალობელ პირად დავით ნარინის მეუღლეს თამარ ამანელისძის ასულს მიიჩნევდა. ამგვარი დასკვნის საფუძველს თითქოს ის გარემოება იძლევა, რომ დოკუმენტში მოხსენიებულია არა თამარ მეფე, არამედ თამარ დედოფალი. მაგრამ სეფე ხატის ისტორიული ფუნქციის გარკვევისა და მისი ბიოგრაფიის შესწავლის შემდგომ, ვფიქრობთ, შესაძლებელი ხდება უეჭვოდ დადგენა იმისა, რომ ოქონის ტაძრის მწყალობელი თამარი სწორედ თამარ მეფე და არა ვინმე თამარ დედოფალი ყოფილა. ირკვევა, რომ დედანში საბუთის გამცემ პირად დასახელებული უნდა ყოფილიყო არა თამარ დედოფალი, არამედ თამარ მეფე. ჩვენთვის ცნობილი გახდა საკვლევი საბუთის სინოდალურ კანტორაში გატარებული რეგისტრი, სადაც თამარ დედოფლის ნაცვლად თამარ მეფეა დასახელებული⁵. ჩვეულებრივ, სინოდალური კანტორის რეგისტრებს დიდი სიზუსტით ადგენდნენ ხოლმე, განსაკუთრებული სიზუსტით გადაჰქონდათ საბუთის არსებითი დეტალები — საბუთის გამცემ და მიმღებ პირთა აღნიშვნები და სხვ. ამიტომაც ამ საბუთში თამარ მეფის წარმოჩენა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ დედანში სწორედ თამარ მეფე ყოფილა დასახელებული. რეგისტრი რომ ნამდვილად დედნიდან შეუდგენიათ, ამას უეჭვოდ ადასტურებს საბუთის ბოლოს წარმოდგენილი აღნიშვნა: „ხელმოწერილ არს დავით, გიორგი და ალექსანდრე. და დამწერთაგან კელისმოწერით დამტკიცებულ არს“. ამგვარად, სრულიად უეჭვოდ ირკვევა, რომ საბუთს, რომლის რეგისტრიც შეუდგენიათ XIX ს.-ში, ხლებია ხელრთვებიც საბუთის გამცემთა („დავით, გიორგი, ალექსანდრე“). აგრეთვე იმისიც, ვისი ხელითაც დაწერილა საბუთი, ე. ი. ის ამოსავალი საბუთი ყოფილა დედანი და მასში სწორედ თამარ მეფე ყოფილა მოხსენიებული. ამგვარად ჩვენთვის უეჭვოდ ცნობილი ხდება დავით მეფის (XIV ს.) მოწმობა იმის შესახებ, რომ ოქონის ტაძრის მიმართ თავის დროზე წყალობის სიგელი გაუცია თამარ მეფეს. სწორედ თამარ მეფის სიგელს შემდგომ აახლებს დავით მეფეც: „სიგელი რომლითაც განუახლებია და შეუწირავს ოქონის ღვთაების ეკლესიისადმი თამარ მეფისაგან შეწირული სოფელი ხიდისთავი თავისით სამზღვრებითურთ. და კ'დ განსვენებულთა მეფის მამა პაპათაგან შეწირულნი ზემო რეხას ათი საკომლო რუითა, მამულითა, საწისქვილოთი, სასაფლაოთი... გარეჯვარს ლომსთებანი წყლითა, რუთი... და ოძისს თავისივე ვენახითა... ატენს მამული ერთი ჩივჩიყაძის... გორს ექვსნი ვაჭარნი... დიღუმის თავს თეთრადენი...“ მოყვანილი საბუთიდან აშკარაა ისიც, რომ ოქონის ტაძრის მიმართ წყალობის სიგელები გაუციათ დავით მეფის მამა-პაპათაც; ე. ი. თამარ მეფის წყალობის გარდა სხვა მეფეთა წყალობის სიგელებიც არსებულა სეფე ხატი

⁵ სცსა, ფ. 1451, დავთ. I, აღწ. 15.

სასვენი ტაძრის მიმართ, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მხოლოდ დავით მეფის სიგელის ცნობა გვაუწყებს ამის შესახებ.

აღნიშნულ სიგელთან დაკავშირებით ერთი საკითხი უთუოდ საჭიროებს კვლევას. XIV ს.-ის მეორე ნახევარში დავით მეფე შეიძლება იყოს გიორგი ბრწყინვალის ძე დავითი. დავით გიორგის ძე, რომელიც მამის გარდაცვალების (1346 წ.) შემდეგ გამეფდა, დიდად გონიერი მმართველი იყო, მაშენებელი ეკლესია-მონასტერთა და ციხე-სიმაგრეთა. მას მრავალი მტრისგან მოოხრებული ტაძარი აღუდგენია. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჰდა ძე მისი დავით მეფედ. შემოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიით, სპერით, დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ. ამან დავით მეფემან დაიპყრნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თვისისა და მატა უმეტეს შენებასა ეკლესიათა და ციხე-სიმაგრეთა, რომელნი მოკრებულ იყვნენ და დაუშთნეს ბრწყინვალესა მეფესა გიორგის, ვინაჲთგან მოსცნა ღმერთმან ჟამნიცა მშვიდობისანი“⁶. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი წყალობას არ მოაკლებდა სეფე ხატის სასვენ ტაძარსაც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ დავით გიორგის ძე 1360 წელს გარდაცვლილა, ხოლო დავით მეფის წყალობის სიგელი ოქონის ტაძრის მიმართ 1382 წლით არის დათარიღებული. ამ დროს კი უკვე წყაროები აღარ წარმოაჩენს დავით მეფეს. იგი მეფობდა 1346—1360 წლებში. მაშ, რომელ დავით მეფეს უნდა გაეცა წყალობის სიგელი ოქონის ტაძრის მიმართ? შეცდომა უნდა ვეძიოთ ან მეფის სახელის აღნიშვნაში, ან საბუთის თარიღის მითითებაში. ვფიქრობთ, გამორიცხულია შეცდომა მეფის სახელის აღნიშვნაში. ცხადია, საბუთის შემდგენელ პირს, მეფის მდივან-მწიგნობარს, მეფის სახელი არ შეეშლებოდა; ამავე დროს რეგისტრი ხომ სწორედ დედნიდან არის გადმოღებული და დედანზე ხელრთვაც დავით მეფისა ყოფილა. მაშასადამე, შეცდომა უნდა ვეძიოთ თარიღის აღნიშვნაში. როგორც ჩანს, საბუთის ერთ-ერთი პირის გადაღებისას და რეგისტრის შედგენის ჟამსაც დედნის თარიღი სწორად ვერ იქნა ამოკითხული. ჩვენი აზრით, საბუთის გამცემი დავით მეფე სწორედ გიორგი ბრწყინვალის ძე დავითი (დავით IX) უნდა იყოს.

შემდგომ სეფე ხატთან დაკავშირებით წყაროებში სვიმონ მეფის სახელი მოჩანს. გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნული გვაქვს სეფე ხატის ბიოგრაფიის ის ეპიზოდი, რომელიც გვაუწყებს როგორ ჩაუვარდა ხელთ დადიანს სეფე ხატი სვიმონ მეფის ოფშკვითს დამარცხების შემდეგ. ცხადია, სვიმონ მეფეს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის დროს თან ჰქონია ომებში მეფისა და ლაშქრის წინააღმდეგ სეფე ხატიც ოქონისა. როგორც ვიცით, ამ ლაშქრობის დროს მოუკლავთ კარის დეკანოზიც.

ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ შემთხვევაზე. როდესაც საისტორიო თხზულება სვიმონ მეფის საბრძოლო გზასთან დაკავშირებით წარმოაჩენს კარის ოქონის ხატსაც. საქმე შეეხება ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში წარმოდგენილ ერთ ცნობას. ვიდრე კარის ოქონის ხატის სეფე ფუნქცია არ იყო გარკვეული, ცნობის მნიშვნელობა, ცხადია, სათანადოდ გააზრებული ვერ იქნებოდა.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების იმ ეპიზოდში, სადაც მოთხრობილია სვიმონ მეფის მიერ გორის ციხის აღებისა და ოსმალთა გაყლების შესახებ, ფიგურირებს კარის ოქონის ხატიც. როცა ოსმალებმა (აგრეთვე მათთან მყოფმა მესხებმაც), რომლებიც გორის ციხეში იყვნენ გამაგრებულნი, ნახეს, რომ ციხეს სვიმონ მეფე შემოადგომოდა, სვიმონის ჯარი მათ მიერვე მოტანილი კიბეებით გადმოდიოდა ციხის გალავანზე და სისხლისმღვრელი ომი უკვე გალავნის შიგ-

⁶ ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 260.

ნით იყო გაჩაღებული, მათთვის აშკარა გახდა, რომ ვერაფრით „შეძლებდნენ“ ციხის შენარჩუნებას; ისინი გატყდნენ, სვიმონ მეფეს შეწყალება სთხოვეს და უვნებლობის ფიცს შემოეხვეწნენ. ოსმალებთან მყოფმა ქართველებმა (მესხებმა), ცხადია, შესანიშნავად იცოდნენ ოქონის ხატის სეფე ფუნქცია. ამიტომაც სწორედ ოქონის ხატის ფიცებით შევედრებთან ისინი მეფეს („მაგრამე, რა ნახეს ციხე ქართველებით ავსებულნი, უვნებლობას შემოეხვეწნეს და ზოგნი მესხნი იგივე ციხეში ოქონის ხატს შეეხვეწნეს და მეფეს საფიცარი სთხოვეს. მეფემ შეიხვეწია და თავის[ს]ის ძმის ვახტანგის ბატონის შვილის კელით შანა გაუგზავნეს და ფიცი და პირი მისცეს და გამოინდევს და შეიწყალოს“). მოყვანილი ცნობიდან პირველ ყოვლისა ნათელია, რომ ოსმალთაგან დაპყრობილ მესხთათვის XVI ს-ის ბოლოსაც საფიცარი და საესავია ერთიანი საქართველოს სეფე ხატი; გარდა ამისა, სრულიად თვალსაჩინოდ გაცხადებულია ოქონის ხატის სეფე დანიშნულება. სწორედ ამ ხატზე დაფიცება იმიტომ სთხოვეს მეფეს, რომ ეს ხატი წარმოადგენდა ოფიციალურ სიმბოლოს სამეფო ხელისუფლებისა და ტრადიციისამებრ ფიგურირებდა სამეფო გადაწყვეტილებათა მიღების დროს.

ვახტანგ V-ის, გიორგი XI-ისა და ვახტანგ VI-ის ღონისძიებათა შესახებ კარის ოქონის ხატთან დაკავშირებით აღრე გამოქვეყნებულ ნაშრომში ვიმსჯელებთ.

შემდგომ ჩვენთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი დოკუმენტი კარის ოქონის ხატის შესახებ. ესაა გიორგი XI-ისა და მისი მეუღლის — დედოფალ თამარის მიერ გაცემული წყალობის სიგელი ოქონის ხატისა და კარის დეკანოზ გარსევანიშვილთა სახელზე. დოკუმენტი წარმოადგენს გიორგი და არჩილ შატბერაშვილების საკუთრებას და ინახება მათ ოჯახში⁷.

საბუთის ტექსტის მონაცემები რამდენიმე მეტად საყურადღებო დასკვნის საფუძველი ხდება. პირველ ყოვლისა, საბოლოოდ დასტურდება, რომ კარის დეკანოზობა სწორედ გარსევანიშვილთა მემკვიდრეობითი სახელო ყოფილა ისტორიულად. წარმოჩნდა სამი გარსევანიშვილი, რომლებიც კარის დეკანოზთა ოჯახს წარმოადგენენ ამ პერიოდში. მათ სიგელში არ ეწოდებათ ჯვარისმტვირთველი. ეს გასაგებიცაა, რადგან ჯვარისმტვირთველობა გარსევანიშვილებს მიანიჭა ვახტანგ VI-მ, უფრო აღრე კი ისინი ხელმწიფის კარის, ე. ი. ოქონის ხატის დეკანოზები იყვნენ (ცხადია, იმ პერიოდის გამოკლებით, როცა ეს თანამდებობა კავკასიელებს ეჭირათ).

საბუთიდან ირკვევა, რომ გარსევანიშვილთა სახლის წარმომადგენელი სპარსეთის ემიგრაციაში ზღვებია არა მხოლოდ ვახტანგ VI-ს, არამედ უფრო აღრე გიორგი XI-საც, ე. ი. მეფის ზღვება უცხოებაში ამ ოჯახის ტრადიცია ყოფილა. კერძოდ, გიორგი XI-ს სპარსეთს გადაჰყოლია გიორგი გარსევანიშვილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ გიორგი XI-ის ეს წყალობის წიგნი შინა-არსობრივად კავშირშია ზემოთ აღნიშნულ თამარ მეფის წყალობის სიგელთან. როგორც ვნახეთ, თამარ მეფეს სოფელი ხიდისთავი უბოძებია ოქონის ეკლესიისათვის. გიორგი XI-ც კარის ოქონის ხატს მამულებსა და გლეხებს სწყალობს სოფ. ხიდისთავში. ცხადია, გიორგი XI-ის სიგელის გაცემის დროს გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ კარის ოქონის ხატის მამულები, თამარ მეფის ნაწყალობევი, სოფ. ხიდისთავში იყო.

სიგელში გიორგი XI ოქონის ხატს პირდაპირ უწოდებს „ჩვენს“, რითაც გამოკვეთილია, რომ ხატი სეფე საკუთრებაა და მას სეფე ფუნქცია გააჩნია.

⁷ საბუთის არსებობა ჩვენთვის ცნობილი გახდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის თამარ საღირაძის დახმარებით. ესარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ გიორგი და არჩილ შატბერაშვილებს, აგრეთვე ქ-ნ ასმათ საღირაძეს.

ამავე დროს ეს ნაცვალსახელი („ჩვენი“) მიემართება ოქონის ხატის დეკანოზს გარსევანიშვილსაც და მას კარის დეკანოზი ეწოდება: „ჩვენის ოქონის ხატისა და კარის დეკანოზს გარსევანიშვილებს...“ სამეფო კარის დეკანოზი კი მხოლოდ სეფე ხატის დეკანოზს ეწოდებოდა. ამგვარად, გიორგი XI-ის ამ სიგელშიც პირდაპირ გახსნილია ოქონის ხატის პასპორტი. აი, ეს სიგელიც:

„ქ. ჩუენ ლთიე გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემა კელმწიფემა პატრონმა გიორგიმ და თანამეცხედელმა (sic!) ჩუენმა დედოფალთ დედოფალმა პატრონმა თამარ პირმშომა და სასურველმა ძემა ჩვენმა პატრონმა ბაგრატ ესე ამიერიტ უკუნისამდი ჟამთა და ხანთა საბოლოოდ გასათავეებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ძველითგან ჩუენს სახასოსა და თავდადებით მრავალგვარად ნამსახურს ჩვენის ოქონის ხატისა და კარის დეკანოზს გარსევანიშვილებსა დავითს გარსევანსა და თამაზასა შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა მას ჟამსა ოდეს ისპანს ბედნიერს ყენთან წავედით წავედით (sic!) და გარსევან თან ვიახვლით იქივ თქვენის კარგად ნამსახურობის გულისათვის მამულის წყალობასა დაგპირდით. ვითაც ციციშვილი ზაზა უშვილოდ გარდავლინდა და ხილისთავს მის ნაქონს ერთ-ერთ საკვამლოს [?] ბეგლარიშვილის მამულს დაგვეაჩენით და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა. მითთა ბართა ველითა ვენახითა წყლითა წისქვილითა შენითა და ოკერითა შესავლითა და გასავლითა სახლკართა და სამართლიანის მისის გარეშემოთა. როგორცა ზაზას დროს ბეგლარიშვილს ეს მამული სჭეროდეს ისე უკლებლად ზედ მსახლობელს [?] და გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებლად სარწყავითა და ურწყავითა რაც იმ [?] ზედ მსახლობელს კაცს საჩვენო სათხოვარი არა სთხოებოდეს ისრე არც არა ახლა ეთხოებოდესრა. რადგან უშვილო ზაზას მამული გიბოძეთ თუ ვისმე წიგნი ანუ სიგელი და ბრძანება ჰქონდეს ამ წიგნით გაგვიცუდებია. ქონდეს და გიბედნიეროს ღონ ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შინა. ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდეგათ სხვათ კელმწიფეთა და მეპატრონეთაგან. აწე უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბძანებთ ვინცავენ ბძანებისა ჩვენისა მორჩილნი იყვნეთ ბძანება და ნიშანი თქვენც ასე დაუმტკიცეთ რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევისა ფარვანაში ეწეროს. ქკსა ტნით ველითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანის შვილის გიორგისითა. გიორგი. თამარ“.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნათელია ტოპონიმ ოქონის აღდგენის აუცილებლობაც.

ამ პრაქტიკულ პრობლემათა წამოჭრის შემდეგ, რომელთა გადაჭრა გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, შევუდგებით უშუალოდ ზემოთ მითითებული გეგმის მიხედვით ვათვალისწინებულ საკითხთა კვლევას.

საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის ტიტულაციისა და საბრძოლო ისტორიის საკითხები

საქართველოს ისტორიული სეფე ჯვარი, — თანამოზიარე ქართველი ერის ისტორიისა. მომსწრე და სიმბოლური მონაწილე მისი ძლევაძმოსილი ომებისა და ქვეყნის ზედასვლისა, მხილველი უდიდესი მარცხისა და თავის ბედზე გარდამსახველი ქვეყნის ტრაგიკული ხვედრისა, — ფიზიკურად მაინც გადარჩა და XX საუკუნემდე მოაღწია თავის განძთსაცავში დაცული წმინდა გიორგის ძვლებითურთ; და მაინც მოხდა ტრაგედია, მაგრამ სხვაგვარი და საოცარი; ქართველი ერის მეხსიერებაში გაფერმკრთალდა, ბოლოს დაიკარგა კიდევ ამ ჯვრის ფუნ-

ქციის ხსოვნა. ერს დაავიწყდა თავისი საბრძოლო ისტორიის მეგზური. ეს იყო სატანური წყევლის მსგავსი ტრაგედია. დღეს, როცა შესაძლებელი ხდება ამ ჯვრის ბიოგრაფიის აღდგენა კლასიკური პერიოდის ომების გამოვლით ვიდრე XX საუკუნემდე, პირდაპირ გასაოცარია, როგორ შეიძლებოდა ამ ჯვრის ფუნქციის ხსოვნის გაფერმკრთალება, როგორ მოხდა, რომ ამოსაცნობი შეიქნა ეს ჩვენი ისტორიის თითქოს თანშეზრდილი საბრძოლო მეგზური, ჩვენი ძველი სახელმწიფოებრიობის ოფიციალური ნიშანი. რა ბნელით უნდა მოცულიყო ქვეყნის ისტორიის გზები. რომ ერს დაავიწყნოდა თავისი საესავი საბრძოლო სიმბოლო, რომლის წინამძღვრობით იარა საუკუნოვანი გზები...

საოცარია ისიც, ქართული მეცნიერება რომ ასე დაგვიანებით მიაღწა სეფე ჯვრის მოძიების საკითხს. მეტიმეტად გვიან მოიკითხა ქართულმა მეცნიერებამ — კონკრეტულად რომელი ჯვარი ეჭირა ხელთ ერთიანი სამეფოს ჯვარისმტვირთველს, რა ფუნქცია ეკისრებოდა იმ ჯვარს, გადარჩა თუ არა იგი ფიზიკურად და რომელი ჯვარის წარმომადგენელი იყვნენ საუკუნეთა მანძილზე მისი მუდმივი მცველ-მტვირთველნი, სეფე ჯვარისმტვირთველნი.

როგორც ირკვევა, ამ ჯვრის ისტორიული ფუნქციის ხსოვნის გაფერმკრთალებას თავისი მიზეზები ჰქონდა და, არსებითად, სამი ფაქტორით იყო შეპირობებული. პირველ ყოვლისა, იმ უდიდესი საქვეყნო ტრაგედიით, რაც საქართველოს დაშლით განხორციელდა. ცენტრალური ხელისუფლების დაშლა და დანაწევრებამ დაამდაბლა ეს ჯვარიც, როგორც მისი ოფიციალური სიმბოლო. ჯვრის ფუნქცია ფიქციური გახდა, თვით ჯვარი კი მკვდარ სიმბოლოდ იქცა. იმერეთში ემიგრაციით იგი სამუდამოდ განშორდა დიდი სამეფო ცხოვრების გზას და პროვინციაში ჩაიკეტა.

მეორე განმაპირობებელი ფაქტორი ჯვრის ისტორიული ფუნქციის მივიწყებისა უთუოდ იყო მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა ხელისუფლების კრახიც. მათი ხელისუფლების კრახით ქვეყნის მესაჭეობას ჩამოშორდნენ ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელნი. როგორც ცნობილია, საქართველოს დაშლის შემდეგ ქართველ მეფეთა შორის სწორედ ქართლის ბაგრატიონები იჩემებდნენ (და სამართლიანადაც) უპირველესობას; სწორედ ისინი აცხადებდნენ ყველაზე შეუვალ პრეტენზიებს ძველი ერთიანი საქართველოს მპყრობელთა მემკვიდრეობაზე: თუმცა სეფე ჯვარი, როგორც ძველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლო, სამივე ქართულმა სამეფომ გაითავისა, მაინც მის ერთადერთ კანონიერ მემკატრონეებად თავს სწორედ ქართლის ბაგრატიონები თვლიდნენ და ამიტომაც დაუცხრომლად ეძიებდნენ ჯვრის იმერეთიდან კვლავ ქართლში დაბრუნების გზებს. სწორედ ამით აიხსნება არჩილის, გიორგი XI-ისა და ვახტანგ VI-ის პრეტენზიები ისტორიული სეფე სიმბოლოების მიმართ. კახეთის ბაგრატიონთა მეფობის გზა კი არ ყოფილა ასე მკვეთრად დაკავშირებული სეფე ჯვრის ისტორიასთან.

მუხრან-ბატონი ბაგრატიონები არასოდეს მხედველობიდან არ კარგავდნენ ამ ჯვრის, როგორც ერთიანობის სიმბოლოს, გზას. როცა გიორგი XI-მ ჩამოართვა ეს ჯვარი იმერეთის სამეფოს, ამით მან სიმბოლურად გააუქმა ქართლის სამეფო კარისაგან იმერეთის სამეფოს კანონიურობის ცნობაც (ამიტომაც იბრძოდა დაჟინებით იმერეთის მეფე გიორგი ამ ჯვრის დასაბრუნებლად და ვახტანგის სპარსეთს გაწვევის შემდეგ მოიპოვა კიდევ იგი იესე მეფისაგან). მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა ხელისუფლების კატასტროფამ კი გააუქმა ამ ჯვრის მესაყუთრეობაში მთავარი პრეტენდენტის — ქართლის ბაგრატიონთა პრეტენზიები: გაფერმკრთალდა ცენტრალური ხელისუფლების ფლობის საქმეში ამ ჯვრის სიმბოლური მნიშვნელობის ხსოვნაც. იმერეთის მეფეს ამიერიდან

უკვე აღარავინ ესარჩლებოდა ამ ჯვარს. ჯვარი მკვიდრად ჩაიკეთა პროვინციის აკლდამაში — ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიაში... და მაინც ყოველივე ეს, რაც ითქვა, არ შეიძლებოდა გამხდარიყო მიზეზი ჯვრის ისტორიული ფუნქციის ხსოვნის მთლიანი და საბოლოო წაშლისა. აღნიშნულმა ფაქტებმა ხელი შეუწყო ჯვრის ფუნქციის ხსოვნის გაფერმკრთალებას, მაგრამ ისინი ვერ გახდებოდნენ მიზეზი მისი ხსოვნის სრული ამოგდებისა ერის მეხსიერებიდან. ქვემოთ წაომოვაჩენთ, რომ იმერეთის სამეფო კარი ამ ჯვარს მაინც მეფურ პატივს მიაგებდა და სათანადო ტიტულაციით მოიხსენიებდა თვით XVIII ს.-ის ბოლომდეც. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოების უმაღლეს და შეგნებულ ნაწილს გვიანდელ ეპოქაშიც, თვით XIX ს.-ის მიჯნასთან, მაინც შესანიშნავად ესმოდა ამ ჯვრის ისტორიული ფუნქცია. ვიდრე საქართველოში ეროვნული ცენტრალური ხელისუფლება არსებობდა თუნდაც იმერეთის სამეფო კარის სახით, ჯვრის ისტორიული ფუნქციის სრული მივიწყება გამორიცხული იყო. ეს ჯვარი მაინც ცოცხალი ფეთქვით სუნთქავდა ცენტრალური ხელისუფლების გვერდით და მოკვდა სწორედ მასთან ერთად. სრული დავიწყების ტრაგედია ჯვრის ისტორიული ფუნქციის ხსოვნას თავს დაატყდა სწორედ ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების საბოლოო კატასტროფის შემდეგ საქართველოში. ამგვარად, ჯვარმა კვლავაც საკუთარ ბედზე გარდასახა ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების ხვედრი. XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი იყო ამ ჯვრის ისტორიული ფუნქციის სრული დავიწყების ხანა, რაც დასრულდა 1921—1924 წლებში მისი განძარცვის აქტით. ჩვენამდე მოღწეული ეს ჯვარი დღეს უფრო ჩონჩხია ისტორიული სეფე ჯვრისა, რომელსაც სწორედ გული აქვს ამოცლილი.

ისტორიულ დოკუმენტაციაში ზოგჯერ ერთადაა წარმოდგენილი სეფე ჯვარ-ხატის, როგორც ორი უდიდესი საესავი სიმბოლოს, მოხსენიება. საგულისხმოა, რომ მათი ერთად მოხსენიება დასტურდება გვიანდელ, XVIII ს.-ის დოკუმენტაციაშიც. შესაძლოა ამ პერიოდში ისტორიული სეფე ჯვრის ფუნქციის ხსოვნა რამდენადმე გაფერმკრთალებულიყა, მაგრამ ორი უმაღლესი სიმბოლოს ერთად მოხსენიების ტრადიცია მაინც უცვლელად გადმოდის ისტორიულ დოკუმენტაციაში. მაგალითად, 1754 წლის ერთ საბუთში, — ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც ბერი ფალავანდიშვილს მიუცია ნიკოლოზ ამილახორიშვილისათვის, აღნიშნულია: „...ვინც ეს ნასყიდობა მოგიშალოს, მასმცა რისხავს მამა, ძე და სული წმინდა. მღთაება ოქონისა და წმიდა გიორგი ატოცისა“⁸. ოქონის ღვთაება და ატოცის წმინდა გიორგი ორ ისტორიულ რეალობას — ოქონის ჯვარცმის ხატსა და ატოცის წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს, ანუ ისტორიულ სეფე ჯვარ-ხატს, აღნიშნავს. 1754 წლისთვის ისტორიული სეფე ჯვარი ჩხარშია და არა ატოცში, ხოლო ისტორიული სეფე ხატი საერთოდ აღარ არის საქართველოში; მაგრამ ეს ორი ისტორიული სეფე სიმბოლო ერთმანეთის გვერდით არსებობას განაგრძობს ისტორიულ დოკუმენტაციაში გაქვავებული ფორმულის სახით.

წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარი წყაროებში სხვადასხვაგვარად იწოდებოდა (შესაბამისად მისი განსასვენებელი ადგილებისა): ბოლნურ (ბოლნისურ), ანუ ყორანთის, ატოცის, სადგრისა და ჩხარის ჯვარად. ამ ჯვრის გამოსახულებანი შემონახულა ტაძართა კედლებზედაც. მაგალითად, თორის ნასოფლარში წ. ბერძენიშვილს უნახავს ტაძრების ნანგრევები, რომლებზედაც ამოუკითხავს

⁸ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 48.

წარწერები: „წმინდა გიორგი“ და „ბოლნისური ჯვარი“⁹. ბოლნისური ჯვარი, ცხადია, იგივე ყორანთის ჯვარი, ანუ წმინდა გიორგის ნაწილიანი საქართველოს ისტორიული სეფე ჯვარია. ცხადია, სავარაუდებელია, რომ ტაძრის კედელზე იქნებოდა ამ ჯვრის გამოსახულება. საგულისხმოა, რომ ანჩისხატის ტაძრის დასავლეთ ფასადზეც გამოსახული ყოფილა ბოლნისური ჯვარი¹⁰.

აქვე შევნიშნავთ, რომ თუმცა სეფე ხატიც უმაღლესი სეფე სიმბოლო იყო, მაინც ისტორიულად პრიორიტეტი სეფე ჯვარს ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელის სიმბოლური სახელმწიფოებრივი ფუნქცია გაცილებით უფრო მკვეთრად იყო გამოკვეთილი, ვიდრე სეფე ხატისა. ისტორიული დოკუმენტაცია ადრეული ეპოქებისა სწორედ სეფე ჯვრის (და არა სეფე ხატის) განსაკუთრებულ ფუნქციას წარმოაჩენს მეფეთ კურთხევის საზეიმო ცერემონიაში. სწორედ სეფე ჯვარს ვხვდებით წინააღმდეგ საბრძოლო სიმბოლოდ კლასიკური პერიოდის ომებში და უფრო შემდგომაც. დავით აღმაშენებლისა და თამარის სახელოვანი ომების აღწერისას, აგრეთვე თემურ-ლენგის წინააღმდეგ გადახდილ უდიდეს საომარ ეპოპეაში, მემკვიდრე გამოკვეთილად წარმოაჩენს წინააღმდეგ ჯვარს, მაგრამ არაფერია თქმული კარის ოქონის ხატის წინამძღვრობაზე ამ ომებში. როგორც ჩანს, ამ ომების უამს, როცა წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარი ქართულ ლაშქარს მიუძღოდა წინ, სეფე ხატი ოქონისა, ანუ კარის ჯვარცმის ხატი, ძირითადად მაინც ოქონის ტაძარში განისვენებდა გორის მახლობლად. აშკარაა, სეფე ჯვარი გაცილებით დიდად ნაომარია, ვიდრე სეფე ხატი: სეფე ჯვრის ისტორია გაცილებით სისხლხორციელად არის ჩაწერილი ქართველი ერის ადრეულ საომარ ისტორიასთან, ვიდრე სეფე ხატისა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი თავის მთავალ სარბიელზე განსაკუთრებული სიმკვეთრით სწორედ მერე წარმოჩნდა, როცა ისტორიული სეფე ჯვრის ფუნქცია დაქვეითდა. ორი უმაღლესი სეფე სიმბოლოსაგან სეფე ჯვრის მნიშვნელობის პრიორიტეტს შესაძლოა ის გარემოებაც განსაზღვრავდა, რომ სეფე ჯვარი ფიზიკურად საკუთარი, ქართული წარმოშობის განძი იყო და მასში წმინდა გიორგის ძვლები განისვენებდა, ხოლო სეფე ხატი ნამზითვი იყო ბიზანტიიდან. როცა სეფე ხატის დიდი ისტორიის გზა დაიწყო საქართველოში, სეფე ჯვარს ამ დროისათვის უკვე განვლილი უნდა ჰქონოდა თავისი ისტორიის ერთი დიდი და სახელოვანი მონაკვეთი.

ისტორიული სეფე ჯვრის უმაღლესი სახელმწიფოებრივი სარბიელიდან მოხსნამ ის შედეგი გამოიღო, რომ ქართლის სამეფო კარზე დაეცა. ფაქტობრივად ფიქციური გახდა ჯვარისმტვირთველის ფუნქცია. საქართველოს მესვეურებმა სხვა ჯვარი ვეღარ აიყვანეს (თუ აღარ აიყვანეს) სეფე ფუნქციაში. ეს გასაგებიც იყო. ამ ჯვრის შეუცვლელობას ის ფაქტი განაპირობებდა, რომ მასში წმინდა გიორგის ძვლები განისვენებდა და ამდენად ერთადერთი იყო დედამიწის ზურგზე. წმინდა გიორგის ჯვრის წინამძღოლობასთან იმდენად დაკავშირებული იყო საქართველოს საბრძოლო ისტორია. რომ ამ ჯვარს, როგორც წინამძღოლს. უკვე ვეღარ შესცვლიდა ვერავითარი სხვა ჯვარი. შესაძლო იყო ან ჯვრის დაღუპვა. შეცვლა კი — არა. ამიტომაც არ უცდიათ მისი შეცვლა ქართველ მეფეებს საქართველოს დაშლის შემდეგაც.

ამ ჯვარს ვერ შესცვლიდნენ იმ უდიდესი მიზეზის გამოც. რომ მისი ისტორია საქართველოს ერთიანობასთანაც იყო უმტკიცესად დაკავშირებული. ჯვრის შეცვლა თითქოს ეთანაბრებოდა ფორმალურ თანხმობას საქართველოს ერთიანობის იდეის საბოლოო დათმობაზე. ეს ჯვარი ერთიანობის ისტორიული მოწმე, საქართველოს მთლიანობის ისტორიული სიმბოლო იყო. საქართველოს დაშლი-

⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1969.

¹⁰ გ. ხატიაშვილი, ანჩისხატის ბაზილიკა, გაზ. „თბილისი“, 1988 წლის 18 ივნისი.

სა და დაქუცმაცების საბედისწერო ფაქტისადმი საბოლოოდ შერიგება კი არაა-
გზით არ სურდათ ქართულ სამეფოთა მესვეურებს — კახეთის, იმერეთის და
მით უფრო — ქართლის მეფეებს. რეალურად, ყოველდღიურობაში, ისინი,
ცხადია, ურიგდებოდნენ (და ზოგჯერ ნებისთნეულად უნებლიეთ აღვივებდნენ კა-
დეც) დაშლის ტრაგედიას, მაგრამ სამომავლოდ არცერთ მათგანს (გარდა რენე-
გატებისა) არ სურდა ამ ფაქტთან შერიგება, საქართველოს მარადიულ ხვედრად
გათიშულობის ცნობა. ამიტომაც არ შეუცვლიათ ქართლის მეფეებს მათთვის
ჩამორთმეული წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარი, ანუ ჩხარის აკლდამაში გა-
მომწყვდეული, სეფეუფლებებდაკარგული ძველი ერთიანი საქართველოს სეფი
ჯვარი სხვა რომელიმე ჯვრით. ამ შეუცვლელობას დიდი იდეური მნიშვნელო-
ბაც ჰქონდა. ეს იყო საქართველოს სამივე სამეფოს მესვეურთა აშკარა თუ ფა-
რული იდეური ლტოლვა კვლავ ერთიანობისადმი.

საქართველოს დაშლის შემდეგაც ამ ჯვარს უმაღლეს საესავ სიმბოლოდ
სახავდა ყოველი გამოყოფილი ნაწილი მთელისა. ამიტომაც ერთნაირი სატი-
ტულო ფორმულით ფიგურირებდა ეს ჯვარი ქართლის, კახეთის და იმერეთის
მეფეთა სიგელებში. იმ ფაქტში, რომ დაშლილი საქართველოს სამივე სამეფომ
გაითავისა ეს ჯვარი, ისახება არა მხოლოდ ბრძოლა პირველობისათვის, არამედ
ერთიანობის ინერციის უძლიერესი გამოსხივებაც, ამ ჯვრისაგან გამოტყორ-
ცნილი.

თავისთავად ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ყოველი
ახალი ცნობის წარმოჩენას ამ ჯვრისა თუ ისტორიულად მისი მუდმივად მცვე-
ლი. „თანწამებად“ მხლებელი საგვარეულოს, ე. ი. შოთაძეთა შესახებ. ამჯერად
ჩვენთვის ცნობილი გახდა XVII ს-ის ერთი დოკუმენტი, რომელსაც მეტად
მნიშვნელოვანი ცნობები დაუცავს ამ ჯვრისა და მის დეკანოზთა (შოთაძეთა)
ისტორიიდან. დოკუმენტი წარმოადგენს დედანს და ინახება ხელნაწერთა ინს-
ტიტუტის საცავში. საბუთი გაცემულია 1692 წელს წმინდა გიორგის ნაწილიანი
ჯვრის დეკანოზთა მიერ. დეკანოზები საბუთში მოიხსენიებიან სახელებით, მათი
გვარი აღნიშნული არ არის, მაგრამ რამდენადაც სრულიად გარკვევით აღინიშ-
ნება, რომ ისინი წმინდა გიორგის ჯვრის მუდმივად მხლებელი საგვარეულოს
წარმომადგენელნი არიან. საგვებით აშკარა ხდება მათი გვარიც — ისინი სწო-
რედ შოთაძეთა სახლის შვილები ყოფილან (წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის
მუდმივად მხლებელი საგვარეულო სწორედ შოთაძეთა სახლი იყო). ეს უეჭვოდ
დასტურდება დოკუმენტში წარმოდგენილი სხვა ფაქტობრივი დეტალი-
თაც, მაგრამ ჯერ გავეცნოთ თვით დოკუმენტის ტექსტს: „ესე ამიერიით უკუნი-
სამდინ ჟამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადე-
გი, მტკიცე და უცვალებელი წიგნი. ფიცი და პირი მოგეცით ჩვენ წმინდის
გიორგის ატოცის დეკანოზმა ნათან, გიორგიმ, თევოდოსემ და ოთიამა თქვენ,
თუმანის შვილს მდივანს გივს. ბიძასა თქვენსა ყალანდარასა, ბიძას შვილსა
თქვენსა შიოწსა, მანუჩარს და სულხანსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვე-
ნისათა მას ჟამსა, ოდეს ქართველის ბატონისაგან თრიალეთზე ნასოფლარი
თურანი წმინდის გიორგისათვის შემოწირული იყო, ჟამთა ვითარებითა აოკრე-
ბული იყო, ჩვენგან მისი აშენება შეუძლებელი იყო, თქვენ თავს იდევით თქვე-
ნის საქმით და ძალით ის ნაოჯარი სოფელი ააშენეთ. ჩვენც ამისად საპასუხოთ
ეს წიგნი და ფიცი მოგეცით. **სანამდისინ წმინდის გიორგის ხსენება იყოს და
ჩუენი გუარი და ნათესავი იმას დეკანოზად ახლდეს და ან სინამდისინ თქუენის
ნათესავის ხსენება იყოს, ამ სოფლის მოურაობა თქვენ არ მოგეშალოს. კელ-
მწიფისგანაც მოგცემოდათ და ჩვენც ამრიგად მოგეცით. არაოდეს არ მოგეშა-
ლოს არცა კელმწიფეთგან, არც წმინდის გიორგისაგან და არც ჩვენის ნათესა-
ვისაგან არ მოგეშალოს. რაც სამოურავო იყოს, თქვენ იმსახურეთ და რაც სხვას**

თრიალეთის კაცისაგან კელმწიფის სამსახური იყოს, იმრიგად წმინდას გიორგის და მის დეკანოზს უნდა მსახურონ. სხვა რიგად რაც სამართალი არ იყოს შენდა შეუკითხავად საძალოდ დეკანოზს კელი არა ჰქონდეს. აწ ვინცა და რამანც ადამის მონათესავემ კაცმა, მეფემან ანუ დედოფალმა ანუ უფლის წულმა, პატრიაქმა, ანუ ეპისკოპოზმა, ანუ სხვამან საღმრთოგანმა, ანუ თავადმა, ანუ აზნაურმა ამისად შლად და ქცევად კელ ყოს, შერისხდი შენ ღთო ჩვენო და ჰყვენ იგინი ვითარცა ლერწამი წინაშე პირისა ქარისასა და აღედვას ცეცხლი თავთა მისთა ვითარცა თივათა ველისათა, იყვნენ სავანე და სამყოფი მისი ცეცხლი დაუშრეტელი, მატლი დაუძინებელი. ცეცხლივ შთახდენ ჯავახეთად, ნურათაჲცა სინანულით ნუ იხსნების სული მისი სატანჯველისაგან, მასმცა ედების კეთრი გეზისა, შიშთუელი იუდასი, ძრწოლა კაენისა, დანთქმა და თანა აბირონისი ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღთს აკურთხნეს. ქკს ტპ, თიბათვის კვ. დააწერა სიგელი ესე კელითა კარისა დედოფლისა მუშრიბისა ბაინდურისათა“¹¹.

დოკუმენტის მონაცემებიდან ირკვევა არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. პირველ ყოვლისა, კიდევ ერთხელ ფიქსირებულია ის ჭეშმარიტება, რომ წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს ისტორიულად მუდმივად და განუშორებლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი საგვარეულო სახლის შვილნი ჰყოლია მცველ-მხლებლებად. ეს მცველ-მხლებლობა, როგორც ვიცით, შოთაძეთა საგვარეულოს მეკვიდრეობითი თანამდებობა იყო საუკუნეთა მანძილზე. თქმა „ჩვენი გვარი და ნათესავი“ ორჯერ არის ფიქსირებული საბუთში და სწორედ მუდმივად „თანაწამებად“ მხლებელ გვარს გულისხმობს. ამ მუდმივ „თანაწამებად“ მხლებლობას წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრისადმი აღნიშნავდა XV—XVI ს-თა მოღვაწე სვიმეონ შოთაძეც. ამჯერად ჩვენ წინაშე წარმოჩნდებიან ჯვრის მუდმივად მხლებელი საგვარეულოს (ე. ი. შოთაძეთა) XVII ს-ის წარმომადგენელნი. ეს პირებია წმინდა გიორგის დეკანოზი ნათან და მისი ძმები გიორგი თეოდოსე და ოთია. ჯვრის ისტორიული ბედი იცვლებოდა, იცვლებოდა მისი ადგილსამყოფელიც; უცვლელი რჩებოდა მხოლოდ იმ ერთადერთი საგვარეულოს ხლება ჯვრისადმი.

დოკუმენტის ტექსტში იშიფრება ერთი დიდი მნიშვნელობის ცნობაც. საქმე შეეხება წმინდა გიორგის ჯვრისადმი შოთაძეთა საგვარეულოს მუდმივი ხლების საწყისი მიჯნის მოაზრებას: ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში ჩვენ უკვე წარმოჩენილი გვაქვს, თუ რა უსაშველოდ შორს, საუკუნეთა სიღრმეებში იკარგება ამ ხლების საწყისი ხანა. XV—XVI ს-თა მოღვაწე დეკანოზი სვიმეონ შოთაძე გვაუწყებდა, რომ მისი გვარი „დასაბამიდან“ ხლებია ჯვარს („დასაბამიდან გზლებივართ, ქებით ვართ მოკამათენი“). ჩვენ აღვნიშნავდით, რომ აქ თქმა „დასაბამიდან“ შეიძლება გულისხმობდეს ან ქრისტიანობის დასაბამს (საქართველოში), ან თვით ჯვრის შექმნის ხანას. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია მოყვანილ დოკუმენტში წარმოდგენილი შემდეგი განცხადებაც: „სანამდისინ წმინდის გიორგის ხსენება იყოს და ჩუენი გუარი და ნათესავი იმას დეკანოზად ახლდეს“. ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა ქვეტექსტი: დეკანოზთა გვარისა და ნათესავის (ე. ი. შოთაძეთა საგვარეულოს) ხლება ჯვრისადმი ასაკობრივი სიძველის თვალსაზრისით შეთანაბრებულია თვით წმინდა გიორგის ხსენებასთან. იგულისხმება ამ გვარისა და მის დეკანოზთა განუყრელობა წარსულსა და მომავალში. „სანამდისინ წმინდის გიორგის ხსენება იყოს“... ვფიქრობთ, ეს თქმაც მიგვანიშნებს, თუ რა უძველეს დროებში უნდა ვეძიოთ შოთაძეთა გვარის წმინდა გიორგის ჯვართან განუშორებელი ხლების სათავე.

რამდენადაც წმინდა გიორგის ნაწილნი, რომლებიც ამ ჯვარში იყო ჩასვენებული. საკაცობრიო ზნეობრივი ღირებულების სიმბოლოა, ხოლო ეს ჯვარი

¹¹ Hd — 9656.

ამავე დროს საქართველოს საბრძოლო ისტორიის სიმბოლურ წინამძღოლადაც ყოფილა დაკანონებული, ამდენად საქართველოს საბრძოლო ისტორიის შეფასებაც ზნეობრივი ღირებულების თვალსაზრისით იმთავითვე ეროვნული ფარგლებიდან საკაცობრიო სივრცეებში ყოფილა გაყვანილი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მესვეურთა მიერ.

დოკუმენტში წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის დეკანოზს ატოცის დეკანოზი ეწოდება. რაც იმაზე მიუთითებს, რომ 1692 წელს წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარი ატოცში ყოფილა. როგორც ჩანს, ჩხარიდან წამოღების შემდეგ ჯვარი თავის ისტორიულ განსასვენებელ ადგილს მიუხვეწებიათ. გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, რომ გიორგი XI-ის მიერ სეფე ჯვარ-ხატის წინადად დიდება სამცხეს, რაც ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაშია აღნიშნული, ვერ გადმოსცილდება 1696 წელს. რადგან ამ წელს გიორგი XI უკვე სპარსეთს გაემგზავრა. მოყვანილი დოკუმენტის ტექსტით ირკვევა, რომ ჯვარი 1692 წელს ატოცშია, ე. ი. მისი სამცხეს წინადად დიდება სწორედ 1692—1696 წლებში მომხდარა.

საგულისხმოა ისიც, რომ დოკუმენტში ერთგან წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს უშუალოდ წმინდა გიორგი ეწოდება: „სანამდისინ წმინდის გიორგის ხსენება იყოს და ჩუენი გუარი და ნათესავი იმას (ე. ი. წმინდა გიორგის — რ. ფ.) დეკანოზად ახლდეს“... აქ ჯვრის დეკანოზი შოთაძეები უშუალოდ წმინდა გიორგის დეკანოზებად იწოდებიან. ჯვრის დეკანოზთა ამგვარი მოხსენიება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისტორიულად ეს ჯვარი სწორედ წმინდა გიორგის ასოციაციას გულისხმობდა.

მეტად საყურადღებოა დოკუმენტის ცნობა იმის შესახებაც, რომ წმინდა გიორგის ჯვრის დეკანოზთა სამსახური ხელმწიფის სამსახურად ყოფილა მიჩნეული („რაც სხვას თრიალეთის კაცისაგან კელმწიფის სამსახური იყოს, იმრიგად წმინდას გიორგის და მის დეკანოზს უნდა მსახურონ“). ამ ცნობით კიდევ ერთხელ დოკუმენტურად დასტურდება, რომ ეს ჯვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღირებულება იყო და მასზე პატრონობის უფლება ხელეწიფებოდა მხოლოდ მეფეს. სწორედ ამიტომაც ამ ჯვრის დეკანოზთა სამსახური გათანაბრებული ხელმწიფის სამსახურთან.

დოკუმენტის ცნობით ირკვევა, რომ დეკანოზი ნათან და მისი ძმები მეპატრონენი ყოფილან სოფელ თურანისა. ისიც აღინიშნება, რომ თურანი „ქართველის ბატონის“ (ე. ი. ქართლის მეფის) მიერ ყოფილა შეწირული ჯვრისათვის. ეს ცნობა სწორედ ის ფაქტობრივი დეტალია, რომელიც უეჭვოდ და პირდაპირი სახელდებით წარმოაჩენს დეკანოზ ნათანისა და მისი ძმების გვარს — შოთაძეს. ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში შოთაძეთა მასალების მიხედვით ნაჩვენები გვაქვს, რომ თურანი ჯერ კიდევ ლუარსაბ I-მა მიუბოძა წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის დეკანოზ სვიმეონ შოთაძესა და მის ძმებს 1529 წელს. ცხადია, შემდეგ ამ სოფლის მემკვიდრეობით მფლობელნი შოთაშვილები გახდნენ. სრულიად უეჭვოა ამ დოკუმენტში წარმოჩენილი ოთხი პირიც — დეკანოზი ნათან, გიორგი, თევოდოსე და ოთია, რომლებიც უკვე XVII ს-ის ბოლოს ფლობენ სოფელ თურანს და წერილობითაც ადასტურებენ, რომ ეს სოფელი „ქართველ ბატონს“ (ე. ი. ლუარსაბ I-ს) უბოძებია მათი გვარის დეკანოზებისათვის, — თავადაც შოთაძეთა გვარის წარმომადგენელნი, ე. ი. სვიმეონ შოთაძის შთამომავალნი. არიან.

დოკუმენტის ცნობით ისიც ირკვევა, რომ თურანი XVII ს-ის ბოლოს უკვე ნაოხარი და ნასოფლარია, თვით დეკანოზი შოთაძე და მისი ძმები დიდ მატერიალურ სივიწროვეში ყოფილან, სოფლის აშენების სახსრები მათ არ ჰქონიათ და ეს საქმე მიუხდვიათ თუმანიშვილებისათვის. თუმანიშვილებს თავს უდევიათ თავიანთი სახსრით ნაოხარი სოფლის აშენება, სანაცვლოდ კი თურანის მოურ-

ვობა მიუღიათ შოთაძეებისაგან. ამრიგად, თუმანიშვილთა მფლობელობითი კავშირი სოფ. თურანთან მხოლოდ XVII ს-ის დასასრულიდან იღებს სათავეს და თუმანიშვილთაგან ფულადი სახსრით არის შეძენილი.

გარდა განხილული დოკუმენტისა, შოთაძეთა გვარის წარმომადგენელი იხსენიება XVII ს-ის კიდევ ერთ საბუთში. ესაა მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული როინ ჯავახიშვილის მიერ ბეჟან შოთაძისა და მისი ძმებისათვის¹². დოკუმენტის ტექსტი ძლიერ დაზიანებულია. ერთადერთი რამ, რაც მისი მონაცემებიდან ირკვევა, ისაა, რომ XVII ს-ში ქართლში ჯერ კიდევ სახლობენ შოთაძეები და მათ ახლო სამამულო მეზობლობა აქვთ ჯავახიშვილებთან.

გვარი შოთაძე წარმოიჩენილია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც“, რომელიც, როგორც ცნობილია, XVI ს-ის ძეგლია. კერძოდ, აკშეპირის რაიონის ახალქალაქის ლივაში სოფ. ძომის მკვიდრი ყოფილა კინმე სუმბატა შოთაძე¹³. ცხადია, ეს პირი ჯერ კიდევ მესხეთში მკვიდრი შოთაძეთა სახლის შვილია.

ახლა ჯვრის ტიტულაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

ჩვენ უკვე გარკვეული გვაქვს, რომ საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის ტიტულაციის ფორმულა მოკლედ და ლაკონურად წარმოდგენილია თვით სვიმეონ შოთაძის ოდაში. სადაც ჯვარს ეწოდება „მორწმუნეთა და მეფეთა წინამძღუარი“. ჯვრის ტიტულაციის ეს ფორმულა შეუმჩნეველი დარჩა ყველას, ვინც სვიმეონ შოთაძის ოდის საკითხს შეხებია და, ამდენად, არც მისი მნიშვნელობის გაშიფვრა მომხდარა. იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს წარმოდგენილი ტიტულაციის დეტალი — „მეფეთა წინამძღუარი“, ვრცლად გვაქვს აღნიშნული გამოქვეყნებულ ნაშრომში. ამჯერად შევეხებით საკითხს — როგორ უნდა გავიგოთ ტიტულაციის მეორე დეტალი — „მორწმუნეთა... წინამძღუარი“. აქვს თუ არა ამ თქმას გამიზნული შინაარსობრივი მნიშვნელობა ჯვრის სახელდებისთვის, თუ შემთხვევით კალამს მოუოლილი ფრაზაა. როგორც ირკვევა, თქმა „მორწმუნეთა... წინამძღუარი“ გამიზნული შინაარსობრივი მნიშვნელობის დეტალია სვიმეონ შოთაძის ოდის ამ ეპიზოდში და იგი მოხმობილია ან ლაშქრის, კერძოდ მორწმუნე ლაშქრის, ან — სრულიად მორწმუნე (ქრისტიანი) ქართველი ერის გაგებით, რომელშიაც თავისთავად იგულისხმება ლაშქარიც. როგორც ცნობილია, საბას განმარტებით ლაშქარი სამტროდ მოსულ დიდძალ ჯარს აღნიშნავს. მაგრამ საბას განმარტება ამ შემთხვევაში, ცხადია, ამომწურავი ვერ იქნება, რადგან ლაშქარი არა სამტროდ მოსული, არამედ სწორედ ეროვნული ჯარის თუ, საერთოდ, ერისკაცთა წრეების გაგებით საბამდე გაცილებით აღრეც დასტურდება ქართულ მწერლობაში. შეიძლება მოვიგონოთ თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობა: „კუთლად აფრიდონ... მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლაშქართათა“¹⁴. ცხადია, იგულისხმება არა მტრის ლაშქრის ნება, არამედ ეროვნული ჯარისა თუ სამხედრო წრეების განსჯა. სწორედ სამხედრო წრეების გაგებით განმარტავს აქ ლაშქარს სვიმეონ ყაუხჩიშვილი გამოცემას დართულ ლექსიკონში.

ჯვრის სვიმეონ შოთაძისეულ ტიტულაციაში, სადაც გამოკვეთილად აღინიშნება, რომ ჯვარი „მორწმუნეთა წინამძღუარია“, ჩაქსოვილია ის აზრი, რომ ლაშქარი, რომელსაც ეს ჯვარი წინამძღოლობს, ქრისტეს მმოსავი, მისი მისიით აღძრული მორწმუნე ჯარია.

ლაშქრის სარწმუნოებრივი მისიით წარმოსახვა, როგორც ქრისტეს მმოსავი

¹² Hd — 14996.

¹³ ს. ჩიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, თბ., 1941, გვ. 223.

¹⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 30.

მხედრობისა, დადასტურებულია თამარის იამბიკოშიც („ჩვენი მკედარნი მმო-სავნი შენნი...“). „მორწმუნეთა... წინამძღუარი“ ჯვარი სვიმეონ შოთაძის ოდა-შიც გულისხმობს მორწმუნე, ანუ ქრისტიანი ლაშქრის, მხედრობის, თუ მთელი ერის წინამძღვარ ჯვარს.

ცნების „მორწმუნეთა“ მნიშვნელობის განზოგადება მხოლოდ სეფე ჯვრის ტიტულაციაში დადასტურებული ფაქტი როდია. ამგვარი განზოგადება შეინიშნება ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიც. მაგალითად, იოანე საბანისძის თხზულებაში ვკითხულობთ: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი“. არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ ეპიზოდში ცნების „მორწმუნენი“ განმაზოგადებელი მნიშვნელობა — საერთოდ ქართველი ერის გაგებით, რაც არაერთგზის აღნიშნულა მკვლევართაგანაც.

ქართული მხედრობის, ქართული ლაშქრის მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებრივი სახელდებით მოხსენიება არაერთგზის დადასტურებული ფაქტია საისტორიო წყაროებში. მაგალითად, ბასილი ეზოსმოდვარი ბასიანის ომის აღწერისას გვაუწყებს, რომ ქართველმა მეომრებმა „ვითარ იხილეს სულთანა, ცოტად ცხენნი ააჩქარეს და მიმართეს. ხოლო ვითარ იხილნეს სპარსთა რამეთუ აუზიდავად მიდიოდეს, დააგდეს სადგომი მათი და სიმაგრეთა მიმართეს, რამეთუ მიავლინა მათ ზედა ღმერთმან შიში დიდი. ხოლო ქრისტიანეთა იხილნეს რა მათ წინაშე გაქცეულნი, მიეტევნეს, და არა უტევნეს წარსლვად, არამედ გარემოიცვნეს“¹⁵. აქ ქართული მხედრობის გაცხარებულ ომში სახელდებულია არა საკუთრივ მხედრობის, ლაშქრისა თუ ჯარის სახელით, არამედ სარწმუნოებრივი ნიშნით — ქრისტიანენი. ვფიქრობთ, ქართული ლაშქრის ან მთელი ერის სარწმუნოებრივი ნიშნით („მორწმუნეთა“) მოხსენიება წარმოჩენილა სვიმეონ შოთაძის ოდაშიც, კერძოდ, სეფე ჯვრის ტიტულაციაში — „რომელა მორწმუნეთა და მეფეთა წინამძღუარი“.

საკუთრივ ჯვარისმტვირთველთა მოვალეობანი ჯვრის მიმართ, მტკიცედ იყო განსაზღვრული არა მხოლოდ ომიანობის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. თუ ომის დროს მეფისა და ლაშქრის წინ ჯვრის ხელით ტარება იყო ჯვარისმტვირთველთა მოვალეობა, მშვიდობიანობის ქაშს, როცა ჯვარი თავის განსასვენებელ სავანეში განისვენებდა, ჯვარისმტვირთველს ევალებოდა მეკლიტურობა ჯვრის განსასვენებელი ტაძრისა. ორივე ეს მხარე ჯვარისმტვირთველთა მოვალეობისა გამოკვეთილად წარმოჩენილია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში. იქ ჯვარისმტვირთველს ეწოდება „Ключарь придворной церкви“ და „Священникъ съ крестомъ, сопровождающий воиновъ въ походъ, крестоносец“. დ. ჩუბინაშვილი, ცხადია, სვიმეონ შოთაძის ოდას არ იცნობდა, მაგრამ საგულისხმო სწორედ ისაა, რომ მისი განმარტება ჯვარისმტვირთველთა ორმხრივი მოვალეობის შესახებ პირდაპირ ემთხვევა სვიმეონ შოთაძის ოდის ცნობებს. სვიმეონ შოთაძის ოდაშიც გამოკვეთილია ჯვარისმტვირთველთა მოვალეობა არა მხოლოდ ომის, არამედ მშვიდობის დროსაც. სვიმეონ შოთაძე პირდაპირ მიუთითებს: „ჩვენ გვექნებიან [კლიტენი]“... სავსებით აშკარაა, იგულისხმება მეკლიტურობა ჯვრის განსასვენებელი ტაძრისა, ეს კი სწორედ ისაა. რასაც გვიან დ. ჩუბინაშვილმა უწოდა „Ключарь придворной церкви“.

ახლა კი მივმართოთ უშუალოდ წყაროებს, რომლებიც განუხრელად წარ-

¹⁵ ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ა რ ი, ცხობრება მეფეთ-მეფისა თამარის: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 137.

მოაჩენს წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს წინამძღოლად მეფისა და ლაშქრისა XV ს-მდე. მაგრამ ვიდრე ქრონოლოგიური მიმდევრობით ამოვეყნებოდეტ ჯვრის საბრძოლო გზას, ორიოდ სიტყვას ვიტყვით მისი პირველი და უკანასკნელი მოხსენებების საკითხის შესახებ.

კონკრეტული თარიღი, თუ როდის გადაიხადა ქართველმა ერმა პირველი ომი ამ ჯვრის წინამძღოლობით, ჯერჯერობით უცნობია. არც ის ვიცით ზუსტად, თუ როდის იქნა პირველად საისტორიო წყაროებში ეს ჯვარი სახელდებული, როგორც სამეფო სიმბოლო. როგორც ჩანს, საუკუნეთა სიღრმეებში ჩაკარგულა და დაკარგულა პირველი დოკუმენტური უწყებანი ამ ჯვრის შესახებ. მაგრამ ჩვენ შევეცდებით ისტორიული დოკუმენტაციის სიღრმეებიდან ამოვზიდოთ ჩვენამდე მოღწეული ჯერ კიდევ გამოუვლენელი თუ გაუშიფრავი და შეუსწავლელი უწყებულებანი მის ირგვლივ.

მართალია. წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის წინამძღოლობით გადახდილი პირველი ომის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით, მაგრამ შესაძლებელია ზოგი რამ ითქვას მის უკანასკნელ და უკანასკნელის წინა ომებთან დაკავშირებით. ჩვენამდე მოღწეულა ქართველი მეფის უკანასკნელი წყალობის სიგელიც ამ ჯვრის სახელზე გაცემული.

უკანასკნელი ომი წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის წინამძღოლობით, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს გამოქვეყნებულ ნაშრომში, უნდა იყოს XVI ს-ის 20-იანი წლების დასასრულს ქართველთა ლაშქრობა ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად უსჯულოთაგან. ამ ომში მონაწილეობდა საქართველოს სამივე მეფე და სამცხის ათაბაგიც. სწორედ ამ ომიდან ქართული ლაშქრის ძლევამოსილი გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ შექმნილა სვიმეონ შოთაძის ოდა და მომხდარა ჯვრის რესტავრაციაც. ოდას, რა თქმა უნდა, იმსახურებდა ეს ისტორიული საბრძოლო ჯვარი, რომლის გზა თავიდანვე გმირულა შარავენად იყოფილა მოსილი. სვიმეონ შოთაძის ოდამ შთამომავლობას შემოუნახა ამ ჯვრის ნამდვილი სახელი („მეფეთა წინამძღუარი“) და მის მტვირთველ დეკანოზთა გვარიც (შოთაძე). ჯვრის მოჭედვა-განახლებამ, რაც უკანასკნელი ომის შემდეგ მომხდარა, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მის ფიზიკურ გადარჩენას, აგრეთვე შოთაძეთა შესახებ ცნობის შემონახვასაც; მაგრამ ამ რესტავრაციის დროს, ცხადია, დაიკარგა ჯვრის უფრო ადრინდელი მოჭედილობის წარწერები. რომლებიც, საფიქრებელია. რომ ექნებოდა მას. XVI ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში შესრულებულმა მოჭედვა-განახლებამ ახალი სამოსი ჩააცვა ჯვარს და ახალი სახელები დააწერა მასზე. სამაგიეროდ დაიკარგა ჯვრის ძველი სამოსი. ცხადია, თავისი წარწერებითურთ. ის წარწერები კი, ალბათ, არაერთ ძვირფას ცნობას მოგვაწვდიდა ჯვრის უძველესი ისტორიისა თუ ჯვარისმტვირთველთა საგვარეულოს ადრინდელ წარმომადგენელთა შესახებ. მაინც, XVI ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში რესტავრირებულმა ჯვარმა შემოგვინახა არსებითი ცნობა — წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის მუდმივად მცველი საგვარეულოს — შოთაძეთა შესახებ. სწორედ ამ ჯვრისა და სვიმეონ შოთაძის ოდის ცნობებმა ქართული მეცნიერული აზრი მიიყვანა შოთა რუსთველის საგვარეულო სახლის ძიების გზასთან.

საოცრად სიმბოლურია ისიც, რომ ქართველი მეფის უკანასკნელი წყალობის სიგელი ამ ჯვრის განსასვენებელი ტაძრისა და მის დეკანოზთა მიმართ შექმნილა სწორედ XVIII ს-ის უკანასკნელ მიწნაზე. ზედ XIX ს-ის წინა დღეს. ესაა სოლომონ II-ის წყალობის წიგნი, გაცემული 1799 წელს. ძველი საქართველოს ისტორიის უკანასკნელ, დამხურავ ფურცელზე, 1799 წელს, ერთხელ კიდევ და უკანასკნელად დაწერილა სამეფო განაჩენი ამ ჯვრის მიმართ.

იმერეთის მეფეთა მუდმივი ყურადღებისა და წყალობის საგანი ყოფილა

ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესია, სასვენი საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრისა. 1799 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II და დედოფალი მარიამ სამ-
ლებროს წყალობენ ჩხარის ეკლესიას, რათა მისმა დეკანოზმა, ე. ი. წმინდა
გიორგის ნაწილიანი ჯვრის, ანუ საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრის დეკა-
ნოზმა, ეკლესიის სამკაულთა ნაკლულევენება შეავსოს. ეს უკანასკნელი ზრუნ-
ვაა ქართველი მეფისა, რათა სათანადო პატივი მიეგებოდეს ამ ჯვარს („...წლი-
ური იგარა რიცხვით შეიდას ორმოცდაათი მარჩილი შესწირა და დაუდვა ჩხა-
რის წმინდის გიორგის და ღირსისა მამის საბას ეკლესიასა ყოველ წლივ მო-
უშლელად და მოვალეობად დაუდგინა მოიჯარადრესა ქუთათის სამღებროისასა,
რათა ზემორე აღნიშნული რაოდენობა შესწიროს ყოველწლივ წარადგინოს
წინაშე მას მეფე სოლომონისსა და მან შემდგომად უბოძოს დეკანოზსა წმი-
დის გიორგის ეკლესიისსა რათამცა ნაკლულევენება სამკაულთა შეავსოს იმა
შემოსავლიდამ...“¹⁶). XVIII ს.-ის უკანასკნელ წელს გაცემული ამ სამეფო
სიგელით დასრულდა ძველ ქართველ მოღვაწეთა გაცნობიერებული დამოკიდე-
ბულება ამ ჯვრის ბიოგრაფიის მიმართ და დაიხურა თვით ჯვრის ძველი ბიო-
გრაფიის წიგნიც.

პირველი დოკუმენტური ცნობის გამოჩენა სეფე ჯვრის შესახებ. ჩვენთვის
ჯერჯერობათ ცნობილი მასალების მიხედვით, დავით აღმაშენებლის ხანას ეკუ-
თვნის. ზემოთ გაკვრით უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ წმინდა გიორგის
ნაწილიანი სეფე ჯვარი იშთიფრება იმ ასოციაციაში. ქართველ მეომრებს რომ
უხილავთ დიდგორის ომში. ახლა უფრო ჩადრმავებით მივუბრუნდეთ იმ ცნო-
ბას. როგორც ცნობილია, თურქთა უზარმაზარი კოალიცია შეიკრიბა მაშინ სა-
ქართველოს წინააღმდეგ. მემათიანის ცნობით, „შეითქუნეს. შეიმტკიცნეს სიმ-
რავლითა ვითარცა ქვიშა ზღვსა, რომლითა აღივსო ქუეყანა. და აგვსტოსსა
თურამეტა მოვიდეს თრიალეთს. მანგლისს და დიდგორთა. რომელ თვთ
ფერკთა სედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“¹⁷. ქართველ მეომართა თავდადება
ამ ომში იმდენად სასწაულებრივი ყოფილა, რომ მემათიანე სრული თავდაჯე-
რებით გვაუწყებს ქართველთა ლაშქარს „ძალი ზეგარდმო ფარვიდა“ და „წმიდა
მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას
და მკლავითა თვსითა მოსრვიდა ზედამიწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა,
რომელ თვთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვ-
თხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და ვითარითა ღონი-
თა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი“¹⁸. ლაშქრისა და მემ-
ათიანის ეს ასოციაცია სრულიადაც არ არის შემთხვევითი. რა თქმა უნდა, დავით
აღმაშენებლის ომში ცოცხალი წმინდა გიორგი ვერ გამოჩნდებოდა, და მაინც
ამ ასოციაციას რეალური საფუძველი აქვს. მათიანის ეს ეპიზოდი ისტორიული
სეფე ჯვრის (რომელსაც ზოგჯერ დოკუმენტებში პირდაპირ წმინდა გიორგისაც
უწოდებდნენ) ფუნქციის გაცხოველებული წარმოსახვაა. შემართების უკიდუ-
რესი აღზევების ჟამს, სულიერ და ფიზიკურ ძალთა უდიდესი აღგზნებისა და
დაძაბულობის ვითარებაში, ქართულ ლაშქარს განსხეულებულად და გაცოცხ-
ლებულად აღუქვამს და წარმოუსახავს წინსაძღოლი ჯვრის გულში განსვენე-
ბული წმინდა გიორგის ძელები. ყურადღებას იპყრობს მემათიანის ცნობა იმის
შესახებ, რომ წმინდა გიორგი „განცხადებულად და ყოველთა სახილველად
წინაუძღოდა“ ლაშქარს. მემათიანე უბრალოდ იმას კი არ გვაუწყებს, წმინდა

¹⁶ სცსა, ტ. 1451, დავთ. 16, 7. საბუთები ჩხარის ეკლესიისა, № 265.

¹⁷ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი: ქართლის ცხოვ-
რება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის
მიერ, თბ., 1955, გვ. 340—341.

¹⁸ იქვე, გვ. 341.

გიორგი მეფის სპათა გვერდით იბრძოდაო, არამედ გამოკვეთილად აღნიშნავს — „წინაუძლოდა“ მეფის ლაშქარსო. ცხადია, ისტორიკოსმა მშვენივრად იცის ის, რაც რეალობა იყო იმ ომში — ქართულ ლაშქარს მართლაც „წინაუძლოდა“ სეფე ჯვარი, ფაქტობრივად იგივე წმინდა გიორგი, ჯვრის გულში განსვენებული წმინდა გიორგის ამქვეყნიური ფიზიკური ნაშთი. მხოლოდ უდიდესი აღგზნებისა და სულიერი დაძაბულობის ვითარებაში, როცა სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტი საბედისწერო უამი დგება, როცა წამიერად წაიშლება ყოველივე ამქვეყნიური და უდიდესი პასუხისმგებლობით შეპყრობილი ლაშქარი ელვისებურად ერთ სხეულად შეიკვრება, შეიძლება წამიერად მოხდეს აუხსნელი და შეუცნობელი გარდაქმნაც აღქმისა — ათასები ელვისებურად განიმსჭვალონ ერთი ფიქრითა და აზრით, მათმა თვალებმა ერთი და იგივე იხილონ წამიერად და მათმა გონებამაც ერთი და იგივე გაიაზროს. სწორედ ამგვარი ხილვის უამს წარმოსახვია წინ ქართულ ლაშქარს გაცოცხლებული სახით წმინდა გიორგი: ეს იყო სულიერი გზნების ასოციაცია. ამდენად, მემკვიდრის ცნობაში სიტყვა „წინაუძლოდა“ ისტორიული რეალობის ანარეკლია და წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის რეალურ წინამძღოლობაზე მიუთითებს.

კონკრეტული სახელდებით ეს ჯვარი წარმოჩენილია დავით აღმაშენებლის ანდერძში; იქ მას ვხედავთ სახელმწიფოებრივ სიმბოლოდ სეფე დროშის მხარდამხარ. სამეფო ნიშანთა შორის, რომლებიც დავით აღმაშენებელმა უანდერძა თავის შვილს — დიმიტრი უფლისწულს, აღნიშნულია „ძელი ცხორებისაჲ“, ე. ი. სეფე ჯვარიც. ანდერძში ვკითხულობთ: „გიბრძანებს და მოგაცხენებს მეფეთა მეფე დავით. დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსლვისა მისისათა ჩემ მიერ — უნდოესა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა, თქუენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოესა მისისათა — კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა...“

რამეთუ მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმინდითა, ახოვნებითა და სიმკნითა უმჯობესი ჩემსა და ნამდვილ ესე ვითარე გერ-იყო მეფე, მოცემული ღმრთისა მიერ მკვდრათვს სოფლისათა მართალ მორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა...

გარნა განბრჭო მართლად მსაჯულობამან ღმრთისამან და ესერა მეწოდა მე და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუენითა ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადამდე.

და მივანდნენ შვილნი და დედოფალნიცა შეამდგომლობითა ღმრთისაჲთა, რათა ძმაჲ მისი გაზარდოს... ამას ყოველთა თანა წარუძღუვანე წმიდაჲ ძელი ცხორებისაჲ და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარხნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“¹⁹.

სეფე ჯვრის ანუ „ძელი ცხორებისაჲ“ სეფე დროშის გვერდით მოხსენიება ისტორიული კანონზომიერებაა. ცხადია, აქ საქმე ქონებრივი მემკვიდრეობის გადაცემას როდი შეეხება. დავით აღმაშენებლის ანდერძის ამ ეპიზოდში გაცხადებულია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უწყება — მეფე სამეფო ხელისუფლების სიმბოლოებს — სეფე ჯვარს („ძელი ცხორებისაჲ“) და სეფე დროშას უანდერძებს თავის მემკვიდრეს და ამით, ფაქტობრივად, სამეფო ხელისუფლებას გადასცემს მას, მისი განმგებლობის ქვეშ აკანონებს ერს, ქვეყანას, სამეფო მმართველობას, ლაშქარს.

¹⁹ ანდერძი დავით აღმაშენებლისა; იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 18—19.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიც“ აშკარად ასახელებს სეფე ჯვარს, როგორც სამეფო ხელისუფლების ნიშანს. „აზმათა“ ტექსტში სეფე ჯვარს პირდაპირ ეწოდება სკიპტრა (საბას განმარტებით სკიპტრა „ელინთა ენაა, სამეფო ჯოხი, ქართულად ფაენი ჰქვან“). სკიპტრის მპყრობელობა სამეფო ძალაუფლების ფლობას აღნიშნავს (ასეცაა განმარტებული ს. ყაუხჩიშვილის ლექსიკონში, რომელიც „აზმათა“ გამოცემის ტექსტს დაერთვის — „სკიპტრა — სამეფო ძალაუფლების ნიშნები“... „სამეფო ძალაუფლება“...)²⁰. ცხადია, თამარის ისტორიკოსი უწოდებს რა სეფე ჯვარს სკიპტრას, ამით თვალნათლივ წარმოაჩენს მას სამეფო ხელისუფლების ოფიციალურ სიმბოლოდ.

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტშიც ერთმანეთის გვერდითაა მოხსენიებული სეფე დროშა და სეფე ჯვარი („ძელი ცხოვრებისა“). ამ უკანასკნელს ერთგან, როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირ სკიპტრა ეწოდება. მეორეგან კი — „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“ („ააბეს დროშა სვანი და კმარებული, და წარძღუანეს ძელი ცხოვრებისა, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“)²¹. ხალიფას შემოსევის აღწერისას აღნიშნულია: „და წარემართა დავით, წარმძღუანელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშის სვანად მოკმარებულია, ბაგრატიონურისა და უფროსდა გორგასლიანურისა“²². იქვე მემკვიდრე გვაუწყებს, რომ მეფემ (დავით სოსლანმა) ანტონ ჭყონდიდელს „უბრძანა წარძღუანეა ძელისა ცხოვრებისა, რომელ არს სკიპტრა და ჯაჰვ-ჭურ მეფეთა“.

განსაკუთრებული ფუნქცია, რომელიც მეფედ კურთხევის საზეიმო პროცესში სეფე ჯვარსა და მის მტვირთველ დეკანოზს — ჯვარისმტვირთველს ენიჭებოდა, მთელი სიცხოვლით მოჩანს თამარის მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალის აღწერის ეპიზოდშიც. აქაც სკიპტრა ეწოდება სეფე ჯვარს: „აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა. და მისთანა დროშა დავითისა, არაოდეს მობერილი წინააღმდეგომთაგან ნიავთა. და ყოველთა ერთგმაქმნილთა აწვეს თამარს კრმალი მამული მამისა მონიჭებული“²³.

სეფე ჯვრის ისტორიაში განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის ეპიზოდი, რომელიც თამარის მიერ ამ ჯვრის მკერდზე მიხუტების დაუვიწყარ პასაჟს წარმოაჩენს. ადრე უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ეს ჯვარი ფიგურირებდა ნუქარდინის წინააღმდეგ გაგზავნილი ქართული ლაშქრის მეფესთან გამოთხოვებისა და ფიცის დადების პროცესში. მოლაშქრენი მოდიოდნენ და ფიცს დებდნენ ამ ჯვრისა და თამარის წინაშე: „მოიყვანნა წინაშე თვსსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათა თვთოეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდასა ჯუარსა და თაყუანის-ცემდენ და შეემთხუეოდინან. და იწყეს მოსლვად ყოველთა და ტირილით ვედრებად. და თაყუანისცემად პატიოსნისა ჯუარისა, და ამბორის-ყოფად და ეგრეთვე შემთხუევად კელსა თამარისსა: და ადერძ-ყოფდეს ყოველნი სახლთა, შვილთა და სულთა წინაშე მისსა“²⁴. გამოთხოვებისა და გზის დაღოცვის კულმინაციურ მომენტში, როცა განსაკუთრებით ზეაწეული გამხდარა ლაშქრისა და მეფის სულიერი გზნება, შემართება. რწმენა, თამარს განუშორებია ეზოსმოძღვარიცა და ჯვარისმტვირთველიც, რომელთაც მასთან ერთად ეჭირათ ხელთ ეს მძიმე ჯვარი და მართო დარჩენილა ერის საესავ ამ უწმინდეს საბრძოლო სიმბოლოსთან: „მერმე თვთ მიიქუა პატიოსანი იგი ჯვარი კელითა თვსითა, და ამკედრებულთა ზედა ყოველსა მკარსა ნიში ჯვარისა გამო-

²⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 601.

²¹ იქვე, გვ. 38.

²² იქვე, გვ. 68.

²³ ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 115-116.

²⁴ იქვე, გვ. 136.

სახა სამეზის დაულოცა, და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“²⁵.

ამგვარად, სწორედ ამ ჯვრის წინაშე და მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა ლაშქრისა და მეფის უდიდესი სულიერი შეკავშირება, რაც საწინდარი გახდა გამარჯვებისაც.

მატიანეში სახელოვნად ფიგურირებული, დავით აღმაშენებლისა და თამარის ომების წინამძღოლი, თამარის მეფედ კურთხევის პროცესში შარავანდედით მოსილი „ძელი ცხოვრებისა“ რომ წმინდა გიორგის ნაწილიანი ისტორიული სეფე ჯვარია, ე. ი. სწორედ ის ჯვარია, რომელიც სეფე ჯვარისმტვირთველს ეპყრა ხელთ, — ეს სრულიად თვალსაჩინოდ გამჟღავნებულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობაშიც. „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც XIV ს-ში, გიორგი ბრწყინვალის დროს შეუდგენიათ, გვამცნობს, რომ „ძელი ცხოვრებისას“ მტვირთველი სწორედ სეფე ჯვარისმტვირთველი ყოფილა: „და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი ქრისტიანი ყოველივე წავა, დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ, და დროშა განალამცა წინა ამართული, და მერმე ჯვარისმტკრთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა კელთა“²⁶. ჯვარისმტვირთველს ხელთ უნდა სჭეროდა მხოლოდ და მხოლოდ სეფე, ანუ ომებში მეფისა და ლაშქრის წინამძღოლი ჯვარი. რაკი „ძელი ცხოვრებისას“ მტვირთველად ჯვარისმტვირთველს ვხედავთ, ცხადია, ომებში მეფისა და ლაშქრის წინამძღოლი სეფე ჯვარი სწორედ „ძელი ცხოვრებისა“ ყოფილა. ამავე დროს სვიმეონ შოთაძის ოდის ცნობით დაბეჭდვებით ვიცით, რომ „მეფეთა წინამძღუარი ჯვარი“ წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარი იყო. სავსებით აშკარაა, „ძელი ცხოვრებისა“ სწორედ წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარია. „ჯვარის-მტკრთველი შემოსილი“ კი ნიშნავს თავისი სამსახურებრივი მოვლულობის აღსრულების პროცესში სრულ აღკაზმულობაში მყოფ თანამდებობის პირს — სეფე ჯვრის მტვირთველ დეკანოზს. სწორედ დავით აღმაშენებლის ანდერძსა და თამარის ისტორიებში დიდებითა და სასოებით სახელდებული „ძელი ცხოვრებისას“ გვერდით, როგორც მისი მუდმივი მცველნი და „თანწამებად“ მხლებელნი, მდგარან შოთას საგვარეულოს სახლის შვილნი.

XV საუკუნიდან სეფე ჯვრის, ანუ „ძელი ცხოვრებისას“ მოხსენიებამ ისტორიულ დოკუმენტაციაში ახალი სახე მიიღო. ამიერიდან „ძელი ცხოვრებისას“ წინამძღვრობის აღნიშვნას დაემატა ფაქტობრივი უწყება ამ ჯვრის წინამძღოლობით აგარის ნათესავთა, ანუ თემურლენგის ლაშქრის აღმოფხვრისა და საქართველოდან სამუდამოდ უკუქცევის შესახებ. ეს რკინისებურად ნაჭედი ფორმულა სეფე ჯვრის სახელდების არსებითი დეტალი გამხდარა XV ს-ის მრავალ ისტორიულ დოკუმენტში და გაქვეავებული სახით გადმოსულა XVI ს-ის დოკუმენტაციაშიც. შემთხვევითი, არაფრისმტქმელი, ან ფუჭად განმადიდებული ეპითეტებით როდი ხდებოდა სეფე ჯვრის ტიტულაციის შევსება. როგორც ირკვევა, ჯვრის სატიტულო დეტალები მკვეთრი ისტორიული არგუმენტაციით მოაზრებული და დიდი იდეური გამიზნულობით დატვირთული ყოფილა. ეს დეტალები სხვადასხვა ვარიაციით ისტორიულ დოკუმენტაციაში წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის მოხსენიებისას ფიგურირებს თვით XVIII ს-ის ბოლომდე. ზემოთ უკვე წარმოვაჩინეთ არსებითი დეტალები სეფე ჯვრის ტიტულაციისა: „სკიპტრა და ჯაჭვ-ჭური მეფეთა“, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა (თამარის ისტორიები), „მორწმუნეთა და მეფეთა წინამძღუარი“, „საჭურველი და მფარველი ყოველთა მორწმუნეთა“ (სვიმეონ შოთაძე). იმის გასათვალის-

²⁵ იქვე.

²⁶ გარიგება ხელმწიფის კარისა. ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძე, გამოცემა, 1965, გვ. 80.

წინებლად, თუ რა სახე მიუღია სეფე ჯვრის ტიტულაციას თემურლენგის წინააღმდეგ ქართველი ერის მიერ გადახდილი უდიდესი საბრძოლო ეპოპეის შემდეგ, თვალი მივადევნოთ ჯვრის ისტორიულ გზას თამარის შემდგომ ეპოქებში, XVI ს-ის დასაწყისამდე.

გამოიარა რა გმირული შარავანდედით ისტორიულმა სეფე ჯვარმა დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლევამოსილი ომები, ამით დასრულდა მისი ისტორიის ერთი უდიდესი პერიოდიც. თამარის შემდეგ, ჟამთააღმწერლის მრავლისმთქმელ სახეს თუ დავესესხებით, დიდი ფერისცვალების ხანა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. როგორი იყო ამ ჯვრის ისტორიული გზა ფერისცვალების საშინელ ეპოქებში, მოჩანს თუ არა იგი ომებში მეფისა და ლაშქრის წინააღმდეგ სიმბოლოდ თემურლენგის ამომთხრელ ლაშქრობათა დროს — ესაა ახალი თავი ჯვრის ისტორიისა.

თამარის შემდეგ ფერისცვალების უმძიმესმა ხანამ დასცა ერთ დროს უძლიერესი ქართული მონარქია. ეს დაცემა XV ს-ის 60—70-იან წლებში დაგვირგვინდა ლოგიკური შედეგით — საქართველოს დაშლითა და დაქცევით. საქართველოს მთლიანობა შეელეწა. ერთი მხრივ, ამომთხრელ პერმანენტულ მოწოდებას აღმოსავლეთის სისხლიანი ურდოებისა; ბნელეთის იმ აურაცხელმა ძალებმა დასცეს და მიწასთანაც გაასწორეს საქართველოზე გაცილებით დიდი სახელმწიფოებიც. მეორე მხრივ, არანაკლებ დამლუბველი აღმოჩნდა ქვეყნის ერთიანობისთვის შიდა განხეთქილებებიც; შიდა რეაქციის მძლავრობამ, აგრესიასთან კავშირში, ცეცხლს მისცა ქვეყნის ერთიანობის ბალავარი.

საქართველოს მთლიანობა ვერ გადარჩა, მაგრამ ცალმხრივი და სრულიად მცდარი აღქმა იქნებოდა ისტორიისა, იმ სისხლიან საუკუნეთა ძირითად მახასიათებელ ფაქტორად რომ მხოლოდ მარცხი დაგვეჩვენა. უპირველესი და უმთავრესი შედეგი დაუსრულებელი სისხლიანი რკენებით გამოვლილი საუკუნეებისა იყო ქართველი ერის უდიდესი გამარჯვება, დამყარებული ენით აუწერელ, დაუჯერებელ დაძაბვაზე ფიზიკური და სულიერი ძალებისა, გმირობაზე, რომლის გადაჭარბებით წარმოსახვა წარმოუდგენელია. სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნება ვეღარ შეძლო ქართველმა ერმა, მაგრამ სასწაულებრივი გმირობის ფასად მან მოახერხა ფიზიკური და ეთნიკური გადარჩენა; ასე თუ ისე გადარჩა პოლიტიკურადაც — ცოცხალი ქართული სამეფოების, ერთ დროს მთლიანი ერთეულის ნაწილების სახით, რომელთაც მაინც ეროვნული ცენტრალური ხელისუფლება წარმართავდა (გარდა ცალკეული გამონაკლისი რენეგატი მმართველებისა). ჟამთა სიავით გამოყოფილ ნაწილთა უზენაესი მიზანი — გაერთიანება კვლავაც ცოცხალი რჩებოდა და ერის პოტენციალს ამ მიზნისკენ სწრაფვაში ამოუცნობლად სიცოცხლისუნარიანი იყო.

გამოვლილ სისხლიან ეპოქათა შემდეგ შავ, ტოტალურ ამომთხრელ ძალებზე გამარჯვების შედეგი რომ განუზომლად სჭარბობდა მარცხის შედეგს, ეს შესანიშნავად ჰქონიათ გააზრებული ჩვენს წინაპრებს. უფრო მეტიც: დასკვნა ამ გამარჯვების განუზომელი მნიშვნელობის შესახებ მათ სრულიად თვალსაჩინოდ ერის სასწავლ თეზადაც გამოუკვეთიათ. ეს გამხდარა სეფე ჯვრის, ანუ „ძელი ცხოვრებისას“, ტიტულაციის შევსების საფუძველიც.

საქართველოს ისტორიული სეფე ჯვარი ისევე ნაბრძოლი ჩანს დაუსრულებელ ომებში, როგორც ის ქართველი მეომრები, ამომთხრელი მისიით მოსეულ მტრებს რომ ზედ ელევნებოდნენ. შევსებულ ტიტულაციაში გამოკვეთილად წარმოჩენილა ქართველი ერის ამოუწურავი საბრძოლო ენერგია, რომლის წყალობითაც ჩვენი ქვეყნის სამუდამოდ აღმოფხვრის მიზნით მოსული აურაცხელი მტერი მიზანს ვერ ეწია. ვერ შეძლო ქართული მიწების სრული დაცა-

რიელება ქართველთაგან; არ მოხერხდა ისტორიის გამრუდება და ბნელეთის თესლის სამუდამოდ დამკვიდრება ქართულ ნიადაგზე.

XV ს-იდან სეფე ჯვრის, ანუ „ძელი ცხოვრებისას“, მოხსენიებას დოკუმენტებში თან ახლავს მოკლე ისტორიული მონათხრობიც, რომელიც თემურლენგის წინააღმდეგ ქართველი ერის მიერ ამ ჯვრის წინამძღოლობით გადახდილ უდიდეს საბრძოლო ეპოპეას გარდასახავს. სწორედ თემურლენგის წინააღმდეგ გადახდილი ომები იყო უკანასკნელი უდიდესი საბრძოლო ეპოპეა ამ ჯვრისა საკუთრივ საქართველოში. იმ მიზნით, რომ უფრო ნათელი გახდეს ჯვრის ტიტულაციის შევსების ისტორიული საფუძველი, ორიოდ სიტყვით მოვიგონოთ თემურლენგის სისხლიანი ქრონოლოგია საქართველოში.

როგორც ცნობილია, თემურ-ლენგი პირველად 1375 წელს გამოჩნდა აღმოსავლეთში. 1387 წელს მან თბილისი აიღო და ქართლი დაიპყრო. 1393 წელს ბაგრატ მეფემ თემურის სპანი მოსწყვიტა და თბილისი დაიბრუნა. 1394 წელს ისევ შეიბნენ თემურლენგი და ბაგრატ მეფე, თემურლენგმა გაიმარჯვა და კვლავ აიღო თბილისი.

1395 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მეფე და გამეფდა გიორგი ბაგრატიძე. 1396 წელს უკვე თემურლენგი და გიორგი მიჯნე შეიბნენ, გაიმარჯვა თემურლენგმა. 1407 წელს გიორგი მეფე მოკლეს თურქებმა. გამეფდა მისი ძე კონსტანტინე. 1414 წელს თურქებმა მოკლეს კონსტანტინეც და გამეფდა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე²⁷.

თემურლენგის გამოჩენის შესახებ მათიანე შემდეგს გვაუწყებს: „და ამას ჟამსა შინა გამოჩნდა მძლავრი ლანგ-თემურ პირველად ქუეყანასა თურქეთისასა რამეთუ ეწოდა სახელად თემური და მკელობელ იყო. და სპარსთა ენათა მიერ მკელობელსა ლანგ ეწოდების. ხოლო ესე ლანგ-თემურ გუარტომობით იყო ჩინყის სამარყანელი. ამისთვის უწოდდენ ჩინყიზად...“

„...მაშინ დაიპყრა ლანგ-თემურ ყოველივე ქუეყანა აღმოსავლეთისა და წარმოვიდა ძლიერებითა მრავლითა და სპითა ურიცხვთა. რომელ ჰფარვდა ყოველთა ველთა ქვეყანისათა, და ესრეთ მოიწია სომხითად. და მოიცვა სრულად სომხითი, რამეთუ მოაწია მათ ზედა ჰირი, სრვა, ტყუენვა და სრულად იავარჰყო სომხითი... ხოლო დაიპყრა სრულიად სომხითი და მრავალი ტყუეჰყო, და უმრავლესნი მათნი მოსრნა პირითა მახვლისათა, და სხუანი ყოველნივე თვსად მიიმძლავრნა, და ჰყო საბრძანებელსა ქუეშე თვსსა და წარვიდა მუნითგან, და დაიპყრა კარი და აღიღო ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი მათნი, ხოლო წინააღმდეგომი და ურჩნი ყოველნივე მოსრნა პირითა მახვლისათა და დაიბანაკა მუნ ზამთარსა ერთსა, რამეთუ იყო ზამთარი ძლიერი და ფიცხელი..“

ხოლო შემდგომად ზამთრისა წამოემართა ქართლსაცა ზედა ვითარცა დევანი ზღვსანი განძნებულნი, რამეთუ წადიერ იყო დაპყრობად საქართველოსა, და ესრეთ იყო ნება სეინიდისისა მისისა. გარდამოვლო აბოცი, წარმომტყუენველმან და სრულიად იავარ-მყოფელმან ყოვლისა სანახებისამან. არა ჰყოვნა მუნ. არამედ წარმოვიდა, გარდმოვლო თრიალეთი და საბარათიანო, საშინელე-ბითა და ზარითა დიდითა, ქქს ქრისტეს აქეთ ჩტყგ.

რამეთუ ვის ძალ-ედვა წინააღმდეგომად მისა? რამეთუ ჰყვა ბანაკი და სიმრავლე სპათა ურიცხვ, რომელსა ვერ იტევდენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და სანახებ[ნი] საქართველოსანი, და მოსრნა ყოველნივე თრიალეთი, საბარათიანო. და გარემონი, მკვდრნი მათ ადგილთანი წარმოსტყუენნა, და შემუსრნა ყოველნივე სიმაგრენი, ციხენი და გოდოლნი. და არა დაშთა დაბანი, რომელნი სრულიად არ აღაოვრნა.

²⁷ ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიური ცხრილი, გვ. 859—896.

რამეთუ არაოდეს მოწევნულ არს ჭირი ესევეთარი საქართველოსა ზედა, რომელი მან მოაწია“²⁸.

თემურლენგთან უსაშველო რკენას შეეწირა ბაგრატ მეფე, რომლის დაუმორჩილებელმა სულმა უკიდურესად გაახელა დამპყრობელი („მაშინ ფრიად განრისხნა მძლავრი იგი ზუავი და ამპარტავანი“). იავარყოფა ქვეყნისა, მოსრვა და ტყვეობა ერისა, იერაში სჯულზე, და მაინც, მათიანის უწყებით — „არა მორჩილ ექმნა ბაგრატ“.

მატიანე გვამცნობს, რომ ერთი გამოკვეთილად საბოლოო განზრახვა ჰქონია თემურლენგს ჩვენი ქვეყნის მიმართ: არა დაპყრობა, დათრგუნვა, ხარკდადება და გვემასა შინა მორჩილება საქართველოსი, არამედ სრული და საბოლოო იავარყოფა მისი პირისაგან მიწისა, ანუ „დასრულება ქართლისა“. ეს განზრახვა, როგორც ჩანს, მას უკვე მარტივად აღსასრულებელი ეგონა მაშინ, როცა მეფედდოფალი პატიმრად ჰყავდა, საქართველო დამარცხებული, აოხრებული და გაუღეტილი იყო, თბილისი აღებული, ციხეები და გოდოლნი — მიწასთან გასწორებული. თვით თემურლენგი ყარაბაღს გამგზავრებული სანადიროდ და იქვე დაუბანაკებია; საქართველოს საქმისთვის, რაც უკვე დამთავრებული ეგონა, საბოლოო წერტილის დასმა ვინმე სპასალარისთვის მიუზღვია: „და შთასრულმან ყარაბაღს დაიბანაკა მუნ რაოდენთამე ჟამთა, და იგონებდა ბოროტსა, რამეთუ სავსე იყო შურიტა და კდომიტა, რომლისა თხლე არა წარმოიცალიერა, და გარდამოეცემოდა გესლი ასპიტისა ბაგეთაგან მისთა, რამეთუ სრულიად ეგულვა და მოქენე იყო იავარ-ყოფისათჳს საქართველოსა, ვინათგან მეფე ბაგრატ პატიმრად ჰყვა, სხუა არავინ საეჭუელ უჩნდა წინააღმდგომი მისი. ხოლო განაწესა სპასალარი ერთი ვინმე წარჩინებულთა თვსთაგანი, და მისცნა სიმრავლენი სპათანი ურიცხუ[ნი]. წარმოგზავნა საქართველოსა ზედა, და ამცნო სრულიად მოოკრება და დასრულება ქართლისა; და უმეტესად წმიდათა ეკლესიათათჳს, ციხეთა და შენობათათჳს ეტყოდა: „დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლადმდე მისა: ხოლო მკცოვანთა მამათა და დედათა, და უფროსლა სამღდელთაგან რომელნიცა შეიპყრან, მოსრან ყოველნივე პირითა მახვლისათა, და სხუანი წარტყუენონ და ტყუე ჰყონ, და მოწვან ცეცხლითა წმიდანი ეკლესიანი, და ყოველნივე დაბანი და შენობანი ქართლისანი“²⁹. ეს იყო 1393 წელს.

ლაკონიური თქმით გვამცნობს ისტორიკოსი უსაშველო სათქმელს — „დასრულება ქართლისა“. ეს იყო საბოლოო განაჩენი თემურლენგისა საქართველოს მიმართ და ეს განაჩენი გულისხმობდა არა მხოლოდ სახელმწიფოებრივად დასრულებას ჩვენი ქვეყნისა, არამედ ეთნიკურადაც. ადამიანთა მოდგმის ბნელმა არსმა ასე მარტივად გადაწყვიტა გადაუწყვეტელი. ცხადია, მან არ იცოდა, რა უსაშველოდ ამოუცნობი ფენომენი განსაზღვრავდა ამ დასასრულებლად მრავალგზის განწირული ერის დაუსრულებლობას. სულ მალე საქართველოს ისტორიულ სეფე ჯვრის. ანუ „ძელი ცხოვრებისას“, მოხსენიების ფორმულაში წარმოჩნდება რკინისებური სიმტკიცით ნაკვდი უწყება — თემურლენგის, ანუ აგარის ნათესავთა თესლის, სამარადისო „უკუქცევის“ შესახებ საქართველოდან. თემურლენგის მისია ყოფილა „დასრულება ქართლისა“, XV ს-იდან კი ჯვრის მოხსენიების გვერდით გაჩნდა უწყება არა ქართლის, არამედ სწორედ აგარის ნათესავთა სამარადისო დასრულების შესახებ. შეიძლება ითქვას, სეფე ჯვრის ტიტულაციამ სიტყვიერად უკან მიუბრუნა თემურლენგს თავისი უბნე-

²⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 446, 448, 449.

²⁹ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 451.

ლესი განაზრახი. ამრიგად, თარიღობრივად უპირველესი და უტყუარი წერილობითი შეფასება თემურლენგის ბნელი მისიის მარცხისა საქართველოში სეფე ჯვრის, ანუ „ძელი ცხოვრებისას“, სატიტულო მონათხრობში ყოფილა წარმოდგენილი.

მტრის (თემურლენგის) სამარადისო აღმოფხვრის შესახებ ცნობის სეფე ჯვრის სატიტულო უწყებაში გატანა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. იგი ამავე დროს მიზნად ისახავდა კანონად გამოკვეთილ უწყებასაც ქართლის აღმოუფხვრელობის შესახებ. ფაქტობრივად ეს იყო ქართველი ერის მებრძოლი სულის მარადისობის აღნიშვნა, ბრძოლებში წინააღმდეგობის ჯვრის მოხსენიების ფორმულაში გამოკვეთილი.

თემურლენგი მძლავრობდა XIV ს.-ის დასასრულს; XV ს.-ის დასაწყისშივე ისტორიულ დოკუმენტაციაში უკვე დასტურდება სეფე ჯვრის ახალი სატიტულო ფორმულა³⁰. ჯვრის ტიტულაციის ახალი ტექსტი და მასზე დართული მოკლე ისტორიული მონათხრობი თემურლენგის შესახებ გამოკვეთილად ოთხ ფაქტს გვაუწყებს:

1. აღინიშნება „ძელი ცხოვრებისას“, ანუ სეფე ჯვრის, წინამძღვრობა უდიდეს მტერთა წინააღმდეგ გადახდილ ომებში. 2. კონკრეტულად სახელდება, რომ მტერი, ვის წინააღმდეგაც წინამძღვრობდა „ძელი ცხოვრებისას“, აგარის ნათესავი, ანუ თემურლენგის ურიცხვი ლაშქარი, იყო. 3. თემურლენგის მისია შეფასებულია, როგორც წინააღმდეგობა, აღმოუფხვრელობა ქართველი ერისა, საერთოდ ქრისტიანობისა და თვით „ყოველთა ჯურის მოსავთა“. 4. გაცხადებულია უწყება აგარის ნათესავთა სამარადისოდ აღმოფხვრის, დასრულების შესახებ. ეს არსებითი უწყებანი ჯვრის საბრძოლო გზის შესახებ სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა ვარიაციით შემონახულა, თუმცა ჯვრის ტიტულაციის შემავსებელი ძირითადი დეტალები ყველგან მეორდება შეკრულად თუ დანაწევრებულად. ახლა მივმართოთ უშუალოდ დოკუმენტურ ცნობებს.

ჩვენთვის ცნობილი XV ს.-ის ყველაზე უადრესი დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ახალი უწყებანი სეფე ჯვრის ისტორიული გზის შესახებ, ე. ი. წარმოდგენილია მითითება ამ ჯვრის წინამძღვრობით მტრის (აგარის ნათესავთა) დამარცხებისა და მათი სამარადისოდ „უკუნეცევის“ შესახებ, 1412 წლით თარიღდება. ესაა ალექსანდრე მეფის სიგელი, რომელშიაც აღნიშნულია: „ქართველთა მეფეთ მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა ვახტანგ და დიმიტრი... შევსწირეთ თქვენდა მომართ...“

აჰა, ესერა ბრწყინვენ ოთხნივე საყდარნი მეფობისა ჩვენისანი და შეწვენითა და წინამძღვრობითა ძელისა ცხოვრებისათა სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნეცეულარნ და ამის მიერთა ცვა-ფარვათა თქვენდა მინდობილმან და შევდრომით მოქენემან სუეტსა ღთწივ აღმართებულსა... კათოლიკე საყდრისა დედაქალაქისასა მცხეთისა რომელ დააქციეს ტომთა აგარიანთა ჟამსა მას რომელ წარმოემართა ქუეყანით სამარყანით ბილწი იგი და მოძაგებული სახელით თემურ და მრავალნი საყდარნი და მონასტერნი დააქცივნა და თუით მათნიცა ბილწნი და შეურაცხნი სალოცავნი და მიზგითანი დააქცივნა...“³¹.

³⁰ სხვათა შორის, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე ტომში (გვ. 200) წარმოდგენილია გიორგი მეფის ერთი სიგელი, რომელსაც გამოცემელი 1393 წლით ათარიღებს. სიგელში „ძელი ცხოვრებისას“ ტიტულაცია უკვე წარმოდგენილია ახალი, შემავსებელი დეტალებით. თუ თ. ჟორდანიასეული დათარიღება სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სეფე ჯვრის შევსებული სატიტულო უწყება ისტორიულ დოკუმენტაციაში უკვე გამოკვეთილი ყოფილა XIV ს.-ის დასასრულიდანვე.

³¹ სცსა, ფ. 1449, საბ. № 1512.

1419 წლის დოკუმენტში (ისევ სიგელი ალექსანდრე მეფისა) ვკითხულობთ: „...ვითარცა ესერა დღეს ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი სამეფოსა ჩუენისანი და შეწეენითა და წინამძღურობითა ძელისა ცხოვრებისათა აგარის ნათესავნი მტერნი და წინა აღმდგომნი ქრისტიანეთანი სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნქცეულ არნ... ოდეს მძლავრი იგი და დიდისა ულუსისა პატრონი აგარის მონათესავე თემურ წარმოემართა აღმოსავლით კერძო ქუეყანით სამარყანით და მრავალნი თემნი და ქუეყანანი ოკერ ყუნა და საყდარნი და მონასტერნი და ეკლესიანი დააქცივნა და საყდარი დედაქალაქი მცხეთა დააქცია...“³².

1424 წლის დოკუმენტი (შეწირულების წიგნი ალექსანდრე მეფისა) გვაუწყებს: „შეწეენითა და წინამძღურობითა ძელისა ცხოვრებისათა აგარის ნათესავნი მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტიანეთანი სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნქცეულარნ“³³.

დავით მეფის 1425 წლის სიგელში აღნიშნულია: „...შეწეენითა და წინამძღურობითა ძელისა ცხოვრებისათა მტერნი წინააღმდეგომნი ჩუენნი სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნქცეულარიან...“³⁴.

შეწირულებისა და სითარხნის წიგნში, რომელიც გიორგი მეფეს მიუცია 1447 წელს მცხეთის ეკლესიისთვის, ვკითხულობთ: „...ვითარცა ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი და შეწეენითა და წინამძღურობითა ძელისა ცხოვრებისათა აგარის ნათესავნი და მტერნი და წინააღმდეგომნი ჩუენნი სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღეინდელად დღემდე არამედ აჰა ესერა მოწევენულიყო საშინელება და რისხვა საშინელებით აღძრული მსგავსი ცოდვათა ჩუენთა და ჟამსა... მეფეთ მეფისა გზისა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსრულიყო ურჯულოებით აღძრული და ყოვლისა ქუეყანისა მოკრებელი და ყოვლისა სჯულისა მტერი აგარის მონათესავე და წინა აღმდგომი ყოველთა ჯურის მოსავთა ურჯულო თემურ...“³⁵.

მოხსენიების ამავე ფორმით წარმოგვიჩენს სეფე ჯვარს, ანუ „ძელსა ცხოვრებისასა“, ალექსანდრე მეფის მიერ 1479 წელს გაცემული შეწირულების სიგელიც: „...წინამძღურობითა ძელისა ცხოვრებისათა აგარის ნათესავნი მტერნი წინააღმდეგომნი სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნქცეულარნ...“³⁶. სხვათა შორის, ეს საბუთი საინტერესოა სხვა მხრივაც. მისი დედანი (ჩვენამდე მოღწეულა მხოლოდ პირი) გარეჯის გუჯარი ყოფილა. ამის შესახებ აღნიშნულია თვით დოკუმენტის გადამწერის ხელითვე („გარეჯის გუჯარი ტყავზედ ნაწერი“). ეს საგულისხმო ცნობა განსაკუთრებით მაშინ იქცევა ყურადღებას, როცა საბუთის შემდგენლის ვინაობასაც ვითვალისწინებთ. დოკუმენტი შეუდგენია იათორიძე შოთაძე ვარსიძეს. ამ პირის შესახებ ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში. ეს დოკუმენტი დღემდე უცნობი კიდევ ერთი საბუთია შოთაძეთა გვარის ისტორიისა. გამოქვეყნებულ ნაშრომში გარკვეული გვაქვს, რომ XV ს-ის 60—70-იან წლებში ვარსიძე იათორის შვილი შოთაძე მეფის კარის მდივანმწიგნობარი და გარეჯის წინამძღვარი ყოფილა. საეცებით გასაგებია, რომ სწორედ მას შეუდგენია გარეჯის ეს გუჯარიც: ამ დოკუმენტში იგი იწოდება მეფის კარის მწიგნობარ იათორისძე ვარსინოფესად (აშკარაა, ვარსიძეს სრული სახელი ვარსინოფესია): „დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ქკსა რნიზ... კელითა იათორიძისა ვარსინოფესითა კარისა ჩუენისა მწიგნობარისა“.

³² სცსა, ფ. 1449, საბ. № 1513.

³³ სცსა, ფ. 1449, საბ. № 1650.

³⁴ სცსა, ფ. 1449, საბ. № 1567.

³⁵ სცსა, ფ. 1448, საბ. № 1016.

³⁶ სცსა, ფ. 1449, საბ. № 555.

ჯვრის ტიტულაციის ასეთივე ფორმულა გადმოვიდა XVI საუკუნის დოკუმენტაციაშიც. 1511 წელს შედგენილ გიორგი მეფისა და მისი ძის — ლეკანის სიგელშიც ვკითხულობთ: „...წინამძღვრობითა ძელისა ცხოვრებისათა აგარის ნათესავნი მტერნი და წინა აღმდგომნი ჩუენნი სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნ ქცეულ არიან“³⁷.

ტიტულაცია სეფე ჯვრისა, რომელიც თავიდანვე დიდად იდეური იყო, შევსების შემდეგ კიდევ უფრო დატვირთულა იდეური გამიზნულობით. შემთხვევითი არ ყოფილა უწყება მტრის „სამარადისოდ უკუნქცევის“ შესახებ. რასაკვირველია, სამეფო ჯვრის ტიტულაციის ტექსტის ავტორებმა, რომლებიც, ალბათ, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი იყვნენ, შესანიშნავად იცოდნენ, რომ აგარის ნათესავნი, მტერნი და ამომთხრელნი, ჩვენს ქვეყანას არც წარსულში აკლდა, არც მათსავე აწმყოში და არც სამომავლოდ იყო საგულვებელი მათი ნაკლებობა; მაგრამ საზეიმო, ოფიციალური უწყებულობა აგარის ნათესავთა „სამარადისოდ უკუნქცევის“ შესახებ უდიდეს იდეურ მიზანს ისახავდა — იგი გულისხმობდა სამარადისოდ უარყოფას „ქართლის დასრულების“ შესაძლებლობისა. ამგვარად, ჯვრის ტიტულაციის სახით საქმე გვაქვს იდეის სფეროში გადატანილ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლასთან აგარის ნათესავთა და, საერთოდ, ყოველი ჯვრის ამომთხრელ ძალებთან. ეს იყო დაუმორჩილებლობის სულის შთაგონება ერისთვის, რომელსაც მომავალშიაც სისხლიანი ისტორიის სტიქიონი ელოდა. დაუმორჩილებლობის სულის შთაგონება კი საწინდარია გამარჯვებისა. ერი, რომელსაც უდიდესი განსაცდელის უამს გადარჩენის რწმენა არა აქვს, უთუოდ დაიღუპება. მტერი თუ ვერა, საკუთარი ძალების ურწმუნობა, საკუთარ პოტენციათა თვითუარყოფა დაღუპავს მას. სეფე ჯვრის ტიტულაციაში დაფიქსირებული ეს უწყება თვალსაჩინოდ წარმოაჩენს — რა დიდი საბრძოლო ეროვნული მისიით ყოფილა შთაგონებული XV ს-ის ქართული საზოგადოებრივი აზრი.

სეფე ჯვრის ისტორიული ფუნქციისა და მისი ტიტულაციის საკითხის კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVIII ს-ის ერთი დოკუმენტის მონაცემებიც. დოკუმენტში წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს პირდაპირ ეწოდება „წინმბრძოლი მეფეთა“. ამგვარად, წარმოჩნდა კიდევ ერთი, ამჯერად უკვე გვიანდელი, დოკუმენტი, რომელშიაც, ფაქტობრივად, გახსნილია წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის ისტორიული ფუნქციის არსი. დოკუმენტი წარმოადგენს 1741 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის მიერ გაცემულ წყალობის წიგნს. გვიანდელ ხანაში, XVIII ს-ის შუა წლებში, როცა წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს რეალურად უკვე დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა თავისი ისტორიული ფუნქცია, მის სახელდებაში მაინც ამოტივტივდა გაქვავებული ფორმულა ისტორიული ტიტულაციისა. ალექსანდრე V-ის სიგელშიც წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს პირდაპირ წმინდა გიორგი ეწოდება. სიგელი ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზთა სახელზეა გაცემული (1741 წელს წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვარი ჩხარში იმყოფებოდა). დოკუმენტში აღნიშნულია: „...ახოვანო მკედარო უფლისაო და ყოველსა შინა სოფელსა სახელგანთენილო და სასწაულთმოქმედო განმათავისუფლებელო პყრობილთა და უღონოთა ტყვეთაო, რომელმან იხსენ (...გან) ვეშაპისა ასული იგი მეფისა მთიები განმაბრწყინებელო გონებესა მორწმუნეთასა და აღმავსებელო ნაწილთა ზეგარდმოთა მიძღებო, უხვად ნაყოფისა მეტისა იერუსალემისასა და გვირგვინთა უფრჭნოთა განშევენებულო წინამბრძოლო მეფეთაო... მკნეო ქველო და ღვაწლითა შემოსილო, მოწამეთმთავარო დიდო მოწამეო და მხედარო ქრისტესო წმიდაო გიორ-

³⁷ სცსა, ფ. 1449, საბ. № 1533.

გი. ჩვენ ცვა ფარვითა თქვენთა მინდობილმან და მოსაგმან მეფემან... კელ-
მწიფემან მეფემან პატრონმან ალექსანდრე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ
შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი ისევე ტაძრისა და მამულისა შენისა სიაზ-
ლოესა შინა მყოფი მოსახლე დავით რუხაძე და მისი ძმა კვირიკე... დაიწერა
ქრისტეს აქეთ ჩლმა³⁸. სავსებით აშკარაა, XVIII ს-ის შუა წლებშიც საქმეში
ჩახედულ პირთათვის ცნობილი ყოფილა წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის
მნიშვნელობა და მისი ტიტულაციის არსებითი დეტალიც — წინმბრძოლობა
მეფეთა. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნეშიც სათანადო წვლილი მიუზღო
ამ ჯვრის ისტორიული ფუნქციის ხსოვნას და მხოლოდ XIX საუკუნიდან მო-
ბერილმა ახალმა ქარმა გაუთხარა მას დავიწყების საფლავი. ჯვრის ბიოგრაფიის
გაცოცხლება ამიერიდან შეიძლება მოხდეს მისი ახალი წიგნიერი ცხოვრების
დაწყებით.

დასასრული შემდეგ ნომერში

P. S. წინამდებარე ნაშრომი დაბეჭდილი სახით საკორექტუროდ ხელთ
გვქონდა, როდესაც გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
მისასალმებელი დადგენილება დაბა ზნაურისათვის სახელის გადარქმევის შესა-
ხებ. რამდენადაც ამ დადგენილებით ყოფილ დაბა ზნაურს ყორნისი ეწოდა,
ეფიქრობთ, საჭირო იქნება გარკვეულ ღონისძიებათა გატარებაც, ოქონის,
როგორც სოფლის სახელწოდების მომავალშიც შენარჩუნებისათვის.

ხალხური „ტარიელის“ საკითხი „ივერიაში“

ხალხური „ტარიელიანთ“, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ XIX ს. იყვნენ დაინტერესებულნი. სწორედ ამ საუკუნის მოღვაწეებს შეუკრებიან „ტარიელიანის“ სახელით ცნობილი ლექსები. მათგან მეტი წილი გამოქვეყნდა „ივერიაში“, რის შედეგადაც უკვე ცნობილი შეიქნა რამდენიმე ვარიანტი ხალხური ვეფხისტყაოსნისა და „ტარიელიანის“ ლექსებისა.

პირველად მათ შორის გამოქვეყნდა ჯავახური ვარიანტი, რომელიც ჩაწერილი იყო სოფ. ხიზაბავრაში იაკობ ლაზარიშვილის მიერ¹. ესაა ოთხი ლექსი, რომლებშიც წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ცალკეული მოტივები. ეს ლექსები ძირითადად შეიცავს ნესტანის ამბებს და დაკავშირებულია ქაჯეთის ცახესთან. ზოგი პერიფრაზს წარმოადგენს, ზოგი კი თვითონ შექმნილია ვეფხისტყაოსნის მოტივზე ხალხის მიერ. მაგ., სტროფი:

ტარიელ, დათმე გულითა
ქვისაგან უმაგრესითა,
მე შენ მკვდარს გნახავ, დავიწვი,
როგორც აბელი კვესითა.

პერიფრაზია ნესტანის წერილიდან 1288-ე სტროფისა. მეორე ლექსი კი:

რა ღირს ხარ ქაჯის ხელმწიფე,
ამ ჩემსა დედოფლობასა,
თუ ტარიელმა შეგიტყო,
მოგიშლის ქორწინობასა.

აშკარად ხალხის მიერ არის შექმნილი ვეფხისტყაოსნის მოტივზე.

ქახეთში გავრცელებული ვარიანტებიდან „ივერია“ აქვეყნებს სოსიკო მაჭავარიანისა და თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებს.

სოსიკო მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებული ლექსები² შინაარსობრივად გადმოგვცემს ნესტანის მოწოდებას ტარიელისადმი საგმირო საქმეებისაკენ, ტარიელის საბრძოლველად გაგზავნას, ტარიელისა და ნესტანის ერთმანეთისადმი მიჯნურობის გამჟღავნებას, მამის მიერ შეტყობას, ნესტან-დარეჯანის კიდობანში ჩასმას და გადაგდებას. აქვე მოთხრობილია, რომ ნესტანთან კიდობანში ჩასვას სამი გველი, რომლებიც ბჭობენ შეჭამონ თუ არა ნესტანი. ლექსები მთავრდება ავთანდილის სიტყვებით, რომელიც ტარიელის დასახმარებლად მიდის. ზოგიერთი ადგილი ახლოსაა ვეფხისტყაოსნის ტექსტთან:

ტარიელ დაგვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
გინდოდა ნესტან-დარეჯან
რატომ არ შემატყობინე.

მართალია ლექსი თექვსმეტმარცვლოვანი შაირითაა გამართული, მაგრამ კლასიკური შაირი მეტად გამარტივებულია და რუსთველური ლექსის სიმტკიცე შენარჩუნებული არ არის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, სოსიკო მაჭავარიანის ცნობით, ხალხური ვეფხისტყაოსანი ბევრს სცოდნია. ს. მაჭავარიანის სიტყვით, ზემოთ ციტირებული ლექსის მთქმელს უამბნია მისთვის, რომ გლეხმა ცეცხლაშვილმა, მცხოვრებმა სოფ. შილდაში, და კიდევ ერთმა ღრმად მოხუცებულმა

გლუხმა სოფ. ყვარლიდან კარგად იციან ხალხური ვეფხისტყაოსანი. იგივე უთქვამს ს. მაჭავარიანისათვის ახალგაზრდა მხატვარ ვასილ გოლოვნიას, რომ გორის მახლობლად ერთ მოხუც მებაღეს მშვენივრად სცოდნია ეს პოემა.

კახეთში გაგონილი ვეფხისტყაოსნის ლექსებს აქვეყნებს თედო რაზიკაშვილი. შენიშვნაში იგი აღნიშნავს, რომ კახეთში ბევრია ვეფხისტყაოსნის ვარიანტები და საჭიროა მათი ჩაწერა. რადგან იგი მკვლევარებს უდავოდ გაუწევს სამსახურს. თ. რაზიკაშვილი აღნიშნავს, რომ ბევრი ვარიანტი გაუგონია, მაგრამ მხოლოდ ერთი ჩაუწერია, რომელიც განსხვავებულად მიაჩნია სხვა ვარიანტებისაგან: „კახეთში „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტები ბლომად არის და ცუდს არ იზამენ. ეისაც ხელი მიუწვდება, რომ ჩასწერონ და მათ სამსახური გაუწიონ ზემორე ხსენებულ მკვლევარებთ. ეს ვარიანტი საკმაოდ განსხვავდება სხვა ვარიანტებისაგან“³.

ამ ვარიანტში გალექსილია ფარსადან მეფის სიტყვები ტარიელისადმი, ნესტანის კიდობანში ჩასმისა და სამი გველის ამბავი. შემდეგ კი კოჭლი მონას ეპიზოდია, რომელიც სხვა ვარიანტებშიც გვხვდება. ვეფხისტყაოსნის სტრიქონი:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე
ჯდა მტირალი წყლისა პირსა

წარმოდგენილია შემდეგი ვარიაციით:

ერთი ვინმე მოყმე ვნახე
მომტირალი ჰგევანდა გმირსა.

სხვათა შორის ამ მომენტს ყურადღება მიაქცია მიხეილ ჩიქოვანმა. მან განიხილა რუსთველის დასახელებული სტრიქონის ვარიანტები სხვადასხვა ჩანაწერის მიხედვით და აღნიშნა: „მთქმელებს პოემიდან კარგად დაუმახსოვრებიათ, უცხო მოყმე წყლის პირსაა, მაგრამ ბოლომდე ველარ შეუნარჩუნებიათ პოეტის მიერ აღწერილი მკდომარე ტარიელი. მთქმელების მიერ დახატული გმირი ხან ნამტირალია, ხან კი მომტირალი. ზოგადი სახელი „უცხო მოყმე“ შეცვლილია „ერთი კაციტ“, „ერთი ვინმე“-თი. ჩანს, რუსთველური ზედწოდება თანდათან კარგავდა პირვანდელ სახეს და ნებისმიერად იცვლებოდა, მხოლოდ ერთი პირობის დაცვით ახალ გამოთქმას ლექსის ზომა არ უნდა დაერღვია“⁴.

ქართულ ვარიანტებში პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სოსიკო მაჭავარიანის მიერ ქსნის ხეობაში გაგონილი ხალხური ლექსები ვეფხისტყაოსნიდან⁵. კერძოდ, აქ მოცემულია ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდი — უცხო მოყმის ნახვა:

ერთი ვინმე მოყმე ვნახე
ნამტირალი წყლისა პირსა და ა. შ.

თედო სახოკიამ 1890 წელს „ივერიაში“ გამოაქვეყნა ქართლში გაგონილი ზღაპარი⁶, რომელიც დაწერილია ლექსნარევი პროზით. ამ ვარიანტს აქვს ჩვეულებრივი ზღაპრის დასაწყისი: „იყო და არა იყო რა“ და მოთხრობილია ტარიელისა და მისი მეგობრების ავთანდილისა და ფრიდონის თავგადასავალი. საგრძნობლადაა დამახინჯებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი. ზღაპარი შეიცავს სასიძოვს მოკვლის ეპიზოდს, ფარსადანის მიერ კიდობანის შეკვრას, ნესტან-დარეჯანის კიდობანში ჩასმისა და გადავლებას, მეფის დაინტერესებას ტარიელით, ფრიდონის მიერ ცხენის ჩუქებას ტარიელისადმი, ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნასა და სხვ. სამი გველის ამბავი აქაც ფიგურირებს. შინაარსობრივად ბევრი განსხვავებული ეპიზოდიც გვხვდება, მაგრამ ძირითადად

ვეფხისტყაოსნის გმირებია გამოყვანილი. სახელებიც არის დამახინჯებული⁹ მაგ., ნესტან-დარეჯანს ეწოდება ლერწამ-დარეჯანი.

ქართლში გაგონილი ლექსები „ივერიაში“ თედო რაზიკაშვილმაც გამოაქვეყნა⁷. იგი შენიშვნაში მიუთითებს — ზოგი ლექსები გამოვტოვეთ, რადგანაც თედო სახოკიას ჩაწერილ ვარიანტში იყო დაბეჭდილი. თედო რაზიკაშვილის გამოქვეყნებულ ვარიანტში გადმოცემულია უცხო მოყმის ნახვის ეპიზოდი, ფარსადანის სიტყვები ტარიელისადმი: „ტარიელ დაგსვი ვეზირად“; ლექსადამოცემული ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა. აქვეა რამდენიმე ლექსი ვეფხისტყაოსნის თემაზე.

ფშაური ვარიანტი დ. ხიზანიშვილს ჩაუწერია სოფ. არტაანში პაპა ბავთარაშვილისაგან⁸. იგი წარმოადგენს რამდენიმე ლექსს ვეფხისტყაოსნის მოტივებზე:

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჟობინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რად არ მე შემატყობინე.

ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფის ეს პერიფრაზი. როგორც უკვე მივუთითეთ სოსიკო მაჭავარიანის გამოქვეყნებულ ვარიანტში გვხვდება, მაგრ.მ ტექსტებში ერთმანეთისაგან ცოტაოდენი სახეცვლილებითაა წარმოდგენილი.

მეორე ლექსში აღწერილია წყლის პირას მჯდომი რაინდი ტარიელი. მესამე ლექსში ხელმწიფე სთხოვს გმირებს — ედემს და ომარეს შეიპყრონ წყლის პირას მჯდომი რაინდი:

ადექით, აიყარენით,
ძმანო, ედემ და ომარე,
ის კაცი აქ მომიყვანეთ,
ეინ არის ველთა მდგომარე.

შემდეგ მოთხრობილია, რომ კოჭლმა მონამ ხელმწიფეს ამბავი მოუტანა, როგორ დაამარცხა რაინდმა ედემი და ომარე, როგორ მოახტა ცხენს და როგორ გაქუსლა. მომდევნო ლექსში ფრიდონი გვიამბობს, რომ მშობლები მას სამუშაითოდ ზრდიდნენ, და მოგვითხრობს ქაჯეთის ციხის აღების შესახებ. ოღონდ ვეფხისტყაოსანში ავთანდილისა და ფრიდონის მიერ ნათქვამი ტარიელზე ქაჯეთის ციხის აღების დროს — „სცნეს საქმე არს მისეული“ — მიეწერება ქაჯებს.

„ივერიაში“ 1888 წელს გამოქვეყნებულია ხალხური „ტარიელიანის“ რამდენიმე სტროფი, ჩაწერილი ყიზლარში მცხოვრები ვინმე ბასიანაშვილისაგან⁹. საგულისხმოა, რომ ჩამწერის ცნობით ლექსების მოთხრობელ ბასიანაშვილს ვეფხისტყაოსანი არც წაუკითხავს და თვალითაც არ უნახავს. ლექსთა შორის პირველ რიგში დასახელებულია ფარსადანის მიმართვა ტარიელისადმი. დანარჩენი ლექსების შინაარსი ძირითადად წყლის პირას მჯდომი ტარიელის ამბებს მოგვითხრობს. სტატია, რომელშიც ეს ლექსებია გამოქვეყნებული, ალექსანდრე ხახანაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

ამავე 1888 წელს ალ. ხახანაშვილი აქვეყნებს „ივერიაში“ სოფ. ბიწმენდში ჩაწერილ ხალხური „ტარიელიანის“ ნაწყვეტებს¹⁰, რომელიც მოუხმენია გლეხ, მეტსახელად ფოთოლა, ივანე ბეკორაშვილისაგან. შესავალში ალ. ხახანაშვილი წერს: „იქნება ხალხურმა „ვეფხისტყაოსანმა“ გადაწყვიტოს აქამდის გაუთავებელი ბაასი, საიდგან არის აღებული შინაარსი ამ ძვირფასი ნაშთისა“. გამოქვეყნებული ტექსტი შეიცავს ცალკეულ მოტივებს ტარიელთან, ავთანდილთან და ნესტან-დარეჯანთან დაკავშირებით. პირველ ყოვლისა, აქ გვხვდება ქართ-

ლურ ვარიანტებში გავრცელებული სტროფი, რომელიც ემთხვევა სოსიკო მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტებს:

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
გიყვარდა ნესტან-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე.

შემდეგ აქ მოთხრობილია ნესტანის კიდობანში ჩასმისა და საში გველას ამბავი, რაც აგრეთვე გვხვდება სოსიკო მაჭავარიანის მიერ კახეთში ჩაწერულ ვარიანტში. ამას მოსდევს გმირების ედემ და ომარეს შემცველი ლექსი, რომელიც ჩვენ შეგვხვდა ფშავში დ. ხიზანიშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტებში. სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით, ბიწმენდურ ვარიანტში ლექსითი სტროფები ერთმანეთთან პროზაული ტექსტითაა დაკავშირებული. ტექსტში ავთანდილი გამოყვანილია ტარიელის დეიდაშვილად.

1888 წელს „ივერიაში“ ხალხური ვეფხისტყაოსნის ზღაპარს აქვეყნებს დავით ხიზანიშვილი, რომელიც მას თიანეთის მაზრის სოფ. არტაანში მცხოვრები გეგურა პაპუაშვილისაგან მოუსმენია¹¹. ტექსტი წარმოადგენს ლექსნარევ თხრობას ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისით — „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ბედნიერი და გონიერი“. ზღაპარი შეიცავს ვეფხისტყაოსნის მოტივებს. მთავარი გმირებია ტარიელი და ნესტან-დარეჯანი. ტარიელის ბრძოლა ხატაელებთან. ნესტანის კიდობანით გადადება, კიდობანში გველების მოტივი, ნესტანის მოხვედრა ქაჯებთან — აქაც გამოვჩნდება. ავთანდილი გამოყვანილია, როგორც ტარიელის დედის ძმა, რომელიც სხვა სახელმწიფოში ცხოვრობდა და რომლის ხელმწიფეს, ავთანდილის გარდა, ჰყავდა ორი ძვირფასი მეომარი ედემ და ომარე. ედემ და ომარეს დაავალა მეფემ ტარიელის მოყვანა, მაგრამ მათ ტარიელთან ახლოს მისვლა ვერ გაბედეს. ტარიელმა დაამარცხა ისინი და ეს ამბავი კოჭლმა მოხამ მეფეს მიუტანა. მეფემ დაშალა ლხინი და ახლა ავთანდილმა შესთავაზა მეფეს თავისი სამსახური. შემდეგ შინაარსში უკვე მატულობს ზღაპრული ელემენტი. ავთანდილი თავისი ჯარით ტარიელის შეპყრობას ცდილობს. ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრის სცენა ეხმაურება ვეფხისტყაოსანს. შემდეგ ლექსად არის მოთხრობილი ვეფხისა და ლომის დახოცვის ამბავი ტარიელის მიერ. ქაჯეთის ციხის აღების სცენა მოთხრობილია პროზად. ლექსად არის ჩართული ფრიდონის თხრობა, რომ მას მშობლები სამუშაოთოდ ზრდიდნენ. ქაჯეთის ციხის აღების ინიციატორია ავთანდილი და, როცა მიმართავს ტარიელს, მიშველეო, ტარიელი დაღეწავს ციხის კარებს და გაათავისუფლებენ ნესტანს. ნაწარმოები ასე სრულდება: „ტარიელმა და ავთანდილმა ქაჯები ამოწყვეტეს, გატეხეს ქაჯთა ციხეცა და გაათავისუფლეს ქაჯთაგან ტყვედ შეპყრობილი „ნესტორ-დარეჯანი“. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი დაქორწინდნენ და იცხოვრეს ბედნიერად. მთავრდება ისე, როგორც ქართული ხალხური ზღაპარი „ჭირი იქა, ლხინი აქა“.

ამრიგად, აქამდე განხილულ ხალხურ ვეფხისტყაოსანთა შორის ეს ზღაპარი ყველაზე სრულია. ნაწყვეტები გაერთიანებულია პროზაული ტექსტით. ჩამწერო მიუთითებს, რომ პროზაული ტექსტი თავისი სიტყვებითაა გადმოცემული, ლექსები კი მთქმელის მიერაა ნათქვამი: „ჩვენ ბევრს ვეცადეთ სწორედ ისე დაგვეწერა ზღაპარი, როგორც თვით გლეხმა გვიაშობო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ჩვენის სიტყვებით ჩავწერეთ მოთხრობა. თვით ლექსები კი სწორედ ისეა ჩაწერილი, როგორც გლეხმა სთქვა“.

ხალხური „ტარიელიანის“ ტექსტი ჩაწერილია აგრეთვე თიანეთში, სოფ. ჩირდილში სოსიკო მერკვილაძის მიერ, გლეხი ჯოყოლა არაბულისაგან¹². იგი

პროზად არის დაწერილი, ოღონდ შიგადაშიგ ჩართულია ლექსები. ზღაპარში გამოყენებულია ვეფხისტყაოსნის მოტივები და ეპიზოდები. მოქმედი პირები არიან: ტარიელი, ავთანდილი, მზექალი (ნესტან-დარეჯანი) და სხვ. ზღაპარი იწყება ქართული ზღაპრის დასაწყისით: „იყო და არა იყო რა“. ავთანდილი ტარიელის ბიძაშვილად არის გამოყვანილი. ტარიელი უდიდესი ვაჟკაცია, რომელსაც ჰყავს მზექალი, მაგრამ, როცა სანადიროდ იყო წასული, მზექალი მოიტაცეს და ძალით კილობანში ჩასვეს. აქ ჩართულია სამი გველის მოტივი, რომელიც ლექსადაა გადმოცემული. მზექალს კილობნიდან ქაჯები გამოიყვანენ და ქაჯეთის ციხეში ჩასვამენ. ტარიელი დაეძებს სატრფოს. ტარიელის ამბავს მეფეს მოახსენებს კოჭლი მონა, რომელიც ტარიელის შესაპყრობად გაგზავნის ადენ და ომარეს. ეს ადენ და ომარე იგივე ედემ და ომარეა, რომელიც სხვა ზალხურ ვარაუტებში გვხვდება. ტარიელი შეხვდება თავის ბიძაშვილს ავთანდილს, რომელიც მას დაეხმარება თინათინის თხოვნით. ავთანდილი მიდის ტარიელის საძებნელად. აქ ჩართულია ლექსი „ავთანდილ გადინადირა“. შემდეგ ზღაპარი მოსდევს ვეფხისტყაოსნის შინაარსს, სამი ძმისაგან გაიგებს ავთანდილი ტარიელს ამბავს. შეხვდება ვაჭართა ქარავანს, ოღონდ აქ შინაარსი ცოტა სხვაგვარია. ბოლოს სამი გმირი აიღებს ქაჯეთის ციხეს. ამოწყვეტენ ქაჯებს და გაათავისუფლებენ მზექალს.

სოსიკო მერკვილაძე გვაწვდის ცნობას, რომ ვეფხისტყაოსნის ზღაპარი ძალიან კარგად ცოდნია, აგრეთვე, თიანეთის მაზრაში, სოფ. ხახმატში მცხოვრებ შაველა გოგოჭურს. მაგრამ მე ვერ მოვახერხე მისი ნახვაო: მოუწოდებს ჩვენი ეროვნების გულშემატკივართ ჩაიწერონ ეს ზღაპარი შაველა გოგოჭურისაგან, სანამ ის ცოცხალია, და მიაწოდონ მკითხველ საზოგადოებას.

თედო რაზიკაშვილმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა „ტარიელიანის“ ხეცსურული ვარიანტი¹³. გამოქვეყნებულია ცალკეული ლექსები, რომლებიც პოემის ზოგიერთ მოტივს შეიცავს. ამ ლექსებში მოთხრობილია შემდეგი ეპიზოდები: ნესტანის კილობანში ჩასმა, სამი გველის ამბავი, წყლის პირას ტარიელის ნახვა, კოჭლი მონის ამბავი, ავთანდილის მეორედ გაპარვა ტარიელის დასახმარებლად, ქაჯეთის ციხის აღება და სხვ. აქაც ჩართულია ლექსი „ავთანდილ გადინადირა“. ედემ და ომარეს შემცველი სტრიქონი ასე იკითხება:

ადეთ ჩემო მსახურნო,
ედან, ბედან და ომარე!

ამ შემთხვევაში მეორე სტრიქონში მოხსენებული ედან, ბედან და ომარე სხვა არავინაა, თუ არა ვარიანტებში დამოწმებული ედემ და ომარე.

„ტარიელი და ნესტან-დარეჯან“ — ასეთი სათაურით „ივერიამ“ გამოაქვეყნა ზღაპარი სოფ. ჭალაში გაგონილი და ჩაწერილი სოლოლაშვილისაგან¹⁴.

ზღაპრის ტექსტი იწყება ქართული ზღაპრის დასაწყისით — „იყო და არა იყო რა“ და წარმოადგენს ლექსნარევ პროზას. ტექსტში უხვადაა ვეფხისტყაოსნის ეპიზოდები და მოტივები. ზღაპრის მოქმედი პირებია სამი ძმა — ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი. ტარიელს შეუყვარდება ნესტან-დარეჯანი, მაგრამ მეფე არ მიათხოვებს, რასაც მოჰყვება მეფესთან კონფლიქტი; შემდეგ კილობნის მოტივი გვხვდება. ამას მოსდევს წყლის პირას მჯდომი ტარიელის ნახვა, რომლის შესაპყრობად მეფე გაგზავნის მეომრებს ადამს და ომარეს (ედემ და ომარე), რომლებიც ტარიელმა დახოცა. შემდეგ აღწერილია შეტაკება მეფის ლაშქართან, დარდიანი მეფის დაბრუნება, თინათინის მიერ ავთანდილის ტარიელის საძებნელად გაგზავნა, ასმათის მიერ ტარიელისა და ავთანდილისა გაცნობა, ტარიელისა და ავთანდილისაგან ფრიდონის ნახვა, ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გაათავისუფლება, ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწილი.

ამრიგად, „ივერია“ 1887 წლიდან აქვეყნებს ხალხური „ტარიელიანის“ ტექსტებს, რომელთა უმრავლესობა ვეფხისტყაოსნის ცალკეულ მოტივებზე თქმულ ლექსებს წარმოადგენს. ეს ლექსები რამდენიმე ვარიანტში პროზაული ტექსტითაა გაერთიანებული. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ამ დროისათვის ხალხური „ტარიელიანით“ დაინტერესება დიდია.

ჩვენ განვიხილეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ხალხური „ტარიელიანის“ ვარიანტები, რის შედეგადაც თვალსაჩინო გახდა, რომ ეს ლექსები ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობენ. ისინი მოგვითხრობენ წყლის პირას მჯდომ უცხო მოყმის შესახებ, ინდოეთის სამეფოს ამბებს (ტარიელისა და ნესტანის გამოიჭნურება, ნესტანის კიდობანში ჩასმა და გადაადგება, ფარსადანის მიმართვა ტარიელისადმი) და შემდეგ ქაჩეთის ციხის აღებას. პროზაულ ტექსტებში ტარიელის დასახმარებლად ავთანდილი და ფრიდონიც მოქმედებს. ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსნიდან „ტარიელიანს“ ძირითადად ტარიელის ამბები თანხვდება, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ხალხისთვის ძირითადად ტარიელ-ნესტანის თავგადასავალია საინტერესო, ხალხს რუსთაველის პოემა გააზრებული აქვს როგორც ტარიელის ამბავი. პ. უმიკაშვილი კიდევ მიუთითებს, რომ ვეფხისტყაოსნის ხევისურეთში უწოდებენ „ტარიელის ლექსს“¹⁵. და არა მარტო ხევისურეთში. ხალხი საერთოდ ყველგან ვეფხისტყაოსნის უწოდებს „ტარიელიანს“.

„ივერია“ იმასაც მიაქცევს ყურადღებას, თუ როგორ იცოდა ხალხმა რუსთაველის პოემა.

ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი) აღნიშნავს, რომ ხევისურეთში ბევრმა იცის ზეპირად ვეფხისტყაოსნის ადგილები. „ლხინისა და ნადიმობის დროს ფანდურზე მღერიან რუსთველის სიტყვებით სავსე ლექსებს“¹⁶.

ნ. ურბნელის ამ სტატიის საპასუხო წერილში პ. უმიკაშვილი შენიშნავდა, რომ ხევისურეთში ვეფხისტყაოსნის ეძახიან „ტარიელის ლექსს“, რომლის საფუძველი არის რუსთველის პოემა, „ხალხში შეცვლილია ვეფხისტყაოსნის სახალხო პოეზიის განსაკუთრებულ ზედ მოქმედებით“¹⁷. რუსთაველის მოკლედ ნათქვამი ხალხურ მეღეჭეს განუვრცია. პ. უმიკაშვილს მოჰყავს სათანადო მაგალითები და ასკვნის, რომ საფუძველად აღებულია რუსთაველის ლექსები, რომლებიც ხალხს გადაუყეტებია.

ამრიგად, პ. უმიკაშვილი ხალხური „ტარიელიანის“ წყაროდ რუსთაველის ვეფხისტყაოსნის მიიჩნევს, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია ამ ხალხური ტექსტის შესწავლა. რამდენადაც ეს უეჭველ სამსახურს გაუწევს ქართულ მწერლობასაც და ხალხურ პოეზიასაც.

ამის შემდეგ ხევისურული პოეზიის განხილვისას ნ. ურბნელი მიუთითებდა, რომ ხევისურეთში ვეფხისტყაოსნის თავისებურადაა გახალხურებული, შეფარდებულია სავაქეცო ლექსებთან¹⁸.

ასევე ფიქრობს ალ. ნანეიშვილი, რომ „რუსთაველის ნაწერი გავრცელდა და ჩაინერგა ხალხის გულში“¹⁹. თუმცა აქვე შენიშნავს, რომ საჭიროა ზეპირი ვეფხისტყაოსნის შესწავლა. მისი ტექსტების ჩაწერა; გამოთქვამს ეჭვს, ხომ არ არსებობდა ხალხში მთლიანი ვეფხისტყაოსანი, რუსთაველმა ხომ არ შეკრიბა და გააშალაშინა ხალხური გადმოცემები.

ამ ეჭვად გამოთქმულ მოსაზრებას, მოჰყვა სტატია ალ. ხახანაშვილისა, რომელმაც მკვიდრ საფუძველზე დააფუძნა ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა.

ვეფხისტყაოსნის ხალხურ ტარიელიანთან მიმართებას, პოემის სიუჟეტის საკითხს ალ. ხახანაშვილმა 1890 წელს მიუძღვნა ნაშრომი „ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და შოთას ვეფხისტყაოსანი“²⁰. ამ დროისათვის ვეფხისტყა-

ოსნის სიუჟეტის საკითხი ქართველ საზოგადოებრიობაში მტკიცნულად იდგა. მკვლევართა ერთი ნაწილი ვეფხისტყაოსანს სამართლიანად მიიჩნევდა ორიგინალურ, ქართული სულით გაჟღენთილ ნაწარმოებად, მეორენი კი მის სიუჟეტს სპარსულიდან მომდინარედ თვლიდნენ. ეს მოსაზრება იმ ხანად გამოთქვა ნ. მარმა და ამ მოსაზრებას მიმდევრებიც გაუჩნდა. ზემოთ დასახელებულ წერილში ალ. ხახანაშვილმა განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა. ვეფხისტყაოსნის უშუალო წყაროდ ხალხური „ტარიელიანი“ მიიჩნია. ავტორმა სტატიის დასაწყისში ჩამოთვალა ხალხური ვეფხისტყაოსნის ხუთი ვარიანტი და მიუთითა „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ზემოთ ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ ეს პუბლიკაციები და, როგორც ნ. კოტეტიშვილი შენიშნავს, „მართალია ამ პერიოდის ვარიანტები წარმოადგენენ ნაწყვეტ ლექსებს, მაგრამ მათი დამოკიდებულება პოემისაგან აშკარა იყო“²¹.

ალ. ხახანაშვილმა წამოაყენა თვალსაზრისი, რომ შოთამ ერის „ვუღიდან ამოიღო შინაარსი თავის პოემისა“²².

მკვლევარი ჩამოთვლის ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ იმ დროისათვის ცნობილ ხალხურ ხუთ ვარიანტს და იმედს გამოთქვამს, რომ ასეთი ვარიანტები კიდევ გამოჩნდება. ამიტომ ჭერჯერობით „არ შეიძლება გადაწყვეტილი იქმნას, რა ურთიერთობაა ხელოვნებით დაწერილ პოემასა და ხალხში დარჩენილ ტარიელის ამბავს შორის“²³. ალ. ხახანაშვილი განიხილავს ამ ვარიანტებს და აღნიშნავს, რომ მათ შორის დიდი მსგავსებაა. ნაწყვეტი ვარიანტების შინაარსი უნდა შეერთდეს იმ მოთხრობით, რომელიც ვრცელ ვარიანტებშია. კერძოდ პროზაული ტექსტი აერთიანებდა ბიწმინდურ ვარიანტს. ყველა ვარიანტში პარალელურად არსებობს მოტივები, რაც სიუჟეტის ერთგვარობას ნიშნავს. სხვადასხვა ვარიანტი ცალკეულ დეტალებში თანხვდება ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით იტქმის ლექსით ტექსტზე. ალ. ხახანაშვილის სიტყვით, ლექსს უფრო ადვილად იხსომებს ადამიანი, ვიდრე პროზას, და ამით აიხსნება ლექსის მეტი გამძლეობა. „ტარიელიანის“ ზოგი სტროფი ერთნაირია ყველა ვარიანტში. შინაარსეულად ერთმანეთთან ახლოსაა ყველა ვარიანტი. ალ. ხახანაშვილი გადმოგვცემს ხალხური „ტარიელიანის“ ძირითად შინაარსს. ტარიელს უყვარს ნესტან-დარეჯანი, რომელსაც სხვაზე უპირებენ გათხოვებას. ნესტანის რჩევით, ხატაელების ომიდან დაბრუნებული, გამარჯვებული ტარიელი კლავს თავის მოჭიშვეს — ხვარაზმ-შაჰის ძეს. მეფე კიღობანს შეაკვრევენ და ნესტანს წყალში გადააგდებენ. ნესტანი ქაჩებს ჩაუვარდება ხელთ, რომელთაგან გამოიხსნის ბიძა (ბიწმინდური ვარიანტით — დეიდაშვილი) ტარიელისა — ავთანდილი.

ეს მიაჩნია ალ. ხახანაშვილს იმ დროდ, რომელზედაც ასხმულია ორივე — რუსთაველის პოემა და ხალხური „ტარიელიანი“.

საერთოა გეოგრაფიული სახელები: არაბეთი, ქაჩეთი და მოქმედ გმირთა სახელები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი. ყოველივე ეს საფუძველს აძლევს მკვლევარს დასვას კითხვა: „შოთას პოემამ იმოქმედა ერის მეხსიერებაზე და დაასწავლა როგორც ერისგანვე შედგენილი მოთხრობა, თუ საერთოდ გავრცელებულმა „ვეფხისტყაოსანმა“ მისცა მასალა პოეტს ტარიელის ამბავი სალიტერატურო ხელოვნებით აგებულ ნაწერად გადაექცია?“²⁴.

ალ. ხახანაშვილი მიუთითებს, რომ ვეფხისტყაოსანსა და ხალხურ „ტარიელიანს“ შორის დიდი მსგავსებაა არის და დიდი განსხვავებაც. მსგავსება შინაარსს ეხება, განსხვავება კი ფორმას. ხალხურ „ტარიელიანში“ მოკლედ გადმოცემული აზრი ლიტერატურულ ნაწარმოებში შევსებულია და განდიდებულია გაზვიადებული.

ამ თვალსაზრისის დასადასტურებლად ერთმანეთს ადარებს ხალხური „ტა-

რიელიანისა“ და ვეფხისტყაოსნის სტროფებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველს ხალხის მიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად შექმნილი ლექსები გადაუქცევია პოემად. მასში შეუტანია ადამიანის ამამაღლებელი და გამასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა. ამავე დროს ხალხური პოემა რუსთაველს გაუმშვენიერებია პოეტური აღმაფრენით და ფილოსოფიური თვალთახედვით.

შოთას ქმნილების მნიშვნელობას ალ. ხახანაშვილი იმაშიც ხედავს, რომ იგი, ერთი მხრივ, თავისი ნიჭით გადმოსცემს ხალხში დარჩენილ ამბავს და, მეორე მხრივ, სასულიერო თხზულებას კი არა ქმნის, არამედ საერო ჰანგს უმღერის ნაციონალურ მოტივს. აქვე ალ. ხახანაშვილი მიუთითებს, რომ ამგვარი შემთხვევები არაერთხელ გვხვდება მსოფლიო ლიტერატურაში. იგი ასახელებს გოეთეს, შექსპირს, მოლიერს, რომლებმაც ხალხური გადმოცემები გამოიყენეს თავიანთ ნაწარმოებისათვის. ამავე დროს მკვლევარი მიუთითებს, რომ რუსთაველმა ხალხური პოემიდან უყურადღებოდ დატოვა ზოგიერთი ეპიზოდი, რომელიც მისი პოემის დედააზრს არ ეთანხმებოდა, თორემ ისე ერის გულიდან ამოიღო პოემის შინაარსი. ამ თვალსაზრისის მიუხედავად ალ. ხახანაშვილი შემდგომ იმასაც უშვებდა, რომ ვეფხისტყაოსანმა თვითონაც მოახდინა გავლენა ხალხურ „ტარიელიანზე“. „Без сомнения верно и то, что поэма Руставели также имела в свою очередь влияние на народное воображение и сообщила ему несколько мудрых изречений“²⁵.

ალ. ხახანაშვილი იმის შესაძლებლობასაც უშვებს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი შეიძლება მოარულ სიუჟეტს წარმოადგენდეს. როგორცაა „სიბრძნე ბალავარისა“ და სხვ., და აზიის გზით იყოს ჩვენთან შემოსული. ხალხური ტექსტი რომ უფრო ადრინდელია. ვიდრე ლიტერატურული ვეფხისტყაოსანი, ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად ალ. ხახანაშვილი თვლის, რომ ხალხურ ტექსტში მოხსენიებულია ორი კაცი ედემ და ომარე. რომლებსაც მეფე გზავნას უცხო მოყმის მოსაყვანად. რუსთაველმა შემდეგ საჭიროდ არ ჩათვალა ამ ორი კაცის ნაწარმოებში გამოყვანა, ხალხურ ტექსტში კი მათზე ნათქვამიაო:

ადექით, აიყარენით,
ძმანო ედემ და ომარე,
ის კაცი აქ მომიყვანეთ.
ვინ არის ველთა მდგომარე.

ბოლოს ალ. ხახანაშვილი ეხება ტარიელის ზღაპრის ვარიანტებს, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, და აღნიშნავს, რომ ვარიანტებში საერთო წყარო სხვადასხვა შენაკადით არის შევსებული, და მიუთითებს, რომ ამ ვარიანტების შედარებას შემდგომ მოახდენს. აქვე მოუწოდებს მკოდნე პირებს, რომ თავიანთი აზრი გამოთქვან ამ ვარიანტებზე.

ამრიგად, ალ. ხახანაშვილის ინტერესის საგანი იყო. ამაზე „ივერიაში“ იგი შემდგომაც მიუთითებდა, „რა გვარი კავშირი არსებობს ტარიელის პოემას და ვეფხისტყაოსანს შორის“²⁶. ალ. ხახანაშვილი ერთმანეთს ადარებს „ტარიელიანის“ ვარიანტებს და იმ აზრს ავითარებს, რომ ტარიელის ზღაპრის სათავედ უნდა მივიღოთ ის, რა საერთოსაც ვნახულობთ ამ ტექსტების შედარებითი ანალიზის დროს.

ალ. ხახანაშვილი, როცა საანალიზო სტატიას წერდა მას ხალხური ვარიანტების ჯერ მხოლოდ ნაწილი ჰქონდა ხელთ. კერძოდ, ამ დროისათვის (1890) გამოქვეყნებული იყო ყიზლარის, ბიწმენდის, ფშავისა და კახური ვარიანტები. 1890—1894 წლებში გამოქვეყნდა ახალი ვარიანტები, ჩაწერილი კახეთში, ქართლში, ხევსურეთში და სხვ. ამ ვარიანტებს მალე დაემატა სვანური ვარიანტი, რომელიც თათარყან დადგმქელიანს ნიკო მარის წინააღმდეგ მიმართულ

წერილში მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსთაველის მიერ ამბად გაგონილი შესაძლოა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული რაიმე სიუჟეტი იყოს²⁷.

აღ. ხახანაშვილმა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსანი აღებულია ხალხური პოეზიიდან, გაიმეორა თავის წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ და საილუსტრაციოდ მოიყვანა პარალელები ვეფხისტყაოსნიდან და ხალხური „ტარიელიანიდან“²⁸. აქაც მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს სახელებს ედემს და ომარეს, რომელიც ხალხურ ტექსტში გვხვდება და რუსთაველთან არა. რუსთაველის პოემა რომ გავრცელებულიყო ხალხში, რა თქმა უნდა, უსახელო გმირებს ხალხი სახელს არ დაარქმევდაო. „ედემ“ და „ომარე“ და „კოჭლი მონა“ ეკუთვნის იმ საერთო წყაროს, რომელიც საფუძვლად დაედო ხალხურ „ტარიელიანს“²⁹.

აღ. ხახანაშვილის თვალსაზრისს გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველა „ივერიაში“ წერილით „ვეფხისტყაოსნის შესახებ“ და მკაცრად გააკრიტიკა იგი. მის მეოთხედს არამეცნიერული და არაობიექტური უწოდა.

ვაჟა-ფშაველას აზრით, აღ. ხახანაშვილი და მასთან ისინიც. ვინც იზიარებენ მის თვალსაზრისს, კარგად არ ჩაჰკვირვებიან თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედება გაარჩიონ ხალხურისაგან³⁰.

ვაჟას აზრით, შოთა რუსთაველი ინდივიდუალური შემოქმედია. ვეფხისტყაოსნის ამბავი ქართულია, რუსთაველი ოქროს საუკუნის რომ არ გვიხატავდეს, „მაშინაც კი ვერ ვიტყვოდით თუ ტარიელის ამბავი უცხოეთიდან არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხისტყაოსანი“, იმდენად ამოცნობილია ქართველის გულიდან, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა“³¹.

ვეფხისტყაოსანი, ვაჟას აზრით, საქართველოს პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების ანარეკლია. ამიტომ „შეიყვარა ქართველობამ ის პოემა და შეისისხლხორცა“. რუსთაველი ერის სულიერი სამყაროს გამომხატველია და არა სახალხო ლექსების შემკრები. ვაჟას სიტყვით, „ჩვენს ხალხს არ უყვარს. საზოგადოდ რომ ვთქვათ, ლექსად ზღაპრები და ვერც იპოვნით ქართულს ეროვნულს ზღაპარს გაღეჭილს, რაც გაღეჭილია. ისინიც უცხო ნათესავისანი არიან (ბეჟანიანი, ეთერიანი და სხვ.)“. ამიტომ მას არ მიაჩნია სწორად აღ. ხახანაშვილის მოსაზრება, რომ ხალხური „ტარიელიანის“ ნაწყვეტი ლექსები გარდაიქმნა ლიტერატურულ პოემად. ვეფხისტყაოსანი ვაჟას აზრით, შინაარსითაც და ფორმითაც ლიტერატურულია. ვაჟა ერთმანეთს ადარებს ვეფხისტყაოსნისა და „ტარიელიანის“ შესაბამის ადგილებს და მიუთითებს ლიტერატურული ტექსტის უპირატესობაზე. ვაჟა აკრიტიკებს აღ. ხახანაშვილის მოსაზრებას. იმის თაობაზე, რომ ხალხურ პოემაში ზოგჯერ აზრი მოკლედ არის გამოთქმული, ხოლო შემდეგ ლიტერატურულ ნაწარმოებში შევსებული და გაზვიადებული. ვაჟას აზრით, ეს არ არის მართებული. განა ის უფრო მართალი არ იქნება, რომ ვთქვათ ხალხის მეხსიერებაში ფეხი ვერ მოიკიდა ამა თუ იმ დეტალმა და ხალხს დაავიწყდა. ლიტერატურული ნაწარმოები გავრცელებულია ხალხში და. რაც შემდეგ ხალხს დავიწყებია, ჩაუმატებია თვითონ. ამის მაგალითად იგი აგისახელებს ედემ და ომარეს, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევს დედნისეული „აბჯარი თქვენ საომარეს“ დამახინჯებად. ვაჟას ყალბად მიაჩნია აღ. ხახანაშვილის მეთოდი, რადგან მან საბუთების დაძებნის გარეშე „წინასწარ შედგენილის აზრით დაიწყო საბუთების კვლევა-ჩხრეკა“, რაც მიუღებელია. ვაჟას აზრით, წარმოუდგენელია, რომ ვეფხისტყაოსანი „ტარიელიანიდან“ მომდინარეობდეს. როგორც ლ. მენაბდე შენიშნავს, „ვაჟამ სავსებით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ხალხურ „ტარიელიანს“ რუსთაველის პოემა დაედვა საფუძვლად“³³. შემდგომ ვაჟა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობაზე კამათისას ერთგვარად უშვებდა პოემის შესაძლებელი ხალხური საწყისების არსებობას. ამ თვალსაზრისით სა-

ყურადღებოთა ვაჟას წერილი „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“, რომელშიც იგი წერდა, რომ ხალხური თქმულება „თუ პოემა არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“³⁴. მაგალითისათვის ვაჟა ასახელებს შექსპირისა და გოეთეს თხზულებებს და განაგრძობს: „ესევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის ვეფხისტყაოსანზე“³⁵. მართალია, ვაჟა წერს, რომ „არც ის გარემოება დაამცირებს შოთას დიდებულ პოემას, რომ ის იყოს აგებული რაიმე ზღაპარზე“³⁶. ამ გამონათქვამების საფუძველზე მ. ჩიქოვანს მიაჩნია, რომ ვაჟა ზემოთ ციტირებული შეხედულებებით ფოლკლორისტთა ბანაკში გადავიდა³⁷. ჩვენი აზრით, მართებულია ალ. ბარამიძის შენიშვნა, რომ „ამით ვაჟა-ფშაველას ოდნავადაც არ თმობს თავის პოზიციებს და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნასესხობის თეორიას არ უჭერს მხარს. ვაჟა აქ მხოლოდ ზოგადი თეორიული ასპექტით წყვეტს ამ კითხვას“³⁸. დაახლოებით ასეთივე თვალსაზრისს ავითარებს ლ. მენაბდეც³⁹. ვეფხისტყაოსნის ხალხური თქმულებიდან წარმოშობის თეორიას იცავდა მ. ჩიქოვანი. მისი აზრით, „ხალხური და ლიტერატურული ვერსიები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რამდენიმე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მოტივი ლიტერატურულ ნაწარმოებში არ ჩანს, ხალხურში კი ფართოდ არის წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ფოლკლორული თხზულება არ არის დამოკიდებული მწიგნობრულისაგან და განვითარების საკუთარი ვხეები გააჩნია“⁴⁰.

ამ თვალსაზრისით მ. ჩიქოვანი ყურადღებას მიაქცევს ლექსს „ავთანდილ გადინადირა“, რომელსაც დასრულებული ბალადის სახე აქვს და. მ. ჩიქოვანის აზრით, „საგულვებელია, რომ ამგვარი ბალადა შოთა რუსთველამდე არსებობდა და ამან თავისი ასახვა პოვა ლიტერატურაში“⁴¹.

მ. ჩიქოვანი ბალადის ტექსტს ადარებს შესატყვის ადგილს ვეფხისტყაოსნიდან — ავთანდილის ნადირობის შესახებ და ასკვნის, რომ შეუძლებელია ამ ბალადის სათავედ ვეფხისტყაოსნის მიჩნევა. ესაა ხალხში არსებული ბალადა, რომელმაც პოვა ასახვა ლიტერატურაში.

სარგის ცაიშვილმა დაასაბუთა, რომ ამ ბალადის, ისე როგორც მთელი „ტარიელიანის“, წყაროა თვით ვეფხისტყაოსანი⁴². ნანა კოტეტიშვილმა ხალხური ბალადის — „ავთანდილ გადინადირას“ და ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ „ტარიელიანის ჩვენამდე მოღწეული ტექსტები შექმნილია ვეფხისტყაოსნის საფუძველზე“⁴³.

საერთოდ, დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ხალხური ტარიელიანის წყარო რუსთაველის პოემაა, რომ „ტარიელიანი მხოლოდ ძალზე მკრთალი ანარეკლია გენიალური ვეფხისტყაოსნისა. ტარიელიანი შექმნილია ვეფხისტყაოსნის მასალაზე, პოემის ხალხში გავრცელების შედეგად⁴⁴, რომ *«Руставели дал народу поэму «Вепхисткаосани», которая породила в нем цикл народных сказок «Тариэлиани»»*⁴⁵.

მართალია, ამჟამად უკუგდებულია რუსთაველის პოემის ხალხური „ტარიელიანიდან“ წარმოშობის თეორია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანს არაფერი აქვს საერთო ხალხურ პოეზიასთან. უეჭველია, რომ რუსთაველი სარგებლობდა ქართული ხალხური მითოლოგიით⁴⁶.

შ. ნუცუბიძის აზრით, *«Народность проходит красной нитью через всю поэму. Она видна в самом ее построении: начало и конец сделаны на манер грузинской сказки»*⁴⁷.

ვ. კოტეტიშვილი შენიშნავდა: „ზღაპრისმიერი მომენტები „ტარიელის ამბავში“ იმდენად ძლიერია, რომ შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანსაც“ კი გაჰყვა როგორც მოუშუშებელი თვისება“⁴⁸. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს ჯადოსნურ ზღაპარს უკავშირებს ც. კარბელაშვილი და მიიჩნევს, რომ მას საფუძვლად უნდა დასდებოდა ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი⁴⁹.

ამრიგად, დადგენილია, რომ ქართული ხალხური მითოლოგიის კვალი ვეფხისტყაოსანში აშკარაა. ვეფხისტყაოსნის ხალხურ საწყისებთან კავშირის საკითხი პირველად, როგორც ვნახეთ, „ივერიაში“ წამოიჭრა, ხოლო შემდეგ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი, რომელიც პირველად ალ. ხახანაშვილმა წამოაყენა, დაუპირისპირდა ვეფხისტყაოსნის უცხოური წარმომადგენლობის თეორიას და პოემის კვლევა ეროვნული თვალსაზრისით მიმართა; ამდენად, მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება რუსთველოლოგიის ისტორიაში.

დ ა მ ო წ მ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. გლეხური ლექსები ვეფხისტყაოსნიდან გადაკეთებული, ხალხის მიერ გაგონილი და ჩაწერილი სოფ. ხიზაბერაში (ჯაეახეთში) იაკობ ლაზარაშვილის მიერ, გაზ. „ივერია“, 1887, № 215.
2. „ვეფხისტყაოსანი“ ხალხის მიერ თქმული, გაგონილი და ჩაწერილი ალავერდობას, სოსიკო მაჭავარიანის მიერ, გაზ. „ივერია“, 1887, № 224.
3. ლექსები ხალხურის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც კახეთშია გავრცელებული, გაზ. „ივერია“, 1890, № 252.
4. მიხეილ ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1966, გვ. 55.
5. ხალხური ვეფხისტყაოსანი, ქსნის ხეობაზე გაგონილი და ჩაწერილი სოსიკო მაჭავარიანის მიერ, გაზ. „ივერია“, 1888, № 49.
6. თ. სა[ხო]კია, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი „ვეფხისტყაოსანი“ (ქართლში გაგონილი), გაზ. „ივერია“, 1890, № 7, 8.
7. ხალხური ზღაპრები ვეფხისტყაოსნისა, ქართლში გაგონილი სოლომონ გულისაშვილისაგან და ჩაწერილი თ. რაზ-ის მიერ, გაზ. „ივერია“, 1890, № 240.
8. ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, გაგონილი სოფ. არტაანში (ფშავში) პაპა ბავთარაშვილისაგან და ჩაწერილი დ. ხიზანიშვილის მიერ, გაზ. „ივერია“, 1888, № 45.
9. დაბა და სოფელი — მოწერილი ამბები, ყიზლარი, გაზ. „ივერია“, 1888, № 131.
10. მგზავრის დღიურიდან, გაზ. „ივერია“, 1888, № 165.
11. ზღაპარი ტარიელისა ანუ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, გაგონილი და ჩაწერილი დ. ხ-ლის მიერ, გაზ. „ივერია“, 1888, № 230, 231.
12. ს. მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე, ზღაპრად ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, თქმული გლეხის ჯოყოლა არაბულისაგან სოფ. ჩირდილში, თიანეთის მაზრაში, გაზ. „ივერია“, 1891, № 74.
13. ლექსები ხევსურულის „ვეფხისტყაოსნისა“, ბერდია გოგოთურის შვილისა და გოთია გოგოთურისშვილის ნაამბობის ზღაპრიდან, ხევსურეთში გაგონილი თ. რაზ-ის მიერ, გაზ. „ივერია“, 1890, № 239.
14. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ზღაპარი სოფ. ქალაში გაგონილი და ჩაწერილი სოლოდაშვილისაგან, გაზ. „ივერია“, 1894, № 150.
15. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, ზეპირად ცოდნა, გაზ. „ივერია“, 1887, № 171.
16. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი (ხიზანიშვილი), წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „ივერია“, 1887, № 159.
17. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., იქვე.
18. ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი (ხიზანიშვილი), ხევსურულს პოეზიაზედ, გაზ. „ივერია“, 1887, № 178.
19. ა. ნ ა [ნ ე ი შ ვ ი] ლ ი, ვეფხისტყაოსანი და ზეპირი სიტყვიერება, გაზ. „ივერია“, 1888, № 52.
20. გაზ. „ივერია“, 1890, № 25.
21. ნ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ალ. ხახანაშვილი და ტარიელიანის საკითხები, „მაცნე“, ელს, 1974, № 3, გვ. 44; მისივე, ალ. ხახანაშვილი, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), თბ., 1985, გვ. 88.

22. გაზ. „ივერია“, 1890, № 25.
23. იქვე.
25. Очерки по истории грузинской словесности, II, М., 1897, გვ. 253.
26. ალ. ხახანაშვილი. საბიბლიოგრაფიო შენიშვნები. გაზ. „ივერია“, 1891, № 27.
27. თათარჯანი დ [ადეშქელიანი], ბ-ნ მარის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1902, 12 ოქტომბერი, № 217, გვ. 2—3.
28. ალექსანდრე ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. თბ., 1904, გვ. 35.
29. იქვე.
30. ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა ბ-ნ ა. ხახანაშვილს). გაზ. „ივერია“, 1890, № 32.
31. 32. იქვე.
33. ლ. მენაბდე, „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, თბ., 1967, გვ. 163.
34. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. V, თბ., 1961, გვ. 410—411.
35. იქვე, გვ. 314—315.
36. იქვე, გვ. 410.
37. მ. ჩიქოვანი. ქართული ფოლკლორი, თბ., 1970, გვ. 171—173.
38. ალ. ბარამიძე, ვაჟა-ფშაველას რუსთაველოლოგიური ნააზრევი, ნარკვევები..., II, თბ., 1975, გვ. 113.
39. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 163—164.
40. მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.
41. იქვე, გვ. 74.
42. ს. ცოტეშვილი, ხალხური „ტარიელიანის“ პირველი ჩანაწერი. გაზ. „სასაღხო განათლება“, 1957, № 12, გვ. 4.
43. ს. ცოტეშვილი, ალ. ხახანაშვილი და „ტარიელიანის“ საკითხები. „მაცნე“, ელს., 1974, № 2, გვ. 53.
44. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 352.
45. Н. Мегрелидзе, Руставели и фольклор, Тб., 1950, გვ. 173.
46. Н. Чхотуа, Герои поэмы Руставели и их мировоззрение, сб.: Руставели, გვ. 176—180; Н. Мегрелидзе, Шота Руставели и грузинский фольклор. „Советское востоковедение“, I, 1940, გვ. 112—116; მ. ჩიქოვანი, საკმარის რომანტიკულ მოტივებს ქართულ ეპოსში, ლიტერატურული ძეგლები, I, 1943, გვ. 241—255; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 354.
47. Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, Тб., 1958, გვ. 53.
48. ს. ცოტეშვილი, რჩეული ნაწერები, თბ., 1967, გვ. 310.
49. ც. კარბელაშვილი, ხალხური ვეფხისტყაოსნის სტრუქტურა და ტოპოლოგია. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 97, № 3, გვ. 741—743.

М. И. ДЕДАБРИШВИЛИ

ВОПРОС НАРОДНОГО «ТАРИЭЛИАНИ» В ГАЗЕТЕ «ИВЕРИЯ»

Резюме

1. Одним из интереснейших руствелологических вопросов является проблема народного «Тариэлиани». Им интересовались еще в XIX веке. В настоящей работе показано, что деятели XIX века собрали стихи народного «Тариэлиани» и опубликовали в газете «Иверия» несколько вариантов: хевсурский, карталинский, кахетинский, бицмендский, пшавский, джаважский и др. В работе проанализированы эти варианты, показано, что они представляют стихи, созданные по отдельным мотивам «Витязя в тигровой шкуре». Стихи эти идентичны по содержанию и это говорит о том, что они исходят из одного источника.

2. На страницах «Иверии» деятели XIX века рассматривают вопрос о взаимосвязи народного «Тариэлиани» с «Витязем в тигровой шкуре».

В работе проанализированы высказанные по этому вопросу соображения. Особенно подробно исследована точка зрения А. Хаханашвили, считавшего, что в основе «Витязя в тигровой шкуре» лежит народный «Тариэлиани».

Рассмотрены также противоположные мнения Важа Пшавела и других о том, что «Витязь в тигровой шкуре» является источником народного «Тариэлиани».

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის
დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტმა ს. ცაიშვილმა

აკაკი წერეთელი და სომეხები

დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი პატივისცემით იყო გამსჭვალული მოძმე სომეხი ერისა და მისი პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის მიმართ. ეს სიყვარული ნათლად გამოიხატა ქართველი პოეტის პოეზიასა და პუბლიცისტურ წერილებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აკაკის ლექსები — მიძღვნილი სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებლის, დიდი თბილისელის გ. სუნდუკიანისადმი. პირველი ლექსი გ. სუნდუკიანს მიუძღვნა 1901 წელს, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა (№ 125). ლექსს აქვს სათაურად „მეგობარს“, ხოლო ქვესათაურად მიწერილია „ვეუძღვნი გ. სუნდუკიანს“. პოეტი, მრწამსით, ადამიანი პირველ რიგში უნდა შეფასდეს არა ეროვნების მიხედვით, არამედ მისი „კაცური-კაცობით“.

განურჩევლად გეარ-ტომობის,
ყველასათვის კეთილი მსურს,
ვინც კი კაცად კაცია და
და სიმაართლით გული უხურს.
ერთობას და მასთან ძმობას
არაფერი მირჩევნია!..
ამ კავშირის ორ-ძალობა
იმ თავითვე შემიგნია.

ყოველი ხალხის მოწინავე შვილები ერთაშორის კეთილმეზობლობის განმტკიცებას მოითხოვდნენ. ქართველი პოეტიც ამ კეთილშობილური აზრის ერთგული დამცველი იყო. მაგრამ აკაკი იქვე მიუთითებს, რომ მეზობელ ხალხთა შორის ძმობა ორმხრივი უნდა იყოს და არა ცალმხრივიო: „ამ კავშირის ორძალობა იმთავითვე შემიტყვიაო“, — ამბობს პოეტი.

1910 წელსაა შექმნილი აკაკის მიერ ძმური სიყვარულით აღსავსე ლექსი — „გ. ნ. სუნდუკიანს“. პოეტი მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით წრფელ ძმობას უმედავნებს სომეხ დრამატურგს. ამ ლექსის ძირითადი აზრი და იდეა ანდერძივითაა გადასული ქართველ და სომეხ ხალხებში:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!
კავკაზმა დიდმა და ქედმაღალმა
გააზვიადა შენი ბუნება
და ამ მიდამომ, ყვავილოვანმა,
აგიფერადა საამოდ ვნება.

ამ ლექსის შინაარსში ნათლად აისახა ქართველი ხალხის ძმური სიყვარული მოძმე სომეხი ერისადმი და მის საუკეთესო შვილთა ერთ-ერთი წარმომადგენლის — გ. სუნდუკიანისადმი:

ფერად-ფერადი ვნებათა ღელვა,
შენ ნაწერებში უხვად ჩაქსოვე
და უკვდავება საშვილიშვილო
შეისისხლხორცე და მოიპოვე!

ქართველი ხალხის გრძნობას და სურვილს
მე შეეუერთებ ამ ჩემ გულისთქმას
და თაყვანსა გცემ, დილო ზოლვაწვე,
როგორც უმცროსი, თავის უფროს ძმას...

ასაკობრივ სხვაობას გულისხმობს აკაკი, როცა გ. სუნდუკიანს „თავის უფროს ძმას“ უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასეთი ასაკობრივი განსხვავება თითქმის თხუთმეტი წელი იყო, ეს არ უშლიდა ხელს ისინი უახლოესი მეგობრები ყოფილიყვნენ. აი, რას წერს მათი მეგობრობის შესახებ ი. გრიშაშვილი: „საზოგადოდ აკაკი დიდი მეგობარი იყო სუნდუკიანისა და მისი ტიპებისა. თავის დროზე ვის არ უნახავს ეს ორი ადამიანი ერთად ხელკავით მოსიარულე რუსთაველის პროსპექტზე? ვინ იცის რამდენჯერ ულაპარაკიათ და უოცნებიანთ მათ ამ ორი ხალხის ქვეშაბრტყ ქმურ მეგობრობაზე“.

აკაკის ერთი მოგონება გ. სუნდუკიანის შესახებ, რომელიც გაზეთ „თემში“ (1912, № 4) გამოქვეყნდა, კარგად გვიხატავს სომეხი დრამატურგის ნაზ პოეტურ ბუნებას. ერთხელ, გაზაფხულზე აკაკის დილაადრიან მუშტაიდის ბაღში გაუსეირნია. შუაგულ ბაღში ყვავილებით გადაპენტილ ატმის ხის ქვეშ დაუნახავს გ. სუნდუკიანი, რომელიც მუხლმოყრილი და ხელებაპყრობილი ქანდაკებასავით იდგა. „მე შევკრთი, — იგონებს აკაკი, — გადარეულა მეთქი, გავიფიქრე... ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა აღტაცებული გაბრიელი და მომამახა: „აკაკი-ჯან, აქ რას უზიხარ, წამოდი რა გაჩვენო, — დამავლო ხელი და მიმიყვანა ატმის ხესთან, — ამას ვერ ხედავ? რატომ არ დაემხობი და თაყვანს არ სცემ მშვენიერების გამჩენს? მე კი ეს ერთი ხანია, ყოველ დილით მოვდივარ და ვლოცულობ“. ჩანს, პანთეისტური დამოკიდებულება ბუნებისადმი გ. სუნდუკიანისათვის უცხო არ იყო და ეს მისი სულიერი სამყაროს ერთ ორგანულ ნაწილს შეადგენდა. ამაზე მეტყველებს ილ. ზურაბიშვილის მოგონებაც, რომელიც მისთვის უამბნია ვინმე იაკობ თუთაძეს. ეს უკანასკნელი გ. სუნდუკიანის ოჯახის ახლობელი ყოფილა, „ყოველ ზაფხულობით აგარაკზე ბორჯომში მივდიოდით მთელი ოჯახობით. შევამჩნიე, რომ იქიდან წამოსვლის დროს, როდესაც ის იყო ეკიპაჟი კარს უნდა მოგვდგომოდა სადგურზე ჩასაყვანად, ეს კაცი სადღაც დაიკარგებოდა ხოლმე, გაივლიდა ერთი საათი, ცოტა ან მეტი. ან ნაკლები და გამოჩნდებოდა სწორედ იმ დროს, როდესაც ეკიპაჟში უნდა ჩავსხდარვიყავით. ასე მეორდებოდა ყოველ წელს.“

ერთხელ, უკანასკნელად, ბორჯომში რომ ვიყავით, წამოსვლისას გაბრიელი ჩვეულებისამებრ გაქრა. ეკიპაჟი მოვიდა, ბარგი ჩავალაგეთ, ოჯახობა ჩასხდა, მაგრამ გაბრიელი არ ჩანდა, მისმა ცოლმა მითხრა, ერთი გაიარე, მონახე სადმე, სად დაიკარგაო. ტყისკენ გავემართე, რადგან შემჩნეული მქონდა, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ტყისკენ გასწევდა ხოლმე. მოკლე ბილიკით პატარა მაღლობზე ავედი, რომ იქიდან გადამხედა, ხომ არ ჩანდა სადმე, და მართლაც. ტყის შუაგულში შევნიშნე: ერთ უშველებელ ფიჭვთან იდგა და შეჰყურებდა, როგორც დიდ სანახაობას, მერე რამდენჯერმე შემოუარა ამ ხეს, მიუახლოვდა, ზოგჯერ, რამდენჯერმე აკოცა და სახლისკენ წამოვიდა.

მე სახტად დავრჩი, ეჭვი დამებადა, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი...

როცა დავეწიე, სახეზე შემატყო, რომ ყველაფერი ნანახი მქონდა, რაც ტყეში მოხდა და ღიმილით მითხრა:

— იცი, იაკობ აქ ერთი ფიჭვია, ხეების მეფე! იმას გამოვეთხოვე...

მე ისე ვიყავი დაბნეული, რომ ვერაფერი ვუპასუხე... ვგრძნობდი კი ჩემ თვალწინ რაღაც თილისმა მოხდა“...

ენით უთქმელმა მწუხარებამ მოიცვა აკაკი, როცა გაიგო გ. სუნდუკიანის გარდაცვალება. ამ ამბით გამოწვეული ფიქრები და სევდა პოეტმა გადმოსცა

ლექსში, რომელიც სუნდუკიანის გარდაცვალების გამო შექმნა 1912 წელს. ამ ლექსში გადმოცემულია ქართველი პოეტის დიდი პატივისცემა და სიყვარული გ. სუნდუკიანისადმი:

დღეს მარხავენ ადამიანს
გრძნობიერს და მიწიერს,
ვინც რომ ჰყენდა ციურ ნათელს
განურჩევლად ყოველ ერს...
გულში ჰქონდა ჩასახული
სიდიადე და მშვენიება,
სწამდა კაცი ყოველ ერში,
ამაღლებდა ქრისტეს მცნებას.

აკაკი საგანგებოდ აღნიშნავს სომეხი დრამატურგის ინტერნაციონალურ ბუნებას:

ოღონდ კაცი ყოფილიყოს
მისთვის იყო ყველა ერთი!
სიმაღლედ და თანასწორობა
იყო მისი რწმენა ღმერთი!
სიყვარულით მან მოიმკო
საზოგადო სიყვარული
და უბოწოდ მოიმზადა
საუკუნო ტყბილი რული.

გ. სუნდუკიანი დაიბადა და გაიზარდა ძველი თბილისელი მოქალაქის ოჯახში, სადაც სალაპარაკო ენა ქართული იყო. კიდევ უფრო მეტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზრდა გ. სუნდუკიანი დედას, თინათინს, თბილისში წერილებს ქართულად წერს და დედაშვილის ეს ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობა დრამატურგის თხზულებათა ერთ ვეებერთელა ტომს მოიცავს. სხვათა შორის ამ წერილებში მშვენივრად არის შენახული ძველი თბილისური ქართული მეტყველება. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ გ. სუნდუკიანი თავის პიესებს თვითონვე თარგმნიდა ქართულად, უკვე გასაგები უნდა იყოს გ. სუნდუკიანისა და აკაკის მეგობრობა და საერთოდ სომეხი დრამატურგის განსაკუთრებული პატივისცემა საქართველოსადმი. აკი კიდევ განაცხადა რ. ერისთავის იუბილეზე: „ჩვენ საქართველოში დაბადებული სომხები ქართული მიწით ვართ გაზრდილი. ჩვენ საქართველოს ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით და გავიზიარებთ მუდამ“.

საქართველოსადმი ასეთი სათუთი დამოკიდებულებითა და ქართული ენის ამგვარი ცოდნით თბილისში გაზრდილი ბევრი არაქართველი მწერალი ვერ დაიტრაბახებს...

აკაკი თავისი მეგობრის პიესების ქართულ დადგმებში მონაწილეობდა. გ. სუნდუკიანის პიესა „კიდევ ერთი მსხვერპლი“ 1876 წელს დაიდგა ქართულ სცენაზე. ამ სპექტაკლში აკაკის შეუსრულებია თერგდალეულ მიხეილის როლი. აკაკის ამ როლის შესრულებას ფართოდ განიხილავს გაზეთი „დროება“ და აქებს აკაკის მსახიობურ ტალანტს.

აკაკიმ ვრცელი წერილი მიუძღვნა „პეპოს“ ქართულ დადგმას. ბარემ აქვე შევნიშნავთ, რომ აკაკიმ სწორად მიუთითა — პეპოს სახე უფრო ახლოა თბილისელ ყარაჩოდელთან, ვიდრე კინტოსთანო. აკაკის თავის საკმაოდ ვრცელ წერილში საფუძვლიანად აქვს განხილული გ. სუნდუკიანის „პეპო“ და დახასიათებული პყავს ამ პიესის გმირები. 1901 წლის გაზეთ „ივერიაშია“ (№ 170) მოთავსებული აკაკის ეს რეცენზია. ეს პიესა ხონში წარმოუდგენიათ 1901 წლის 25 ივლისს, ადგილობრივ სცენისმოყვარულებს. ამ სპექტაკლს აკაკიც დასწრებია და

საქეტაკლით მიღებული შთაბეჭდილებანი და ფიქრები გაზეთში გამოუქვეყნებია. პოეტი მოხიბლულა როგორც პიესით, ისე შემსრულებლებით: „ობოლი მარგალიტი, სადაც უნდა იყოს, თავის ღირსებას არ დაკარგავს. გინდ მდიდრის ფარჩ-ღიბაზე ეკეროს და გინდ ღარიბის ძონძზე“, — წერს აკაკი. აკაკის პირველად ეჭვი შეპარვია — ქალაქის ცხოვრებაზე აგებულ პიესას სცენაზე როგორ წარმოადგენენ იმერლები, რომელთაგანაც ბევრს, ალბათ. თბილისი თვალთაც არ უნახავსო. „ხოწელები საზოგადოდ ტიპიური იმერლები არიან: სი-ცოცხლით სავსე, მკვირცხლი, მოძრავი და სხაპასხუპით მოლაპარაკენი არიან. „პეპოში“ კი ქალაქელები არიან დასახულნი, დინჯი და ენაპრტყელები. როგორ მოახერხებენ იმათ გამოხატვას სცენის მოყვარენი, მაშინ ზოგს იმათგანს სოფ-ლიდან ფეხი არ გადაუდგამს და არათუ ქალაქელი ვაჭრები და კინტოები. თვით ქალაქიც კი თვალთ არ უნახავს? ვფიქრობდი გუნებაში, მაგრამ შეეცდი. თვით ჩვენი საყვარელი სათნო გ. სუნდუკიანიც რომ დასწრებოდა ამ წარმოდგენას, უეჭველად იტყოდა: ესენი ხომ ჩემი ნამდვილი ნათლულები არიან, მაგრამ, რა სხვანაირად უქცევენ კილოსო“.

როგორც ჩანს, ხოწელ სცენისმოყვარე მსახიობებს პიესის ქალაქური ენა ვერ აუთვისებიათ და სცენაზე იმერულად უქცევდნენ. პეპოს როლი ექიმ ჩხი-კვიშვილს შეუსრულებია, რომლის შესახებაც აკაკი წერს: „ექიმი ჩხიკვიშვილი გამოვიდა სცენაზე. მაგრამ ის პეპო და ყარაჩოღელი მეთევზე ვერ გამოგვისახა, მაგრამ სამაგიეროდ საუცხოვო ტიპი გაგვითვალისწინა დღევანდელი პეპო-ინტე-ლიგენტისა“.

აკაკი განიხილავს „პეპოს“ იდეურ-მხატვრულ შინაარსს. მის სოციალურ ხასიათს, იძლევა მეტად ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს. პოეტის ეს მოსაზრებანი იმიტაც არის საყურადღებო, რომ ის პირველი ქართველი მწერალია, რომელიც ასეთ ორიგინალურ შეხედულებას გამოთქვამს „პეპოს“ შესახებ. აკაკი წერს: „პეპო ჩვენი ქვეყნის საზოგადო ტიპია, საქართველოს მიწის შვილი, ძვირად მოიპოვება მისიდან. რომ ცოტად თუ ბევრად პეპოობაში წილი არ ეღოს. ის ყო-ველ წრეშია და ყოველ წოდებაში. პეპოობის საძირკველი ყველასი ერთია, ხოლო თვით შენობა, ე. ი. ხორცშესხმულობა წრისა და წოდების შესაფერისად სხვადასხვა გვარად იხატება“. აკაკი ცდილობს პეპოს სოციალური ადგილი მოუ-ნახოს. პოეტი, მართლაც სწორად მიუთითებს პეპოს ალალ შრომისმოყვარეო-ბასა და ადამიანურ პატიოსნებაზე. აი ასეთი ადამიანები მოსწონს პოეტს და მათში ხედავს მომავალს.

შემდეგ აკაკი ეხება პეპოსა და მის ერთ-ერთ პროტოტიპს, ცნობილ ლოპია-ნას შორის განსხვავებას. „ბ-ნ სუნდუკიანის ყარაჩოღელი — პეპო დიდად გან-სხვავდება მოქეიფე კინტო-ლოპიანასაგან, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს ნეტარებას, როცა საყვარელი ზედ წამწამზე უზის და ორთაქალის ბაღში ქეი-ფობს“. „პეპო ყველგან პეპოა, სადაც კი ქალალი შრომა ამოძრავებს! და თავი-სი თავისაც თვითონვე იცის, არავის არ დააჭერს ფეხს. მაგრამ არც თვითონ ვისმე გაეთელება. მაღლა ღმერთი სწამს, დაბლა ადამიანობა. მისი მოქმედება ლოცვაა, მაცხოვრის მონიჭებული — მამაო ჩვენო...“

აკაკი პეპოს დახასიათების შემდეგ გადადის პიესის მეორე გმირის — კაკუ-ლის მხატვრული სახის ანალიზზე. „ახლა გადავიდეთ პეპოს ამხანაგ ძმაბიჭზე კაკულიზე. ის კი ვიღაა? კინტოა, პეპოს მიმდევარია, მისი თანამგრძნობია, ლხინ-ში წამახალისებელი. ჭირში გამამხნევებელი და გაჭირვების დროს სულისაც კი არ დამზოგველი და დამჭერი. ის თავის უკანასკნელ ქონებას ვერცხლის ქამარს სთავაზობს პეპოს: „აჰა, სხვა ნივთებთან ერთად, თუ არ გყოფნის, რაცა გაქვს შენი, ეს ქამარიც მიუმატე. გაჰყიდე და ალა-არუთინას (ზიმზიმოვს. — ბ. ა.) კი ნუ დააჩაგვრინებ თავსაო“.

ქართველი პოეტი სინანულით შენიშნავს: „დღეს როცა ძველებურმა ყველა-ფერმა იცვალა სახე, კინტოობაც გახუნდა. პეპო-კაკულები გაძვირდნენ, მაგრამ ადრე კი მათი იყო ბურთი და მოედანი“.

აკაკი ერთგვარ პარალელს ავლებს პეპოსა და საზოგადო მოღვაწეს შორის: „ეგებ იფიქროს ვინმემ სად მეთევზე და სად მოღვაწე ინტელიგენტიო?.. ნამდვილი საზოგადო მოღვაწეც იგივე პეპო არ არის, ჩვენი ცხოვრების მორევის პირას მიმდგარი? მისი შეუპოვარი და სამართლიანი, ქვეყნის გამოსაფხიზლებლად განატყორცილი სიტყვა იგივე ბადე არ არის, სადაც თევზებიც ებმიან და გველ-ბაყაყნიც? თვით უდიდესმა მოძღვარმა ქრისტემ მეთევზეები არ აირჩია პირველ მოწაფეებად!“ დღეს თქვენ სათხევლით იჭერთ თევზებს და ამიერიდან შე თქვენ დაგაჭერინებთ კაცებს მათდავე საბედნიეროდო?

ქართველი მგოსანი წუხს, რომ პეპოები უკვე იშვიათობად იქცნენ და მომრავლდნენ ზიმზიმოვებით: „დღეს, ვიმეორებ პეპო-კაკულობა ყველგან იშვიათია, სამაგიეროდ წელში გაიმართა, ალა-არუთინობა, ზიმზიმოვობა — გამრავლდა. ვინ არიან ეს ვაუბატონები? ის ინტელიგენტები, რომელნიც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ და ყოველივე საზოგადო კი მათთვის საპირბაღო და საფარისეცლოა“.

აკაკის მიერ პეპოსა და კაკულის მხატვრულ სახეთა შინაარსის გაგება და ინტერპრეტაცია. ვფიქრობთ, ზედმიწევნით ზუსტია და ჭეშმარიტი.

აკაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოძმე სომეხი ხალხის მწერლობის, ისტორიისა და, საერთოდ, სომხური კულტურის შესახებ პუბლიცისტურ ნაწერებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პოეტი თავისი ბუნებით იყო მეზობელ ხალხთა განსაკუთრებული მოყვარული და პატივისმცემელი. ამ მხრივ პოეტი ყველაზე მეტ ინტერესს სომეხი ხალხის სულიერი საგანძურისადმი იჩენდა. ის ობიექტურად აფასებდა სომეხი მშრომელი ხალხის შრომისადმი თავდაუზოგველ სიყვარულს, განსაკუთრებით აღნიშნავდა მას (იხ. გაზ. „დროება“, 1874, № 950).

სომეხი მშრომელი ხალხის საქართველოსადმი კეთილმეზობლურ დამოკიდებულებისადმი მიძღვნილი შემდეგი წერილები: „თავის თავს უნდა ჰგავდეს“ („დროება“, 1875, № 7), „ჩვენ რა ვსთქვით და ისინი რას ამბობენ“ („დროება“, 1875, № 9), „თბილისი 5 თებერვალს“ („დროება“, 1880, № 29) და სხვ.

ამიერკავკასიაში, კერძოდ თბილისში, 1905 წელს სომეხ-თათართა შეტაკების წინააღმდეგ გამოვიდა ქართველი პოეტი:

გააგდეთ ხმალი... ხანჯალი, ხელი
ხელს მიეცით ძმურადა!
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა.

(„რჩევა“)

1911 წელსაა დაწერილი ლექსი — „ძმობა, ერთობა და სიყვარული“. ეს ლექსი მოწოდება იყო ხალხთა შორის ძმობა-ერთობის დასამყარებლად.

პოეტი წყევლის მას, ვისაც ეს სამი წმინდა სიტყვა არ სწამს:

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყეული... ის იყოს კრული,
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.
საერთაშორისო მტყიცე კავშირი,
ეს არის ქრისტეს სწავლა და მცნება,
საყოველთაო, სამარადისო —
და არ საწუთრო, სიჭმარ-ოცნება.

აკაკის მიაჩნია, რომ ვისაც ეს სამი მცნება — „ძმობა, ერთობა და სიყვარული“ — გულწრფელად სწამს, მას აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება:

ვისაც ეს სწამს წრფელის გაწვრთვით,
და ქეშმარიტად არს გამსჭვალული,
მას შეერევა ციურ მანანად
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

პოეტი სამართლიანად ფიქრობს. რომ ზოგიერთი ფარისევლობს და ყალბად გაიძახის ამ სამ სიტყვას. მათი ეს ძახილი კი ამაოა და ფუჭი:

ვინც გაიძახის ცარიელ სიტყვას
და გულში სულ სხვა აქვს დამარხული,
ამაო არის მისი ნათქვამი:
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.
მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის,
იყოს წყეული... ის იყოს კრული.
ვინც მხოლოდ სიტყვით გაიძახოდეს
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

სომხური პერიოდიკის ფურცლებზე აკაკის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული. ეს ცნობები სომეხ მკითხველ საზოგადოებას სხვადასხვა ცნობას აწვდის აკაკის შემოქმედების შესახებ. გაზეთ „მშაყ“ (ნუშა) 1903 წლის № 271-ში სომეხი ლიტერატორი ტ. ფირუმიანი წერდა, რომ აკაკი „1858 წლიდან დღემდის ყველა ჟურნალ-გაზეთში სისტემატურად თანამშრომლობს. ის წერს ლექსებს და პოემებს. სუსხიან ფელეტონებს, სტატიებს ისტორიაზე, ფოლკლორზე, მოთხრობებს. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი ნაწარმოებები ძალზე პოპულარულია. აკაკის არაერთი ლექსი სიმღერადაა ქცეული, მისი ქნარი ხალხის გულის ნადებს გამოხატავს, ამიტომაც, რომ აკაკი ყველაზე ხალხური პოეტია საქართველოში“. შემდეგ დახასიათებულია აკაკის შემოქმედება და მისი პოეტური ცხოვრების გზა. ტ. ფირუმიანი თავის წერილს ასე ამთავრებს: აკაკის ღირს არის მრავალხმიანი, მაგრამ მისი ძირითადი მოტივი პატრიოტიზმია. უმეტეს შემთხვევაში თავის საყვარელ საქართველოს წარმოსახავს ლამაზ, მაგრამ პატივყრილ სატრფოდ, რომელსაც დაუცხრომლად უმღერის. აკაკის ყოველ ლექსში ახალ-ახალი ნიუანსები შეაქვს. ამ გარემოებამ იმერელ გლეხობას დიდი სამსახური გაუწია და ჩაგრული გამოადვიდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არ არის სწორი ტ. ფირუმიანი, როცა ამბობს — აკაკის პოეზიამ იმერელი გლეხობა გამოადვიდაო. რადგან აკაკის პოეტურ ქნარს სრულიად საქართველო უგდებდა ყურს. მისი პოეზიის ასე ვიწრო კუთხური გაგების სასტიკი წინააღმდეგი იყო თვით აკაკი. განა მისი ცნობილი პოეტური სტრიქონებიც ამაზე არ მეტყველებს:

ჩონგური საქართველოა
სიმები ჩვენ ვართ ყველაო.
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს
მაშინვე უნდა შველაო.

აკაკისადმი მიძღვნილი ცნობილი სომეხი პუბლიცისტის ალ. ქალანთარის სტატია „იუბილარი“. ამ წერილში ავტორი სომეხ მკითხველს აცნობს, თუ რა ადგილი უკავია და რა მნიშვნელობა აქვს აკაკის პოეზიას ქართულ ლიტერატურაში. ალ. ქალანთარი შენიშნავს: „აკაკის დიდებულ შემოქმედებაში ღირს-შესანიშნავი ლექსების გვერდით უეჭველად შეინიშნება სუსტი ლექსებიც, მაგრამ დღეს იუბილარის განვლილ პოეტურ გზას თუ გადავხედავთ, განუზომელია ის ღვაწლი პოეტისა, რომელიც აკაკიმ შეიტანა ქართული ლიტერატურისა და

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში“. ქართული ლირიკის პატრიარქს სომხური სამწერლო საზოგადოების სახელით ა. ქალანთარი გულწრფელად ულოცავს იუბილეს.

ასევე მხურვალედ ულოცავს აკაკის იუბილეს აგრეთვე ცნობილი სომეხი პუბლიცისტი ა. არაქელიანი (გაზეთი „მშაკ“ (მუშა), 1902, № 272). ამ ვრცელ სახის ინფორმაციაში სომეხი პუბლიცისტი დაწვრილებით აღწერს საიუბილეო საღამოს, რომელიც 1908 წლის 7 დეკემბერს ჩატარებულა თბილისის სახაზინო თეატრში. „არც ერთ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ასეთი ფართო მასშტაბის იუბილე არ ჩატარებულა“. — წერს ა. არაქელიანი.

გაზეთ „პორიზონში“ (1913, № 66) გამოქვეყნებულია სტატია — „აკაკი წერეთლის ახალი ნაწარმოებები“. აქ ლაპარაკია პოეტის რაქა-ლეჩხუმში მოგზაურობასა და მის ლექსზე „ფული“. შემდეგ ინფორმაცია გვაუწყებს, რომ ინგლისური ამხანაგობის („გრამაფონი“) თბილისის ფილიალის თხოვნით აკაკის სამი ლექსი წაუკითხავს და სიტყვაც უთქვამს: „საღამო ახალგაზრდებო, მე უკვე მიმავალი ვარ და ცუდია ვერას საგულისხმოს ვერ გიტოვებთ. გევედრებით მხოლოდ ერთს, სამშობლო გიყვარდეთ... ერი გიყვარდეთ, რომელიც არის კაცობრივობის უპირველესი მისწრაფება! მაგრამ ამ სიყვარულში უნდა იყოს სიმართლე და გულწრფელობა, უამისოდ ყოველი შრომა ფუჭია“.

1913 წლის გაზეთ „პორიზონში“ (პორიზონტში, № 97) ტ. ფირუმიანის წერილში გამოქვეყნებულია ერთი ძალზე საინტერესო ფაქტი. ტ. ფირუმიანი აღნიშნავს, რომ ცნობილ სომეხ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ლ. ალაიანს სომხური დედაენის შედგენის დროს ზოგიერთი ზღაპარი ქართული ფოლკლორიდან აუღია. „განსვენებულმა ლ. ალაიანმა ერთხელ გაგვანდო. ჩემს სახელმძღვანელოში რამდენიმე ზღაპარი ქართველ გლეხების ნაამბობზე ავაგეო. ესენი იყვნენ იმერელი მეზადეები, რომლებიც სამუშაოდ ბორჩალოში მიდიოდნენო. როდესაც ვუთხარი, — წერს ტ. ფირუმიანი, — მის სომხურ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში არის რამდენიმე საუბარი, დიალოგი, რომელიც ძალიან ჰგავს ი. გოგებაშვილის ცნობილ სახელმძღვანელოს („დედა-ენაში“) ზოგიერთ ნაწარმოებსო, ლ. ალაიანმა გულახდილად აღიარა: ჩემი მეუღლის დახმარებით ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთიც ვისარგებლეო“ (გაზ. „პორიზონი“, 1923, № 97).

განსაკუთრებით დიდი მწუხარება და გლოვა გამოიწვია აკაკის გარდაცვალებამ სომეხ საზოგადოებაში. სომხურ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებებში, წერილებსა და სტატიებში. გამოხატულია სომეხი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციის გულწრფელი მწუხარება დიდი ქართველი პოეტის გარდაცვალების გამო. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ აკაკის ავადმყოფობის შესახებ ფართოდ იყო ინფორმირებული სომეხი საზოგადოება. სომხურ პერიოდიკაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ბიულეტენები პოეტის ჯანმრთელობის შესახებ (გაზ. „პორიზონი“, 1915, № 13. „მშაკი“, 1915, № 4, 7, 8, 10, 11).

დაიბეჭდა გაზეთ „მშაკის“ მოწინავე წერილი, სათაურით — „ქართველი ხალხის გლოვა“ (1915, № 28). ამავე ნომერშია დაბეჭდილი გ. მირალიანის წერილი, რომელშიც განხილულია აკაკის შემოქმედება. გ. მირალიანი მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი პოეტის მიერ განვლილ შემოქმედებითს გზას და თვით აკაკის ქართულ ლიტერატურაში „პირველ პოეტს“ უწოდებს. სამძიმრის დეპეშებია გამოქვეყნებული გაზეთ „მშაკ“-ის 1915 წლის შემდეგ ნომრებში: 18, 19, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 35, 38, 43, 48, 123, 125; „ტარაზის“ ორი ნომერი თითქმის მთლიანად აკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი.

საერთოდ აკაკის შემოქმედების შესახებ სომხურ პერიოდულ პრესაში (1921 წლამდე) მრავალი ცნობაა: მაგალითად, ჟურნალ „მურჭის“ (ურო) (1889, № 6, გვ. 959—963) საშინაო მიმოხილვაში ქართველი პოეტის შემოქმედებას ეხება ვ. ლუსიანიანი და ა. არასხანიანი; ჟურნალ „ტარაზში“ (მოდა) (1891, წლის № 35, გვ. 527) მოთავსებულია ინფორმაცია აკაკის იგავ-არაკის — „კატა და ლომის“ შესახებ. გაზეთ „არძაგანქში“ (ექო) (1896, № 85) ვხვდებით ცნობას „აკაკის ნაკვეთების“ თ. სახოკიასეული გამოცემის შესახებ და სხვ.

სომხურმა პერიოდულმა პრესამ ტრადიცია გააგრძელა და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა არაერთი წერილი და ინფორმაცია აკაკის შემოქმედების შესახებ. აკაკის ასი წლის იუბილეს აქტიურად გამოეხმაურა სომხური პრესა. სპეციალური ნომერი მიუძღვნა ქართველი პოეტის იუბილეს საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის ორგანომ „არშაკ“ (შეტევა) (1940 წ.; ეს აღმანახი ახლა გამოდის „კამურჯის“ (ხიდი) სახელწოდებით). მოწინავეში („აკაკი წერეთელი“) მიმოხილულია აკაკის ცხოვრება და შემოქმედება. ამავე ნომერშია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის წერილი „აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ“ (გვ. 23—29), სადაც მოკლედ არის მიმოხილული აკაკის შემოქმედება და სომხური პერიოდული პრესა.

ლ. მელიქსეთ-ბეგს აქვე მოჰყავს ის ფაქტი, რომ აკაკის შემოქმედების შესახებ არის ლაპარაკი ი. გრიშაშვილის მიერ ქართულ „ლიტერატურულ გაზეთში“ (1934, № 28) — „ქართველი მწერლები სომხურად“. შემდეგ იგი სომეხ მკითხველ საზოგადოებას აწვდის აკაკის „ბაში-აჩუკის“ სახელის ეტიმოლოგიას და ეხება ამ ტერმინის არსებობას ქართულ, იტალიურ, რუსულ და სომხურ საისტორიო წყაროებში. „ბაში-აჩუკი თურქული სიტყვაა და ნიშნავს „თავშიშველს, თავმოხდილს“. ასე ეწოდებოდა იმერლებს (დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთ) XVI—XVII სს-ში. მათ ასე იმატომ უწოდებდნენ, რომ ქუდას ნაცვლად თავზე მრგვალ პატარა ნაჭრებს იდებდნენ და ეს ქმნიდა თავშიშველის შთაბეჭდილებას. ასე მოიხსენიებდა იმერლებს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელლა-ვალენი, რომელიც იმყოფებოდა 1623 წელში“.

სომხურ ძველ საისტორიო მწერლობაში ეს სახელი პირველად გვხვდება სიმონ თავრიზეცის „სომხეთის იატორიაში“. შემდეგ ეს სახელი იხსენიება სიმონ კათალიკოსის „ჰიშატაკარანში“ (მოსახსენებელი; 1763—1767 წწ.), აგრეთვე ლუკა კათალიკოსის „ჰიშატაკარანში“ (1780—1800 წწ.).

„ბაში-აჩუკად“ იხსენიება იმერლები აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ერთ-ერთი უცნობი სომეხი ისტორიკოსის შრომებში, რომელიც საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ლ. მელიქსეთ-ბეგს კიდევ მოჰყავს არაერთი სომხური წყარო, სადაც იმერლები „ბაში-აჩუკად“ არის მოხსენიებული.

ლ. მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, აკაკიმ ეს სახელი („ბაში-აჩუკი“) აიღო 1867 წელს გაზ. „Кавказ“-ში (№ 41) გამოქვეყნებულ დ. ყაზბეგის წერილიდან („იტალიელები კავკასიის შესახებ“). ამ წერილში მოყვანილია პიეტრო დელლა-ვალეს ცნობები საქართველოს შესახებ. ამ სტატიაშია მითითებული ეს სახელიც.

ამ აღმანახშია („არშაკ“, 1940) აგრეთვე გამოქვეყნებული მარიამ თუმანიანის მცირე მოგონება აკაკის შესახებ... მ. თუმანიანი იგონებს: „აკაკი გავიცანი 1887 წელს. ის ხშირად მოდიოდა ჩვენ ოჯახში. ისე კი უმთავრესად ანასტასიას სტუმარი იყო. ანასტასია ჯერ კიდევ არ იყო გიორგი წერეთლის მეუღლე.

ანასტასია საბავშვო მწერალი და დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი სცემდა ქართულად საბავშვო ჟურნალს „ჯეჯილს“. მას ჰქონდა თავისი ლიტერატურული სალონი, რომლის ხშირი სტუმარი იყო აკაკი.

აკაკი რომ არ გცნობოდა, პირველი ნახვისთანავე მიხვდებოდით, რომ ის ჩვეულებრივი კაცი არ იყო. აკაკი თავის გარეგნობით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე. იგი იყო საკმაოდ მაღალი, ფართო მხრებით და ღომისებური თავით, რომელიც ხუჭუჭი თმებით იყო დაფარული. პოეტს ჰქონდა ცოცხალი სახე, ჭკვიანური თვალები. როცა ოთახში შემოვიდოდა, სიცოცხლე შემოჰქონდა და ყველას მხიარული განწყობილება გვეუფლებოდა.

ჟურნალ „სოვეტაკან გრაკანუთიუნის“ (საბჭოთა ლიტერატურა) 1961 წლის № 2-ში მოთავსებულია ცნობილი სომეხი კრიტიკოსის ვ. მნაცაკანიანის წერილი — „მეგობრობა“ (გვ. 79). ამ წერილში აღწერილია აკაკის იუბილეს (დაბადებიდან 120 წელი) დღეები თბილისში, საჩხერეში და სხვიტორში.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ის პატივისცემა და სიყვარული აკაკისადმი, რომელიც გამოიჩინა ცნობილმა სომეხმა პოეტმა ვაჰან ტერიანმა.

ვ. ტერიანს ეკუთვნის მოგონება აკაკის შესახებ, რომელიც პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „მშაქში“, (1915, № 166). ეს მოგონება საინტერესოა იმით, რომ მასში აღწერილია ქართველი სტუდენტების შეხვედრა მგოსანთან 1913 წელს მოსკოვში.

აკაკის პოეზიის ნიმუშების პირველი მთარგმნელია ვ. ტერიანი. აკაკის ლექსის — „კინტოს სიმღერა“ — თარგმნის თარიღი გარკვეული არ არის. პოეტის არქივში დაცულ ამ ლექსის სომხური თარგმანის ხელნაწერს თარიღი არ უზის¹, პოეტის სიცოცხლეში კი ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა. იგი, ჩვენი აზრით, 1914—1915 წლებში უნდა იყოს თარგმნილი; როგორც ტერიანის ბიოგრაფიიდან ვიცით 1913—1916 წლებში იგი განსაკუთრებით გულმოდგინეთ სწავლობდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

საფიქრებელია, ვ. ტერიანმა რუსთაველის პოემის შესავლის თარგმნამდე (ვ. ტერიანს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის ბრწყინვალე თარგმანი, რომელიც დღემდე სანიმუშოდ რჩება) „კინტოს სიმღერა“ თარგმნა, ალბათ, ქართულიდან სომხურად მხატვრულ თარგმანში გაჩვევისა და გამოცდილების შეძენის მიზნით. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი მან თარგმნა მომდევნო 1916—1917 წლებში, ხოლო „კინტოს სიმღერა“ უფრო ადრე. ე. ი. როცა მას ქართულის შესწავლა ორიოდ წლის დაწყებული ჰქონდა.

ვ. ტერიანს აკაკის ლექსის თარგმანზე მისთვის ჩვეული ოსტატობითა და გულისხმიერებით უმუშავნია. პოეტი ცდილობს, არ დაარღვიოს ორიგინალის ფორმისა და შინაარსის მთლიანობა. ჩარენცის სახელობის ერევნის ლიტერატურულ მუზეუმში, პოეტის პირად ფონდში დაცულია ხელნაწერი მასალები, რომლებიც მას ამ ლექსის თარგმნის დროს შეუსრულებია (ხელნაწერი № 77). ეს ხელნაწერი შედგება 10-გვერდიანი რვეულისაგან. პირველ გვერდზე ლექსი დაწერილია ჯერ ქართულად, მერე — რუსულად. ალბათ, შინაარსის უკეთ გაგების მიზნით; შემდეგ გვერდზე კი უკვე სომხურად გაუწყვია იგი. სომხურად თარგმნილ ტექსტს წინ პოეტის ხელით აქვს მიწერილი ერთსტროფიანი საკუთარი ლექსი სომხურ ენაზე.

აკაკის ამ ლექსში გახსნილია კინტოს ინდივიდუალური ხასიათი, რომლისათვისაც მხატვრული სიტყვის მარაგი აღებულია ქართული არასალიტერატურო-ლექსიკური ფონდიდან. ვ. ტერიანს სათარგმნელი მასალის პოეტური ლექსიკა

¹ ჩარენცის სახელობის ერევნის ლიტერატურის მუზეუმი, ვ. ტერიანის ფონდი, ხელნაწერი № 77.

შეუჩრევია სომხური აშუღური პოეზიის ლექსიკური მარაგიდან. ამ გზით სომხურ თარგმანში შენარჩუნებულია დედნის მხატვრულობა და კოლორიტი. ვ. ტერიანს ამ ლექსის („კინტოს სიმღერა“) მე-6 სტროფი არ გადაუთარგმნია. ეს არის მისამღერის მსგავსი სააღერსო სიტყვების გამეორება, რომლის მხატვრული ფუნქციაა გმირის მაჟორული განწყობილების გადმოცემა. ვ. ტერიანს ამ სტროფის სომხურად თარგმნა ზედმეტად მიუჩნევია, ალბათ, იმიტომ, რომ ეს სტროფი ლექსის აზრის დასრულებისათვის და არც შინაარსის თვალსაზრისით, აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამდენად, მისი გამოტოვება მთარგმნელის დაუდევრობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ, ჩანს, შეგნებულად მოერიდა მის თარგმნას.

სომხურ ენაზე აკაკის შემოქმედების თარგმნამ ფართო და სისტემატური ხასიათი მიიღო ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან. ითარგმნა მისი არა ერთი ლექსი. პოემა და მოთხრობა. ხსენებულ ალმანახ „არშავში“ 1940 წლის ნოემბრის ნომერში მოთავსებულია აკაკის ლექსების სომხური თარგმანები: „ჩონგურო“, „გაზაფხული“ (მთარგმნელი — გ. ასატური), „ამირანი“, „მუხამბაზი“ (მთარგმნელი — ს. ავჩიანი). „სულიკო“ (მთარგმნელი — ჰ. კარაპეტიანი), „მეგობარს“, ვუძღვნი ბ-ნ გ. სუნდუკიანს (მთარგმნელი — ლ. მელიქსეთ-ბეგი), პროზიდან: „ბაში-აჩუკი“. რამდენიმე თავი (მთარგმნელი ჰ. მიჩაიმიანი).

ერევანში 1961 წელს გამოვიდა კრებული „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები“. მასში შესულია აკაკის პოეზიის ნიმუშთა „სომხური თარგმანები“. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ავ. ისააკიანის მიერ შესრულებული თარგმანების მაღალი მხატვრული ოსტატობა: „ქუთაისი“, „ავადმყოფი მგოსანი“, „აპელაციის მცოდნე“ და სხვა. ამ კრებულშივეა აგრეთვე, ვ. ტერიანის, ს. ტარონცოს, გ. ბორიანის, ვ. ნორენცის და სხვათა თარგმანები.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ აკაკი ისევე სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს მოძმე სომეხ ხალხში, როგორც მისი სომეხი მეგობარი გ. სუნდუკიანი ქართველ ხალხში.

Б. В. АРВЕЛАДЗЕ

АКАКИЙ ЦЕРЕТЕЛИ И АРМЕНИЯ

Резюме

Одно из важных мест в творчестве Акакия Церетели занимают вопросы армянской литературы, культуры и истории.

В статье рассмотрены также материалы о творчестве А. Церетели, опубликованные в армянской периодике.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა

უნგრული მწერლობის ნიმუშები ქართულად

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთული მწერლობის სხვადასხვა საინტერესო ძეგლის თარგმანიად გამოდიოდა. მათ შორის უნგრული მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთ ნიმუშსაც გაეცნო ქართველი მკითხველი. უნგრული პერიოდიკა საქართველოსადმი მიძღვნილ მეტად საინტერესო სტატიებს აქვეყნებს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს. მაგრამ ლიტერატურული ხასიათის პირველ პუბლიკაციას მხოლოდ ჟურნალი „ზემო უნგრული მინერვა“ 1825 წლის ოქტომბრის ნომერში ათავსებს, სადაც სათაურით — „ერთი ქართველი თავადის ლექსები“ — გამოქვეყნებულია ორი ლექსის პროზაული თარგმანი უნგრულ ენაზე (ამ ლექსების პირველწყარო ჩვენთვის ჯერ უცნობია).

აი პირველი მათგანი: „ამინდი ორგვარია: ზოგჯერ მოწმენდილი, ზოგჯერ — ნისლიანი. ცხოვრებაც ხან მშვიდია, ხან მრისხანე. თუ ვინმე დაგვეცინებს, რომ ჩვენი ცხოვრება ავბედითად შეტრიალდა, უთხარი: ბედის ტრიალი გათელავს მას, ვისაც კარგი თვისება აქვს. ვერ ხედავ ზღვას, რომლის ზედაპირზე ნაგავი დაცურავს, ფსკერზე კი ძვირფასი მარგალიტები იმალება? ვერ ხედავ, რომ ავი ქარები უბადრუკ ხეებს კი არ ამტვრევენ, არამედ მხოლოდ ცად აზიდულებს. რამდენი აყვავებული თუ გადამხმარი ხეა ქვეყანაზე, მაგრამ ქვას ესერიან მხოლოდ მას, რომელსაც ნაყოფი ასხია. ცა მოქედილია მანათობელი ვარსკვლავებით — მათ გვერდით მხოლოდ მზე და მთვარე განიცდის დაბნელებას. შეხ მანამდე აქებდი საკუთარ ბედს, ვიდრე იგი თავად გეკუთვნოდა და არაფრის შიში არ გქონდა გარდა იმისა, რომ დადგებოდა ჟამი ბედუკუღმართობისა. ბედი დიდხანს მოქმედებდა შენს სასარგებლოდ, მაგრამ მაინც გიღალატა, რადგან ეს ყოველთვის ასეა, ნათელ საღამოს ყოველთვის ბნელი მოჰყვება“.

მეორე ლექსი კი ასეთია: „მოგზაურობის შესახებ. ოჰ, მოგზაურო, ნუ წაღვლობ! აქ დატოვებული მეგობრის ნაცვლად მალე იპოვი სხვას. ხშირად იცვალე ადგილი; ცხოვრების სიტყბო ადგილის შეცვლაშია. არა ვიცი რა მოგზაურობაზე უფრო კარგი და სასიამოვნო; დროდადრო გაუდექ გზას. დამდგარი წყალი მალე მყაყდება და ყარს, მდინარე წყალი კი სასმელად საამოა. მზე ცაზე ყოველთვის ერთ ადგილას რომ იყოს გაჩერებული. ერთნაირად მოაბეზრებდა თავს სპარსელსაც და არაბსაც: მთვარე არასოდეს რომ არ იკლებდეს, მუდამ ნავსე იყოს. მოსაწყენი იქნებოდა ჩვენთვის. ლომმა ტყიდან ფეხი არ იცვალოს, შიმშილით სული ამოხდებოდა; ისარი ვერასოდეს მოხვდება მიზანს, თუ იგი მშვილდით არ იქნა გატყორცნილი. ოქროსაც კი არ ექნებოდა ფასი, სულ მიწაში რომ ყოფილიყო ჩამარხული. ძვირფას ალმას ხეს ფასი არა აქვს იქ, სადაც იზრდება“¹.

არავინ იცის, როგორ მოხვდა უცნობი ქართველი თავადის ლექსეზი. ამდროინდელ პრესტიჟულ უნგრულ ჟურნალში.

გასული საუკუნის უნგრეთში ქართულ თემაზე გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მთავარი თავისებურება ის არის, რომ უნგრელი ავტორები საქართველოს წარსულის, აწმყოს ასახვისას ფართოდ იყენებენ მხატვრულ ხერხებს. ასე მაგალითად, 1855 წ. დღის სინათლე იხილა უნგრელი მწერ-

¹ ლ. ტარდი. ქართულ-უნგრული ლიტერატურული ურთიერთობანი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12. მოგვყავს ჯ. გაგნიძის თარგმანის მიხედვით.

ლის კაროი პ. სოტმარის წიგნმა — „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მას მოჰყვა იმავე ავტორის ორტომიანი რომანი, რომელშიც ასახულია მთიელთა აჯანყება შამილის წინამძღოლობით. ორივე ნაწარმოების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ პ. სოტმარი დახვეწილი მხატვრული ხერხებით აღწერს 1848-49 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომ ჰამსბურგთა ბატონობაში მყოფი უნგრეთისა და მეფის თვითმპყრობელობისაგან დაჩაგრული საქართველოს ბედს. ავტორი ცოცხლად გადმოგვცემს უბრალო მთიელ მებრძოლთა სახეებს.

XIX საუკუნის დიდმა უნგრელმა მწერალმა — რომანისტმა მორ იოკაიმ (1825—1904) არაერთი ლიტერატურული ნაწარმოები უძღვნა ქართულ თემას. მწერალი, რომელიც უნგრეთის 1848 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო, დიდ ინტერესს იჩენდა ქართველებისადმი და მხურვალე თანაგრძნობას უწევდა მათ თურქ მოძალადეებთან გაჩაღებულ ბრძოლაში. მორ იოკაი გაეცნო მრავალ ნაშრომს, რათა რაც შეიძლება ზუსტად აესახა ქართველი ხალხის მძიმე ხვედარი. იგი ღრმად ჩასწვდა ქართველი და რუსი ხალხების საერთო ინტერესებს და თავის ნაწარმოებებში მათი საერთო ბრძოლის დაუვიწყარი სურათები შექმნა. ყოველივე ეს უნგრელმა მწერალმა ძიორობა რადომ ქართული პრესის საშუალებით გააცნო მკითხველს:

„უნგრული პროზის კლასიკოსი მორ იოკაი (1825—1904), სიუჟეტებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებიდან იღებდა და მოქმედების დროს სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებს ირჩევდა. მორ იოკაის „ბერძნული ცეცხლის“ ციკლის ერთ-ერთი თხზულება კავკასიის თემაზეა დაფუძნებული: მთავარი გმირის სამოქმედო ასპარეზად სვანეთია არჩეული. ნაწარმოებს „რიუმინი“ ჰქვია (მთავარი გმირის გვარია).

როგორ შეიქმნა ეს ნაწარმოები და რა გზით მოხდა მისი მთავარი გმირი საქართველოში, კერძოდ, სვანეთში?

„ბერძნული ცეცხლი“ მორ იოკაის იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც აქტუალურ მოვლენათა ბიძგით შექმნილან და უშუალოდ ამ მოვლენათა გამოძახილს წარმოადგენენ.

„რიუმინის“ შექმნის იმპულსი რუსეთ-თურქეთის 1877—1879 წლების ომი იყო.

იოკაი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა რუსი ადამიანისა და რუსეთის პოლიტიკის მიმართ. მრავალი მისი ნაწარმოები სწორედ იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ხალხთა ცხოვრებას ეხება. რიუმინი, რომელიც მისმა ხასიათმა და ბედისწერამ სვანეთს გარდახვეწა, რუსი ადამიანის ბუნების გამოსახვის ახალი ეტაპია უნგრულ ლიტერატურაში.

„რიუმინში“ მოქმედება 1836 წელს ხდება. რუსთა ჯარები თანდათანობით ეუფლებიან შავიზღვისპირეთს, სუჩუკ-კალეც (ახლანდელ ნოვოროსიისკთან) დაიჭირეს. მათ ყურამდე აღწევს ხმები, კავკასიის შეუვალი მთების წიაღში ოქროს უმდიდრესი საბადოებიაო. გერმანელი მოგზაური დოქტორ კარლ კოხი, რომლის წიგნი „კავკასიის ქვეყნები“ მორ იოკაისთვის „რიუმინის“ წერისას ამოსავალ წყაროს წარმოადგენდა, ამ ოქროს საბადოებთან სახელგანთქმულ რეინეგსსაც კი აკავშირებდა, რომელმაც საკმაოდ თვალსაჩინო როლი ითამაშა მეფე ერეკლე II-ის კარზე: კოხი ირწმუნება, რუსეთის დავალებით რეინეგსი კავკასიის ზემოხსენებულ ოქროს საბადოებს ზეერავდაო...

რუსი გენერალი ველიამინოვი ატყობინებს თავის მამაც ოფიცერ რიუმინს. — შენი საიდუმლო კავშირი დეკაბრისტებთან გამჟღავნებულია, შენი და და მშობლები ციმბირში არიან გადასახლებული და შენ ერთს შეგიძლია მათი გადარჩენა, თუკი იკისრებ ფათერაკიან, არასახარბიელო როლს ჯაშუშისას:

კავკასიის მთათა გულში შეაღწევ, ოქროს მოიკვლე, ადგილობრივ მცხოვრებთა გულს მოიგებ; დასასრულ, ლალატის გზით რუსეთის ქარებს „ოქროს ქვეყნის“ დაპყრობაში ხელს შეუწყობო... ნაწარმოების ბირთვი ესაა.

შესანიშნავი ადამიანი, მამაცი მხედარი და ქალთა გულის მურაზი რიუმინი, რომელიც ხასიათის ზოგოერთი ნიშნით პეჩორინულ პიროვნებას გვაგონებს, რუსების აგენტ ოსისგან ზედმიწევნით ეზიარა „მთიელთა ცოდნას“. მან შეისწავლა ძველი ქართული გადმოცემები და „კავკასიის ბარდის“, სახალხო მომღერლის სამოსში გამოწყობილი ფათერაკიან გზას დაადგა. „თქმულება ამირანზე“, „დილარიანი“, „ომანიანი“ და თამარ მეფის ციკლის ლეგენდები შეადგენდნენ მის „რეპერტუარს“. ეს მოხეტიალე მომღერალი ასევე ავლენდა ფშავ-ხევსურთა წეს-ჩვეულებების ჩინებულ ცოდნას.

თავდაპირველად რიუმინი და მისი თანამგზავრი ქალი, მცხეთისი, გადმოხვეწილ რუს სექტანტთა — დუხობორებისა და მალაკნების — სოფლებში მოხვდებიან. ცნობილია, რომ მწვალებელთა შესახებ ცნობები იოკაიმ აილო დიდი რუსი მხატვრის ვ. ვერეშჩაგინის საგზაო ჩანაწერებიდან, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 1869 წელს საგეოგრაფიო აღმანახში — „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“. (ვერეშჩაგინს იოკაი პირადადაც იცნობდა, მათ მიმოწერა ჰქონდათ და ერთმანეთს დიდად აფასებდნენ. პეტეფის სახელობის ბუდაპეშტის ლიტერატურულ მუზეუმში ინახება მორ იოკაისადმი მიძღვნილი ნახატი ვერეშჩაგინისა).

რიუმინი სექტანტთაგან ათავისუფლებს სასიკვდილოდ განწირულ მშვენიერ ასულ იზმენას (სახელად რუსული სიტყვა შემთხვევითაა შერჩეული). მცხეთისისთან ერთად იზმენაც რიუმინის თანამგზავრი ხდება. მალე მცხეთისი ილუპება „თივის ციებისაგან“. სექტანტთა სოფლიდან მგზავრები კავკასიელ ტომებში ხვდებიან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მორ იოკაის მდიდარი ფანტაზია იკვებებოდა უძველესი წყაროებით — სწორი თუ მცდარი გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული ცნობებით, მაგრამ იგი რეპორტაჟებს კი არა, მოთხრობებსა და რომანებს წერდა. მის ამოცანას ფსიქოლოგიური, შორალური, ლოგიკური სიმართლის გამოხატვა წარმოადგენდა, ამიტომ შეიძლება მივუთევოთ ფაქტობრივი უზუსტობანი.

ნაწარმოებში სვანეთი უტოპიურ ქვეყნად იგვევლინება. იქ ცხოვრობენ სამასი ხალხის წარმომადგენლები, ძველი ბერძნებიდან და რომაელებიდან მოყოლებული და XIX საუკუნის ტირანთაგან თავდაღწეული სხვადასხვა ერის წარმომადგენლებით გათავებული. მათ შორის სრული თანხმობა სუფევს, რადგანაც ამ სამოთხე ქვეყანაში ერთადერთ რელიგიას მისდევენ: ესაა მიწის კულტი. ღმერთი დაალი, რომელსაც ისინი ეთაყვანებიან, სამშობლოა მიწისა, რომელიც ყოველ გაზაფხულზე ახალი სიცოცხლით ივსება. ბედნიერი ქვეყნის მდიდარი ბუნება, შურისა და ღვარძლისგან, სიძულვილისა და კერძომესაკუთრული მიდრეკილებებისაგან თავისუფალი ადამიანები — მორ იოკაი „თავის“ სვანეთში ხატავს ჭეშმარიტ უტოპიურ სოციალიზმს.

ამ ქვეყანაში ოქროს არ ძალუძს ადამიანთა ცდუნება, რადგან მას წილიდან იღებენ და დედოფალს მიაერთმევენ ყველაზე საშინელი სექტის — უენოთა სექტის წევრები. ადამიანები თავიანთი უსასტიკესი აღთქმისა და შეჩვენებათა წინაშე შიშის გამო კრინტს არ ძრავენ.

ქალთა ნებიერა რიუმინი ემზადება თავისი სასტიკი მიზნის განსახორციელებლად. სამი მშვენიერი ასულის — იზმენას, გადმართა მთავრის დისა და თვით დედოფალ ალხაზირას სიყვარული მისთვის მხოლოდ მუხანათური მიზნის მიღწევის საშუალებაა.

თავის თანამგზავრ იზმენას რიუმინი აგზავნის უენოთა სექტაში. იზმენა აქ სექტის წევრი ხდება და ეზიარება ოქროს მოპოვების საიდუმლოებას. რიუმინმის მალმერთებელ იზმენას დაარღვევინა უსასტიკესი აღთქმა და მას ოქროს მოპოვების საიდუმლოება დააცდენინა. ახლა მიზანი მიღწეულია და იდუმალე-ბაშეცნობილი რიუმინი და იზმენა სვანეთიდან გამოიპარებიან. ლიახვის ხეობაში მათ მიეწევა რისხვა დედოფალ ალხაზირასი და ღვთაება დიადი მიწისა. ძლიერი აფეთქება მთებს ძრავს, უზარმაზარი წყლის მასა იწროებში იჭრება და ერთმანეთს ჩახვეული რიუმინი და იზმენა იხრჩობიან... იმავე წყლის მასამ პირისაგან მიწისა აღგავა გენერალ ველიამინოვის სამხედრო ბანაკი... მთები კვლავ დაეპატრონენ ოქროს მოპოვების იდუმალებას და ალხაზირას უტოპიური სამეფო არსებობას განაგრძობს.

მორ იოკაი სამართლიანადაა აღიარებული უნგრული პროზის კლასიკოსად. მისი ყველაზე ცნობილი რომანები („შავი ალმასი“, „ოქრო კაცი“, „უნგრული ნაბობი“, „ზოლტან კარპატი“ და სხვ.) მრავალგზის გამოვიდა უნგრულ და სხვა ენებზე. ბევრი მათგანი ეკრანიზებულია. იოკაისეული სიმართლე — მწერ-ლური სიმართლეა. დიახ, კავკასიის მდინარეთა მიმართულება „რიუმინში“ შეიძლება სინამდვილეს არ მისდევდეს. მაგრამ იოკაი დიდი გზნებითა და რომან-ტიკული ალტყინებით აღვიძებს მკითხველში სიყვარულს ზღაპრული მთიანი მხარისადმი, ამქვეყნიური სამოთხის რაინდული შემართების, სამართლიან, ბედ-ნიერ მკვიდრთადმი.

„რიუმინი“ არის რომანტიკული ლიტერატურული მოგზაურობა კავკასიის გულისკენ, ზღაპრული სვანეთისკენ და მკითხველს აღუძრავს ამ მხარის ცნობის წადილს და უნახაობის ერთგვარ სევდასაც².

XIX საუკუნის უნგრული ჟურნალები — პირველ რიგში, „სამშობლო და უცხოეთი“ — 1846 წლიდან მოყოლებული წლების მანძილზე აცნობდნენ თავიანთ მკითხველებს საქართველოს წარსულსა და აწმყოს ლიტერატურული ხასიათის სტატიებითა და ნარკვევებით.

სწორედ ამ წლებში გამოვიდა მორ იოკაის პატარა მოთხრობა — „სიკეელი ქალები“, რომელიც ცნობილმა ქართველმა მწერალმა ქალმა კეკე მელიქიშვილ-მა-მესხმა (1854—1928) თარგმნა ფრანგულიდან თავის მშობლიურ ენაზე. „სი-კეელი ქალები“ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა 1894 წლის აგვისტოში.

„...ჩერქეზები სულ ცხენით იყვნენ. იმათი ტანისამოსი, სახის გამომეტყვე-ლება და მიხვრა-მოხვრა აგონებდა კაცს დიდი ხნის წარსულ დროს.

როდესაც ჰუნებმა, ბედისაგან დევნილებმა, თავიანთი სამშობლო მიატოვეს, ისინი მთელი დედამიწის ზურგზე გაიფანტნენ ახალი სამშობლოს საძებნელად. ზოგნი შუაგულ აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ, ზოგნი კავკასიონის მიუწვდენელ მთებს მიეკედლნენ. ერთი გვაროვნობის ხალხი დაშორდნენ ერთმანეთს, თავის მეზობლებს ებრძოდნენ, გაძლიერდნენ და, როდესაც ათასი წლის შემდეგ ბედი მათ შეჰყრიდა, მტრულად უყურებდნენ და ველარ სცნობდნენ ერთმანეთს. მაგ-რამ მაინც რაღაც წინასწარ-გრძნობა აღელვებდა და აწუხებდა მათ და სიბრა-ლულით გულს უვსებდათ, მკლავები უსუსტდებოდათ და მიზეზი კი ვერ აეხ-სნათ.

ამ პატარა ჯარის უფროსი კავკასიის ერთი თავადთაგანი იყო. იმისი მშვე-ნიერი სახე მზისგან იყო დამწვარი, იმის ტუჩებს შავი კოკობი ულვაშები ამ-

² პ. რადო, უნგრული თხზულება საქართველოზე. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, 20. VI.

კობდა. თუ არ იმისი ტანისამოსი და ნაბადი, თორემ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ეს ნამდვილი უნგრელი არ იყო.

მაგრამ მათი ტანთ-საცმელი, რაც უნდა უცნობი ყოფილიყო, მაინც არ ეუცხოვებოდათ, თითქო აკვარი ტანისამოსი ხშირად ენახათ და ენათესავებოდათ კიდევ³.

ეს რომანტიკული ნაწყვეტი მორ იოკაის პატარა მოთხრობიდან „სიკეელი ქალები“ პირველად 1850 წელს დაიბეჭდა უნგრეთში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამ მოთხრობის ფრანგულ და ფინურ ენებზე თარგმნის შემდეგ, მესამე უცხოური ენა, რომელზეც ეს მოთხრობა ითარგმნა, ქართული იყო. სიკეური ხალხური ბალადების ხასიათი და სული სრულიად შენარჩუნებულია თარგმანში, რაც საყოველთაო ინტერესს იწვევს. განმათავისუფლებელი ბრძოლის წინა დღეებში ემიგრაციაში ყოფნის დროს იოკაიმ თავის ნაწარმოებებში ასახა იმ შემადრწუნებელი ვითარება, რაც მეფის რუსეთის ინტერვენციამ გამოიწვია უნგრეთში. ავსტრიის სამეფო სახლს (ჰაბსბურგებს) ტახტის გადარჩენის მიზნით მტრობის ნატამალიც კი აღარ ედო გულში უნგრელებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის მტრებისადმი უნგრელ მებრძოლთა ნებისყოფა პატივისცემის გრძნობას უფრო იწვევდა მათში და თავიანთი თავი თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრელი ხალხის ადგილას წარმოიდგინეს კიდევ.

რუსი ხალხი თავისუფლებისათვის მებრძოლ, რევოლუციური უნგრეთის მხარეზე იყო. ჩერნიშევსკი 1848 წელს თავის დღიურში თავის თავს „უნგრეთის მეგობარს“ უწოდებს. რუს ხალხთან ერთად თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრეთს ქართველი ინტელიგენცია, მთელი მშრომელი ქართველი ხალხი დიდად თანაუგრძნობდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი იოკაის ცხოველ დაინტერესებას უნგრეთისაგან კარგა შორს მცხოვრები ერისადმი. XIX საუკუნის მწერალმა ქალმა კეკე მელიქიშვილმა-მესხმა ყოველივე ეს ნათლად დაინახა და შეიგრძნო, როდესაც „სიკეელ ქალებს“ თარგმნიდა ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის. ამ პატარა მოთხრობამ დიდი პოპულარობა მოუტანა მორ იოკაის საქართველოში. ვარდა ამისა, რუსული და გერმანული ენებიდან იოკაის კიდევ მრავალი პატარა მოთხრობა ითარგმნა და დაიბეჭდა ქართული ყოველკვირეული ჟურნალებისა და ყოველდღიური გაზეთების ფურცლებზე.

აი, რას ვკითხულობთ გაზ. „ივერიაში“ (1893 წ., 2 დეკემბერი, № 261) მორ იოკაიზე: „იოკაის იშვიათის ნიჭის ღირსებაა ჯერ მდიდარი, ღრმა და ვრცელი, ფრთა-გაშლილი ფანტაზია. რომელმაც ამასთანავე ზომა და საზღვარიც იცის. ხოლო შემდეგ მშვენიერი. პოეტური ფორმა, მერე კიდევ — სასიამოვნო იუმორი. მისი იუმორი მოვაცონებთ ესპანის მე-XVI და XVII საუკუნის მწერალთა იუმორს“.

ცნობილი უნგრელი პოეტი იანოშ ორონი წერდა — იოკაი პირველი პროზაიკოსია, რომლისგანაც შეიძლება მშობლიური უნგრული ენა ვისწავლოთო. მართლაც. კითხულობთ იოკაის და გაოცებთ მისი განუმეორებელი პოეტური გამომსახველობის უნარი. ფერები და მეტყველების თავისებური მუსიკალობა. „იოკაის გაკრიტიკება შეუძლებელია, მისი ნაწარმოებებით შეიძლება მხოლოდ დასტკბეთ“. — აღნიშნავდა მისი ერთ-ერთი თანამედროვე.

საქართველოს დიდი თაყვანისმცემელი იყო ბერტალან ჩუდაკი. მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა მთიელთა ცხოვრება. იგი წერდა, რომ მთების დროიდან მომდინარე ქართველების პოეზია ძალზე მდიდარიაო.

„ივერიის“ 1903 წლის 233-ე ნომერში დაიბეჭდა ილია ჭყონიას მიერ ქართულად თარგმნილი XIX საუკუნის მეორე დიდი უნგრელი პოეტის იანოშ

³ კ. მელიქიშვილი-მესხი, სიკიულის ქალები, ჟურნ. „მოამბე“, 1894, № 8, გვ. 12.
5. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, № 1

ორონის ლექსი — „ოჰ, რამდენი დაეცა“, რომელშიც პოეტი დასტირის 1848-49 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლის დამარცხებას.

1901—1906 წლებში გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (სურათებიანი დამატება) ქართველ მკითხველს სთავაზობს კალმან მიქსათის მოთხრობებს.

ცნობილია, რომ საქართველოს რამდენჯერმე ეწვია დიდი მხატვრის მიხაი ზიჩის ნათესავი ევგენი ზიჩი. მის მიერ მოწყობილ ექსპედიციას, პირველ რიგში, სამეცნიერო მიზნები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, იმდროინდელ უნგრელ და უცხოელ მკითხველს უნგრულ და ფრანგულ ენებზე ჩინებულად გამოცემულ კრებულში გამოქვეყნებული მხატვრული მასალით ზოგადი წარმოდგენა მაინც შეექმნა ქართულ ლიტერატურაზე, აგრეთვე იმ ღრმა პატივისცემაზე, რომელსაც უნგრელები იჩენდნენ ქართველი ერისადმი.

იმავე ხანებში მორ დეჩი შვიდჯერ ეწვია საქართველოს, ძირითადად კი მის ჩრდილო ნაწილს. მისი წიგნები საქართველოს გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაზე, რომლებიც მრავალ ენაზე გამოვიდა, გამსჭვალულია ერთობ თბილი გრძნობებით. როგორც ევგენი ზიჩი, ასევე მორ დეჩი გარკვეულ ადგილს უთმობენ ქართულ მითოლოგიას, ზეპირსიტყვიერებას და მაღალ შეფასებას აძლევენ მათ. ზიჩის ექსპედიციის ცალკეული წევრები საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებულ თავიანთ შრომებში მრავალ საინტერესო საკითხს აშუქებენ, მაგრამ ამ შრომების ერთი ნაწილი მხოლოდ ხელნაწერთა სახით არის დაცული. ლაიონ სამდეცის მოგზაურობის დღიური, რომელიც სავსეა ქართული ძეგლების, ქალაქებისა და სოფლების ჩანახატებით, ფართოდ ასახავს იმდროინდელ ქართულ სინამდვილეს. ბელა პოშტა ღრმად აანალიზებს იმ ფაქტს, რომ ქართველმა ერმა შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ენა, სარწმუნოება, კულტურა. ბელა პოშტა კიცხავს მაშინდელ ქართველ არისტოკრატებს, რადგან იგი მხოლოდ წარსულზე წუწუნებს, ქვეყნის საუკეთესო ნაწილს გერმანელებსა და ფრანგებს უთმობს, ხოლო მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას ხელს არ ჰკიდებს.

მიხაი ზიჩის, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისა, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის უნგრულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში. 1889 წელს ცნობილმა უნგრელმა მწერალმა და მთარგმნელმა ბელა ვიკარმა (1859—1945) სოფელ ლახტში (ფინეთი) ინახულა მიხაი ზიჩი, ვინაც ურჩია და შთააგონა ბელა ვიკარს მშობლიურ ენაზე ეთარგმნა და თავისი ხალხისათვის გაეცნო რუსთაველის უკვდავი ქმნილება.

მიხაი ზიჩიმ ბელა ვიკარს გააცნო რუსთაველის პოემისათვის შესრულებული საკუთარი ილუსტრაციები. ამ საუბრის შესახებ თვით ბელა ვიკარი მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანის წინასიტყვაობაში: „ზიჩიმ ჩინებული წიგნი მაჩვენა, რომელიც იმხანად გამოსულიყო. წინ მედო ჩემთვის უცნობ ენაზე, უცხო ასოებით დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოები. ეს იყო XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა, ქართული წიგნი მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით... თარგმნე ეს წიგნი! — მითხრა მან. — დიდი მხატვრის შთამაგონებელი სიტყვები არ დამვიწყნია, — ხელი მოვკიდე ქართული ენის შესწავლას“⁴.

ბელა ვიკარი თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა: შეისწავლა ქართული ენა და, რაც უფრო ღრმად სწვდებოდა ნაწარმოებს, მით უფრო ეზრდებოდა თარგმნის სურვილი. „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანი მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით გამოვიდა ბუდაპეშტში 1917 წელს.

⁴ გ. ჩიმაკაძე, უნგრეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, „ლიტერატურული საქართველო“, 1964, გ. XI.

იმ ხანებში საქართველოში იზრდება ინტერესი და პატივისცემა უნგრეთისადმი. გაზეთი „ივერია“ 1880 წლიდან სისტემატურად უთმობს ადგილს საქართველოში ჩამოსული უნგრელი მეცნიერების საქმიანობას და მკითხველს ამცნობს, რომ უნგრეთიდან ჩამოსული ექსპედიციების მთავარი მიზანია ქართველთა და უნგრელთა ნათესაური ურთიერთობის გამოკვლევა. 1899 წელს „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა უდიდესი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფისადმი მიძღვნილი სტატიები, ხოლო 1894 წლის „ივერიაში“ — წერილები ლაიოშ კოშუტზე.

1836 წელს უნგრულ ენაზე თარგმნეს ძველი ქართული მწერლობის შედევრის — ბალავარიანის ნაწყვეტები.

1888 წელს უნგრეთში გამოქვეყნდა რეცენზია გერმანულ ენაზე გამოსული ქართული პოეზიის ანთოლოგიისა (მთარგმნელი — არტურ ლაისტი, 1852—1927); 1884 წელს ლაისტი ი. ჭავჭავაძის მოწვევით ერთი თვე იყო საქართველოში. გერმანიაში დაბრუნებულმა გამოსცა წიგნი — „საქართველო, ბუნება, ადამიან-წესები და მოსახლეობა“ (1885), რომელიც შემდეგ პოლონურ ენაზეც გამოიცა. 1885 წელს ლაისტი კვლავ ესტუმრა საქართველოს და ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას (გამოქვეყნდა დრეზდენსა და ლაიფციგში, 1890 წ.). 1887 წელს გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლო წლებში ქართველი მკითხველი გაეცნო მეტად საინტერესო უნგრული პოემის გადმოქართულებულ ვარიანტს სათაურით — „ნიკოლა ცრინი“. თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მწერალსა და მთარგმნელ ქალს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს (1849—1932), რომლის პირად არქივში დაცულ მისსავე ერთ-ერთ ხელნაწერში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 239) „ნიკოლა ცრინი“ გამოცემულ საკუთარ წიგნთა სიაში აქვს შეტანილი. გამოცემულია იგი 1884 წელს 80 გვერდზე და ამჟამად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა — ინახება ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

წიგნში არ არის დასახელებული ნაწარმოების ავტორი და არც თარგმანის წყაროა არსად მითითებული. მისი შინაარსის ვაცნობის შემდეგ აღარ გაქრულა დადგენა რომ ეს არის ცნობილი უნგრელი პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის, XVII საუკუნის უნგრული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის — მიკლოშ ზრინის (1620—1644) მონუმენტური ეპიკური პოემის — „სიგედის უბედურების“, როგორც უნგრეთში უწოდებენ „ზრინიადას“. ქართული პროზაული თარგმანი. სამწუხაროდ. თარგმანის ზუსტი წყარო ვერ დაედგინეთ. მხოლოდ ს. მინაშვილს (ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი, თბ., 1979, გვ. 153) აქვს ნახსენები ამ „მოთხრობის“ ფრანგულიდან გადმოქართულება.

როგორც აღვნიშნეთ, პოემა ცნობილია სათაურით — „სიგედის უბედურება“, ხოლო ქართულ თარგმანში გამოცემულია „ნიკოლა ცრინის“ სახელწოდებით. ეჭვი არ არის, რომ მთარგმნელმა სათაური ნაწარმოების შინაარსიდან აიღო — მისი გმირის მიკლოშ ზრინის მიხედვით რომელსაც ნიკოლა ზრინას სახელითაც იხსენიებენ, მაგრამ გვარი მაინც არაზუსტად არის ნათარგმნი — „ცრინის“ მაგივრად უნდა იყოს „ზრინი“.

ეპოსში მიკლოშ ზრინი (ავტორი) უმღერის თავის პაპას და თანამოსახელეს მიკლოშ ზრინის, რომელიც გმირულად დაეცა თურქებთან ბრძოლაში სეგედის ციხის დაცვის დროს 1566 წელს.

სეგედის ციხესთან ბრძოლაში თურქებმა დიდი დანაკლისის ფასად (იქ დაიღუპა სულთანი სულეიმან II) გაიმარჯვეს. ციხის ჩაბარების მიუხედავად, სეგედისათვის ბრძოლას უნგრელები საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევდნენ, რამდე-

ნადაც უნგრელთა პატარა გარნიზონმა განსაკუთრებული თავდადება და გზრობა გამოიჩინა, თურქთა დიდი ბანაკის წინააღმდეგ.

მსგავსი გმირული ბრძოლები თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ არც ქართველი ხალხის ისტორიაში ყოფილა იშვიათი. ამნაირად, საქართველოდან დაშორებული ქვეყნის ანალოგიური ბედის გაცნობა საინტერესო იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის. ეს გვაფიქრებინებს, რომ უნგრეთისა და საქართველოს წარსულის ურთიერთმსგავსებამ გამოიწვია ა. თუმანიშვილ-წერეთლის დაინტერესება ამ თხზულებით.

გვიანდელი ხანის ქართულ თარგმნისა თუ ორიგინალურ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ძალიან ხშირადაა მოხსენიებული უნგრეთი, დახასიათებულია მისი ეთნიკური შემადგენლობა. პოლიტიკური სისტემა, მდებარეობა, ენა, განათლება, კულტურა და სხვ. ძველ გეოგრაფებს კარგი ტრადიცია ჰქონდათ — ხალხის წარსულსაც არ ივიწყებდნენ. ერთ-ერთ გეოგრაფიულ წიგნში — „მსოფლიო ისტორია“, რომელიც ქართულად აღორძინების ხანაში შეიქმნა და ცალკე სათაურიც აქვს — „სამეფო უნგრიისა“, ანუ „ვენგერია“ (ავტორია ქართული კულტურის მოღვაწე ლევან ზაქარიას ძე ბატონიშვილი (1728—1763), ბაგრატიონი), უნგრელთა წინაპრად დასახელებულია იაფეტის შვილი ფანონა. ავტორს ქრისტემდე გადააქვს უნგრეთის ისტორია, ასახელებს მის გმირებს, მეფეებს...

მეფე გიორგი XII-ის უფროსი ძის, მწერლისა და მეცნიერის დავით გიორგის ძე ბატონიშვილის (1767—1819) თქმით „ვენგერნი არიან მამაცნი, გამბედავნი, ბრძოლასა შინა მიდრეკილნი, კარგ ჰასაკოვანნი და თავმოყვარენი“.

უნგრეთზე ლაპარაკია ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლისა და მეცნიერის გიორგი XII-ის შვილის — იოანე ბატონიშვილის (1768—1830) ენციკლოპედიური ხასიათის თხზულების „კალმასობის“ გეოგრაფიულ ნაწილშიც.

ამგვარად, უნგრეთს იცნობენ აღორძინების ხანის ქართველი მწერლები. მაგრამ კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა კი ამ ქვეყნებს შორის XVII საუკუნიდან იღებს სათავეს.

ამრიგად, უნგრელთა და ქართველთა მეგობრობის გაღრმავებას დიდად შეუწყობ ხელი გასული საუკუნეების ლიტერატურულმა ურთიერთობებმა, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა მე-20 საუკუნეში. ამ ორი ხალხისათვის დღითი დღე უფრო ახლობელი ხდება ერთმანეთის კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება.

ძ. რადოს სიტყვებით, „ქართული ლიტერატურის გაცნობა და მისი შესწავლა უნგრეთში იწყება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში და დავაგშირებულია ორი უნგრელი ენთუზიასტის სახელებთან, რომლებიც ფართოდ არიან ცნობილი საქართველოში... მხატვარ მიხაი ზიჩის (1827—1906) და მთარგმნელ-ეთნოგრაფ ბელა ვიკარის (1859—1945) სახელებთან“⁵.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის უნგრეთში შეიქმნა ნახევრად ფაშისტური რეჟიმი. ამ დროს იშვიათად თუ პოვებდა გამოხატულებას ქართველი ერთ დაინტერესება. პერიოდულ პრესაში მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე მცირე ზომის ნარკვევი. გამონაკლისს წარმოადგენს ახლახან გარდაცვლილი ანტიფაშისტი მწერლის — რეჟე სირმაის მიერ 20-იან წლებში გამოქვეყნებული დიდი მხატვრული ღირებულების მქონე დღიურები საქართველოში მოგზაურობის შესახებ, რომელიც დღეს იშვიათობას წარმოადგენს. მართალია, სირმაიმ მკაცრი ცენზურის გამო საგრძნობლად შეამცირა თავისი ნაწარმოები, მან მაინც შეძლო თავისი სიმპათიები გამოეხატა ქართველი ერისადმი.

⁵ გ. შარაძე, მასალები ბელა ვიკარის არქივიდან, თბ., 1981, გვ. 7.

ОБРАЗЦЫ ВЕНГЕРСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Рассмотрены заслуживающие внимания художественные произведения («Стихи одного грузинского князя» неизвестного автора, «Сегедское бедствие» Миклоша Зриньи; «Секейские женщины», «Рюмин» Мора Йокаи; «Последняя королева грузии» Кароя Сотмари и др.) из истории грузино-венгерских литературных взаимосвязей прошлого столетия, которые незаслуженно забыты и еще ждут своего всестороннего изучения, поскольку они и сегодня представляют большую ценность.

В грузинских периодических изданиях всегда с глубочайшей симпатией отзывались о венграх и о далекой Венгрии. Кроме научных и критико-библиографических статей, в газетах и журналах того времени также были представлены и отдельные издания, отразившие венгеро-грузинские литературные взаимосвязи. Литературные произведения многих известных венгерских писателей увидели свет на страницах значительных грузинских журналов и даже были успешно переведены на грузинский язык. Переводы некоторых образцов венгерской литературы, выполненные талантливыми литераторами большей частью с французского языка на грузинский язык, обогатили грузинскую литературу и, вместе с тем, внесли огромный вклад в дело сближения венгерского и грузинского народов.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაციისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

აჰმედ ის „ისქანდერ-ნამეს“ ტექსტის დასურათების
ერთი ასპექტი

ისლამური სამინიატურო ხელოვნების კვლევისას ერთი არსებითაგანი სიუჟეტური ტექსტების წარმოშობისა და მათი აგების საკითხია. ხომ ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ლიტერატურული ტექსტისთვის აუცილებელ თვისებად მიიჩნევენ დროის ციკლურ მოქმედებას დაქვემდებარებულ სიუჟეტებს. აქ ტექსტი გააზრებულია, როგორც უსასრულოდ გამეორებადი (საწყისისა და ბოლოს გარეშე) და ამდენად მყარი მოდელი, რაც მუდმივი აღდგენის, მუდმივი გახსენების გამო შემთხვევითი სულაც არ არის. სიუჟეტის წარმოშობის ეს საერთო მოდელი სხვადასხვაგვარია¹ და დამოკიდებულია პოპულარული თემებისა და ზეპირი ტრადიციით უკვე დამკვიდრებული სიუჟეტების გადამუშავებაზე. იმჟამინდელი მკითხველი ყოველ მოვლენას აღიქვამს. როგორც ინტიმურ-პირადს, ყოველ ისტორიულ ფაქტს მიაკუთვნებს ერთ გმირს, თხრობას ადვილად ანაცვლებს ერთი ადგილიდან მეორეში, რადგანაც მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის მოვლენა, რომელიც მის გონებაში მისთვის ჩვეულ (ეპიკურ-მითოსურსა თუ ზღაპრულ) განწყობილებას აღძრავს. ამდენად არც ავტორისთვის, არც მკითხველისთვის ერთგვაროვანი სიუჟეტების, იდენტური გმირების არსებობა უჩვეულოდ არ აღიქმება.

იგივე სახით ხელოვნებაზეც ითქმება — რადგან ისიც მითოსურ-რელიგიური და ისტორიული მონათხრობის გამოსახვას გულისხმობდა იმთავითვე. აქვე ისიც ნიშანდობლივია, შუა საუკუნეების მკითხველისათვის წიგნს განსაკუთრებული დატვირთვაც რომ აქვს. იგი მხოლოდ ინფორმაციის საშუალება როდია — მას მნიშვნელოვანი რელიგიურ-საკრალური, თითქმის მაგიური ფუნქციაც აკისრია², როგორც ჩაწერილი, აღბეჭდილი სიტყვის ზიმბოლოს (მით უმეტეს ისლამის სამყაროში, სადაც სიტყვის გრაფიკული გამოსახულება მხატვრული აზროვნების საფუძველს წარმოადგენს)³.

ამ რელიგიურ თუ მაგიურ ფუნქციას ისლამური სამყაროს სახვითი ხელოვნებაც ატარებს, განსაკუთრებით მინიატურა-ხელნაწერი წიგნის ეს განუყოფელი ნაწილი, მისი გრძნობისმიერი ფერადოვანი სამკაული.

ისლამურ სამინიატურო ხელოვნებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საუკუნეების განმავლობაში ამ, არსებითად მაინც პირობით-დეკორაციულმა ხელოვნებამ შეძლო, მეტად თავისებური სახვითი საშუალებებით შეექმნა სიუჟეტისა და სახეების გადმოცემის გარკვეულად განსაზღვრული ტრადიცია. ამ დიდი შემოქ-

¹ ტრანსფორმირებულია იმის და მიხედვით თუ რა არის დაფიქსირებული: «...там, где фиксируется принцип — развились законополагающие и нормирующие тексты, как сакрального, так и научного характера, а где фиксируется случай — исторические тексты хроники, летописи». Лотман Ю. М., Статьи по типологии культуры (мат. к курсу теории литературы, вып. 2), М., 1973, с. 2—41.

² Гуревич А. Я., Проблемы средневековой народной культуры, М., 1981, с. 19.

³ Роузентал Ф., Функциональное значение арабской графики, сб. ст. — Арабская средневековая культура и литература, М., 1978, с. 150.

მედების შესწავლა ცხადყოფს, რომ ყოველი მათგანის თავისთავადობა თითქოსდა შეგნებულად დაფარული და ძნელად გამოსაყოფია, მაგრამ უმცირესადეტალების ცვლილება, მხატვრული მახვილების გადანაცვლებაც საკმარისია, რათა ნებისმიერ მათგანს თავისი ინდივიდუალური ნიშნები წარმოუჩნდეს. სხვაობა მით უმეტეს საგრძნობია ისლამური ხელოვნების უზარმაზარი არეალის სხვადასხვა რეგიონში შექმნილ ნიმუშთა შორის.

XIV საუკუნის თურქი პოეტის თაჯ-ედ-დინ აჰმად იბრაჰიმ იბნ ჰიზირის ოსმალურ ლიტერატურაში მეტად პოპულარული „ისქანდერ-ნამეს“ დასურათებულ ხელნაწერთაგან ჩვენთვის, თუ სრულად არა, უმთავრესი და უმეტესი ნაწილია ცნობილი⁴. ამ დასურათებულ ნუსხათაგან ამჯერად ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისა და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ოთხ ნუსხას შევეხებით⁵.

1. Dorn-566 დასათაურებულია: **هڪ اسڪندر**, გადაწერის თარიღი — 968/1560-61 წ., გადაწერის ადგილი — ირანი, გადამწერი — ჰასან-ალი-ქათიბი (302 გვერდი). ზომა 32×21, გვერდზე 14 სტრიქონი, შავი მელანი, ნასთალიქი, 8 მინიატურა.

2. Dorn-565 — უსათაურო. აკლია დასთანები: ისქანდერის ლაშქრობა ჩინეთში, სამარყანდისა და ჰერათის მშენებლობა, ლაშქრობა ეგვიპტეში. მეფეთა სახელების ჩამოთვლისას ბევრი მათგანი გამოტოვებულია. გადაწერილია ჰერათის უფლისწულის დაკვეთით. გადამწერი — მირ ალი. გადაწერის ადგილი — ჰერათი, თარიღი — 929/1522-23 წ., 232 გვერდი, ზომა 24×15 სმ., ტექსტისა 16×8,5 (გვერდზე 12 სტრიქონი), 1^ა და 2^ა გვერდები ოქროთი და ფერადი საღებავებით არის შემკული, ნასთალიქი, ყოველ გვერდზე ბეჭედი, 11 მინიატურა.

3. B-277, სათაური — **ڪتاب اسڪندر**, ავტორი დასახელებულია. გადაწერის თარიღი — 948/154—42 წ., გადამწერი — მუჰამად ქათიბი, ადგილი — შირაზი, 259 გვერდი, ზომა — 24×14,5 სმ., გვერდზე 15 სტრიქონი, ნასთალიქი, შავი მელანი, 21 მინიატურა.

4. C-133. დასათაურებულია: **ڪتاب اسڪند ذو القرنين**, ავტორის ვინაობა მითითებულია თავშიც (გვ. 2ბ, 3ბ) და ბოლოშიც (გვ. 289ა). კოლოფანი არ ჩანს. გადაწერის ადგილი და დრო უცნობია, 289 გვ., ზომა — 25,5×16 სმ., ტექსტი-

⁴ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, Suppl. turc 634, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, von Franz Babinger, Leipzig, 1927, გვ. 410. კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: Add, 3542. ლონდონი, ბრიტანეთის მუზ.: Horl. 3973; Add 7980. The Chester Beatty Library, a Catalogue of the Turkish manuscripts and miniature by V. Minorsky, Dublin, 1958, გვ. 10, 38; ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა; Or, 8°965, Or, 4° 1271; ბრატისლავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: 466—TC 20, Arabische, Türkische und Persische handschriften der Universitätsbibliothek in Bratislava, 1961, გვ. 465. თურქი მკვლევარი ათილ ესინი (Turkish art of the Ottoman period. Washington, 1973, გვ. 155) აღნიშნავს, რომ ოსმალური პერიოდის უძველესი ილუსტრირებული ხელნაწერი, სწორედ აჰმედის „ისქანდერ-ნამეა“; 1416 წელს, ამასიაში შესრულებული მომდევნო პერიოდის ხელნაწერი 1501 წლითაა დათარიღებული, დაცულია სტამბოლში, თოფქათი-სარაის საცავში; H 679 (Atıl Esin, გვ. 163). ამ ორი ხელნაწერის მინიატურებს ი. შჩუკინიც ახსენებს, მაგრამ არ აქვეყნებს: I. Stchoukine, La Peinture Turque D'après Les manuscrits illustrés, I^{re} Partie, De Sulayman I^{er} à Osman II (1520—1622), Paris, Librairie Orientaliste Paul Geuthner, 1966, გვ. 106.

⁵ Dorn, Catalogue des manuscrits et xylographes orientaux de la Bibliothèque impériale de St. Peterburg. 1852, გვ. 566, 565; Д м и т р и е в а Л. В., Описание турецких рукописей института востоковедения, III, М., 1980, გვ. 35 C-133, B-277; Н у р и а х м е т о в А. Х., „Искандер-наме“ Ахмади в рукописных собраниях Ленинграда, крат. сообщ. Инст. Вост. № 69.

სა — 18,5×11 სმ., გვერდზე 15 სტრიქონი, გვიანი პაგინაცია, ძალზე უბრალო უნვანი (გვ. 1ბ), ნასხი, 40 მინიატურა (ბევრი მათგანი დაზიანებულია).

მასალის პირველივე მოხილვითაც ჩანს, რომ ამ ხელნაწერთაგან ორი დასურათებულია სპარსულ ყაიდაზე (Dorn-565, 566), ორგან კი ის ილუსტრაციები ჩნდება, რაც გარკვეული დროის (მე-16 ს.) თურქული ხელოვნების ნიშნუშებად შეიძლება ჩაითვალოს. მათი განხილვა, ამ მინიატურათა მხატვრულ-სტილური ანალიზი, მომავალში საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ როგორც სპარსული, ისე თურქული სამინიატურო ხელოვნების იქცემინდელი მხატვრული ტენდენცია. მანამ კი გასარკვევია ტექსტისა და მასში ჩართულ ილუსტრაციათა ურთიერთმიმართება: რამდენად შეესატყვისებოან ისინი ტექსტის სიუჟეტურ ქარგას და ტექსტისმიერ განწყობილებებს⁶. მასალის ამგვარი კვლევა გვიჩვენებს, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს შუა საუკუნეების მკითხველს მისთვის ნაცნობი და ახლობელი ლიტერატურული სიუჟეტებისადმი, აქედან კი მათი შესატყვისი ილუსტრაციებისადმი.

ამ კუთხით თურქულ ნუსხათა დასურათება ჯერაც არ არის შესწავლილი. არადა ამის გარეშე შეუძლებელი ხდება თურქული სამინიატურო ხელოვნების კვლევა — უფრო კონკრეტულად: იმ საერთო იკონოგრაფიული ტიპების დადგენა, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურულ სიუჟეტებს ასახვენ.

საკვლევი მასალა, მართალია, აჰმედის დასურათებულ „ისქანდერ-ნამეთა“ მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს, მაგრამ ეს ხელნაწერები ნაწილობრივ მაინც მოგვცემს საორიენტაციო სურათს: ჯერ ერთი, ხსენებული მასალა დღემდე გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია და, მეორე, ის ამ პერიოდს განეკუთვნება, როცა ოსმალურმა სამინიატურო ხელოვნებამ განვითარების მწვერვალს მიაღწია (ამას, თუნდაც, თურქული ისტორიულ-ქრონიკათა მრავალრიცხოვანი დასურათებული ხელნაწერები მეტყველებენ⁷, რომელთა წინამორბედს სწორედ აჰმედის „ისქანდერ-ნამე“ წარმოადგენს, როგორც ოსმალური ეპითაფიკური ლოზის პირველი ნიმუში და როგორც ყველაზე ადრეული ოსმალური დასურათებული ნაწარმოები)⁸.

აჰმედის „ისქანდერ-ნამეს“ სიუჟეტის სტრუქტურის შესწავლისას⁹ შევეცადეთ გამოგვეკვეთა მოცემული თემისადმი აჰმედის განსაკუთრებული დამოკიდებულება, კერძოდ, ისტორიულ-მითოსური პრინციპის წინ წამოწევის საკითხი. აჰმედის პოემაში მითი („ამბავი“) და შემთხვევა („სიბახლე“), ერთი მხრივ, ისქანდერის ლეგენდარული ისტორია, მეორე მხრივ კი, რეალური ისტორიული ქრონიკა, ერთმანეთშია გადახლართული; გმირის შინაგანი და გარემომ-

⁶ ირანული სამინიატურო ხელოვნების ამგვარი კვლევის აუცილებლობას საფუძველი დაუდეს ლ. გუზელიანისა და მ. დიაკონოვის ნაშრომებმა, რომლებშიც აღწერილი და შესწავლილია „შაჰ-ნამეს“ (ლენინგრადის საცავების ხელნაწერთა) სიუჟეტური მინიატურები (Иранские миниатюры в рукописях „Шах-наме“, Ленинградские собрания. Л., 1935). მსგავსი სამუშაო ჩატარდა მჩიგანის უნივერსიტეტში და შედგა „შაჰ-ნამეს“, ილუსტრაციათა „ინდექსი“, (Preliminary Index of Shah-namah illustrations. Compiled by I. Norgren, E. Davis, with an Introduction by O. Grabar, Ann Arbor, 1969). რაც შეეხება ნიჰამის პოემათა ილუსტრაციებს, ანალოგიური „ინდექსი“ შეადგინა ლ. დოდზულოვამ („Поэмы Низами в средневековой миниатюрной живописи“, М., 1985).

⁷ ეს იქნება „სულეიმან-ნამეები“, „შაჰინშაჰ-ნამეები“, „ჰუნერ-ნამეები“ თუ სხვ., The Turkish Contribution to Islamic arts., D. Mill, M. Quigley, G. Clarke, Ist., 1976. The Place of the Turkish miniature in Islamic art., by D. Filiz Cagman, გვ. 90—94.

⁸ Atil Esin, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

⁹ ნ. ფანცულაია, „ისქანდერ-ნამეს“ აჰმედისეული მხატვრული ტრანსკრიფციის საკითხისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 2, გვ. 120.

ცველი სამყარო გაიგივებულია და ამდენად მითოლოგიურ-ისტორიულ იმანენტურ მთლიანობას წარმოადგენს.

„ისქანდერ-ნამეს“ ამგვარი წაკითხვა ქმნის ისქანდერის — იდეალური მონარქისა და მხედართმთავრის — სახეს. ასეთადვე გვევლინება იგი პოემის დასურათებაშიც¹⁰. მხატვარ-მინიატურისტსაც მისი ცხოვრების პეროიკა, დრამატული მომენტები აინტერესებს, რაც, ცხადია, შუა საუკუნეების აუდიტორიის მოთხოვნილებებს შეესაბამება (გარდა პოემის ელიტარულობისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელნაწერი წიგნის დამკვეთი — სულთანია). ამდენად, „ისქანდერ-ნამეს“ ილუსტრაციებში სრულიად კანონზომიერია ე. წ. მონარქიული იკონოგრაფიის ფართოდ გამოყენება (ნადირობანი, ნადიმები სამეფო კარზე, გამარჯვებები ბრძოლებში), ანუ ე. წ. ლიტერატურული ვასფის თემატიკა. ამგვარი სიუჟეტები ერთნაირი დატვირთვის მქონეა როგორც ლიტერატურაში, ისე მის ამსახველ მინიატურაში და განპირობებულია ვასფის თემების აღწერითი ხასიათით¹¹. თუ, ერთი მხრივ, ეს დაკანონებული, ზოგადი თემებია (საერთო ყველა რაინდული თუ საკარო ნაწარმოებისათვის), მეორე მხრივ, — სრულიად კონკრეტული ეპიზოდებია, რომელნიც მთავარი სიუჟეტის გამოსახვას ემსახურებიან¹².

სიხშირის თვალსაზრისით ყველაზე უფრო, როგორც ჩანს, პოპულარული ვასფის თემაზე შექმნილი მინიატურები უნდა ყოფილიყო: ნადირობები, ნადიმები სასახლის კარზე, ბატალური სცენები¹³. რაც შეეხება ლირიკულ სიუჟეტებს, მოცემულ დასურათებაში იგი მხოლოდ ორჯერ გვხვდება (გულშაჰისა და ისქანდერის შეხვედრა)¹⁴. მათი სიმცირე პოემაში გმირული თემატიკის წინ წამოწევით უნდა აიხსნას. აჰმედის პოემის დასურათება ისტორიულ ქრონიკათა დასურათების პრინციპს იზიარებს, რაც პოემის აღნიშნული არსითაა ნაკარნახევი. სწორედ თემის ამგვარი გააზრება აახლოებს აჰმედის პოემის დასურათებას „შაჰ-ნამეს“ მინიატურებთან¹⁵. აქვე კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ოთხივე ნუსხაში ფირდოუსისეული ეპიზოდებისა და თურქული ისტორიული ქრონიკის ამსახველი სცენების სიმრავლე მხოლოდ მთარული სიუჟეტების ჩართვის შედეგი კი არ უნდა იყოს, არამედ, უფრო მეტად, პოემის წაკითხვა-გააზრებისა¹⁶. ვფიქრობთ, აქ დგება სამინიატურო ხელოვნების ნაზირეობის მეტად საინტერესო პრობლემა.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ შუა საუკუნეების მინიატურაში ხშირია ილუს-

¹⁰ აღსანიშნავია, რომ ისქანდერის, როგორც მოციქულის სახემ. ევრც ნიჰამის „ისქანდერ-ნამეს“ მინიატურებში პოვა ასახვა, მიუხედავად ნიჰამის ამგვარი მხატვრული გადაწყვეტისა. Л. Подхудоева, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

¹¹ ამ საკითხს ეხება ბერტელსი და აღნიშნავს, რომ მსგავს სცენებს პოემაში დეკორატიული ფუნქცია ენიჭებათ. Б е р т е л ь с Е. Э., Низами и Фузული. М., 1962, გვ. 240.

¹² დასურათების ცერემონიალურ სტილზე ფ. ჩაღმანიც საუბრობს და მიუთითებს, რომ ამ ტიპის მინიატურები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ოსმალური ხელოვნების კლასიკური პერიოდის ისტორიულ ქრონიკათა დასურათებაში (დასახ. ნაშრ., გვ. 92).

¹³ ნადირობა ლომებზე ინდოეთში (C-133, გვ. 84ბ); ნადირობა კეფხეებზე და შველებზე (C-133, გვ. 85ბ); (B-277, გვ. 98ა); ნადიმები (D o r n-566, გვ. 71ბ, 280ა; C-133, გვ. 9ა, 83ბ, B-277, გვ. 17ბ, C-133, გვ. 256ბ); ბატალური სცენები (ველურ ტომებთან: D o r n-566, 164ბ, D o r n-565, გვ. 177ბ, C-133, გვ. 121ბ, B-277, გვ. 127ბ, ზარაბბის წინააღმდეგ D o r n-565, გვ. 50ბ, C-133, გვ. 58ა, B-277, გვ. 60ა, დარიუსის ქართან — C-133, გვ. 33ბ, და სხვ.

¹⁴ ხელ. C-133, გვ. 58ა; B-277, გვ. 49ბ, 52ა.

¹⁵ ცნობილია, რომ „შაჰ-ნამეს“ ირანში დიდხანს გაიზარებდნენ არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ ისტორიულ ნაწარმოებადაც. Л. Гюзельян, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

¹⁶ ნ. ფ ა ნ ც უ ლ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

ტრადიციები. რომლებიც უშუალოდ ტექსტის პარალელურნი არ არიან; ისინი ასეთ შემთხვევაში იმდენად შორდებიან ტექსტობრივ თხრობას, რომ ტრადიციული სიუჟეტების გათვალისწინების გარეშე ძნელდება მათი გარჩევა¹⁷. თუმცა შესაბამისი ეპოქის აუდიტორიისათვის მათში არალოგიკური და უჩვეულო არაფერია. რადგან მან ჩინებულად იცის ხელნაწერი-წიგნის დასურათება რომ უეჭველად ტრადიციულ გამოსახვას მოითხოვს — თანხედრილია ფორმა და იდეა, რაც მკითხველს წაკითხულისა და ნანახის ერთდროულ აღქმას უადვილებს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია დროის ფაქტორი. დროის ცვლილებასთან ერთად იცვლება მკითხველის დამოკიდებულება სიუჟეტისადმი, რადგან ერთისა და იმავე პირველწყაროს მიხედვით შექმნილი სხვადასხვა ლიტერატურული ნაწიერე, ერთისა და იმავე თემის სხვადასხვაგვარ წაკითხვას სთავაზობს მკითხველს — ეს კი შესაბამისად ცვლის მისი გამოსახვის პრინციპსაც. სხვადასხვა დროის სხვადასხვა იდეურ-მხატვრული გადაწყვეტა გვაძლევს განსხვავებულ მხატვრულ სახეებს, თუმცა ყოველი მათგანი თავისთავად თავისი არქეტიპის განზოგადებულ სიმბოლოს წარმოადგენს და აუცილებელია, რათა მკითხველი „ამაღლოს“. მიუხალოს განყენებულ, მიუწვდომელ პირველხატს. მსგავს გნოსეოლოგიურ ფუნქციას ატარებს ლიტერატურულ სახეთა ამსახველი მინიატურაც. მინიატურის პერსონაჟები ექვემდებარებიან მთავარ სიუჟეტს, მოქცეულნი არიან ერთ უდროო სივრცეში, სადაც გმირის ცხოვრების პირობითად მთავარი, საკვანძო სცენები, ანუ თხრობის ძირითადი მოქმედება, არის ასახული. მინიატურა-ნაწიერესათვის ნიშანდობლივია ერთისა და იმავე სიუჟეტის ასახვა, შეძლებისდაგვარად, პირველსახისადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვა. სწორედ ამგვარ თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს აჰმედის პოემის დასურათების სახელოვე „შაჰ-ნამეს“ სიუჟეტურ მინიატურებთან. ანუ ისქანდერის მეფობის ასახვის აჰმედისეულ მხატვრულ გადაწყვეტასთან.

თუჩქულ „ისქანდერ-ნამეს“ მაგალითზე განსაკუთრებულად პოპულარული სიუჟეტების წარმოსაჩენად, მათი დასურათების საერთო პრინციპის გასააზრებლად აუცილებელი შეიქმნა განსახილველ ნუსხებში დაცულ მინიატურათა ზუსტი სიის შედგენა. ეს სია ასე წარმოგიდგება¹⁸:

1. ფაილაქუსი სამეფო ტახტზე (ხელ. B—277, გვ. 17ბ; C—133, გვ. 9ა);
2. დარიუსის მიერ მაკედონიის მმართველის დასჯა (B—277, გვ. 71ბ);
3. ისქანდერის გამეფება (Dorn—566, გვ. 71ბ);
4. ისქანდერი ესაუბრება ოთხ ფილოსოფოსს (C—133, გვ. 12ა, წარწერები:

اساطون سقراط اسکندر ارسطو);

5. დარას ელჩი ისქანდერის წინაშე (Dorn—565, გვ. 33ბ; C—133, გვ. 28ბ), მინიატურა დაზიანებულია. მოჩანს მამლის გამოსახულება (B—277, გვ. 36ა. ესეც დაზიანებულია).

6. ისქანდერისა და დარას ჯარების ბრძოლა (C—133, გვ. 33ბ);
7. დარას მოღალატეებრივი სიკვდილი (B—277, გვ. 43ა);
8. დარას მოღალატეების (ორი) დასჯა (C—133, გვ. 35ბ);
9. ბრძოლა ზარაზბის წინააღმდეგ (Dorn—565, გვ. 50; B—277, გვ. 60ა), სისტანის ალყა (C—133, გვ. 52ბ);

¹⁷ ლ. დოდხუდოვა თავის წიგნში მოკლედ საუბრობს ამ პრობლემაზე და მიუთითებს, რომ პირველად მინიატურა-ნაწიერეს საკითხი ო. გალერკინამ დააყენა. Рукопись соч. Навои 1521—22 г. из собр. ГПБ им. М. Е. Салтыкова-Щедрина в Ленинграде (К вопросу о средне-азиатской школе миниатюр, „Труды АН Тадж. ССР“, т. 12, Сталинабад, 1958, გვ. 75—80).

¹⁸ სიუჟეტები დალაგებულია პოემის ტექსტის აზრობრივი თანმიმდევრობით.

10. ზარაზბის ასულ გულშაპისა და ისქანდერის შეხვედრა (C—133, გვ. 58ა; B—277, გვ. 49ბ);
11. ისქანდერს აჩვენებენ გულშაპის პორტრეტს (B—277, გვ. 52ა. სახის ნაკვთები ხელახლაა ჩახატული);
12. ბრძოლა ინდოთ-მეფე სარანგუნთან (Dorn—566, გვ. 87ა);
13. ისქანდერისა და ქეიდის ელჩები (C—133, გვ. 64ბ);
14. ისქანდერისა და ინდოელი ფურის ორთაბრძოლა (C—133, გვ. 98ბ; B—277, გვ. 103ა — თავის მოკვეთის სცენა);
15. კუნძული რამინი (C—133, გვ. 100ბ);
16. შეხვედრა ჩინეთის ხაკანთან (Dorn—566, გვ. 133ა; B—277, გვ. 127ბ);
17. ბრძოლა ქაშპირის მბრძანებელთან (C—133, გვ. 119ბ);
18. ბრძოლა ველურ ტომებთან (Dorn—566, გვ. 154ბ; Dorn—565, გვ. 117ბ; C—133, გვ. 121ბ; B—277, გვ. 127ბ);
19. კედლის მშენებლობა მაჯუჯებისა და მაჯუჯებისაგან ხალხის დასაცავად (Dorn—565, გვ. 108ა; B—277, გვ. 135ბ);
20. ბრძოლა დარუბანდში რუსების წინააღმდეგ (B—277, გვ. 141ა);
21. ისქანდერი ელჩად წარსდგება კაიდაფას წინაშე (Dorn—565, გვ. 138ა; C—133, გვ. 150ბ);
22. კაიდაფას ვაჟის კანდრუშის დასჯა (C—133, გვ. 147ბ);
23. ისქანდერი ხომალდით მიემგზავრება (C—133, გვ. 157ბ; B—277, გვ. 165ა);
24. ისქანდერისა და ურჩხულის ორთაბრძოლა (C—133, გვ. 93ბ; B—277, გვ. 107ა);
25. ღვთისგან დევნილი ხალხი (სახელად ადი) (C—133, გვ. 268ა);
26. ქალაქ ფარაინის ალყა (C—133, გვ. 146ბ);
27. ლხინი სასახლეში (Dorn—566, გვ. 280ა; C—133, გვ. 83ბ);
28. ნადირობა ღომებზე ინდოეთში (C—133, გვ. 84ბ);
29. ნადირობა ვეფხეებზე და შველებზე (C—133, გვ. 85ბ; B—277, გვ. 98ა; B—277, გვ. 248ა);
30. ისქანდერი ესაუბრება განდევილს (განდევლის სახე წაშლილია) (C—133, გვ. 264ბ);
31. ისქანდერი და ბრძენკაცი (C—133, გვ. 67ბ, 74ა);
32. სამყაროს აგებულების მოდელი (C—133, გვ. 75ბ);
33. ისქანდერი მიემგზავრება ბნელეთის ქვეყანაში (C—133, გვ. 278ა; B—277, გვ. 250);
34. წინასწარმეტყველი ხიზრი პოულობს უკვდავების წყალს (C—133, გვ. 284ა);
35. ისქანდერის დატირება (C—133, გვ. 284ა);
36. როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა (Dorn—565, გვ. 172ბ; Dorn—566, გვ. 212ბ; C—133, გვ. 184ბ; B—227, გვ. 193ა);
37. ქაიუმარსი თავის ამალით (Dorn—566, გვ. 189; Dorn—565, გვ. 150ბ);
38. მუჰამედის ამაღლება (Dorn—566, გვ. 234ა);
39. აყვავებული ქალაქი (Dorn—565, გვ. 125ბ);
40. ისქანდერი ებრძვის ბოროტ სულებს (C—133, გვ. 130ბ);
41. ქეი-ქავურის ცაში აფრენა (Dorn—565, გვ. 171ბ);
42. ზოჰაქი და იბლისი (C—133, გვ. 168ბ; B—277, გვ. 176ა);
43. ანგელოსი აფრთხობს ბოროტ სულს (C—133, გვ. 131ბ);
44. სიავუშის წინასწარმეტყველური სიზმარი (C—133, გვ. 176ა);
45. აშრაფი და მისი ასული (C—133, გვ. 249ა);

46. ფადიშაჰ ორჰანი ტახტზე (C—133, გვ. 249ა);
47. სულთან მურადი ქრისტიანებთან (C—133, გვ. 253ა);
48. სულთან სულეიმანი ტახტზე (C—133, გვ. 256ბ);
49. შირიუიეს მიერ ხოსროვ ფარვიზის მკვლელობა (B—277, გვ. 220ა).

ამრიგად, ხელნაწერი Dorn—566-ის 8 მინიატურიდან 3 მინიატურა საერთოა ხელნაწერ Dorn—565-თან: 1. ველურ ტომებთან ბრძოლა, 2. ქაიუმარსის ამაღლა, 3. როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა. B—277-თანაც — 3 მინიატურა: 1. ისქანდერისა და ჩინეთის ხაკანი, 2. ბრძოლა ველურ ტომებთან, 3. როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა. ხელნაწერ C—133-თან საერთოა 2 მინიატურა: 1. ბრძოლა ველურ ტომებთან, 2. როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა. ამ ნუსხაში მხოლოდ 2 მინიატურაა საკუთრივ მისი (ანუ მხოლოდ ორი არ გვხვდება ღანარჩენ სამ ხელნაწერში): 1. ბრძოლა ინდოთ-მეფე სარანგუნთან, 2. მუჰამედის ამაღლება.

ხელნაწერი Dorn—565-ის თერთმეტი მინიატურიდან 5 მინიატურა საერთოა ხელნაწერ B—277-თან: 1. დარას ელჩი ისქანდერთან, 2. ბრძოლა ზარაზბის წინააღმდეგ, 3. კედლის მშენებლობა, 4. როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა, 5. ბრძოლა ველური ტომების წინააღმდეგ. ხელნაწერ C—133-თან საერთოა 6 მინიატურა: 1. ისქანდერი და ფილოსოფოსი, 2. დარას ელჩი ისქანდერთან, 3. ბრძოლა ზარაზბის წინააღმდეგ, 4. ისქანდერი ელჩად ევლინება კაიდაფას, 5. როსთამის და ისფანდიარის ორთაბრძოლა, 6. ველურ ტომებთან ბრძოლა. ამ ხელნაწერში მხოლოდ 2 მინიატურაა საკუთრივ მისი: 1. აყვავებული ქალაქი, 2. ქეი-ქაეუსის კად აფრენა.

B—277-ის 21 მინიატურიდან C—133 ხელნაწერთან საერთოა 12 სიუჟეტი: 1. ფაილაკუსის ამაღლა, 2. დარას ელჩი ისქანდერთან, 3. ბრძოლა ზარაზბთან, 4. გულშაჰის და ისქანდერის პაემანი, 5. ბრძოლა ფურის წინააღმდეგ, 6. ბრძოლა ველურ ტომებთან, 7. გამგზავრება ხომალდით, 8. ისქანდერისა და ურჩხულის ორთაბრძოლა, 9. ნადირობის სცენა, 10. ბნელეთის ქვეყნის მოხილვა, 11. როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა, 12. ზოჰაქისა და იბლისის ამბავი. მხოლოდ 4 სიუჟეტია საკუთრივ მისი: 1. დარას მოღალატეობრივი მკვლელობა, 2. ბრძოლა რუსთა ქართან, 3. დარას მიერ მაკედონელი მმართველის დასჯა, 4. ისქანდერს უჩვენებენ გულშაჰის პორტრეტს. და ბოლოს, ხელნაწერ C—133-ს 40 მინიატურიდან 18 სიუჟეტი აქვს განსხვავებული: 1. ისქანდერისა და დარას ჯარების ბრძოლა, 2. დარას მოღალატეთა დასჯა, 3. ქეიდის ელჩები, 4. კუნძულ რამინიზე, 5. ბრძოლა ქაშმირის ბრძანებელთან, 6. ღვთისგან დაწყევლილი ხალხი, 7. ფარაინის ალყა, 8. ისქანდერი და განდევილი, 9. ისქანდერი ესაუბრება ბრძენკაცს, 10. სამყაროს აგებულების მოდელი, 11. ხიზრი პოულობს უკვდავების წყალს, 12. ისქანდერის დატირება, 13. ანგელოსი და ბოროტი სული, 13. სიავუშის სიზმარი, 15. აშრაფი და მისი ასული, 16. სულთან ორჰანი, 17. სულთან მურადი ქრისტიანებთან, 18. სულთან სულეიმან ტახტზე.

ე. ი. ოთხივე ნუსხაში ასახული ორმოცდარვა სიუჟეტთაგან ოცდაერთი სხვადასხვაგვარად მეორდება სხვადასხვა ნუსხაში, ოცდაშვიდი სიუჟეტი კი თითოჯერ აისახება (აქედან უმეტესი ნაწილი ხელნაწერ C—133-შია თავმოყრილი).

აღნიშნული სიუჟეტების ნიჰამის დასურათებულ ხელნაწერთა „ინდექს-თან“¹⁹ შედარებისას ნათლად გამოიკვეთა ნიჰამისეული სიუჟეტების არა მექანიკურად გადმოტანის, არა ინოვაციის, არამედ სწორედ აჰმედის პოემის სიუჟეტების ასახვის მისწრაფება: საგულისხმოა, რომ ნიჰამის პოემის ყველაზე

¹⁹ Л. Додхудоева, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 235—287.

პოპულარული სიუჟეტები (ანუ ირანულ სამინიატურო მხატვრობაში — ნიზამის დასურათებულ ნუსხებში ყველაზე ხშირი) ჩვენს ნუსხებში ნაკლებად აისახება. აღნიშნულ „ინდექსთან“ მათი შედარება ავლენს 19 საერთო სიუჟეტს — აქედან ძირითადად ან ისქანდერის ცხოვრების საკვანძო ეპიზოდებია, ან ნეიტრალური თემატიკა. ჩვენს დასურათებაში არ გვხვდება „ისქანდერ-ნამეთა“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სცენა — ისქანდერი და მომაკვდავი ღარა, მაშინ, როცა ეს მინიატურა „შაჰ-ნამეს“ თითქმის ყველა ხელნაწერშია დადასტურებული²⁰. არ გვხვდება არც ისეთი გავრცელებული ნიზამისეული სიუჟეტების მინიატურები, როგორიცაა — ფაილაკუსის მიერ ისქანდერის პოვნა, ისქანდერი და სირინოზები, ისქანდერის ქორწინება, ალმასის მთების ეპიზოდი, ბრძოლა ზინჯებთან, ისქანდერი და მწყემსი, ანუ ის სიუჟეტები, რომელთაც აჰმედის პოემაში ვერ პოვეს ასახვა.

ჩვენი ნუსხების „შაჰ-ნამეს“ დასურათებულ ხელნაწერთა მინიატურებთან შედარებამ კი ცხადყო, რომ ფირდოუსის სიუჟეტებიდან აქ ყველაზე პოპულარულია როსთამისა და ისფანდიარის ორთაბრძოლა, ქეი-ქავუსის ცაში აფრენა, ზოჰაქისა და ბელიის ეპიზოდი, ქაიუმარსის ამაღლა, ფარვიზის მკვლელობა. სიაყუშის სიზმარი (უნდა ითქვას, რომ ბოლო ორი ეპიზოდი და ზოჰაქის ამბავი თავად „შაჰ-ნამეს“ დასურათებაშიც არ გვხვდება).

პოემის სუფიურ-ფილოსოფიური მხარე მოცემულ ნუსხებში ისევე, როგორც ნიზამის ხელნაწერთა მინიატურებში, ნაკლებად (ან თითქმის არ) აისახება. ამის მიზეზი ზემოთ აღნიშნული მინიატურის აგების მთავარი პრინციპი უნდა იყოს: გამოისახოს დაკანონებული სიუჟეტი. განსაზღვრული იკონოგრაფიითა და შემუშავებული კომპოზიციური სქემებით. ასეთი კი ის სიუჟეტებია, სადაც მეტი მოქმედებაა.

პირველი ორი ხელნაწერის დასურათებაშიც ძირითადად ტრადიციული თემატიკა ბატონობს. ეს ხელნაწერები მინიატურათა მცირერიცხოვნებით გამოირჩევა, რაც, ცხადია, სიუჟეტთა არჩევაში ოსტატის შეზღუდულობასა და ხელნაწერის ყველაზე მეტად პოპულარული მინიატურებით დასურათებას განაპირობებს. აქ ვერ ვხვდებით თემატიკის განვითარების მცირე მკვლელობასაც კი. ამიტომაც ნუსხათა შემსრულებელ ოსტატთა ეროვნული ტენდენცია ირანულია. მათთვის მთავარია აჰმედის პოემის სიახლოვე ფირდოუსის პოემასთან. ხელნაწერებს მოკლედ და ზედაპირულად, უმეტესად ზოგადად, „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდებით დასურათებენ და არა საკუთრივ ისქანდერ-ნამეს სიუჟეტებით. ოსტატთა ირანულ ორიენტაციაზე ნუსხათა შესრულების (დამზადების) ადგილიც მიუთითებს (ხელნაწერები ხომ ირანშია შესრულებული, რაც მინიატურათა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, დახვეწილი, თითქმის განათიფებული ტექნიკითაც ჩანს). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დასურათება ხელნაწერი წიგნის სამკაული უფროა, ვიდრე ილუსტრაცია, პოემის ძირითადი იდეური თვალსაზრისი ზოგადად მაინც შენარჩუნებულია (ოსტატები „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდებით ავრცობენ მასალას და არა ნიზამისეულით. თუმცა მათთვის ერთნაირად ახლობელია ორივე მათგანი.

სულ სხვაგვარი სურათია B—277-ის მინიატურათა აგებაში. ოსტატი მეტად უახლოვდება პოემის ტექსტს და თავს არიდებს ნეიტრალური თემების გამოყენებას. არჩევს ისქანდერის ცხოვრების თითქმის ყველა ძირითად მომენტს, ცდილობს დააკონკრეტოს ილუსტრაციებში გადმოცემული მოქმედება. სიუჟეტის ამგვარი არჩევა აშკარად ავლენს ოსტატის თურქულ ორიენტაციას. მისთვის მნიშვნელოვანია კავშირი აჰმედის პოემის სიუჟეტურ ქარგასთან (ისქან-

²⁰ Гюзельян, М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 1—122.

დერის და გულშაპის პაემანი, ისქანდერის ხომალდით გამგზავრება, ბნელეთის ქვეყნის მოხილვა და სხვ.). წინა ორ ნუსხასთან შედარებით, სიუჟეტის შერჩევის თვალსაზრისით, ამ ხელნაწერის ოსტატი ორიგინალურადაც კი შეიძლება ჩაითვალოს (მაგ., დარას მიერ მაკედონიის მმართველის დასჯის სცენა. მსგავსა რამ არც ერთ ხელნაწერში არ შეგვხვედრია, არც ნიჰამისთან და არც „შაჰ-ნამეში“). ჩვენს ოსტატს კონკრეტული ამოცანა დაუსახავს: შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახოს აჰმედის პოემის სიუჟეტური თხრობა. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოს განხილულ ნუსხათაგან ბოლო წარმოადგენს (C—133). ეს ნუსხა მინიატურათა სიმრავლით თავიდანვე იქცევს ყურადღებას: მათი რაოდენობა ორმოცს აღწევს. საილუსტრაციოდ გამოყოფილია როგორც უმთავრესი, საკვანძო ეპიზოდები, ისე „შაჰ-ნამედან“ ჩართული და სცენები ოსმალეთის სულთნების მეფობისა. დაცულია (თუ არ ჩავთვლით „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდებს) პოემის სიუჟეტური თანამიმდევრობა. ლოგიკურად დაცულია ისქანდერის ასაკი (ცხოვრების ადრეულ პერიოდში უწყვერული ყმაწვილია. შემდეგ კი წვერ-ულვაშით გამოსახული). ოსტატი კარგად იცნობს დასასურათებელ მასალას: მაგ., ისქანდერი ესაუბრება ოთხ ფილოსოფოსს (სურ. 1) და არა ტრა-



სურ. 1

დიციულად მიღებულ შეიღს (აჰმედი, ხომ ნიჰამის შეიღი ფილოსოფოსისაგან მხოლოდ ოთხს ირჩევს — არისტოტელეს, ჰიპოკრატეს, პლატონსა და სოკრატეს). ეს იმთავითვე ჩანს, ლეგენდარული პერსონაჟებისა და რელიგიურ-ისტორიულ პირთა სამოსიც რომ განსხვავებულია განზრახ, რათა ერთი შეხედვით გასარჩევი იყოს მნახველისთვის (თურქ სულთნებს თავთ მაღალი თავსაბურავები ხურავთ, ისქანდერსა და მის ამაღლას კი — სპარსული მინიატურისთვის ტიპური. სახასიათოა ფილოსოფოსთა ტანისამოსიც: თეთრი ჩალმები და მუქი ფერის ხირკები. ასეთივე მუქი და სადა სამოსი მოსავთ განდევილს და ბრძენკაცს, რომლებსაც კუნძულის მოხილვისას ხვდება ისქანდერი). აღნიშნულ ხელნაწერში როსთამი ტრადიციული ატრიბუტის — ვეფხისთავიანი ჩაფხუტის

გარეშეა გამოსახული, რაც ირანულ სამინიატურო ხელოვნებაში ძალზე იშვიათია მე-16 საუკუნემდე²¹ (ამ ეპიზოდში ასახული ამბავი თვით გმირების მოქმედებით ამოიცილობა — ისფანდიარის თვალში გაყრილი ისრით) (სურ. 2).

ოსტატი ცდილობს მიაწინოს პერსონაჟთა ეროვნული თავისებურება: ოსმალთა სულთნების, ქრისტიანთა, განდეგილის (ქრისტიანული ტაძრით). ამ ამოცანას ზოგან სამოსით, ზოგან ორნამენტული ელემენტის საშუალებით წყვეტს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტიპაჟის ინდივიდუალიზაციის ნიშნებსაც ამჟღავნებს. ხიზრის ეპიზოდში ოსტატი საზოგადოებას ამახვილებს მის წმინდან-



სურ. 2

ბას (ხაზგასმულია წინასწარმეტყველის ატრიბუტი — შარავანდი). ამ ილუსტრაციაში ისქანდერის ფიგურა მეორეხარისხოვანია (ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც იგი კომპოზიციის ცენტრალურ არეს არ იკავებს), ეპიზოდის

²¹ Л. Гюзельян, М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

მთავარი პერსონაჟი უკვდავების წყაროსთან დაბრძოლი ხიზრია, რაც, ვფიქრობთ, სიუჟეტის გააზრების მაჩვენებელია (ხიზრი ადვილად პოულობს უკვდავების წყალს, ერთადერთს, რაც ისქანდერისთვისაც კი მიუწვდომელია). ილუსტრაციაში ეს აზრი ცხენტა ფერებითაც არის გამახვილებული: ხიზრის ცხენი გამორჩეულად თეთრია, ისქანდერისა კი შავი (სურ. 3). საინტერესოაა გააზრებული



სურ. 3

უკვდავების წყლის საძებნელად (ბნელეთის ქვეყანაში) გამგზავრების სცენაც. აქ ისქანდერი სურათზე გამოსახული ერთადერთი ფიგურაა, ანუ მართლაც ფატალური წინასწარმეტყველების წინაშე (უკვდავების ამაოდ მაძიებელი უცნობის საფლავთან). პორტრეტების ცდას სხვა შემთხვევებშიც ვხვდებით (მაგალითად, იმ მინიატურაში, სადაც ურჩხულთან და ლომებთან მებრძოლი ისქან-

დერია შთამბეჭდავად შესრულებული). აქვე პერსონაჟთა ტიპიზაციის მრავალი ნიუანსიც ვლინდება, რაც საბოლოოდ იმას უნდა ნიშნავდეს — ამ ნუსხის დამსურათებელი გაცილებით მეტად რომ უახლოვდება ტექსტს, ვიდრე იმ სამი ზელნაწერისა, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. აქ, უკვე უტყუარად, ის შემთხვევაა, როცა დამსურათებელ-ოსტატს გარკვეულად გააზრებული აქვს პოემის შინაარსი და, ამდენად, გასაკვირი როდია მისი მინიატურები პოემის იდეური შინაარსით იყოს მეტ-ნაკლებად დატვირთული. ამგვარმა მსჯელობამ, ალბათ, ამ მინიატურათა თურქული წარმომავლობაც უნდა გვაფიქრებინოს. იმავეს მუსლიმანური ხელოვნების მკვლევარი ბორის დენიკეც ვარაუდობდა, რომელმაც მცირე კომენტარით გამოაქვეყნა ამ ნუსხის ერთი მინიატურა²². და მართლაც, ამ მინიატურათა ზოგადი სახე მხოლოდ იმიტომ კი არაა, რომ ირანულ-საგან განსხვავებულ სურათს წარმოქმნის, არამედ იმ ნიუანსისმიერ თავისებურებებსაც გვიაშკარავებს, რომლითაც ისინი ხელოვნების ამ დარგის ოსმალურა ყაიდის ნიმუშებს შეგვახსენებენ. ამ თავისებურებათა კვლევა, ბუნებრივია, მინიატურათა მხატვრულ-სტილურ ანალიზს მოითხოვს — მდიდარი პარალელური მასალის მოშველიებით. ახლა კი იმ დამახასიათებელს აღვნიშნავთ მხოლოდ (ზოგადად, რალა თქმა უნდა), რამაც დასურათებათა ამ რიგის თურქული წარმომავლობა უნდა განგვიმტკიცოს²³.

ეს მინიატურები, ერთი შეხედვით მხოლოდ — მინიატურათა დეკორაციული ფუნქციის შეგრძნების მხრივ, მართალია, ირანულის ანალოგიურია (ე. ი. რეალობისა და პირობით-დეკორაციულის ის შეხამებაა, რაც ირანულ მინიატურას ახასიათებს), მაგრამ შემდეგ, დაკვირვებისას ჩანს, რომ აქ არც წმინდა ირანული ხასიათის სტილიზაციაა, არც ფიგურათა სილუეტის სიფაქიზე, არც უკიდურესად დახვეწილ ორნამენტულ ხაზთა განსაკუთრებული შეგრძნება და არც ფორმის ის დასრულებულობა, რაც ამავე დროის, XVI საუკუნის ირანულ მინიატურათა ნიმუშების მსგავსად სავსებით გამორიცხავს ცხოველხატულის, როგორც დეკორატიულის, საწინააღმდეგო ცნებას.

ეს ზოგადად მხოლოდ. უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ისიც გამოჩნდება, ზელნაწერის დამსურათებელი ყველგან თავს რომ არიდებს მკაცრ სიმეტრიულობას, კომპოზიციური ფრთების მკაცრ წონასწორობას და, რაც მთავარია, სამინიატურო სიბრტყის თანაბარ (იქნებ მონოტონურ) დატვირთვას; ზხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ არ ჩანს ის ხალიჩისებურობა, რაც დამახასიათებელია ირანული სამინიატურო შემოქმედების ნებისმიერი ნიმუშისათვის. ამის სანაცვლოდ ჩვენი ნუსხის დასურათებაში თავად ფიგურა, თვით მინიატურაში მოქმედი პერსონაჟია გამორჩეული (არა მხოლოდ მასშტაბური ზომებით, არამედ მოქმედების წინა ხედზე გაშლითაც). ეს იმას ნიშნავს, რომ ხალიჩისებურობის საპირისპიროდ ჩვენი ოსტატი უფრო მეტად სურათოვან ხედვას ირჩევს. ირანულ მინიატურათა ამავე პერიოდის ნიმუშებში კომპოზიციის რიტმული აგება და მისი საერთო ორნამენტულ-დეკორაციული ხასიათი ვლინდება ძირითადად. აქ კი კომპოზიციურ სქემათა უმრავლესობა უფრო მეტად მაინც დასრულებულ, თავის თავში ჩაკეტილ ერთეულად იკითხება, სადაც შედარებით ხალვათად, შესამჩნევი ინტერვალით განლაგებული ფიგურები ნაკლებად ტვირთავენ სასურათო არეს.

²² Б. Д е н и к е, Искусство Востока, Казань, 1923, გვ. 154, ტაბ. VIII.

²³ თურქული მინიატურა, არაბულისა და ირანულისაგან განსხვავებით, არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. ამ საგნის კვლევის სირთულე ქვეყნის ისტორიული თავისებურებით აიხსნება. ისლამურ სამყაროში თურქული სახვითი ხელოვნება ყველაზე მეტად არის ნაზიარევი სხვადასხვაგვარ კულტურულ დანათესაებებს (საკუთრივ ისლამურის გარდა, ელინურსა და რომაულს, ბიზანტიურს — გვიან პერიოდში კი დასავლეთ რენესანსულს).

უნდა ითქვას ისიც, რომ განსახილველ მინიატურებში, ირანულთან შედარებით, მცირე ზომის ფორმები ჭარბად კი არ ტვირთავს სასურათო არეა, არამედ მოკრძალებულად ისე, რომ მეტად იგრძნობოდეს ფართოდ გაშლილი, ერთიანი ფერადოვანი სიბრტყე. ესეც, რაღა თქმა უნდა, ხელს უწყობს ფიგურის, მინიატურაში მოქმედი პერსონაჟის გამოყოფას, მასზე მჭკრეტელის ყურადღების გამახვილებას (სურათოვნების კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო თვისება).

დასასრულ, ტიპაჟის საკითხი. ამ პირობით დეკორაციულ ხელოვნებაში, ბუნებრივია, ძნელდება სახის ტიპის კონკრეტულ-სახასიათო ნიშნების გამოყოფა, მაგრამ დაკვირვებისას ჩანს პერსონაჟთა შედარებით თავისებური. ირანულისაგან განსხვავებული ეთნიკური ტიპი. სახის ოვალი ოდნავ უფრო დაგრძელებულიცაა და უფრო სავსეც. თვალის ჭრილი გაცილებით გრძელია და ვიწრო. ბაგეებიც მოკლე-მოკლეა. მოკლედ ზეაწეულია წარბები, მეჩხერია წვერ-ულვაში. ეს კი სახის იმ თავისებურ იერს წარმოგვიჩენს, რაც ადგილობრივ ეთნიკურ ტიპთან სიახლოვეს გვიაშკარავებს.

ძირითადად ასეთია განსახილველ მინიატურათა ზოგადი ფორმისმიერი თავისებურება. ამ თავისებურებათა ზოგადი მონიშვნითაც, თუ პოემის სიუჟეტთან მათ თანმხლებ მინიატურათა დამოკიდებულებასაც გავითვალისწინებთ, თითქოსდა მეტად აშკარავდება ჩვენი ხელნაწერის დასურათებათა თურქული წარმომავლობა.

Н. Г. ПАНЦУЛАЯ

АСПЕКТ ИЛЛЮМИНИРОВАНИЯ ТЕКСТА «ИСКАНДЕР-НАМЕ» АХМЕДИ

Резюме

На основе четырех иллюминированных списков (Ленинградских соб.) «Искандер-наме» турецкого поэта Ахмеди прослежен процесс отражения литературных сюжетов в миниатюрной живописи, рассмотрена популярность тех или иных тем поэмы и частота их изображения.

Изучение сюжетных миниатюр поэмы и их взаимосвязи с художественным текстом дает возможность определить отношение художников-миниатюристов как к данной теме вообще, так и, в частности, к поэме Ахмеди.

Исходя из конкретного материала, делается попытка выявления тех иллюминированных списков (из соб. Ленинграда), которые можно отнести к образцам турецкой миниатюрной живописи определенного периода (XVI в.).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ჭავჭავაძემ

დეიქტურობის სისტემა და ხმოვანთა ბანაწილების საკითხი ქართულურ ენებში

ჩვენებითობის სისტემა ქართველურ ენებში ნაცვალსახელებითა და შესაბამისი ზმნისართებითაა წარმოდგენილი.

როგორც ახალ, ისე ძველ სალიტერატურო ქართულში დეიქტურობის სამწევრიანი სისტემა მოქმედებს. ამ სისტემის ერთი წევრი მიუთითებს მტკმელთან ახლოს მყოფ საგანზე, მეორე — თანამოსაუბრესთან ახლოს მყოფ საგანზე, ხოლო მესამე — მესამე პირთან ახლოს მყოფ საგანზე (ძვ. ქართული: ესე-ეგე-იგი; ახ. ქართული: ეს-ეგ-ის||იგი). ანალოგიური ვითარება გვაქვს იმავე ძირებისგან ნაწარმოებ ზმნისართებთანაც (აქ-მანდ-იქ; ასე-ეგრე||მაგრ-ისე; 22, 7).

ზანურსა და სვანურში ჩვენებითობის სისტემა ორი წევრითაა წარმოდგენილი — არც ნაცვალსახელებში და არც ზმნისართებში II პირის პოზიციის ამსახველი სპეციალური ერთეული ამ ენებს არ გააჩნიათ: „ათე ბოში გგთოხე ხოლოში ჭიჭე დუქანც“ (ხუბ. 177, 34) — ეს ბიჭი ზის მახლობელ პატარა დუქანში; „ოკულე ჭე კოჩი გალე გამახთუ“ (ელ. 79, 31) — მერე ის კაცი გარეთ გამოვიდა; „თაქ თე ბოშიქ გიმელგ“ (ხუბ. 122, 9) — აქ ეს ბიჭი ჩამოვიდა; „ექ გეხეტუ“ (მემ. 9, 1, 6—7) — იქ იჯდა; „ალ გვეშ ამისგებდ აღჩვემნა“ (ბქვ., კაჭ. 130) — ეს საქმე ამასწინათ მოხდა; „ეჩა ვეშგიმ წაი ნაჭიმ“ (სვ. პ. 66, 2) — ის ჩვენ უკან მოგვდევს; „ამე ქომჩედელის შვანარ“ (ბქვ., კაჭ. 17) — აქ წასულან სვანები; „ეჩავ ჭიკდახ სადილ ვახშამს“ — იქ გაზიდავდნენ სადილ-ვახშამს.

ქართველური ენებისთვის ამოსავალი ვითარების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი ამოსავლად მიიჩნევს ორწევრიან სისტემას (იხ. 7; 17; 22; 23); სხვები ვარაუდობენ, რომ თავდაპირველი უნდა ყოფილიყო სამწევრიანი სისტემა (იხ. 4; 11).

დეიქტურობის გამომხატველ ხმოვანთაგან ქართველურ ენებში გამოიყოფა — ა/ე/ი.

რა მიმართებაში იმყოფებიან ეს ხმოვნები ერთიმეორესთან?

ძველი ქართულის ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემაში მტკმელთან ახლოს პოზიციის ამსახველ ერთეულებში გამოიყოფა ე- ხმოვანი; ასეთივე ვითარებაა სალიტერატურო ქართულში: „ესე არს პური“ (ი. 6, 50); „ეს დასაქცევი ერთე თავად ზედ აზის“ (ვაჟა, 75, 26); „წამოგვიყვანია ეს სამი ძმა“ (აკაკი, 289, 11—12).

ქართული ენის დიალექტებში მტკმელის პოზიცია აისახება: ა) -ს- ძირთან ე-გახმოვანებით: „ესე კაი ღვინო იყო“ (ძოწ. 337, 10); „ეს ღვინო ფერათ ფესათურია“ (ნიე. 70, 18—19); ბ) -გ- ძირთან ა- გახმოვანებით „მე ვარ აგი, მე“ (აჭ. ქრესტ. 252, 23); „აგინი გოგომ უთხრა“ (იმერხ. დიალ. 382, 30).

ამრიგად, ქართული ენის ჩვენებითი ნაცვალსახელთა სისტემაში მტკმელას პოზიციას ასახავენ ე-, ა- ხმოვანი თავსართები.

II პირის (თანამოსაუბრის) პოზიცია სალიტერატურო ქართულში -გ- ძირთან ე- გახმოვანებით გამოიხატება: „ეგე ძელსა დამოჰკიდეთ“ (საბა, 128, 6); „შენ ეგ ალბათ არ უნდა გეტქვა“ (გ. რჩ. 234, 23).

დიალექტებში გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება II პირის პოზიციის ამსახველ ერთეულთა პარადიგმატული მიმართება I და III პირების

პოზიციის გამოძახებულ ნაცვალსახელებთან: დიალექტებში, რომლებშიც მოქმედის პოზიციის ამსახველი ნაცვალსახელი -ს- ძირითაა წარმოდგენილი (ქართული, კახური, მესხური, ხევსურული, ფშაური, ინგილოური და სხვა), თანამოსაუბრის პოზიცია -გ- ძირითან ე- გახმოვანებითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში): „ეგ თქვენ მოჰშველდითო“ (მარტ., კახ. 87, 14); „რალაი ეგ მამგვარეთ“ (ძოწ. 324, 23).

დიალექტთა ერთი ჯგუფი სხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს — -გ- ძირითან ა- გახმოვანების მქონე ერთეულს I პირში შეესაბამება კონტამინაციური მაგ (II მეჯ აჭარულში), ფორმა (ამავე, გართულებული ფუძითაა წარმოდგენილი ნაცვალსახელი „ეგ“ ნომინატივის გარდა ყველა ბრუნვაში: „ეგ“ — „მაგან“, „მაგას“, „მაგის“ და სხვა): „აბა მე გამიბედოს მაგიო“ (გურ. დიალ., 419, 5); „მაგი რაია“ (ქვ. იმ. ქრესტ., 317, 4); „მეგ ჯირეკია თუ დათვიო?“ (აჭ. ზღაპრ., 27, 22).

III პირის პოზიციის ამსახველი ერთეული ი- გახმოვანებითაა ყველგან წარმოდგენილი (როგორც -ს-, ასევე -გ- ძირითან): ძვ. ქართულში: „შთააგდეს იგი საპყრობილესა“ (აბო, 133, 31); თან. სალიტ. ქართ.: „უკვდავ იყოს იგი აწ და მარადის“ (მ. ჯავახ. 13, 20—21); „ის მღვდელი შუაში იდგა“ (ილია, 2, 42, 30—31). დიალექტები: „ისი დახვრიტეს“ (ძოწ. 343, 28); „იგი მივიდა გმირის დედასთან“ (ჯავახ., დიალ., 382, 30).

დეიქტურ ხმოვანთა განაწილება პირთა მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებს (მხედველობაში არ ვიღებთ, თუ რომელ ძირთან გვაქვს ესა თუ ის გახმოვანება): ა) „მოქმელთან ახლოს“ მიმართების გამოძახებულ ერთეულებში გამოიყოფა -ა-, -ე- ხმოვნები; ბ) თანამოსაუბრის პოზიციის ამსახველ ერთეულებში (არა ყველგან) გამოიყოფა -ე- ხმოვანი; გ) III პირის პოზიციის ამსახველ ერთეულებთან -ი- გახმოვანება გვაქვს.

ცნობილია, რომ ჩვენებით ნაცვალსახელებს ქართულში გარკვეული თავისებურებანი ახასიათებთ: ისინი ორ სხვადასხვა ფუძეს გვიჩვენებენ ბრუნვათა ფორმების წარმოებისას; ესენია მონაცვლე ფუძეები (21, 101); „ეს“ („აგი“) ნაცვალსახელს სხვა ბრუნვებში „ამა“ ენაცვლება; „ის“ („იგი“) ნაცვალსახელს, შესაბამისად — „იმა“. ისევე, როგორც ოპოზიციაში — „ეს -ის“ („აგი -იგი“) — „ამ(ა)“ — „იმ(ა)“ დაპირისპირებაშიც ხმოვანი თავსართები ფუნქციონირებენ: სალიტ. ქართულში: „ამის კაცისა პატიჟი...“ (ევსტ., 32, 6); „იმა ქედსა გარდავადეგ“ (ვეფხ. 907, 1); „სტაცეთ ხელი ამ წუწკს“ (აქაკი, 44, 27).

დიალექტებში: „მთელ ამ კუთხეს ეყოფა იქინაური ქართოფილი“ (რაჭ. დიალ. 507, 7); „ემ სოფლიდან პატარა პური ჩამოვიტანო მეთქი“ (ჯავ., მარტ., 116, 14); „ემ თას იქეთ იმერეთია“ (რაჭ. დიალ. 503, 15—16); „იმ პატაო ბიჭმა უთხრათ“ (კახ., მარტ., 92. 4—5).

II პირის პოზიციის ამსახველ ნაცვალსახელთან ნომინატივის გარდა არც ერთ ბრუნვაში ხმოვანი თავსართი არ გამოიყოფა: „მაგან“, „მაგას“, „მაგის“ და სხვა.

ამრიგად, -მ- ძირთან ხმოვანი თავსართების განაწილება ამგვარ სურათს წარმოაჩენს: ა) მოქმელთან ახლოს მიმართების ამსახველ ერთეულებში ფუნქციონირებენ ა-, ე- ხმოვნები; ბ) III პირის მითითების ფუნქციის მქონე ნაცვალსახელებში ი- ხმოვანი გამოიყოფა.

ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა ზანურში ორი წევრითაა წარმოდგენილი: „ჰე ხანიშ უკული ენა ქენანწყუ“ (ხუბ., 243, 28) — ცოტა ხნის მერე ეს ჩაძირა; „ათე ბოში გგთოხე ხოლოში ჭიჭე ღუქანც“ (ხუბ. 177, 34) — ეს ბიჭი ზის მახლობელ პატარა ღუქანში; „თინა ეშმაკიქ უკული გვალას მიოცოთუ“ (ყიფშ. 7, 6) — ის ეშმაკმა მერე მთაში მიაკარგა; „აჲა ნჯიის არ ხოჯი მუუშქვა“ (კარტ.

20, 30—31) — ამ ძილში ერთი ხარი დავუტოვო; „ია ქომულუნ“ (მემ. 11, 2, 6) — ის შოვა.

ხმოვან თავსართთა დაპირისპირება ზანურში ქართულისგან განსხვავებული ხასიათისაა: მთქმელის პოზიციის ამსახველ ერთეულებში გამოიყოფა -ა-, ხოლო III პირის პოზიციის მიმთითებელ ერთეულებში — ე/ი. ე-ი დაპირისპირება, რომელიც დასტურდება ოპოზიციურ წყვილში — „ენა — ინა“, მეორეულია — თავკიდური, მითითების ფუნქციის მქონე ხმოვნისა და ძირეული თანხმოვნის დაკარგვის შედეგად მიღებული — „ა-თ-ენა“ → „ენა; „ე-თ-ინა“ → „ინა“ (22, 126).

მეგრულში სხვა ბრუნვებში გადაწყვება ნომინატივის საყრდენი ფუძე (შდრ. „ათე-ქ“, „ათე-ს“ — „ეთი-ქ“, „ეთი-ს“); ზანურში, ისევე, როგორც ქართულში, ნომინატივის ფუძე სუპლეტურად მონაცვლეა სხვა ბრუნვათა საყრდენ ფუძესთან (გარდა ათინურისა, სადაც სახელობითშიც ფუნქციონირებს -მ- ძირი): შდრ.: „ჰაჰა“ — „ჰამუქ“, „ჰამუს“, „ჰამუში“; „ჰეა“ — „ჰემუქ“, „ჰემუს“, „ჰემუში“ (იხ. 25, 78—79).

სვანურში ხმოვანი თავსართები არ წარმოდგენენ მთქმელთან სიახლოვესიშორის ოპოზიციას; ამ ფუნქციას ძირთა სუპლეტური მონაცვლეობა ასრულებს (5, 238): ერთი მხრივ — „ალა“, მეორე მხრივ — „ეჯი“.

დეიქტურობის გამომხატველ ზმნისართებშიც ფუნქციონირებენ ხმოვანი თავსართები ქართულსა და სვანურში; ქართულში ზმნისართები წარმოდგენილია ა/ე-ი ხმოვანთა ოპოზიციით: -ქ- ძირთან — ძვ. ქართულში: „აქა-იქი“, ახ. სალიტ. ქართულში: „აქ-იქ“; დიალექტებში: „აქა“, „აქანე“, „ექ“, „ექანა“, „იქ“, „იქანე“... -ს- ძირთან: ძვ. ქართულში: „ესრე-ისრე“, თან. სალიტ. ქართულში: „ასე-ისე“, დიალექტებში: „ასე“, „ესე“, „ისე“, „ასთე“, „ისტე“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ -ქ- ძირთან -ე- გახმოვანება მხოლოდ დიალექტთა ერთ ნაწილში გვაქვს: „აი, ექანაა გორა“ (ჭიორა); „ექანა, ის რო არი, პეტრეი...“ (ზ. იმ. დიალ. 446); „ექ შენმა ცხენებმა დაიხვიხვინესო“ (ჭიორა): „ექ არ მინდა ვიბნა“ (მ. მაჭ. 178).

ამათგან ფერეიდნულში სპარსულის გავლენა ჩანს (იხ. 14, 178): რაჭულის და იმერულის ვითარება იმითაა საინტერესო, რომ „ექ“, „ექანა“ ფორმები „აქ“, „აქანა“ ფორმათა პარალელურად იხმარებიან — -ე- ფუნქციურად ეკვივალენტურია -ა- ხმოვნისა.

II პირის პოზიცია ან გართულებული ფორმითაა წარმოდგენილი (შდრ.: „მანდ“, „მასე“, „მაქანე“, „მაგრე“), ან გამოიყოფა -ე- ხმოვანი თავსართი — „ე-გრე“ (იხ. 22, 60).

როგორც ზმნისართებში, ასევე ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემებში, დეიქტურობის ფორმოზივი ასახვის ერთი პრინციპია გატარებული: I და III პირების პოზიციებზე მითითება ერთ ძირთან ხმოვანი თავსართების ოპოზიციითაა წარმოდგენილი: II პირის პოზიციის ამსახველი ერთეული მუდამ სხვა ფუძითაა წარმოდგენილი — ან ამა თუ იმ გახმოვანებით (შდრ.: „ე-ს — ე-გ — ი-ს“, ან გართულებული ფუძით: „ა-სე — მაგრე — ი-სე“).

თვით ქართულისთვისაც (სხვა ქართველურ ენათა ვითარების გათვალისწინების გარეშე) ორწევრიანი სისტემა ჩანს ამოსავალი დეიქტური გახმოვანების კანონზომიერებით: ახლოს — ა/; შორს — ი (იხ. 22, 135).

ზანურში ზმნისართთა დეიქტურობის სისტემა ფორმოზივ ერთ ძირთან ა — ე/ი გახმოვანებითაა წარმოდგენილი: „ათაქ“ — „ეთექ“, „ჰაქო — ჰიქო“, „აშო — იშო“; ახლოს — ა; შორს — ე/ი (იხ. 22, 135).

სვანურში ზმნისართთა სისტემაც დეიქტურობის გამოხატვის სუპლეტურ

პრინციპს მისდევს. შდრ.: „ამე“, „ამჩუ“, „ამხან“, „ამჟი“, „ამლა“ — „ეჩეჩუ“, „ეჩეხენ“, „ეჯჟი“, „ეჯლა“.

აღსანიშნავია, რომ -მ- ძირი ამა თუ იმ გახმოვანებით ზანურის ზმნისართა სისტემაშიც ფუნქციონირებს.

მეგრულში დროის ზმნისართები: „ამდლა“, „ამსერი“, „იმუსერი“ — თავისებურად იწარმოება; ხდება საინტერესო მოვლენა: თუ მსაზღვრელად რიცხვითი სახელია (ან ზედსართავი სახელი), „დლა“ ფუძე მიცემით ბრუნვაში ფორმდება; „ამ“, „იმ“ ნაცვალსახელი თუკი გვევლინება მსაზღვრელად, „დლა“, „სერი“ — სახელობითის ფორმით წარმოგვიდგება: „გედირთჳ ბოშიქ მაჟირა დლას“ (ხუბ. 70, 20) — ადგა ბიჭი მეორე დღეს; „შქასერს ქიჭანუ ფაჟტონი ვაჭარქ“ (ხუბ. 74, 35) — შუალამეს დაიბარა ეტლი ვაჭარმა; და — „მეურს ე ბალანა ამდლა“ (ხუბ. 53, 18) — მიდის ეს ბავშვი დღეს; „ამსერი გალე ვეგ-მორთავა“ (ხუბ. 40, 19) — ამაღამ გარეთ არ გამოხვიდო; „იმუსერი ოშქარი ჯიმაქ მიდართჳ ოღარაჯუშა“ (ყიფშ. 27, 15) — იმ ღამეს საშუალო ძმა წავიდა საღარაჯოდ.

„ამ“ ნაცვალსახელის დართვა მეგრულში „დლა“ ტიპის ფორმებზე ანალოგიურია ქართული „ამაღამ“ ტიპის წარმოებისა. ეს წარმოება ქმნის განმასხვავებელ ნიშანს ზმნისართთა და სახელებს შორის: „ამდლა“, „ამსერი“ — ზმნისართებია, „დლას“, „სერს“ — არსებითი სახელები მიცემით ბრუნვაში.

-მ- ძირი სხვა ზმნისართებშიც დასტურდება, კერძოდ — „ამარ — ემერ“ ოპოზიციურ წყვილში (შდრ.: ქართ. „ამიერ — იმიერ“); სხვაობას ქმნის ხმოვანი ელემენტი. ა-ე დაპირისპირება სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით ოპოზიციას წარმოგვიდგენს: „ამარ ტაბაჩა გილმობუ“ (გუდ. 173, 28) — აგერ დაბაჩა მკიდია; „ბარჯგო ქათულგი ემერი“ (ყიფშ. 128, 16) — ბარჯგად შევუყენე ქვეშ (იქ).

გახმოვანების თვალსაზრისით განაწილება ზანურისთვის ბუნებრივ სურათს წარმოაჩენს: ახლოს — ა, შორს — ე/ი.

ჭანურში „ამ-ემ“ ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში გვხვდებიან; ამდენად, სრულიად ბუნებრივია ისეთ ფორმათა არსებობა, როგორიცაა: „ემ ვახთის ხოჯა გიინიშენ ქაგებთუ“ (კარტ. 142, 2) — იმ დროს ხოჯა ვირიდან ჩავიდა; „ემ აერის ქეშახთუ“ (მემ. 10, 12, 10) — იმ ადგილას ამოვიდა; „ამ ორას არ კოჩი ქომეხთუ ფათიშაის სიჯაშა“ (კარტ. 42, 20) — ამ დროს ერთი კაცი მივიდა ფადიშაჰის სიძესთან.

საინტერესოა, რომ „დლას“, „სერის“ („სეის“) ფორმები მიცემითში დგანან, როცა წინ მსაზღვრელად რიცხვითი სახელი უძღვით: „ილლა არ დლას არ კულანი მეჩაგინტეენ“ (ასათ. 54, 3) — მუდამ ერთ დღეს ერთი გოგო უნდა მიგეცა; „მთვიოლონი თეფეს არ სეის ჭუმანიშა ნახონდინენ“ (კარტ. 145, 33) — თოვლიან ტყეში ერთ ღამეს დილამდე თუ გაძლებს.

თუკი მსაზღვრელად „ამ“, „ემ“ ნაცვალსახელებია, ორი შემთხვევა განიჩევს: ა) „ამ“, „ემ“ მიცემითის ბრუნვის ფორმას დაერთვიან: „ემ დლას გეი ქომოფთით“ (ჭან. 1, 97, 24—25) — იმ დღეს უკან მოვედით; „ემ სერის ექტუ“ (მემ. 20, 2, 14) — იმ ღამეს იქ იყო. ბ) „ამ“ (→ „ან“), „ემ“ სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვიან: „ანდლა მუ დო მუ ნახუმ?“ (ჭან. 2, 83, 20—21) — დღეს რას და რას რეცხავ? „ემსერი ჭუმანიშაჰის ონჯირეს ვარ ანჯირუ“ (ჭან. 2, 13, 22) — იმ ღამეს დილამდე ლოგინში არ დაეძინა.

-მ- ძირთან ხმოვანი ელემენტების განაწილების თვალსაზრისით ჭანურში ასეთი ვითარებაა: 1. ახლოს — ა; 2. შორს — ე (ათინურში — ი).

სვანურში „ამ“ გვხვდება როგორც ნაცვალსახელების სხვადასხვა ბრუნვით ფორმებში. ასევე ზმნისართებში (იხ. ზემოთ). ყველა შემთხვევაში იგი მთქმელ-

თან ახლო პოზიციის ამსახველია: „ამე სთვთხალ, მარე ამჟი დესა არ და“ (ბზ. 41, 1—2) — აქ ვეძიე, მაგრამ აქაც არ იყო; „ამნემ კერტანს ქერ ოთშად“ (ლაშხ. 88, 31—32) — ამან კერატს ქერი დაუყარა; „ამის ჩერიდ შტამილ ხა-ზენა“ (ლენტ. 137, 33—34) — ამას ჩერიდ კვირისთავი სდებია; „ბაზი ვახშამ ამჟუ მერი“ (ლაშხ. კაპ. 21) — ამალამ ვახშამი აქ მექნება; „ამლა სგაჲ ნომ ფეშენიდ“ — ამაზე თქვენ ნუ დარდობთ; „ქახინ ოღვე ამხან ლექვა“ (სვ. პ. 98, 35) — გაეშორდი ამის ქვემოთ.

როგორც ზემოთ ითქვა, სინქრონულ დონეზე ხმოვანი თავსართები სვანურში არ წარმოადგენენ სიახლოვე-სიშორის ოპოზიციას. ამ ფუნქციას ძირთა სუპ-ლექტური მონაცვლეობა ასრულებს (5, 238): ერთი მხრივ — „ალა“, მეორე მხრივ — „ეჩა“.

სვანურში სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებული პრინციპია გატარებული: მართალია, ქართულსა და ზანურშიც იცვლება რიგ შემთხვევებში ძირეული თანხმოვანი (მაგალითად, ქართულში — „ეს“ სახელობითში, სხვა ბრუნვებში — „ამ“), მაგრამ ხმოვან თავსართთა ოპოზიცია ყველგან ფუნქციონირებს: ეს, თავისთავად, ბადებს კითხვას: ხომ არ არის სვანურის ვითარება მეორეული.

სვანურში ი- თავსართით გაფორმებული -მ- ძირიც გვხვდება: „იმე“, „იმე-ვა“, „იმენ“, „იმვალე“, „იმჟი“, „იმლა“ და სხვა. ყველა შემთხვევაში მთქმელთან სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით ნეიტრალური პოზიცია აისახება: „იმე არიხ აჯარ?“ (ბზ. კაპ. 39) — სად არიან ისინი? „იმჟი ოთლორვას დეშდეს“ (ლაშხ. 86, 18) — როგორ მოატყუოს დათეს; „მაჲ ანბაკ ლი ი იმხან ანლრი?“ (ბზ. 122, 34) — რა ამბავია, საიდან მოდიხარ? „იმთე აჩად?“ (ბქ., კაპ. 41) — საით წავიდა? „იმავ ესლრი, მურზაბეგა?“ (ბზ. 43, 22) — საით მიდიხარ, მურზაბეგ?

ხომ არ არის „იმ“ ძირიანი სვანური ფორმების ამჟამინდელი მნიშვნელობა სემანტიკური გადააზრიანების შედეგი? ამ კითხვის დასმის საფუძველს ქართველურ ენათა ნაცვალსახელების სტრუქტურული ერთგვარობა იძლევა.

სვანურშიც და ზანურშიც -მ- ძირიანი ნაცვალსახელები ფუნქციონირებენ. ზანურში „იმ“ ფორმის გვერდით „ემ“ გვხვდება, რაც ზანურის დეიქტურა გახმოვანების თავისებურებას წარმოადგენს (ოპოზიცია -ა — ე/ი). ნასესხობასთან რომ გვექონდეს საქმე, დაპირისპირებას ა/ე — ი სახე ექნებოდა (ქართულის დეიქტური გახმოვანება).

სვანურშიც „ამ“ ნაცვალსახელის ხმარება ირიბ ბრუნვებში სესხების მტკიცების საფუძველს არ იძლევა: ჯერ ერთი, მოულოდნელი ჩანს ერთი სისტემის ორი ელემენტიდან ერთ-ერთის შეთვისება მეორე ენაში იმავე მნიშვნელობით, რაც მას პირველ ენაში აქვს („ამ“), ხოლო მეორე ელემენტის სხვა სემანტიკით ხმარება; მეორეც, „ალა“ ნაცვალსახელის ბრუნების ტიპი განსხვავებულია „ეჩი“ ნაცვალსახელის ბრუნების ტიპისგან — არაერთგვაროვანი პრინციპია გატარებული: „ალა“ მისდევს ქართულის ვითარებას (ძირთა სუპლექტური მონაცვლეობა), „ეჩი“ კი ასწორებს მთელ პარადიგმას სახელობითის ფუძეზე.

როგორც ჩანს, სამივე ქართველურ ენაში უნდა ყოფილიყო ძირთა სუპლექტური მონაცვლეობის პრინციპი გატარებული III პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში. მათთვის საერთო იქნებოდა -მ- ძირიანი ნაცვალსახელები სხვადასხვა გახმოვანებით (იხ. 13, 101).

-მ- ძირიანი ფორმების პარადიგმატული მიმართება -გ-, -ს-, -დ-, -ნ, -ლ- თანხმოვანთა შემცველ ნაცვალსახელებთან უთუოდ უკავშირდება ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ისტორიული ურთიერთმიმართების სიკითხს ქართველურ ენებში (ამ საკითხის შესახებ იხ. 15).

მთქმელთან სიახლოვე-სიშორის ოპოზიცია ხმოვნებით არის წარმოდგენილი

ქართულისა და ზანურის ზმნისწინთა სისტემებში. -მ- ელემენტი, მკვლევართა აზრით, ნაცვალსახელური ძირია (იხ. 2, 34). -ო- ხმოვანი მთქმელთან სიახლოვეზე მიუთითებს (სააქეთო ორიენტაცია), -ი- ხმოვანი კი მთქმელისაგან შორს. მოძრაობის მიმართულების მაჩვენებელია (საიქეთო ორიენტაცია).

-ი- ხმოვანი ამ ფუნქციით ჯდება ქართულის დეიქტური გახმოვანების სისტემაში (ა/ე — ი); კითხვას ბადებს -ო- ხმოვნის გამოყენება „მთქმელის ახლოს“ პოზიციის ასახვის ფუნქციით: ქართულის დეიქტური გახმოვანების სისტემური კანონზომიერებებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ა/ე გახმოვანება.

ქართული ენის დიალექტებში გვხვდება მა- ზმნისწინი, რომელიც ფუნქციურად ეკვივალენტურია შო- ვარიანტისა: გამოხატავს მთქმელის მიმართულებას მთქმელისკენ; შდრ.: „მამეც“ (მთიულური, დიალ. 59, 21) — „მომეცი“ (იქვე, 62, 11); „ამაელო“ (კახ., დიალ. 192, 18) — „მოეწონა“ (იქვე, 184, 15); „გამართო“ (ფერ. დიალ. 256, 27) — „გამართო“ (იქვე, 264, 6).

მა- რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ფონეტიკურად იყოს განპირობებული: „მააშორა“ (ფშ. დიალ. 134, 17); „მააქვის“ (მთ. დიალ. 57, 7); „გამაატანა“ (კახ. დიალ. 188, 1); მაგრამ დიალექტთა ერთ ჯგუფში იგი ხშირად არ ჩანს ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული: „მაცმკიდით“ (მოხ. დიალ. 28, 19); „ჩამაურიგებენ“ (ხევს. დიალ. 7, 40); „მაიყვანეს“ (კახ. დიალ. 179, 22); „მაფწონა“ (ინგ. დიალ. 236, 11).

ცალკეული დიალექტების კვლევის დროს მკვლევრები ეხებოდნენ მა-, მო- ვარიანტთა პირველადობა-მეორეულობის საკითხს.

არნ. ჩიქობავას აზრით, მო- პირველადია, ხოლო მა-ს ხმარების მიზეზად ფერეიდნულში არტიკულაციის შედარებით მეტ უკანაენისმიერობას მიიჩნევდა (24, 210). ვ. თოფურია მო → მა პროცესს ასიმილაციით ხსნიდა (6, 131); ამ აზრს იზიარებს გ. ცოცანიძე (26, 55). ი. ქავთარაძეც თავდაპირველ ვარიანტად მო-ს მიიჩნევს. მა-ს გაჩენას ისიც ფონეტიკურ პროცესებს მიაწერს (19, 49).

მკვლევართა ნაწილი მა-ს პირველადობას ემხრობა (იხ. 8; 20, 79—81).

თ. უთურგაიძე დასავლურ კილოებში მამ კომპლექსის არსებობის მიზეზად ლაბიალური კომპლექსის მოშლას მიიჩნევს (16, 15); თუ ასეთი ახსნა მო- ზმნისწინისთვის დასაშვებია, ამავე პოზიციაში მ- ბგერის წინ შა- ვარიანტის არსებობა („შამეიდვა“ (გურული), „შამევიდენ“ (იმერ.) და სხვა) უეჭველად კითხვას ბადებს: შემ კომპლექსი არ არის ლაბიალური. მან არ უნდა მოგვცეს შამ (ყოველ შემთხვევაში, არ ჩანს ამ ცვლილების გამომწვევი ფონეტიკური მიზეზი). გარდა ამისა, შა- ვარიანტი რიგ დიალექტებში ფონეტიკურად შეუპირობებელია და შე- ზმნისწინის ეკვივალენტური მნიშვნელობით იხმარება: „შამოდვა“ (აჭ. 397, 27); „შაფსდევს“ (ქართლ. 272, 6); „შაქნას“ (ინგ. 231, 22); „შაგილე“ (ფშ. 133, 18); „შაიძლებოდ“ (ხევს. 19, 34); „შასთხოვდეს“ (მოხ. 29, 24); „შაეალის“ (მთიულ. 57, 20).

ფონეტიკურად შეუპირობებელი შა- ვარიანტის არსებობა დიალექტებში ასევე სვამს მისი პირველადობის საკითხს.

მო-, მა- ზმნისწინთა განაწილების საკითხის გადაჭრისას უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

ა) ოპოზიცია, რომელიც არსებობს მო-/მა- — მი- ზმნისწინთა შორის. მთქმელთან სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით, გვაკარაუდებინებს ა — ი და- პირისპირებას (იხ. ზემოთ), რაც, შესაბამისად, მა- ვარიანტის პირველადობას უჭერს მხარს;

ბ) ყველა სხვა ზმნისწინი (გარდა მი-სა, რომელშიც დეიქტური ხმოვანი -ი გამოიყოფა) -ა გახმოვანებისა;

გ) მო- კომპლექსის ლაბიალურობა.

ხპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მ-ს წინ ხშირია ხმოვნის გალაბილურება, მაგრამ, როგორც წესი, არ ხდება წინამავალი მ-ს მიერ მომდევნო ხმოვნის დამსაგვსება (იხ. 8, 80).

ჩერ ერთი, ზანურში ახლაც ჩვეულებრივია ბილაბიალური თანხმოვნის მიერ ხმოვნის მიმსგავსება (შდრ.: ქართ. „მამა“ — ზან.* „მომამ“ → „მუმამ“); მეორეც, ქართული ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე მა → მო გადასვლის დაშვება არ უნდა იყოს გამორიცხული; მაგალითად, გვხვდება „ძმოო“ ფორმა (18, 106), სადაც პირველი **ო** ფუძისეული ა-საგან არის მიღებული („ძმოო → ძმოო“). სხვა შემთხვევაში ვერც წოდებითის **ო** და ვერც სწავთა სიტყვის **ო** გავლენას ვერ ახდენენ ფუძისეულ ხმოვანზე (შეუძლებელია „დედოო“). ცვლილება წინამავალი მ-ს გავლენით უნდა იყოს გამოწვეული. რაც მის მაასიმილირებელ ძალაზე მეტყველებს; ამდენად, არ არის გამორიცხული წინამავალი მ-ს მიერ მომდევნო ხმოვნის მიმსგავსება ქართულში.

რა ვითარება გვაქვს სხვა ქართველურ ენებში?

სვანურში დიქტურობის სისტემა ზმნისწინებშიც ფორმოებრივ ხმოვანთა ოპოზიციის სახით არ არის წარმოდგენილი (შდრ.: ქართ. „მ-ო-ვიდა“, „მ-ი-ვიდა“; სვან. „ან-ლრი“, „ეს-ლრი“); ზანურში კი, ქართულის მსგავსად, -მ- ელემენტთან ხმოვანთა ოპოზიცია განარჩევს სააქეთო და საიქეთო ორიენტაციას: „სქუაქ ხოლოშა ქემორთჳ“ (ხუბ. 134, 36) — შვილი ახლოს ბოვიდა; „ჰექოლე ქომოფთი“ (ჟან. 11, 39, 24) — იქიდან მოდი; „კინწკრესკუაშა ქემებრთინი“ (გუდ. 273, 26) — კინწურაშვილთან რომ მივედი; „იდეს დო ჭუკიშა ქომეხთეს“ (კარტ. 107, 2) — წავიდნენ და ქვაბთან მივიდნენ.

რთულ პრევერბთა შედგენილობაშიც გამოიყოფა -მ- ელემენტიანი სხვადასხვა გახმოვანების მქონე მარტივი ზმნისწინები: „მოლართჳ ყუდეშა“ (ყიფშ. 1, 25, 23) — სახლში წამოიღო; „ქომოკახტუ სუმლაშა“ (ყიფშ. 11, 67, 17) — გადმოვიდა სუმლაზე; „კაკალი გალე გამახთუ“ (კარტ. 10, 9) — კაკალი გარეს გამოვიდა; „მიყუბახუ კარს“ (ხუბ. 32, 22) — მიუბრახუნა კარზე; „მიდართჳ ყუდეშა“ (ხუბ. 111, 21) — წავიდა სახლში; „მენდახთუ ოხოიშენ“ (მემ. 1, 2, 21) — წავიდა სახლიდან.

როგორც ჩანს, ქართულის მა-, მო- ზმნისწინებს ზანურში ფუნქციურად შეესატყვისება მო-, მა-, ხოლო მი- ზმნისწინის ფუნქციური ეკვივალენტია მე- (გვხვდება მი- ვარიანტიც).

ფონეტიკური ვარიანტების გაუთვალისწინებლად, ქართულში სიახლოვე-სიშორის ოპოზიცია შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ახლოს — ა, ო; შორს — ი.

ზანურში განაწილების ამგვარი სურათი გვაქვს: ახლოს — ა, ო; შორს — ე, ი.

როგორც ვხედავთ, ქართულის -ი- ხმოვანს ზანურში ფუნქციურად შეესატყვისება როგორც -ი-, ასევე -ე- (შდრ.: ვითარება ხმოვანთავსართულ ზმნისართებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებში). -ო- ხმოვნის საკითხი ქართულსა და ზანურში გადასაჭრელია: ქართულ-ზანური ვოკალური შესატყვისობის კანონზომიერებათა თანახმად ა → ო გადასვლას ზმნისართებსა და ნაცვალსახელებში ადგილი არა აქვს (და მართლაც, ზანურში მა- ვარიანტიც დასტურდება); სავარაუდოა, რომ საკუთრივ ზანურშიც წინამავალი ლაბიალური ბგერის გავლენით ა → ო გადასვლა განხორციელდა.

ზმნისწინთა სისტემაში მთქმელთან სიახლოვე-სიშორის ოპოზიცია სხვა სემანტიკურ ოპოზიციასთან მჭიდრო ურთიერთმიმართებაშია წარმოდგენილი: მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკა უთუოდ მოიცავს იმთავითვე მოძრაობის საწყისი და სასრული პუნქტების გაგებას. ზმნისწინები, ისევე, როგორც თანდებულები, ქართველურ ენებში ზმნისართთა ცვეთის შედეგად ჩანან მიღებულ-

ნი (იხ. 10, 73; 12, 39; 21, 260) და შემონახული აქვთ ფუნქცია — გამოხატონ სივრცული მიმართების ესა თუ ის სახე (შდრ. შე- „შიგნით მიმართულე-ბა“; გა- „გარეთ მიმართულეობა“; აღ- „ზევით მიმართულეობა“ და სხვა). მიმართების სახე საწყისი ან სასრული პუნქტის მიმართ განიხილება („შევიდა“ გულისხმობს სივრცულ გადაადგილებას მოძრაობის სასრული პუნქტის მიმართ, მაშინ, როცა „გავიდა“ მოძრაობის საწყის პუნქტთან მიმართებას ასახავს).

მო-, მი- ზმნისწინები მოქმედთან სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით უპირისპირდებიან ერთიმეორეს, მაგრამ სივრცული მიმართების სახე — „მიწვენი-თობა“ მათ აერთიანებს ერთ ფუნქციონალურ რიგში. „საწყისობის“ სემანტიკის გამოხატველია ქართულში წა-, წამო- ზმნისწინთა წყვილი (შდრ. 2, 122).

ამა თუ იმ ზმნისწინისა და სახელის ბრუნვის ფორმის ურთიერთმიმართე-ბა საწყისობა-სასრულობის სემანტიკასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მოძრაობის საწყისსა და სასრულ პუნქტებს შორის ოპოზიციას გადმოსცემდნენ მოქმედებითა და ვითარებითში გა-ფორმებული სახელები: „განვიდა ტაძრით“ (ი. 8, 59) — „ტაძრად მივედ“ (სა-ბა, 24, 13).

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები არა მარტო სივრცული თვალსაზ-რისით ქმნიდნენ ოპოზიციას. -გან თანდებულისა ან უთანდებულო მოქმედე-ბითი დროში დაწყებითობას ასახავდა გარკვეული სემანტიკის ფუძეებთან, ვი-თარებითი ბრუნვა კი (-მდე თანდებულის დართვით) — დროში სასრულობას: „მტერისაგან ვნებული შობითგანვე“ (ხანძთ. 281, 10); „თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქუეყანა“ (ლ. მროვ. 19, 12).

ბრუნვის ფორმის ანალიზი მისი ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციების ანალიზს გულისხმობს უპირველესად. რა იგულისხმება ლექსიკური და გრამა-ტიკული ფუნქციების ურთიერთმიმართებაში?

ფუძის ლექსიკური მნიშვნელობაა და აფიქსის გრამატიკული ფუნქცია ცო-ბიექტური რეალობითაა განპირობებული. ისინი ენის შინაარსობრივ სისტე-მებად გარდაქმნილი ცნებითი სისტემებია. ამ სახით ლექსიკური მნიშვნელობა საგანთა ან მოვლენათა სტატუსის ფარდია ენაში. გრამატიკული ფუნქცია კი — მათ შორის არსებული მიმართებების ფარდი (28, 36—37).

დროს გამოხატავს მოქმედებითში გაფორმებული სახელი თუ ადგილი, ფუძის ლექსიკური მნიშვნელობით განისაზღვრება. მოქმედებითი ბრუნვის გრამატიკული ფუნქცია — საწყისობის ასახვაა; შესაბამისად, ვითარებითი ბრუნვა სასრულობის სემანტიკის ამსახველია.

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფუნქციათა ურთიერთშედარება წარმოაჩენს ოპოზიციას 3 სახის მიმართებებში: ა) დროში საწყისობა-სასრუ-ლობის ოპოზიცია; ბ) სივრცეში საწყისობა-სასრულობის ოპოზიცია; გ) მიზეზ-შედეგობრივი ოპოზიცია (ოპოზიცია კაუზალურ ასპექტში).

სამივე შემთხვევაში ოპოზიციის ორივე წევრი მარკირებულია. საწყისობის სემანტიკის მარკერია -ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო სასრულობის — -ად ვითარებითი ბრუნვის ნიშანი.

-ით. -ად მორფემებს ერთი ძირის, მხოლოდ სხვადასხვა გახმოვანების მქო-ნედ (ით ← იდ) მიიჩნევენ სპეციალურ ლიტერატურაში (3, 96); ამდენად, ოპო-ზიციას წარმოადგენს ხმოვან ელემენტთა განაწილება: ა — ი.

ზანურში გვაქვს ოპოზიციური დაპირისპირება დაშორებითი და მიმართუ-ლებითი ბრუნვების სახით: იშე — იშა.

ქართულის -ით — -ად დაპირისპირებას რიგ შემთხვევაში შეესაბამება ზა-ნურში -იშე — -იშა ოპოზიცია (მაგ., შდრ.: ყუდეშე, „ოხოიშე(ნ)“ — „ყუ-დეშა“, „ოხოიშა“). დაპირისპირებას წარმოადგენს ბოლოკიდური ხმოვანი ელე-მენტების განაწილება — ე — ა.

მიმართულებითის -ა- ხმოვანს ნათესაობითზე დართული -და ელემენტის ნაშთად მიიჩნევენ (25, 54; 1, 55): -იშდა → იშა (შდრ. „კოჩიშა“, „ჩქიმდა“); ეს -და ელემენტი ქართულშიც დასტურდება და მას ვითარებითის ერთ-ერთ ალომორფად თვლიან (-ა, -დ, -ად ალომორფებთან ერთად).

ამ მოსაზრებას ერთი წინააღმდეგობა ახლავს: თუ -იშა მორფემა ზანურში -იშდა ფორმისგანაა მიღებული, ანალოგიურად, -იშე დაშორებითი ბრუნვის ნიშანი -იშდე ფორმისგან უნდა იყოს მიღებული (შდრ. „კოჩ-იშე“ — „ჩქიმდე“). ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ -იშა, -და. ერთი მხრივ, ხოლო -იშე, -დე, მეორე მხრივ, ბოლოკიდური ხმოვნების განაწილებით ქმნიან ოპოზიციურ წყვილს.

ისევე. როგორც ქართულის ვითარებითი ბრუნვის ფორმაში, ა- ელემენტი სასრულობის სემანტიკის ამსახველია, ხოლო -ე- შეეფარდება მოქმედებითის -ი- ხმოვანს: ამ თვალსაზრისს, ჩვენი აზრით, მხარს უჭერს ჭანურში -თე მორფემის არსებობა.

ცნობილია, რომ ჭანურში თანხმოვანფუძიან სახელს სახელობითის ნიშანი (ი, ე) გადაჰყვება ყველა ბრუნვაში (25, 49). ბრუნვების პარადიგმა შემდეგნაირია: სახ. -ე/ი; მოთხ. -ქ; მიც. -ს; ნათ. -ში; მოქ. -თე; დაშ. -შე; მიმ. -შა.

-თე ფორმანტისეული -ე, არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულის -ი-ს გვაფიქრებინებს (შდრ. ფორმა — „ქალაქითი“). ჩვენ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავებული ინტერპრეტაციით: -ე- ელემენტი ჭანურში მეორეულია და მისი გაჩენა გამოიწვია თანხმოვან და ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნვების პარადიგმის გასწორებამ: ამის შედეგად მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები ერთგვარად გაფორმებულნი აღმოჩნდნენ: ოპოზიციური შინაარსის გამომხატველი ბრუნვების ფორმობრივ-იდენტური გამოხატვა ენისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ამიტომ მოხდა ძირეული ცვლილებები — განმასხვავებელ ნიშნად მოქმედებითს დაემატა -ე ხმოვანი, ხოლო ვითარებითი ბრუნვა საერთოდ დაიკარგა — მისი ფუნქციები გადანაწილდა სამ ბრუნვაზე: სახელობითზე, მიმართულებითსა და მიცემითზე (9, 230—252).

-ე- ხმოვანი, როგორც საწყისობის ამსახველი მორფემა, ფუნქციონირებს ზანურის ზმნისართებშიც (შდრ. „ექოლე“, „ჟინდოლე“, „თაურე“, „თეურე“).

ამდენად, ქართულის -ი- ელემენტის ფუნქციურ შესატყვისად ჭანურის ბრუნვათა სისტემაში შეიძლება ჩაითვალოს -ე- ხმოვანი.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შესაძლო ხდება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

ა) ზმნისართთა, ჩვენებით ნაცვალსახელთა და ზმნისწინთა სისტემებში დეიქტურობის გამოხატვის ფუნქცია ხმოვან ელემენტებს ეკისრებათ;

ბ) ხმოვან ელემენტთა ოპოზიცია ქართულსა და ზანურში სიახლოვე-სიშორის სემანტიკური კატეგორიის ფორმობრივი ასახვის სისტემას ქმნის;

გ) სვანურში ამჟამად დეიქტურობის გამოხატვის სხვა სისტემა გვაქვს, მაგრამ ეს ვითარება, როგორც ჩანს, მეორეულია. -მ- ძირთან ხმოვანთა განაწილება აღგვადგენინებს ა— ი ოპოზიციას.

დ) ხმოვანი ელემენტები ფუნქციონირებენ ქართველური ენების ბრუნვათა სისტემებში: ხმოვანთა დაპირისპირება საწყისობა-სასრულობის სემანტიკური კატეგორიის ფორმობრივი ასახვის სისტემას ქმნის;

ე) საინტერესო სურათი ჩანს ქართულ-ზანური ხმოვანთშესატყვისობის თვალსაზრისით: ქართულის ა/ე ხმოვანთა ფუნქციურ ეკვივალენტად ზანურში გვევლინება ა, ხოლო ი ხმოვნის მორფოლოგიური კორელატია ზანურში ე/ი.

შეჯამების შედეგად დაისმის რამდენიმე კითხვა, რომელთა საბოლოოდ გადაჭრის პრეტენზია ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ საკითხის თვით დასმაც კი უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება.

პირველი: რა მიმართებაშია ქართულის ა/ე — ი სისტემა ზანურ ა — ე/ი სისტემასთან; ქართულ-ზანური ხმოვანთშესატყვისობის რა კანონზომიერებათა შედეგს წარმოადგენს იგი?

მეორე: არსებობს თუ არა რაიმე კავშირი სიახლოვე-სიშორისა და საწყისობა-სასრულობის სემანტიკურ კატეგორიებს შორის? ამ კითხვის დასმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ორივე კატეგორია ხმოვანი ელემენტების ოპოზიციითაა წარმოდგენილი და ქართულ-ზანური ხმოვანთშესატყვისობის ერთგვარ სურათს გვიჩვენებენ.

როგორც ცნობილია, ქართული -ა- ზანურში -ო-ს გვაძლევს, ხოლო -ე- ხმოვნის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისად ზანურში მიიჩნევენ ა-ს. ა → ო გადასვლა არ ჩანს განხორციელებული ამ შემთხვევაში; გარდა ამისა, ინტერესს იწვევს -ე- ხმოვნის თავისებური ქცევა: ქართულში იგი -ა-ს ამოუდგება გვერდში ფუნქციურად, ზანურში — ე-ს (იხ. 22, 134).

ხომ არ არის ეს -ე- ხმოვნის წარმოთქმის თავისებურებით გამოწვეული? -ე-, -ა- და -ი- ბგერათა შორის არის მოქცეული (როგორც რიგის, ასევე ღიაობის მიხედვით): ა ფართო ხმოვანია, -ი- — ვიწრო, -ე-ს კი შუა ადგილი უკავია.

-ე- ბგერა თვით ქართული ენის დიალექტებშიც ღიაობის მხრივ განსხვავებულია. შ. ძიძიგურის აზრით, „დასავლურ კილოებში -ე- ვიწროა -ა-სთან შედარებით, აღმოსავლურში — პირიქით — -ო- ვიწროა -ე-ზე“ (27, 29).

ფართო -ე-, -ა-ს უახლოვდება წარმოთქმის თვალსაზრისით, ვიწრო კი — -ი-ს. ზანურში -ე- ხმოვნის ხმარება ქართულის -ი- ბგერის ფუნქციურ შესატყვისად მისი ამ უკანასკნელთან წარმოთქმის დაახლოების შედეგი უნდა იყოს; ის, რაც ქართულ დიალექტებში თვალნათლივ ჩანს ხმოვანთა სინტაგმატურ მიმართებებში (-ე-ს შედარებით სივიწროვე დასავლურ დიალექტებში), ზანურში ხმოვანთა შორის პარადიგმატულ მიმართებებში, მთელ სისტემაში აისახა.

მეორე საკითხი, რომელიც ზემოთ დაისვა (სიახლოვე-სიშორისა და საწყისობა-სასრულობის სემანტიკურ ოპოზიციათა ურთიერთმიმართება), საკმაოდ რთული გადასაჭრელი ჩანს. ამ კატეგორიათა ფორმობრივი ასახვა ქართულსა და ზანურში მსგავს სურათს გვიჩვენებს.

საწყისობა-სასრულობის სემანტიკა მოძრაობა-გადაადგილების გაგებასთანაა დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ სტატიკურად აღქმული ადგილმდებარეობა საგნისა სივრცეში გადაადგილების შედეგად შეიძლება იქნეს განხილული, მაშინ ხმოვანთა ერთგვარი გადანაწილება ამ სემანტიკური სისტემების ასახვისას შემთხვევითად არ გამოჩნდება.

ამ თვალსაზრისით, „მთქმელისაგან შორს“ პოზიცია ხმოვანთა განაწილების მხრივ მოძრაობის საწყისი პუნქტის ტოლფასია (შდრ. ქართ. ი-თ — ი-ქ; ზან. იშ-ე — ე-თექ); შესაბამისად, „მთქმელთან ახლოს“ პოზიცია შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც მოძრაობის სასრული პუნქტი (შდრ. ქართ. ა-დ — ა-ქ; ზან. იშ-ა — ა-თაქ).

ეს ახსნა, რასაკვირველია, არ არის ერთადერთი. სიახლოვე-სიშორისა და საწყისობა-სასრულობის სემანტიკურ ოპოზიციათა ურთიერთმიმართება, უპირველეს ყოვლისა, ექსტრალინგვისტური კვლევის ობიექტია: საჭირო ხდება მათი კავშირის ლოგიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლების დაძებნა.

სტატიაში ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა ხმოვანთა ფუნქციონირების თავისებურებათა ზოგიერთი საკითხის დახასიათება ქართველურ ენებში. მასალის ანალიზმა წარმოაჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა გადაჭრის მცდელობაც ოდენ საკითხის დასმის ხასიათს ატარებდა. გამოვლინდა რიგი კა-

ნონზომიერებანი ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობების, აგრეთვე სხვადასხვა სემანტიკური თუ მორფოლოგიური სტრუქტურების ურთიერთმიმართების ასპექტში. თავისთავად, მასალა უაღრესად საინტერესოა და სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

- აბო. — პაბოს წამება, ქართული პროზა, ტ. I, თბ., 1981.
- აკაკი — ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 7, თბ., 1958.
- ასათ. — ი. ასათიანი, ქანური, ლაზური ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბ., 1974.
- აქ. ზღაპრ. — ქართული აქარული ზღაპრები, ტ. I, ბათუმი, 1973.
- აქ. ქრესტ — იხ. ქ რ ე ს ტ.
- ბზ. — სევანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბ., 1939.
- ბქვ. — სევანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბ., 1957.
- გუდ. — ტ. გ ე დ ა ვ ა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975.
- გ. რჩ. — გ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, რჩეული, თბ., 1965.
- გურ. დიალ. — გურული დიალექტი, იხ. დ ი ა ლ.
- დიალ. — ი. გ ი გ რ ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ შ რ ი ა, ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
- ევსტ. — მარტილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1963.
- ვაჟა — ვ ა ჟ ა - თ შ ა ვ ე ლ ა, მოთხრობები, ქართული პროზა, XII, თბ., 1986.
- ვეფხ. — შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1983.
- ი. — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სახარება იოანესი, თბ., 1945.
- ილია — ი. ქ ა ე ვ ქ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1958.
- იარტ. — გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, ლაზური ტექსტები, თბ., 1972.
- იკპ. — გ. კ ა კ ქ ა რ ა ვ ა, ზმნისართები სევანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომში დამოწმებული მასალა, 1954.
- ლაშხ. — სევანური პროზაული ტექსტები, IV, ლენტეხური კილო, თბ., 1979.
- ლენტ. — სევანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბ., 1967.
- ლ. მროვ. — ლ ე ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართულის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
- მარტ. კახ. — ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
- მ. მაქ. — მ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება, იკე, ტ. 23, თბ., 1985.
- მემ. — ო. მ ე მ ე შ ი შ ი, სოფ. სარფში ჩაწერილი მასალა, ხელნაწერი: ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში.
- მ. ჯავახ. — მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1970.
- ნიჟ. — შ. ნ ი ჯ ა რ ა ძ ე, ზემოაქარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
- ელ. — ს. ე ლ ე ნ ტ ი, ქანური ტექსტები, თბ., 1938.
- რაქ. დიალ. — რ ა ქ ე ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი, იხ. დ ი ა ლ.
- საბა — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ქართული პროზა, ტ. 5, თბ., 1983.
- სვ. პ. — სევანური პროზა, I, თბ., 1939.
- ქვ. იმ. დიალ. — ქვემოიმერული დიალექტი, იხ. დ ი ა ლ.
- ქრესტ. — შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტების ქრესტომათია, თბ., 1956.
- ყიფშ. — И. С. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, с хрестоматией и словарем, С-Пб; 1914.
- ძოწ. — ქ. ძ ო წ ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ქან. I — არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანური ტექსტები, I, თბ., 1927.
- ქან. II — არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936.
- ქიორა — რ. ლანდიას მიერ ჩაწერილი ტექსტები, ხელნაწერი.
- ხანძთ. — გიორგი მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, ტ. I, თბ., 1981.
- ხუბ. — მ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

1. ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართული და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, „მრავალთავი“, 1978, № 6.
2. ი. ეეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.
3. ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის ლაქურ ენაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, თბ., 1940.
4. ე. თოფურია, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, შრომები, ტ. 3, თბ., 1979.
5. ვ. თოფურია, სევანური ზმნა, შრომები, ტ. I, თბ., 1967.
6. ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, თბ., 1925.
7. ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 61, 1956.
8. გ. კაქარაძე, სადავო ფორმის მქონე ერთი ზმნისწინის აგებულებისათვის ქართულში, თბი შრომები, ტ. 26, 1973.
9. ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.
10. ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი ფუნქციები ქართულში, იკე, ტ. 5, თბ., 1953.
11. ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.
12. ა. მარტიროსოვი, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში, იკე, ტ. 8, თბ., 1956.
13. გ. მაჭავარიანი, ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სევანურში, თსუ შრომები, ტ. 93, თბ., 1960.
14. მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება, იკე, ტ. 23, თბ., 1985.
15. დ. მელიქიშვილი, პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1930.
16. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ვოკალიზმი, „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, თბ., 1974, № 5.
17. ბ. ფოჩხუა, ხმოვანთავსართული ზმნისართები, ქესს, № 1, თბ., 1958.
18. ტ. ფუტყარაძე, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 1986 (ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში).
19. ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
20. ო. ქაჩაია, ქართული ენის მოხეური დიალექტი, მანქანაზე ნაბეჭდი.
21. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, შრომები, ტ. 3, თბ., 1980.
22. ნ. ჩართოლანი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბ., 1985.
23. არნ. ჩიქობავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში, თბ., 1966.
24. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ. № 7, თბ., 1927.
25. არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
26. გ. ცოცანიძე, ხმოვანთა მიმდევრობების შესწავლისათვის ფშაურში, „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, ტ. 5, თბ., 1974.
27. შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, ტ. I, თბ., 1946.
28. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

К. А. ГАБУНИА

СИСТЕМА ДЕЙКТИЧНОСТИ И ВОПРОС РАСПРЕДЕЛЕНИЯ ГЛАСНЫХ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В системе наречий грузинского языка выделяются дейктические гласные -а, е, и. Грузинский -а- имеет параллельный вариант -е- (ср. литературный -ак, диалектные -ак/ек). В ванском языке гласным а/е

соответствует -a- (atak, hako, ak), грузинскому -i- в заимском соответствуют гласные -e/i (ср. мегр. etek, чан. heko, ik).

В сванском языке в настоящее время гласные префиксы не функционируют в системе наречий, но исторически восстанавливается, дейктическое распределение гласных -a, i.

Гласные элементы -a, e, i функционируют также в системах падежей картвельских языков. Между этими гласными такое же соответствие, как и в системах наречий.

Это явление дает повод взаимосвязать функции гласных -a, e, i в системах наречий и падежей картвельских языков.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

**|ჰ|-ს დისტრიბუცია ინგილოურში და მასთან დაკავშირებული
მორფოფონოლოგიური პროცესებისათვის
(კახურთან მიმართებით)**

ჩვენი კვლევის ობიექტს ინგილოურის ფონემატური სისტემა წარმოადგენს, რომელსაც ქართული ენის კახური დიალექტის ფონემატურ სტრუქტურასთან მიმართებით განვიხილავთ.

ფონემა /კ/ დღესდღეობით დაცულია სევანურსა და ქართული ენის აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებში, კერძოდ: თუშურში, ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყურულში, ქიზიყურში (სიღნაღის, წითელწყაროს რაიონებში), გურჯაანის რაიონში (სოფ. დარჩეთი), ინგილოურში (კახის, ზაქათლის და ბელაქნის რაიონებში), ფერეიდნულში¹, ქართლურში, ჯავახურში.

ვ. თოფურიას შესწავლილი აქვს /კ/-სა და /ხ/-ს პოზიციები ქართველურ ენებში, სადაც დასკვნის სახით აღნიშნავს:

„(1) ს შ ც ჩ ციშლაუტ-აფრიკატებისა და წინაენისმიერი თ'ს მომდევნო მეზობლად ხ'ს, [დ] ზ ე ძ ჯ'სთან ლ'სა [ტ] წ ჳ'ს გვერდით ყ'ს ატარებდნენ და ქმნიდნენ სხ შხ ცხ ჩხ თხ; [დღ] ზღ ეღ ძღ ჯღ; [ტყ] წყ ჳყ კომპლექსებს; ხოლო (2) ხსენებული ბგერების წინ კი — კ'ს და გვექონდა: კს კშ; კც კჩ; [კღ, **კზ კე კძ კჯ კჭ კჳ] ჯგუფები. ვარსკვლავქვეშ მოქცეულთათვის მაგალითი არ მოგვეპოვება“².

ვ. თოფურიას შემუშავებულ წესებთან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე შენიშნავს: „ეს დასკვნა სწორია ძველი ქართულის ძირეული მორფემისათვის... რაც შეეხება მორფემათა ზღვარს, აქ ეს წესი არ მოქმედებს: დასაშვებია, ერთი მხრივ, /ხს/, /ხშ/, /ხც/ და მისთანა; ხოლო მეორე მხრივ, /სკ/, /თკ/ და მსგავსი კომპლექსები“³. ეს უკანასკნელი /*თკ/ კომპლექსი, ვ. თოფურიას აზრით, წარმოდგარია დაკ-იდან, ე. ი. ქართ. თხა → *თკა → *დკა → *დაკ⁴.

ქართულ /თხ/ კომპლექსს ეხებიან თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, რომელთაც ქართ. თხა-ს არქექტიპად *დკა მიაჩნიათ⁵.

სამწუხაროდ, მკვლევრები (ვ. თოფურია, ზ. სარჯველაძე, თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი) სავარაუდებელი /თკ/ და /დკ/ კომპლექსების შემცველ მაგალითებს არ ასახელებენ; მხოლოდ ზ. სარჯველაძეს მოჰყავს ორიოდ მაგალითი: ერთ-ჯელისა, ერთჯმობით⁶. ამ შემთხვევებში კომპლექსი დასტურდება

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VIII, ტფილისი, 1927, გვ. 196—247.

² ვ. თოფურია, კ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, შრომები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 47.

³ ზ. სარჯველაძე, ჯ და ე გრაფემათა და (კ) და (ხ) ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის, კრებული: „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 261.

⁴ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

⁵ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 119.

⁶ ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ.

მორფემათა ზღვარზე და არა ძირეულ მორფემაში და, რაც მთავარია, საერთოდ თანამედროვე ქართულის დიალექტებში, სადაც ხშირად იხმარება /ვ/ ფონემა, უკვე მომხდარა თვ > თხ პროცესი (თ-ს გავლენით ვ > ხ); მაგ., ინგილოურში დასტურდება „ერთხელ“ და არა „ერთველ“, მაშინ როცა დიალექტში ცალკე „ველი“ ფორმაც არის და „ერთიც“.

საერთოდ თანამედროვე ქართული ენის არც ერთ დიალექტში არ დასტურდება /თვ/ კომპლექსი. ქართული ენის სტრუქტურული თვალსაზრისით ხშული + ვ (ფვ-, თვ-, ცვ-, ჩვ-) ⁷ არაა ბუნებრივი კომპლექსი და ამდენად არცაა მოსალოდნელი, ივარაუდებოდა მორფემის შიგნით თანმიმდევრობა ხმოვნის რედუქციის გარეშე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დადასტურებულია თითო-ორი შემთხვევა, სახელდობრ, მთიულურში: ფვიჭა „ყველის მატლი“⁸. ქართველურ ენებიდან სვანურში დადასტურებულია /ცვ/ კომპლექსი: ცვტემჰდ // ცვემჰდ „შვილდ-ისარი“; ამ ბოლო კომპლექსის გასაყრელად ჩნდება ანტიქსური ხმოვანი /ი/ და გვექნება (ციტემჰდ // ციციმჰდ), ან: მეორე კომპონენტი /ვ/ შეცვლილია /ხ/-თ: ცხემჰდ⁹.

იმავე სვანურში /ცვ/ კომპლექსი მეორეულია: ცვტემჰდ ← ცხტი + კემჰდ: ცხტი „ისარი“, კემჰდ „მშვილდი“.

რაც შეეხება /თხ/ კომპლექსს, მართალია, მომდინარეობს დაც-იდან მორფოფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე დაც > *დვ, და ეს უკანასკნელი სიმულტანურად გადავიდა ბუნებრივ ჰომოგენურ /თხ/ კომპლექსში: დაც > *დვ > *თვ > თხ.

ქართული ენის კახურსა და ინგილოურ დიალექტებში /ვ/ ფონემა ძირითადად იმ სიტყვებში იხმარება, სადაც ძველ ქართულში გვექონდა. ანალოგიური დებულება მთის დიალექტების მიმართ წამოაყენა ა. შანიძემ¹⁰.

მოგვყავს ინგილოურში დადასტურებული /ვ/-ს შემცველი სიტყვების მოკლე სია: ვარ(ი), ველ(ი), ვემწიფე // კელმწიფე, ვეე(ი), ველოსან(ი), ვოვობ(ი), ვორც(ი), (მ)ვარ(ი), (მ)ვეც(ი), (მ)ვცოვან(ი), (მ)ვნე, მენაც(ი) (← ვენაცი), თივამ, საველ(ი), ფევი (კახური), მუვლ(ი), ოვერ(ი), კმამ, კმალ(ი), კმარევა, კმელ(ი), ვნამ (← ვნეა), ვსნამ, ვსნილ(ი); ვშირ(ი), ვშეამ, ვეიმირი (კახური), კდომამ, ავდამ, ვავშამ(ი), დავშობილ, ვუვრუტი (ჭიზიყ. „ნახვრეტი“), კრვლ (← *ვრუელ → ვურელი), კრვტ (← *ვრუეტ ← ვურეტი), კნრშამ (← *ვნუეშა ← ვუნეშა)¹¹, კრლა (← ვუელა), ვტვტნ (← ვეიკვინი), კრუალ (ინგილ. „ცხელი“. შდრ. ძვ. ქართ. მკურვალე)...

დასახელებული მაგალითების გარდა კახურსა და ინგილოურში /ვ/ იხმარება შემდეგ სიტყვებშიც: ვარზაბამ (ინგილ. „გარეული მტრედი“), ვანკრატო (ინგილ., ჭიზიყ.), ვიფ(ი), ვეტი (ჭიზიყ. „მტერი“)¹², ვინცვამ („მჭიდროდ ჯდომა“), ვუნჩულამ (ავუნჩულ „მოხრილი, მობუზული“), ვონჩამ, ვირვალ // ვერვალ, ივანი (ჭიზიყ., თუშური „ზღურბლი, დირე“)¹³, კლამ (დაკლამ, მიკლამ), კლეჩამ

⁷ თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 106.

⁸ იქვე.

⁹ ე. თოფურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

¹⁰ აკ. შანიძე, თხზულებანი, II, თბ., 1981, გვ. 16.

¹¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

¹² სტ. მენთეშაშვილი, ჭიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

¹³ თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 201.

(„გაგლეჩა“), კლარჩ-კლურჩ („მტვრევის ხმა“), კჭცოხ („გამხმარი რძე ჭუჭყელზე“), ჩხოვამ („ხრჩობა“)...

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან (ნიმუშებიდან) ნათლად ჩანს, რომ /კ/-ს შეიძლება მოსდევდეს ხმოვნები (ა, ი, ე, ო, უ). უმლაუტიანი ხმოვნები (რ, ჯ), სონორები (რ, ლ, მ, ნ, ვ), სპირანტები (ს, შ), თანხმოვნები (აფრიკატები: ც, ჩ) და ხშულები (ღ, ბ).

/კდ/, /კბ/ კომპლექსები მიღებულია მორფოფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე: კბო → კაბ-ორ¹⁴. არაბუნებრივი კომპლექსი წარმოიქმნება მორფოლოგიური მოდელის დაწოლით (მომხდარა ხმოვნის რედუქცია); ძირის კუმშვის შედეგად მიღებული /კბ/-ს უნდა მოეცა ბუნებრივი /კტ/, /კვ/ ან /კმ/ კომპლექსი. მაგრამ /კბ/ კომპლექსის გადასვლას /კტ/ ან /კვ/-ში ხელი შეუშალა მომდევნო ლაბიალურმა [ო]-მ. ხოლო ქართული ენის თუშურ კილოში /კბ/ კომპლექსი შეცვლილია /კმ/-დ: კბო > კმო¹⁵.

რაც შეეხება კედ-/კდ- (გარდაცვლად > კდომა). კად/კდ¹⁶ (მოკადა > მოკდა), /კდ/ კომპლექსი /კ/ ფონემის გავლენით /დ/ იქცევა /თ/-დ, ე. ი. კომპლექსი ხდება ჰომოგენური (კდ/კთ): გარდაკდა > გადაკთა, მოკდა > მოკთა, კდეც > კთეც.

ანალოგიური მოვლენები დადასტურებულია ძველ ქართულშიც, სადაც /კ შ ს ქ ც/-ს მომდევნოდ დ > თ-ში (გარდაკდა > გარდაკთა. დამდომა > დამთომა, ესდენი > ესთენი, ცდომა > ცთომა, სტქდომა > სტქთომა)¹⁷.

/კ/-ს შემცველი კომპლექსები (კჩ-, კც-, კშ-) განიხილება დიაქრონიულ მიმართებაში.

კ + აფრიკატი: ა) ჩხოვამ (იჩჩოვ // ჭჭჩოვ, დაჯჩო, დააჯჩოლი); ეს კომპლექსი საინტერესოა იმიტომ, რომ ძვ. ქართულში [რ]-ს წინ განვითარებული [ხ] ინგილოურში შეცვლილია /კ/-დ: აკჩოვს (← ძვ. ქართ. ახრჩობს ← არჩობს ← *აჩობს ← აშთობს ← აშუდობს...) ¹⁸. რაც შეეხება /რ/-ს, რომელიც გაჩენილია [ჩ]-ს (← შთ) წინ, ინგილოურში (ხრჩ → კჩ), ხოლო კახურში (ხრჩ → ხჩ), სადაც /ხ/ არის დამკვიდრებული, /რ/ არა გვაქვს /ხ/-სა და /ჩ/-ს შორის (ახჩოვს, დაიხჩო).

/კჩ/ კომპლექსი დასტურდება აგრეთვე ქიზიურში, ხევსურულში¹⁹ (მაგ., კჩოლა ← კრჩოლა „ბოლი, კვამლი“).

ბ) კ + ც: (მ)კცოვან (← მკცოვანი „ჭალაროსანი“).

ინგილოურ კილოში /კც/ კომპლექსს დაკარგული აქვს თავკიდური /მ/, ხოლო /კ/-სა და /ც/-ს შორის /რ/ ისმის: (მ)კრცოვან.

/კც/ და /კშ/ კომპლექსებთან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, „კც, კშ კომპლექსები არ ჩანს ბუნებრივი ქართულისათვის. ზემოთ ჩვენ შევეხეთ ამ კომპლექსთა სუბერაციის ერთ-ერთ გზას: რ ვითარდება კომპლექსის პირველსა

¹⁴ ვ. თოფურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

¹⁵ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბ., 1969, გვ. 151.

¹⁶ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

¹⁷ მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 65.

¹⁸ ლ. კიკნაძე, ხ ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIV, თბ., 1942, გვ. 126—127.

¹⁹ ალ. კინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 290.

და მეორე კომპონენტს შორის. ამ კომპლექსთა დაძლევის მეორე საშუალება წინამდებელი კ თანხმომცემის დისიმილაციური გამკვეთრება ჩანს²⁰.

ამასთან დაკავშირებით ბ. გიგინეიშვილი სრულიად სამართლიანად წერს: „ყშ არანაკლებ ძნელი ჯგუფია ქართულისათვის. ამიტომ ვშ → ყშ შესაძლოა ვშ-ს დაძლევის მიდრეკილობით კი არ იყოს გამოწვეული, არამედ იმ გარემოებით, რომ შ-სა და ც-ს წინა პოზიციაში გლოტალიზაციის მიხედვით დაპირისპირება ირელევანტურია, რაც შესაძლებლობას ქმნის ამ ტიპის აქცესურ ჯგუფთა თავისუფალი მონაცვლეობისას“²¹.

ამ ორი ვარაუდიდან გამომდინარე. ზ. სარჯველაძეს /ვშ/-ს /ყშ/-დ ცვლის მიზეზად /ვშ/-ს არაბუნებრივობა მიაჩნია და სუბერაციის ერთ-ერთ გზას /რ/-ს განვითარებისა და /ვ/-ს /ყ/-დ ქცევაში ხედავს, ხოლო ბ. გიგინეიშვილს /ვშ/-ს /ყშ/-ში გადასვლის მიზეზს წინა პოზიციაში გლოტალიზაციის არარელევანტურობაში ხედავს.

ჩვენი ვარაუდით, /ვშ/-ს ცვლა /ყშ/-დ წარმომდგარია მორფოფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე: ვაშ/ყაშ/ყშ (რედუცირებულია ხმოვანი).

ვაშ- ფუძე აღდგება ზმნის ფორმებში (დაჰვაშ, დაჰვაშთ). მაგალითები: „დაჰვაშ კარი შენი“²². „დაჰვაშთ სასუფეველი წინაშე კაცთა“.

საერთოდ, /ვ/-ს მონაცვლეობა /ყ/-სთან ინგილოურში და კახურში ჩვეულებრივი მოვლენაა. სადაც /ვ/ შეიძლება მონაცვლეობდეს მისივე ლოკალური რიგის ფონემა /ყ/-სთან ან /ვ/ მონაცვლეობდეს /ხ/-სთან, ან პირუკუ; მაგალ., ინგილოურში ვ/ყ: ფევ/ფეყ (ძვ. ქართ. ფერვ-ში რ მეორეულადაა მიჩნეული²³), თოვ/თოყ, ჩოვაჲ/ჩოყაჲ, დავეჩე/დაყეჩე, დავოცა/დაყოცა, ნავეჩ/ნაყეჩ, კეთოვ-კეთოვ/ყეთოვ-ყეთოვ, დავშობილ/დაყშობილ... ვ/ხ: კარვარ/ხარხარ, კახკაჩოვაჲ/ხაჩხაჩოვაჲ, კერვალ/ხირხალ...

კახურში ყ/ვ: ყანყრატო/ვანვრატო, ქიზიყი/ქიზივი, ყიჩაყი/ვიჩაყი... ხ/ვ: ძროხა/ძროვა, ახლო/ავლო, მოხუცდნენ/მოყუცდნენ²⁴.

ზემოთ განხილულ შემთხვევათა მიხედვით საშუალება გვეძლევა ვთქვათ შემდეგი: რადგან ხდება ვ/ყ, ამიტომ. ჩვენი ვარაუდით, ვ/ყ ან პირიქით. უნდა ვივარაუდოთ ხმოვნით გაყოფილ კომპლექსებში: ფევ/ფეყ, თოვ/თოყ, ყანყრატო/ვანვრატო...

ჩვენ ვუშვებთ ვ/ყ მონაცვლეობას ძველ ქართულშიც (დიალექტურ დონეზე) CVC სტრუქტურის ძირებში, რის შედეგადაც შესაძლებელია ვაშ/*ყაშ: ამ ფუძეთა კუმშვის შედეგად კი მივიღებთ /ვშ/ და /ყშ/ კომპლექსებს იმის მიხედვით, რომელი ფუძის კუმშვა მოხდა.

ძველი ქართულის მეყსეულად > მეცხეულად მიგვითითებს იმაზე, რომ /ს/-ს წინ (resp. შ-ს წინ) ბუნებრივია /ვ/ და არა /ყ/.

რაც შეეხება აქცესიას, დეცესიურობა-აქცესიურობა კომპლექსებისა ავიწროებს ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა მოდელს. ძველი ქართული დონეზე ბუნებრივია აქცესიური თჷ-, ძჷ-, კჷ- და სხვ. ასევე ჰომოგენური გზ-, ვს- და ვშ- კომპლექსები.

²⁰ ზ. სარჯველაძე, ძველი და საშუალო ქართული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხები, „მაცნე“, ელს, 1969, № 6, გვ. 227.

²¹ ბ. გიგინეიშვილი, შატბერდის კრებული X საუკუნისა, თბ., 1979, გვ. 56.

²² ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 138.

²³ ვ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961, გვ. 138.

²⁴ ხ/ვ მონაცვლეობის მაგალითები ამოღებულია წერილიდან: ლ. შალვაშვილი, ქიზიყურში ვ-ს შემონახვის საკითხისათვის (სოფ. ნუკრიანის მეტყველების მიხედვით), დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1988, გვ. 7—17.

О ДИСТРИБУЦИИ ჯ q В ИНГИЛОЙСКОМ
ДИАЛЕКТЕ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА
И СВЯЗАННЫХ С НЕЙ МОРФО-ФОНОЛОГИЧЕСКИХ
ПРОЦЕССАХ (В СОПОСТАВЛЕНИИ С КАХЕТИНСКИМ
ДИАЛЕКТОМ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА)

Р е з ю м е

В диалекте выявляются случаи чередования заднеязычных согласных.

В статье рассматриваются комплексы, содержащие ჯ q; высказывается мнение, что в основе перехода, характерного для древнегрузинского комплекса ჯჳ qჳ в ყჳ qჳ, лежат фонетические и морфо-фонологические изменения: ჯჳ qჳ/в *ყჳ *qჳ, > ჯჳ qჳ > ყჳ qჳ (но не ჯჳ qჳ > ყჳ qჳ или наоборот).

Чередование ჯq/ყq или ყq/ჯq в диалекте осуществляется в комплексах, разделенных гласным (ფეჰ/ფეყ რეჰ/რეჰ «нога», ყანყრატო/ჯანჟრატო qanqraṭo/qanqraṭo «глотка»).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

კაუზატივის ფორმალური ნიშნისა და ამოსავალი ფუძის
საკითხისათვის ზანურში

კაუზატიური სემანტიკის გამოხატვას ზანურში -აფ მორფემას უკავშირებენ (იხ. 6, 157; 2, 99; 1, 72). ამ -აფ სუფიქსს მეგრულში, ჭანურისაგან განსხვავებით, -უ- მოსდევს; მეგრულ კაუზატიურ ზმნას პირველ სერიაში -აფ-უ-ან დაბოლოება ახასიათებს.

-აფ სუფიქსი (ან მისი ფონეტიკური ვარიანტები: -ამ//-ან) ზანურში თემის ნიშნის ფუნქციითაც გვხვდება.

კაუზატივისა და აწმყოს ფუძის მაწარმოებელთა მასალობრივი ერთიანობა ბუნებრივ კითხვას ბადებს: ხომ არა გვაქვს აქ იმგვარივე ვითარება, როგორიცაა ქართულში, სადაც ზმნის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები (-ევ და -ენ) კაუზატივის ნიშნად უნდა განზოგადებულიყო (-ევ და -ინ სახით)?

კაუზატივის -აფ სუფიქსის კავშირი -აფ თემატურ ნიშანთან არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს (იხ. 2, 99; შდრ. 3), მაგრამ ზანურში მაინც სპეციფიკური ჩანს ვითარება ქართულთან შედარებით. სანამ უშუალოდ ამ საკითხს განვიხილავდეთ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რომელი ფუძეა ამოსავალი კაუზატიური წარმოებისათვის ზანურში?

არნ. ჩიქობავას აზრით, ეს არის აორისტის ფუძე. იგი წერს: „კაუზატივის წარმოება ჭანურში ერთფეროვანია: აორისტის ფუძე დაირთავს ო- წინსართსა და -აფ ბოლოსართს, აწმყოში კი ამგვარად ნაწარმოებ ფუძეს აორისტიასა და-ერთვის აწმყოს მაწარმოებელი სუფიქსი; ეს სუფიქსი ათინურსა და ვიწურ-არ-ქაბულში -ამ-აა, ზოფურში კი -აფ. მაგალითები:

აორისტი:
პირდაპირი გზა:

ჰემუქ ზუმ-უ ჰეა	მან ზომა ის
ჰემუქ კვათ-უ ჰეა	მან კრა ის
ჰემუქ თას-უ ჰეა	მან თესა ის
ჰემუქ გუბ-უ ჰეა	მან ხარშა ის

შუალობითი გზა (კაუზატივი):

ჰემუქ ო-ზუმ-აფ-უ ჰემუს ჰეა	მან აზომვინა მას ის
ჰემუქ ო-კვათ-აფ-უ ჰემუს ჰეა	მან აკრევინა მას ის
ჰემუქ ო-თას-აფ-უ ჰემუს ჰეა	მან ათესვინა მას ის
ჰემუქ ო-გუბ-აფ-უ ჰემუს ჰეა	მან ახარშვინა მას ის

აწმყო:
პირდაპირი გზა:

ჰემუქ ზუმ-უმ-ს ჰეა	ის ზომავეს მას
ემუქ ზიმ-უფ-ს ია	
ჰემუქ კვათ-უმ-ს ჰეა	ის კრის (კვეთს) მას
ემუქ კვათ-უფ-ს ია	
ჰემუქ თას-უმ-ს ჰეა	ის თესავს მას
ემუქ თას-უფ-ს ია	
ჰემუქ გუბ-უმ-ს ჰეა	ის ხარშავს მას
ემუქ გუბ-უფ-ს ია	

ჰემუქ ო-ზუმ-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა	ის აზომვინებს მას მას
ემუქ ო-ზუმ-აფ-აფ-ს ემუს ია	
ჰემუქ ო-კვათ-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა	ის აჭრევენებს მას მას
ემუქ ო-კვათ-აფ-აფ-ს ემუს ია	
ჰემუქ ო-თას-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა	ის ათესვინებს მას მას
ემუქ ო-გუბ-აფ-აფ-ს ემუს ია	
ჰემუქ ო-გუბ-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა	ის ახარშევენებს მას მას
ემუქ ო-გუბ-აფ-აფ-ს ემუს ია	

აქედან ჩანს, რომ კაუზატივის აწმყო კაუზატივის აორისტისაგან არის ნაწარმოები და არა პირდაპირი გზის აწმყოსაგან.

მეგრულში კაუზატივების აორისტი სავსებით ისევე იწარმოება, როგორც ჭანურში... კაუზატივი აწმყოს აწარმოებს კაუზატივის აორისტისაგან ისევე, როგორც ჭანურში“ (6, 177—179).

პერმანსივის ფუძეს ვარაუდობს ამოსავლად გ. მაჭავარიანი: „ძირეული ზმნის თემატური ნიშანი -უნ (←*-უმ) კაუზატივებში არა ჩანს. ეს გარემოება გვაგვარაუდებინებს, რომ კაუზატივის საწარმოებლად აორისტ-პერმანსივის (კერძოდ, პერმანსივის) ფუძე უნდა ყოფილიყო გამოყენებული“ (2, 99).

ჩვენი აზრით, კაუზატიური წარმოებისათვის ამოსავლად უნდა ჩაითვალოს აწმყოს ფუძე. ამას გვაფიქრებინებს ერთი საგულისხმო ფაქტი: როცა ზმნაში გვაქვს მხოლოდ ერთი -აფ, იგი თემატური ნიშნის ფუნქციას ასრულებს (კაუზატიური სემანტიკა ამ დროს, ბუნებრივია, არ გადმოიცემა). გვაქვს ო- პრეფიქსი და -აფ სუფიქსი, არა გვაქვს კაუზატიური შინაარსი: ო-რგ-აფ-ს // ორგ-ამ-ს // ო-რგ-უ-ან-ს („რგავს“), ო-გზ-აფ-ს // ო-გზ-ამ-ს // ო-რზ-ან-ს („ავზებს“), ო-ფშ-აფ-ს // ო-ფშ-ამ-ს // ო-ფშ-ან-ს („ავსებს“), ო-ტიბ-აფ-ს // ო-ტიბ-ამ-ს // ო-ტიბ-უ-ან-ს („ათბობს“), ო-სქირ-აფ-ს // ო-სქირ-ამ-ს // ო-სქირ-უ-ან-ს („აშრობს“)...

-აფ, რომელიც დასახელებულ ნიმუშებში დასტურდება (და რომელსაც შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ თემის ნიშნის კვალიფიკაცია), რეინტერპრეტირდება კაუზატივის მაწარმოებლად, თუ ზმნის ფორმაში მეორე თემის ნიშანი (ისევე -აფ ან მისი ალომორფი) გამოჩნდება: ორგ-აფ-აფ-ს // ორგ-აფ-ამ-ს // ორგუ-აფ-უ-ან-ს („არგვევინებს“), ოგზ-აფ-აფ-ს // ოგზ-აფ-ამ-ს // ორზ-აფ-უ-ან-ს („ავზებინებს“), ოფშ-აფ-აფ-ს // ოფშ-აფ-ამ-ს // ოფშ-აფ-უ-ან-ს („ავსებინებს“), ოტიბ-აფ-აფ-ს // ოტიბ-აფ-ამ-ს // ოტიბ-აფ-უ-ან-ს („ათბობინებს“), ოსქირ-აფ-აფ-ს // ოსქირ-აფ-ამ-ს // ოსქირ-აფ-უ-ან-ს („აშრობინებს“)...

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ ქართულთან, სადაც მსგავსი კანონზომიერება შეიმჩნევა სახელის სისტემაში: „ბრუნვიან ფორმათა მთლიან სისტემაში, როდესაც ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი მოექცევა, ეს უკანასკნელი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას კარგავს და მაშინვე რეინტერპრეტირდება წარმოქმნის ელემენტად“ (4, 6).

ერთი და იმავე მორფოლოგიური ელემენტის ფლექსიური და დერივაციული დანიშნულებით ფუნქციონირებასთან დაკავშირებით უფრო ადრე გამოითქვა მოსაზრება, რომ მტკიცე ზღვარი ამ ორი სხვადასხვა დონის მორფემებს შორის არ არის: „ერთი და იგივე მორფემა შეიძლება სასიტყვათშორისო ურთიერთობის შესაცვლელადაც იქნეს გამოყენებული და ლექსიკური მნიშვნელობის შესაცვლელადაც, ე. ი. მიმოხრასაც განეკუთვნებოდეს და წარმოქმნასაც“ (5, 33).

ქართულში ახალი (კაუზატიური) მნიშვნელობის გამოსახატავად ენამ არსებული ფორმობრივი ინვენტარი გამოიყენა — მოხდა ფუძის მაწარმოებლის რეინტერპრეტაცია და განზოგადება კაუზატივის მაწარმოებლად, მორფოლო-

გიური ელემენტის ფუნქციონირების ხასიათი (და სფერო) შეიცვალა, ამის შედეგად შეიქმნა ერთგვარი „ოპოზიციური“ წყვილი სუფიქსებისა — -ევ (ფორმამაწარმოებელი მორფემა): -ევ (სიტყვამაწარმოებელი მორფემა); ასევე მოხდა (მოგვიანებით) -ენ ფორმამაწარმოებელ ელემენტისა და -ინ (← -ენ) სიტყვამაწარმოებელ ელემენტის ფუნქციური დიფერენციაცია.

ქართული -ევ სუფიქსი, განზოგადებული კაუზატივის ნიშნად, წმინდა წარმოქმნის ელემენტია. მისგან განსხვავებით, ზანური -აფ სუფიქსის დერივაციულობა სხვა ელემენტთან (ფორმამაწარმოებელ მორფემასთან) დამოკიდებულება-მიმართებაში ვლინდება. ამ გაგებით, ეს -აფ არის არა წმინდა დერივაციული, არამედ ფლექსიურ-დერივაციული ელემენტი¹.

შეიძლება დაისვას საკითხი ქართ. -ინ მორფემასთან დაკავშირებით: წმინდა წარმოქმნის ელემენტია ეს სუფიქსი, თუ ფლექსიურ-დერივაციული (-ინ სუფიქსს პირველ სერიაში ყოველთვის -ებ თემატური აფიქსი მოსდევს)?

-ინ, ჩვენი აზრით, ისევეა განზოგადებული კაუზატივის მაწარმოებლად (ისეთივე წმინდა დერივაციული ელემენტია), როგორც -ევ. უბრალოდ, -ინ ნიშნიანი კაუზატივი -ინ (← -ენ) ნიშნიანი არაკაუზატიური ფორმის სტრუქტურულ მოდელს ემყარება; ეს უკანასკნელი ყოველთვის თემისნიშნიანია (შდრ.: ა-ჭერ-ინ-ებ-ს და ა-დგ-ინ-ებ-ს, ა-წერ-ინ-ებ-ს და ა-ვლ-ინ-ებ-ს...). ნიშნდობლივია, რომ -ევ ნიშნიანი კაუზატივიც -ევ ნიშნიანი არაკაუზატიური ფორმის სტრუქტურულ მოდელს მისდევს (კაუზატიური ა-კვლ-ევ-ს, ა-თქმ-ევ-ს... არაკაუზატიური ა-მტკრ-ევ-ს, ა-ნგრ-ევ-ს...).

ამგვარად, აწმყო უნდა იყოს ამოსავალი ზანურში იმ კაუზატივებისათვის, რომელთა ძირეულ ფორმაში -ან // -ამ // -აფ თემატური სუფიქსი დასტურდება — კაუზატივის ნიშნად სწორედ ეს სუფიქსი გადააზრიანდება.

ზოგჯერ კაუზატივის მაწარმოებლად რეინტერპრეტირებული -აფ სუფიქსის წინ ჩანს ფუძეს მიხორციებული:

ა) ამოსავალი (ძირეული) ზმნის თემატური ნიშანი — -ამ:

მე-ჩ-ამ-ს → მე-ჩ-ან-ს („მოსცემს“),



მი-ო-ჩ-ამ-აფ-უ-ან-ს („მოსცემინებს“); მასდარი: მე-ჩ-ამ-ა („მოსცემა“);

მი-ო-გ-ამ-ს → მი-ო-გ-ან-ს („დაწერს“),



მი-ო-გ-ამ-აფ-უ-ან-ს („დაწერეინებს“); მასდარი: მე-გ-ამ-ა („დაწერემა“);

ო-რ-ზ-ამ-ს → ო-რ-ზ-ან-ს („აგზნებს“),



ო-რ-ზ-ამ-აფ-უ-ან-ს („აგზნებინებს“); მასდარი: დო-რ-ზ-ამ-ა („დააგზნება“);

ო-ნჯ-ამ-ს → ო-ნჯ-ან-ს („აღებს“),



ო-ნჯ-ამ-აფ-უ-ან-ს („აღებინებს“); მასდარი: გო-ნჯ-ამ-ა („გააღება“);

ო-ცოთ-ამ-ს → ო-ცოთ-ან-ს („ისვრის“, „ესვრის“),



ო-ცოთ-ამ-აფ-უ-ან-ს („ასროლინებს“); მასდარი: ცოთ-ამ-ა („სროლა“)...

ბ) ამოსავალი (ძირეული) ზმნის თემატური ნიშანი — -უმ // -უნ:

შ-უმ-ს → შ-უნ-ს („სვამს“),



ო-შ-უმ-აფ-უ-ან-ს („ასმევს“, „აღვინებს“); მასდარი: შ-უმ-ა („სმა“);

¹ შდრ.: ერთი მხრივ, აკვლ-ევ-ს, ათქმ-ევ-ს, აქმნ-ევ-ს... მეორე მხრივ, ზან. ორგ-აფ-ს||ორგ-ამ-ს||ორგ-უ-ან-ს („რგავს“) → ორგ-აფ-აფ-ს||ორგ-აფ-ამ-ს||ორგ-უ-აფ-უ-ან-ს („არგვევინებს“)...

დგ-უმ-ს → დგ-უნ-ს („დგამს“),



ო-დგ-უმ-აფ-უ-ან-ს („ადგმევენებს“); მასდარი: რდო-დგ-უმ-ა („რდა დგმა“);
ნწყ-უმ-ს → ნწყ-უნ-ს („ხსნის“),



ო-ნწყ-უმ-აფ-უ-ან-ს („ახსნევენებს“); მასდარი: „გო-ნწყ-უმ-ა („გახსნა“);
რმე-თხ-უმ-ს → მე-თხ-უნ-ს („მოჰყიდებს“),



რმი-ო-თხ-უმ-აფ-უ-ან-ს („მოჰყიდებინებს“); მასდარი: რმე-თხ-უმ-ა („მოჰყიდება“);
ო-ბ-უნ-ს („ღვრის“),



ო-ბ-უნ-აფ-უ-ან-ს („აღვრევენებს“); მასდარი: რდო-ბ-უნ-ა („რდა ღვრა“)...

-უმ სუფიქსისეული -უ, ჩვეულებრივ, ვიწროვდება ზუგდიდურ-სამურზაყანულში, -გმ სახით გლინდება:

მუნა-დგ-უმ-აფ-უ-ან-ს: „უი ჩერტი ქმნულდგმაფუათია, თიშა, დიხა ქუმნურღვაფუათია“ (7, 206); „ზევით ჩელტი დავადგმევენოთო, იმაზე მიწა დავაყრევენოთო ზედ“;
მი-ო-თხ-უმ-აფ-უ-ან-ს: „კუდელიშა ქიმიოთხგმაფუ (ხე)“ (7, 297); „კუდზე მოაყიდებინა ხელი“;

გა-ნწყ-უმ-აფ-უ-ან-ს: „ტარიელს ქიმუფერუანსია თი კაჲ-დემი დო ღუს განწყგმაფუანსია“ (7, 303); „ტარიელს მოეფერებაო ის კაჲდემი და თავს გაახსევენებსო“.

იშვიათად უმ → გმ → მ:

გი-ოდგ-მ-აფ-უ-ან-ს: „ართი ოინჯუასჲ მააშინჲ ათე ეირასჲ თი მუარხეჲი, სანარტიაჲ მუჲო დააღორჲ ნი დო შხვა კოჩიშა გურგინი გიოდგმაფუუნი“ (8, 42); „ერთ საღამოს მოახსენა ამ გოგოს იმ მოახლემ, სანატრიამ როგორ მოატყუა და სხვა კაცისთვის გვირგვინი დაადგმეინა“.

-უნ // -უმ გამარტივებულია, დასტურდება მხოლოდ უ:

რთ-უნ-ს („ანაწილებს“),



ო-რთ-უ-აფ-უ-ან-ს („ანაწილებინებს“); მასდარი: რთ-უ-ალ-ა („გ ანაწილება“);
ჰ-უნ-ს („წვავს“),



ო-ჰ-უ-აფ-უ-ან-ს („აწვევენებს“); მასდარი: ჰ-უ-ალ-ა („წვა“);
ხ-უნ-ს („შლის“),



ო-ხ-უ-აფ-უ-ან-ს („აშლენებს“); მასდარი: ხ-უ-ალ-ა („რდაშლა“);
შ-უნ-ს („სვამს“),



რგო-ო-შ-უ-ან-ს („სასმელს დააყოლებს“),



რგი-ო-შ-უ-აფ-უ-ან-ს („სასმელს დააყოლებინებს“),
შდრ.: ო-შ-უმ-აფ-უ-ან-ს („ასმევს“, „აღვრევენებს“).

გ) ქართულიდან ნასესხები -ებ თემატური სუფიქსი (რომელსაც უნდა განეცადა ასეთი ცვლილებები: -ებ → -ეფ → -ემ → -ენ (6, 13).

ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ეფ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს,



ო-კეთ-ებ-აფ-უ-ან-ს („აკეთებინებს“); მასდარი: კეთ-ებ-ა;

ა-ჩერ-ებ-ს → ა-ჩერ-ეთ-ს → ა-ჩერ-ემ-ს → ა-ჩერ-ენ-ს,

↓

ო-ჩერ-ებ-ათ-უ-ან-ს („აჩერებინებს“); მასდარი: გა-ჩერ-ებ-ა;
ა-ჭითარ-ებ-ს → ა-ჭითარ-ეთ-ს → ა-ჭითარ-ემ-ს → ა-ჭითარ-ენ-ს („აწითლებს“),

↓

ო-ჭითარ-ებ-ათ-უ-ან-ს („აწითლებინებს“); მასდარი: გა-ჭითარ-ებ-ა („გაწითლება“);
ა-წწარ-ებ-ს → ა-წწარ-ეთ-ს → ა-წწარ-ემ-ს → ა-წწარ-ენ-ს („ამწარებს“),

↓

ო-წწარ-ებ-ათ-უ-ან-ს („ამწარებინებს“); მასდარი: წწარ-ებ-ა („გამწარება“)...

დ) მასდარისთვის დამახასიათებელი სუფიქსები:

-ალ²: ჩუ-ალ-ა („შე ნახეა“) → ო-ჩუ-ალ-ათ-უ-ან-ს („ჩუენახებინებს“);

შდრ.: აწმყო: ჩუ-ან-ს („ინახავს“);

თქუ-ალ-ა („თქმა“) → ო-თქუ-ალ-ათ-უ-ან-ს („ათქმევინებს“);

შდრ.: მყოფადი³: თქუ-ან-ს („იტყვის“);

დო-დვ-ალ-ა („დადეა“) → ო-დვ-ალ-ათ-უ-ან-ს („დადეებინებს“);

შდრ.: აწმყო: დო-დვ-ან-ს („დადებს“)...

-ირ.: კითხ-ირ-ი („კითხვა“) → ო-კითხ-ირ-ათ-უ-ან-ს („აკითხებს“);

შდრ.: აწმყო: კითხ-ულ-ენ-ს („კითხულობს“),

მყოფადი: წე-კითხ-ენ-ს („წაიკითხავს“);

ციდ-ირ-ი („ყიდვა“) → ო-ციდ-ირ-ათ-უ-ან-ს („აყიდვინებს“);

შდრ.: აწმყო: ციდ-ულ-ენ-ს („ყიდულობს“),

მყოფადი: ი-ციდ-ენ-ს („იყიდის“)...

ზოგჯერ მასდარში -ალ სუფიქსთან ერთად -უმ თემის ნიშანიც ვლინდება: მე შკ-უმ-ალ-ა („მიგზავნა“) → მი'-ო-შკ-უმ-ალ-ათ-უ-ან-ს („მიავგზავნებინებს“); შდრ.: აწმყო: მი'-ო-შკ-ვ-ან-ს ← მი'-ო-შკ-უ-ან-ს ← *მი'ო-შკ-უმ-ან-ს („ავგზავნის“).

მასდარში — „სუმალა“ („წა'სმა“) — ერთი შეხედვით, -უმ და -ალ სუფიქსები უნდა გამოიყოს თითქოს. ასე არ არის, როგორც ირკვევა: ამოსავალია სუ-ამ-ალ-ა (→ სუ-მ-ალ-ა). ეს ჩანს პირიანი ფორმიდან: უ-სვ-ან-ს (← უ-სუ-ან-ს ← უ-სუ-ამ-ს). კაუზატიური ფორმაა: ო-სუ-მ-ალ-ათ-უ-ან-ს („ასმევინებს“).

ახსნას საჭიროებს შემთხვევა, როცა ძირეულ ზმნაში დასტურდება -უნ // -უმ // -უფ, ნაწარმოებ (კაუზატიურ) ფორმაში კი ეს სუფიქსი არ ჩანს (თას-უნ-ს // თას-უმ-ს // თას-უფ-ს → ო-თას-ათ-უ-ან-ს // ო-თას-ათ-ამ-ს // ო-თას-ათ-აფ-ს — „ათესვინებს“).

უნდა გავიხსენოთ ზანურისათვის ფრიად დამახასიათებელი მონაცვლეობა თემის ნიშნებისა: -უნ // -უმ // -უფ: -ან // -ამ // -აფ: ნიმუშები:

მეგრ.:

ჭკირ-უნ-ს („ჭკრის“): გი-ო-ჭკირ-ან-ს („დააჭკრის“),

კვათ-უნ-ს („ჭკრის“, „კვეთს“): გი-ო-კვათ-ან-ს („დააჭკრის“),

ქარ-უნ-ს („წერს“): გი-ო-ქარ-ან-ს („დააწერს“),

თას-უნ-ს („თესავს“): გი-ო-თას-ან-ს („დაათესავს“),

ზიმ-უნ-ს („ზომავს“): გი-ო-ზიმ-ან-ს („დააზომავს“) და ა. შ.

² გ. მაჭავარიანის ვარაუდით, „ზანურს -ალ სუფიქსიც (თემის ნიშანი) უნდა ჰქონოდა“ (იხ. 2, 99).

³ აწმყოში სხვა ფუძეა („იჩიებუ“ — „ამბობს“).

ქან. (ვიწ. არქ.):

ქან. (ზოფ.):

ჰკირ-უმ-ს: გი-ო-ჰკირ-ამ-ს
კვათ-უმ-ს: გი-ო-კვათ-ამ-ს
ჰარ-უმ-ს: გი-ო-ჰარ-ამ-ს
თას-უმ-ს: გი-ო-თას-ამ-ს
ზუმ-უმ-ს: გი-ო-ზუმ-ამ-ს

ჰკირ-უფ-ს: გი-ო-ჰკირ-აფ-ს
კვათ-უფ-ს: გი-ო-კვათ-აფ-ს
ჰარ-უფ-ს: გი-ო-ჰარ-აფ-ს
თას-უფ-ს: გი-ო-თას-აფ-ს
ზიმ-უფ-ს: გი-ო-ზიმ-აფ-ს და ა. შ.

სათანადო ნაშალის ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ ძირეულ (ამოსავალ) ფორმაში -უნ // -უმ -უფ // ალმორფები დასტურდება, „საზედაოში“ მათ ნაცვლად -ან // -ამ // -აფ იქნება. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის საკითხი ასე დაისვას: ხომ არ მომდინარეობს კაუზატიური ფორმები აღნიშნულ შემთხვევაში სწორედ „საზედაოს“ ფორმებისაგან? (შდრ. 2, 99).

ყოველ შემთხვევაში, თემის ნიშანთა მონაცვლეობა რეალურად დასტურდება; ამასთან, მას სისტემატური ხასიათი აქვს „საზედაოს“ ფორმირებისას. არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი ამგვარი ალტერნაციის დაშვება კაუზატივების ფორმირების პროცესშიც.

ამგვარად, ზანური -აფ ფლექსიურ-დერივაციულ (და არა წმინდა დერივაციულ) ელემენტად უნდა ჩაითვალოს. კაუზატიური ფორმისათვის ამოსავალი, ჩვენი აზრით, აწმყოს ან მასდარის ფუძეა (ჩვეულებრივ, ჰირს რომელიმესათვის პრიორიტეტის ნიშნება) — ამ თვალსაზრისით ზანური ქართულს მიჰყვება.

ლიტერატურა

1. ტ. გუდაგაძე, უან დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივებში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბ., 1984.
2. გ. მაჭავარიძე, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, ივე, ტ. XXVII, თბ., 1988.
3. ნ. მაჭავარიძე, კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში, „მაცნე“, ელ., 1987, № 1.
4. თ. უთუჩვაძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
5. ა. შანიძე, თხულებანი, თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.
6. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
7. მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.
8. Ц а г а р е л и А., Мингрельские этюды, вып. I, Мингрельские тексты, Спб., 1880.

Ч. К. КИРИЯ

ДЛЯ ВОПРОСА ФОРМАЛЬНОГО ПОКАЗАТЕЛЯ КАУЗАТИВА И ИСХОДНОЙ ОСНОВЫ В ЗАНСКОМ

Резюме

Суффикс -ар в занском выполняет функцию тематического показателя, но этот -ар меняет квалификацию, в частности, преобразуется формальным показателем каузатива, если в форме глагола появится другой тематический показатель — все тот же -ар. Это обстоятельство заставляет нас думать, что для каузативных форм исходной является не основа аориста (или аориста-пермансива), а основа настоящего времени или масдара.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ერგატივი, როგორც პაციენსის გრამატიკული აქტუალიზაციის ერთ-ერთი საშუალება

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ე. წ. ერგატიული ენებისადმი. ეს გარკვეულად განსაზღვრა ტიპოლოგიური ენათმეცნიერების თვისებრივად ახალ საფეხურზე გადასვლამ. თუ თავდაპირველად, XIX საუკუნის დასაწყისში, ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებას ძირითადად კლასიფიკაციური ხასიათი ჰქონდა, თანამედროვე პირობებში მან განმაზოგადებელი და მახასიათებელი ხასიათი შეიძინა: ენათა შორის მსგავსება-განსხვავებულობებზე დაფუძნებით უნივერსალური ენობრივი სისტემის დადგენა, ენის სიღრმისეული სტრუქტურების განსაზღვრა, ზოგადი კანონზომიერებების კვლევა და ენის არსის ამოცნობა — აი ის ძირითადი მიზნები, რომელთაც საკმაოდ ეფექტურად ემსახურება ენათა კვლევის ტიპოლოგიური მეთოდი: სხვადასხვაგვარ ბუნებრივ ენათა ტიპოლოგიური ანალიზი კი თავისთავად სვამს ერგატიული ენების (resp. ერგატიული კონსტრუქციების) არსის დადგენის საკითხს, რამდენადაც ისინი ნომინატიურ ენებთან ერთად ენობრივი სინამდვილის ძირითადი ოდენობებია. ერგატიული ენებისა და ერგატიული კონსტრუქციებისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან ნაშრომში ერგატიული კონსტრუქციები, ძირითადად, ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით ანალიზდება. საკითხი მათი მნიშვნელობის შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ რა სემანტიკურ ოდენობებს გამოხატავენ ისინი, არც დასმულა. ორივე ცნება — „ერგატიული“ და „ნომინატიური“ ზედაპირულ კონსტრუქციებს განსაზღვრავს. ბუნებრივია, რომ ეს ზედაპირული ყალიბები რაღაც სემანტიკურ ოდენობას ასახავენ და გარკვეული შინაარსის მატარებელნი არიან. რა შინაარსია ეს? ნომინატიური კონსტრუქციების შემთხვევაში ესაა სიღრმისეული მოქმედი (resp. Agens, სუბიექტი, თემა) და სამოქმედო (resp. Patiens, ობიექტი, რემა) სახელების გრამატიკული დიფერენციაცია: გარდამავალი და გარდაუვალი კონსტრუქციების სუბიექტი უპირისპირდება გარდამავალი კონსტრუქციის ობიექტს სპეციფიკური, ე. ი. ნომინატიური (პირდაპირი) ბრუნვის ფორმით; რაც შეეხება ერგატიულ კონსტრუქციას, აქ თვალნათლივ არ ჩანს, რა სემანტიკურ ოპოზიციას ასახავს გარდამავალი ზმნის Ag, სუბიექტის (S) გამოცალკევება სპეციფიკური, ერგატიული (ირიბი) ბრუნვით დანარჩენი სახელებისგან (გარდაუვალის სუბიექტი და გარდამავლის ობიექტი, რომლებიც ნომინატიური (პირდაპირი) ბრუნვით არიან მარკირებულნი)¹:

ერგატიული ენები		ნომინატიური ენები	
Ag		Ag	
Ag	P	Ag	P
P		P	
ერგატივი	ნომინატივი	ნომინატივი	აკუზატივი

რა არის მიზეზი S — P-ს მორფოლოგიური გათანაბრებისა ერგატიულ ენებში? სავარაუდო უნდა იყოს რაღაც ერთი კატეგორიის არსებობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ერთ მორფოლოგიურ კლასში გაერთიანება. ასეთ კატეგორიას არ წარმოადგენს არც ერთი ტრადიციულ გრა-

მატიკებში გამოყოფილ კატეგორიათაგან: სუბიექტი — ობიექტი, აქტიური — პასიური სახელები, ქვემდებარე — დამატება, თემა — რემა... არც ერთი დასახელებულ კატეგორიათაგან არ აერთიანებთ ერთ კატეგორიად (ქვეკატეგორიად) გარდამავალის P-სა და გარდაუვლის S-ს, არა და ერგატიულ ენებში, თუ ფორმალური დაპირისპირებიდან ამოვალთ, P (პირდაპირი ობიექტი)-ს ცალკე კატეგორია (ან ქვეკატეგორია) არც კი არსებობს, ის ერთიანდება გარდაუვლის სუბიექტთან და გარდაუვლის S და გარდამავლის P ერთად, ერთ მთლიან კატეგორიას შეადგენენ. ე. ი. გვაქვს არა, მაგალითად, სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიები, არამედ რაღაც ერთი მთლიანი კატეგორია, რომელიც აერთიანებს S — P-ს ერთ კლასში და უპირისპირებს მათ გარდამავლის Ag-ს². ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას ერთი საკმაოდ ცნობილი სემანტიკური ფაქტით: კერძოდ, გარდაუვალი ზმნის სემანტიკური ორიენტაციით აგენსზე (სუბიექტზე), ხოლო გარდამავალი ზმნისა — პაციენსზე (ობიექტზე). მაგალითად, თუ გვაქვს „გადაადგილების“ სემა (გარდაუვალი სემანტიკა), კონკრეტული ზმნის ლექსიკური სახე განისაზღვრება სუბიექტის სემანტიკის მიხედვით: თუ გვაქვს „ჩიტი“, ზმნა იქნება „მიფრინავს“, თუ „ადამიანი“ → „დადის“. „გველი“ → „მისრიანებს“, „კურდღელი“ → „მიხტის“, „გემი“ → „მიცურავს“ და ა. შ. გარდამავალი სემანტიკის (მაგალითად, „შექმნის“ სემა) შემთხვევაში ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს ობიექტის სემანტიკა: თუ ობიექტია „წერილი“, ზმნა იქნება „დაწერა“, თუ „ნახატი“ → „დახატა“. „სურათი“ → „გადაიღო“, „სახლი“ → „ააშენა“, „ტაძარი“ → „ააგო“ და ა. შ.³. ამგვარად, სემანტიკურად ზმნას ითანხმებენ (ე. ი. სემანტიკურად შემთანხმებელი სახელებია) გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის P (ობიექტი) (ანუ ნომინატივით (პირდაპირი ბრუნვით) მარკირებული სახელები); ხოლო სემანტიკურად არ ითანხმებს (ე. ი. სემანტიკურად არაშემთანხმებელი სახელებია) გარდამავლის Ag (ანუ ერგატივით მარკირებული სახელი)⁴. ზმნის ამ სემანტიკურ ორიენტაციას პირობითად შეიძლება „სემანტიკური შეთანხმებულობა“ ეწოდოს. ამგვარად, ერგატიული კონსტრუქცია წარმოადგენს „სემანტიკური შეთანხმებულობის“ გრამატიკულ, ზედპირულ რეალიზაციას, რომლის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება სემანტიკურად შემთანხმებელი (resp. ნომინატივით წარმოდგენილი გარდამავლის P და გარდაუვლის სუბიექტი) და არაშემთანხმებელი (resp. ერგატივით წარმოდგენილი გარდამავლის Ag) სახელები; ხოლო ნომინატიური კონსტრუქცია „სემანტიკური შეთანხმებულობის“ (სშ) არაგრამატიკულობაზე მიგვანიშნებს (ე. ი. ნომინატიურ ენებში ზედპირულ დონეზე არაა რეალიზებული სემანტიკური შეთანხმებულობა). იგივე შეიძლება ითქვას ე. წ. აქტიური წყობის ენებზე, სადაც ზედპირულ დონეზე ნომინატივით (პირდაპირი ბრუნვით) მარკირებულია არა სემანტიკურად შემთანხმებელი ან მოქმედი სახელი, არამედ აქტიური სახელი (ასეთებია გარდამავლის Ag და გარდაუვლის აქტიური სუბიექტი (Ag)), რომელიც უპირისპირდება არააქტიურ სახელს (ასეთებია გარდამავლის P და გარდაუვლის პასიური, არააქტიური სუბიექტი (P))⁵. მიუხედავად იმისა, რომ არც ნომინატიურ და არც აქტიურ ენებში გრამატიკულ დონეზე არაა რეალიზებული სშ, Patiens-ის გრამატიკული აქტუალიზაციის აუცილებლობა გარდამავალი კონსტრუქციებისათვის, ანუ გარდამავალ ზმნათათვის სამოქმედო ობიექტის სემანტიკური გამორჩეულობის (ზმნა მასზეა ორიენტირებული) ენობრივი საშუალებებით წარმოჩენა, კვლავ ძალაშია. პაციენსის ამ განმსაზღვრელ როლს გარდამავალი ზმნის სტრუქტურაში უნივერსალური ხასიათი აქვს — მის გარეშე ზმნა ფაქტობრივად გარდაუვალი ხდება⁶. ეს უნივერსალური ფაქტი სხვადასხვაგვარად აისახება ბუნებრივ ენებში. მაგალითად, ჩინურში გარდამავალ ზმნებთან ყოველთვისაა წარმოდგენილი ზედპირულად: „ძილი ძინავს“,

„გზა გაიარა“... და ნებისმიერ სტრუქტურაში, თუკი ის საბეზე არაა, მაშინ ეს ზმნა გაფორმებულია გარდაუვლობის მსგავსად - ზღე - სუფიქსით⁷. ასევე, ხურიტულ ენაში უობიექტო ფორმების მაჩვენებელია -t-⁸. ოდნავ განსხვავებული ვითარებაა უნგრულ ენაში, სადაც გამოიყოფა ორი სუბიექტური რიგი Ag-ის (სუბიექტის) პირის ნიშნებისა — P-ს გარეშე და იმ P-თი, რომელიც განსაზღვრულია⁹. პაციენსის განსაზღვრულობას გადამწყვეტი როლი ენიჭება ფინურ-უგორულ ენებში, სადაც განსაზღვრული P გამოხატულია სპეციფიკური ბრუნვით, აკუზატივით და მხოლოდ განსაზღვრული P-ს დროს გვხვდება ერგატიული კონსტრუქცია (მაგალითად, Vakh Ostyak-ში)¹⁰. საზოგადოებრივ ნომინატიურ ენებში პაციენსის განსაკუთრებულობა ზედაპირულად გამოხატულია სპეციფიკური ბრუნვით — აკუზატივით, თუმცა აკუზატივით გამოხატული P ნომინატიურ კონსტრუქციაში Ag-თან შედარებით (რომელიც ნომინატიური ბრუნვითაა მარკირებული) მეორეხარისხოვანია, რამდენადაც ძირითადი მნიშვნელობა აქ S-ის (Ag) გრამატიკულ მარკირებას ენიჭება. ეს ნათლად ჩანს ზმნის პირიან ფორმებში — ნომინატიურ ენებში, როგორც წესი, ზმნურ ფორმაში აღნიშნულია მხოლოდ S (Ag), P კი — ზედაპირულად, ზმნურ სტრუქტურაში რაიმე ფორმალური ნიშნით წარმოდგენილი არაა. ამდენად მისი სემანტიკური როლის წარმოსაჩენად აუცილებელია P-ს გრამატიკული აქტუალიზაცია, რაც ბუნებრივ ენებში ძირითადად შემდეგი სახის სტრუქტურებით ხორციელდება: 1. პოსესიური კონსტრუქცია; 2. პერფექტული კონსტრუქცია; 3. პასიური კონსტრუქცია¹¹.

პოსესიური კონსტრუქცია გამოხატავს „ფლობის“ სემანტიკას, რომლის დროსაც ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება იმ ობიექტს (P), რომელიც ფლობის საგანია. ე. ი. წინა პლანზეა არა მფლობელი, არამედ ფლობის ობიექტი. ეს ფაქტი ბუნებრივ ენებში გამოიხატება ზედაპირულადაც, მფლობელისა და ფლობის საგნის განსხვავებული ფორმებით: პირველი, როგორც წესი, ირიბ ბრუნვაშია (დატივი, გენეტივი), მეორე კი პირდაპირში (ნომინატივი). ე. ი. „ფლობის“ სიტუაციის შეფასებისას (გადმოცემისას) თვალთახედვის ცენტრია P და სწორედ მას ენიჭება ცენტრალური, ძირითადი მნიშვნელობა. ზედაპირულად P-ს ამგვარი „ცენტრალურობა“ გამოიხატება ნომინატივით, ანუ მთავარი წევრების გამოხატვის ბრუნვითა იერარქიაში უმაღლეს საფეხურზე მოთავსებული ბრუნვით (ნომინატიური ენებისათვის ბრუნვითა იერარქიაა: Nom > Acc > Dat.) არსებობს ორი სახის პოსესიური კონსტრუქცია: შედგენილი „არსებობის“ („ყოფნა“ ზმნა) პრედიკატი და „ფლობის“ („ქონა“ ზმნა) პრედიკატი:

(1) P არის Ag-ის.

(2) P აქვს Ag-ს.

(1) ტიპის სტრუქტურა უნივერსალურად P-ს გრამატიკულ აქტუალიზაციას და მის პირდაპირი ბრუნვით მარკირებას გულისხმობს ყველა ენაში, (2) კი ენათა მიხედვით განსხვავებულია: ზოგიერთ ენაში Ag-ია პირდაპირი ბრუნვით (ნომინატივით) გამოხატული (მაგ., ინგლისურში I have a book) (ე. ი. ამ ენებში არა გვაქვს P-ს გრამატიკული აქტუალიზაცია); ზოგიერთში კი — P (მაგ., წიგნი აქვს კაცს) (ე. ი. ამ ენებში P გრამატიკულად აქტუალიზებულია). ამ ორი სახის პოსესიურ სტრუქტურას შეესაბამება ორი ტიპის პერფექტი:

(1) P არის Ag-ის Nv,

(2) P აქვს Ag-ს Nv¹²,

სადაც Nv აღნიშნავს ნაზმნარ სახელებს, მიმღეობებს: დახატული, დაწერილი, გაკეთებული...

საზოგადოდ, პერფექტული კონსტრუქცია გამოხატავს ისეთ სიტუაციას, რომლის შესაბამისი მოქმედება დასრულებულია გარკვეული მომენტისათვის და მის შესახებ მსჯელობა მიდის მოქმედების შედეგის მიხედვით. ამგვარად, პერფექტის სემანტიკა უკვე გულისხმობს Ag -ის მეორე პლანზე გადასმასა და P -ს როლის გაზრდას, რადგანაც მოქმედების შედეგი გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში სწორედ P -ა.

მესამე, ბუნებრივ ენებში მეტად გავრცელებული, საშუალება P -ს აქტუალიზაციისა არის პასიური კონსტრუქცია, რომელიც გულისხმობს სახელთა ბუნებრივი ლოგიკის შებრუნებასა და P -ს აქტუალიზაციას. გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში საგანთა ბუნებრივი ლოგიკა გულისხმობს, რომ კომუნიკაციისათვის მთავარი სახელია ის, რომელიც მოქმედებს, ქმნის P -ს, ანუ Ag ; მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ სშ-ს თანახმად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება P -ს, ენაში შესაძლებელი ხდება საგანთა ბუნებრივი ლოგიკის ენობრივი დარღვევა, P -ს წინა პლანზე წამოწევა (მისი აქტუალიზაცია) და აქტიური სემანტიკის პასიურით შეცვლა. ამგვარად მიიღება პასიური კონსტრუქციები (რომლებიც იმ ენებში, სადაც პასივის მხოლოდ ანალიზური წარმოებაა, უტოლდებიან პერფექტულ კონსტრუქციებს, ძირითადად (1) ტაბისაჲ: *The book is read by me*). თავისი ზედაპირული ბრუნვათა ყალიბებით პასიური კონსტრუქცია ემთხვევა ერგატიულს; ორივე შემთხვევაში P არის პირდაპირი ბრუნვით წარმოდგენილი, Ag კი — ირიბით.

ამგვარად, ყველა აღნიშნული კონსტრუქცია: ერგატიული, პასიური, პერფექტული, პოსესიური — P -ს გრამატიკულ აქტუალიზაციას ემსახურება¹³. მათ შორის მჭიდრო კავშირები არსებობს როგორც სინქრონიული, ასევე დიაქრონიული. სინქრონიულად ეს კონსტრუქციები ან მოიცავენ ერთმანეთს, ან ურთიერთს გამორიცხავენ. მაგალითად: პოსესიური კონსტრუქციის გაფართოება იძლევა პერფექტულს: { P არის Ag -ის}. -ის გავრცობაა: { P არის Ag -ის Nv } და, პირიქით, პერფექტის სემანტიკა მოიცავს „ფლობის“ სემანტიკას¹⁴. აგრეთვე, პერფექტი გულისხმობს პასივიზაციასაც, რამდენადაც აქაც ხდება P და Ag -ისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ლოგიკის შებრუნება¹⁵ — ბევრ ენაში პასივი სწორედ პერფექტული კონსტრუქციებით გადმოიცემა. საინტერესოა, რომ იმ ენებში, სადაც ერგატიული კონსტრუქციები არსებობს, პერფექტის მნიშვნელობა ჩვეულებრივ ერგატიული კონსტრუქციებით გადმოიცემა და ა. შ. სინქრონიულად ერთმანეთს გამორიცხავენ პასიური და ერგატიული კონსტრუქციები, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე სემანტიკურ ფაქტს — სშ-ს გამოხატავენ სხვადასხვა დონეზე: ერგატიული კონსტრუქცია გულისხმობს თავდაპირველადვე სემანტიკურად შემთანხმებელი-არაშემთანხმებელი სახელების ოპოზიციას, პასიური კონსტრუქცია კი ჯერ მოქმედი-არამოქმედი სახელების განსხვავებას და შემდგომ სშ-ს მარკირებას. შედეგად ორივე შემთხვევაში ვღებულობთ კონსტრუქციას: Ag (ირიბი ბრუნვით). V , P (პირდაპირი ბრუნვით). ამიტომ, თუ ზედაპირულად გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია, გამორიცხულია მისი პასივიზაცია და პირიქით. მსგავსმა სიახლოვემ ამ კონსტრუქციებისა წარმოქმნა ერგატივის „პასიურობის“ თეორია¹⁶, რადგან, თუ სხვა კონსტრუქციებისგან მოწყვეტით განვიხილავთ პასიურ კონსტრუქციას და ინდოევროპული (ნომინატიური) ენების თავისებურებებიდან ამოვალთ, ერგატიული კონსტრუქცია უდრის პასიურს და მათ შორის რაიმე განსხვავების დაჭერა შეუძლებელია, განსხვავება კი მხოლოდ იმაშია, რომ ერგატიულ ენებში მხოლოდ ერგატიული კონსტრუქციებია შესაძლებელი (მაგ.,

დალესტნის ენებში), პასიური კონსტრუქციები კი თანაარსებობენ აქტიურ კონსტრუქციებთან. აქედან აღვილი წარმოსადგენია ის დიაქრონიული კავშირები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ნომინატიურ და ერგატიულ ენებს შორის: თუ ყველა გარდამავალზმნიანი კონსტრუქცია დაექვემდებარება პასივიზაციას, ნომინატიური ენა გარდაიქმნება ერგატიულად, ანუ — ერგატიული ენები იგივე ნომინატიური ენებია აქტიური წინადადებების აუცილებელი პასიური გამოხატულებით. ნომინატიური კონსტრუქციის ერგატიულად გარდაქმნა ჩვეულებრივ გაშუალებულია პოსესიური, პერფექტული კონსტრუქციებით¹⁷. ასევე, აქტიური კონსტრუქცია შეიძლება გარდაიქმნას ერგატიულად. ეს სინქრონიული და დიაქრონიული ურთიერთკავშირები თავისებურ ასახვას პოულობენ თანამედროვე ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებაში. რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის სიღრმისეული, უნივერსალური სტრუქტურების დადგენა: რომელი კონსტრუქცია მივიჩნიოთ სიღრმისეულად, უნივერსალურად — ერგატიული თუ ნომინატიური? აქ ძირითადად ორი შესაძლებლობა არსებობს¹⁸: 1. ნომინატიური კონსტრუქციაა სიღრმისეული და მისგან აუცილებელი პასივიზაციით მიიღება ყველა ერგატიული კონსტრუქცია; ან 2. ერგატიული კონსტრუქციაა სიღრმისეული და მისგან „ანტიპასიურობის“ წესით მიიღება ნომინატიური კონსტრუქციები. ორივე ეს ვარიანტი ენობრივი სიღრმის წარმოდგენისა გამართლებულია ერგატიული და პასიური კონსტრუქციების ზემოთ მოყვანილი იგივეობიდან გამომდინარე და ორივე შესაძლებლობა რეალიზებულია კიდევ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენათმეცნიერის ნაშრომებში. მაგალითად, პირველის მიმდევრებია პ. უსლარი, გ. შუხარდტი, ხ. ულენბეკი... მეორისა კი პ. ფოგტი, ჯ. მაკოლი, მ. სილვერსტაინი... მაგრამ ალბათ უფრო სამართლიანი იქნებოდა ეს კონსტრუქციები არ დაგვეყვანა ერთმანეთზე და იმ კატეგორიების გამოჩენით აღგვეწერა, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სემანტიკას; ნომინატიური ენების შემთხვევაში ესაა სუბიექტისა და ობიექტის კატეგორია, ხოლო ერგატიული ენების შემთხვევაში — სემანტიკური შეთანხმებულობა. ნომინატიურ ენებში დომინანტური სემანტიკური კატეგორიაა S — O. მთავარი მნიშვნელობა ენიჭება S/O-ს გრამატიკულ მარკირებას და დანარჩენი გრამატიკული კატეგორიები იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდებარეობენ, ანუ ნომინატიურ ენებში $S/O > სშ$; ერგატიულ ენებში კი ძირითადია სშ და დანარჩენი კატეგორიების აღნიშვნა მასთან შედარებით მეორეხარისხოვანია — ანუ $S/O < სშ$. ე. ი. სიღრმისეულად ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები ერთმანეთის მსგავსია, ისინი ერთი და იგივე სიღრმისეული სტრუქტურიდან მომდინარეობენ და მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიებს შორის არსებული იერარქიული განსხვავებები განსაზღვრავენ მათ შორის არსებულ განსხვავებულობებს. ამგვარად, ერგატიული ენებია ისეთი ენები, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება სშ-ს მარკირებას, რომელიც გულისხმობს ზედაპირულ დაპირისპირებას სემანტიკურად შემთანხმებელ და სემანტიკურად არაშემთანხმებელ სახელებს შორის. გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება Patiens-ს²⁰. P-ს აქტუალიზაციის ძლიერი უნივერსალური ტენდენციის გამო ნომინატიურ ენებშიც შეიძლება წარმოიქმნას ერგატიული კონსტრუქციები, რომლებიც ჩვეულებრივ შემოსაზღვრულნი არიან წარსული დროის, პერფექტული და სრული ასპექტის ფორმებით, რამდენადაც სწორედ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გაზრდილია P-ს როლი — წარსულში დასრულებული მოქმედების შედეგი სახეზეა და მისი აქტუალიზაცია უფრო აუცილებელია, ვიდრე, ვთქვათ, დაუსრულებელი მოქმედების P-სა, რომელიც ჯერ გამოკვეთილი არცაა: „გუშინ ბევრი ვხატე“ — რა? პორტრეტი? პეიზაჟი? ნატურმორტი? მაგალითად,

აწმყოს დროში გაურკვეველია თუ რას აშენებენ მუშები? — სახლს? თეატრს? ქარხანას?... ამგვარი ჭერ კიდევ გამოუკვეთელი P-ს აქტუალიზაცია, ბუნებრივია, ნაკლებ აუცილებელია, რამდენადაც მასთან ზმნის სემანტიკური კავშირიც (სშ) ჭერ გამოუკვეთელია და, ამდენად, გასაგები უნდა იყოს ბუნებრივ ენებში გავრცელებული უნივერსალია: ერგატიული კონსტრუქცია არა ერგატიულ ენებში (ანუ იმ ენებში, სადაც ძირითადი არაა სშ-ს გრამატიკალიზაცია) ჩნდება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ წარსული დროის, სრული ასპექტის, პერფექტულ ფორმებთან. აგრეთვე, ამგვარი მსჯელობით უფრო გასაგები ხდება მ. სილვერსტაინის იერარქია:

Erg I/II	III პირის	საკუთარი	სულიერი	უსულო	საზოგადო Erg
პირის ნაწ. სახელები	ნაცვალ- სახელები	სახელები	სახელები	სახელები	სახელები
← Acc					Acc →

რომელიც აღწერს Erg. და Acc. სისტემების გაჩენის ალბათობის ზრდის უნივერსალურ მიმართულებებს „საზოგადო“ — „უსულო“ — ... „I/II პირის“ სახელების გასწვრივ. გასაგებია, რომ ერგატიული კონსტრუქციები უპირველეს ყოვლისა ჩნდება III პირის საზოგადო სახელებთან, რამდენადაც I — II პირი ყოველთვის სახეზეა, ამდენად განსაზღვრული და ამის ძალით უკვე აქტუალიზებული. სწორედ III პირის P-ს განსხვავებულობები განსაზღვრავენ პრედიკატის კონკრეტულ სახეს, ე. ი. III პირთან უფრო ღირებულია სშ-ს გრამატიკული მარკირება. სახელის განსაზღვრულობა იზრდება (შესაბამისად მცირდება მისი აქტუალიზაციის აუცილებლობა, ანუ მცირდება ერგატიული კონსტრუქციის წარმოქმნის შესაძლებლობა) სქემის მიხედვით მარჯვნიდან მარცხნივ; ნომინატიურ ენებში კი, რამდენადაც S — O-ს გრამატიკული მარკირებიდან ამოვლივართ და „ვინ რაზე მოქმედებს“ (ანუ S და O), ყველაზე ნათლად გარკვეულია აწმყოში, I—II პირის სახელებთან (ანუ კომუნიკაციის აქტის თანმხლებ კატეგორიებთან კავშირში); ამდენად, P-ს აქტუალიზაცია Acc-ით სწორედ გარკვეული, განსაზღვრული სახელებიდან იწყება (I—II პირიდან) და თანდათან ვრცელდება სხვა სახელებზეც — სქემის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ. საზოგადოდ, კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების როლი (I—II პირი) ენობრივი გამონათქვამების ფორმირებისას ძალიან დიდია და გამოიხატება ისეთი გრამატიკული კატეგორიების უნივერსალურობით, როგორიცაა: პირი, აწმყო დრო, სხვადასხვა სახის ასპექტური მახასიათებლები მოქმედებისა, აგრეთვე, I/II თ III დიქტომია და პოლიპერსონალიზმის განმსაზღვრელი პირობები. ზოგიერთ ენაში კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების (და, საზოგადოდ, კომუნიკაციის აქტის) გამოკვეთას განმსაზღვრელი როლი ენიჭება გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში და, თუ ვილაპარაკებთ დომინანტურ კატეგორიებზე, სწორედ „კომუნიკაციის აქტის“ (და არა S/O ან სშ-ს, ან სხვ.) ენობრივი გამოხატულებაა მთავარი ამ ენებში. მაგალითად, ქართულსა და ქართველურ ენებში გრამატიკულ კატეგორიათა სისტემის განმსაზღვრელი კატეგორია არ უნდა იყოს არც S/O²¹, არც სშ²² და არც აქტიურობა²³; ყველა ის სირთულე, რომელიც ჩნდება ქართველური ენების ნომინატიურ, ერგატიულ, თუ აქტიურ ენებთან მიკუთვნების შედეგად, განსაზღვრული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტით, რომ არც ერთი ზემოთ დასახელებულ კატეგორიათაგან (S/O, სშ, აქტიურობა) არ წარმოადგენს ქართველურ ენათა გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დო-

მინანტურ კატეგორიას და, ამდენად, მათი რეალიზაციებიც იკვეთება სწორედ ამ კატეგორიასთან. რომელიც მთავარია ამ თვალსაზრისით. ასეთ კატეგორიალურ ქართველური ენებისათვის გვესახება „კომუნიკაციის აქტისათვის მთავარი წევრობის“ კატეგორია, რომელიც ზედაპირულად რეალიზებულია:

1. მანისა და ვინის რიგის პირის ნიშნების ოპოზიციით: მ — გამომხატავს „კომუნიკაციისათვის არამთავარ“ წევრს, ვ კი — „მთავარს“;

2. პოლიპერსონალური ზმნური ფორმებით: I—II პირი ($\approx$ „მთავარი“) ყოველთვის აღინიშნება ზმნაში, III პირი კი გარკვეული პირობებით;

3. ინვერსიით: პერფექტულ დროებში აქტიური ზმნების (და ე. წ. ინვერსიული ზმნების) Ag ხდება „არამთავარი“, P კი — „მთავარი“²⁴;

4. ქცევის ფორმებით: თუ P ეკუთვნის „კომუნიკაციის აქტისთვის მთავარ“ სახელს (I—II პირის), ზმნაში ჩნდება ი- პრეფიქსი, თუ — „არამთავარს“, ჩნდება - და უ- პრეფიქსები იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა ეს „არამთავარი“: თუ S, მაშინ ჩნდება ი-, თუ O, მაშინ ჩნდება უ-.

5. მიმართულებითობის კატეგორიის თავისებურებით: „მთავარი წევრებისკენ“ მიმართული მოქმედება აღინიშნება მო-იანი რთული ზმნისწინებით, „არამთავარისკენ“ კი — მარტივით. და სხვ.²⁵.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველურ ენებში ძირითადია „კომუნიკაციის აქტისათვის მთავარი წევრობის“ გრამატიკული მარკირება, P-ს აქტუალიზაცია/სწორედ ამ კატეგორიას უკავშირდება და გარკვეულ სახესხვაობას იღებს.

საზოგადოდ, კომუნიკაციის აქტში მონაწილე I—II პირი (განსაკუთრებით კი I—II პირის P) ყოველთვისაა მარკირებული ზმნაში სპეციფიკური ნიშნებით. ზედაპირულად P-ს ამგვარი აუცილებელი გამოკვეთა ემსგავსება ერგატიულ კონსტრუქციას. მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებულია მისგან, რადენადაც აქ არა საერთოდ სშ-ს განმსაზღვრელი P, არამედ მხოლოდ კომუნიკაციის აქტში მონაწილე I—II პირის P არის აქტუალიზებული. მსგავსი ვითარება უნდა იყოს ბასკურ ენაში, სადაც ე. წ. არაერგატიული ზმნური ფორმები, რომლებიც წარსულ დროში გვხვდება, მხოლოდ I—II პირის ფორმებთან დასტურდება. ამდენად, აქაც შესაძლებელია სწორედ „კომუნიკაციის აქტში მონაწილე“ პირების გრამატიკულ მარკირებასთან და არა საზოგადოდ P-ს აქტუალიზაციის შედეგად წარმოქმნილ ერგატიულ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე²⁶. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, აგრეთვე მუნჯანის ენის მონაცემებიც, სადაც წარსულ დროში განსხვავდება გარდამავალი და გარდუვალი ზმნის უღვლილება I—II პირის მხოლობითი რიცხვის ფორმებისათვის. აღსანიშნავია, რომ გარდამავალ ფორმებთან I—II პირის ნაცვალსახელები ირიბ ბრუნვაშია: მსგავსადვე, ბაცბურში I—II პირის ნაცვალსახელები (არა მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან) ჩვეულებრივ ირიბ ბრუნვაშია²⁷. ზედაპირულად თუმცა ეს ფაქტები ემსგავსება ერგატიულ კონსტრუქციებს, ასეთებად მაინც ვერ მიიჩნევა, რადენადაც ერგატიული კონსტრუქციების ძირითადი ფუნქციაა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სშ-ს მარკირება, ამ შემთხვევაში კი ხდება ძირითადად I—II პირის აქტუალიზაცია²⁸.


როგორც ჩანს, ენებში, სადაც ძირითადია „კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების“ გამოკვეთა, P-ს აქტუალიზაცია (რომლის ძლიერი, უნივერსალური ტენდენცია, ბუნებრივია, ამ ენებშიც მოქმედებს) სწორედ ამ კატეგორიას უკავშირდება: I—II პირის P ყოველთვისაა გამორჩეულად მარკირებული. III პირის P კი — სხვადასხვა პირობით. მაგალითად, ქართულში III პირის P-ს აქტუალიზაცია დროების მიხედვით განსხვავებულად ხორციელდება:

1. აწმყოსა და საერთოდ I სერიის ფორმებში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მოქმედი (S) — სამოქმედო (O) სახელების დაპირისპირება (იხ. მსჯე-

ლობა 112-ე გვერდზე), რაც ზედაპირულად ნომინატიური კონსტრუქციებითაა აღსახება. ამ შემთხვევაში კი P-ს აქტუალიზაციის ყველაზე ეფექტური საშუალება პასივიზაციაა; 2. წარსულში (და საერთოდ II სერიის ფორმებში) კი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს P-ს აქტუალიზაცია სშ-ს მიხედვით (იხ. მსჯელობა 112-ე გვერდზე) და შედეგად ვლდებულობთ ერგატიულ (აქტიურ) კონსტრუქციებს; 3. III სერიის პერფექტულ დროებში P-ს აქტუალიზაცია, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, ხორციელდება პერფექტული კონსტრუქციებით, რომელთა დიაქრონიული განვითარების შედეგადაც წარმოიქმნა ე. წ. ინვერსიული (მეორადი — ერგატიული) კონსტრუქციები²⁹.

ყოველ სერიაში განსხვავებულად ხორციელდება P-ს აქტუალიზაცია, იმისა და მიხედვით, თუ რომელი კატეგორია იკავებს იერარქიულ ჯაჭვში შემდგომ საფეხურებს³⁰.

ამგვარად, ერგატიული ენების შეპირისპირების საფუძველი ეველა სხვა არაერგატიულ ენებთან სხვა არაფერია, თუ არ ერთი სემანტიკური კატეგორიის (კერძოდ „სემანტიკური შეთანხმებულობის“) ორი შესაძლებელი ზედაპირული რეალიზაცია: ერგატიული ენების შემთხვევაში სშ ზედაპირულად რეალიზებულია გრამატიკული კატეგორიის სახით (ანუ +[სშ]), ხოლო სხვა ენების შემთხვევაში — არა (ანუ —[სშ]); რაც შეეხება ერგატიული ენების სხვა (ნომინატიურ ან აქტიურ) ენებთან დამოკიდებულებას, ეს შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემის სახით, სადაც ყოველი ენობრივი ტიპი ჩასიათდება იმ კატეგორიის „+“ ნიშნით, რომელიც მისთვის სემანტიკურად დომინანტიური კატეგორიის ფუნქციას ასრულებს³¹:



ყველა ამ ენაში თავისებურად ვლინდება P-ს აქტუალიზაცია. უნივერსალური ტენდენცია, რომელიც ძირითადად ერგატიული, პასიური, პერფექტული და პოსესიური კონსტრუქციების წარმოქმნით ხორციელდება და განისაზღვრება იერარქიულად შემდეგ საფეხურზე მოთავსებული კატეგორიების თავისებურებებით.

1. Э. Сэпир, Язык, М.-Л., 1934.

2. შდრ.: И. М. Дьяконов, Эргативная конструкция и субъектно-объектные отношения (на материале языков Древнего Востока). Эргативная конструкция предложения в языках различных типов, Л., 1967, რომელიც თუმცა კი გრძნობს ამ მთლიანობას, ვერ პოულობს რაიმე სემანტიკურ კატეგორიას მათი გაერთიანებისათვის და გამოყოფს, ფუნქციონალური კვალიფიკაციებიდან ამოსვლით მთლიან «O — действия и S — состояния» კატეგორიას, რომელიც ხვლავნური და არაბუნებრივია. იხ. აგრეთვე, Ю. В. Зыцарь, К типологической характеристике эргативной структуры языка басков, ВЯ, 1977, № 3, გვ. 37—46, სადაც ამგვარი მთლიანობა ენის უცილობელ ფაქტად მიიჩნევა, ლინგვისტის ძირითად ამოცანად კი სწორედ ამ მთლიანობის ახსნა: «Как скоро это единство несомненно, задача лингвиста состоит в том, чтобы попытаться объяснить его...».

3. ამგვარ სემანტიკურ ორიენტაციაზე მსჯელობა მოცემული ჰქონდა ვ. გაკს თავის ნაშრომში: В. Г. Гак, К проблеме семантической синтагматики, ПСЛ, М., 1971, თუმცა მას არც კი უცდია მკაცრი ფორმალური ინტერპრეტაცია მიეცა სემანტიკური შეთანხმებულობისათვის.

4. ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება დადასტურდეს ისეთი ზმნური წყვილებით, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ სახელის სულიერობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ნათლად ჩნდება, რომ გარდამავალი სემანტიკის დროს გადამწყვეტია პაციენსი (უფრო ზუსტად მისი (P-ს) სულიერობა-არასულიერობა): „მიჰყავს კაცი“ (P [+სულიერი), მაგრამ „მიჰყავს წიგნი“ (P [—სულ.]); „აქვს წიგნი“ (P [—სულ.]), მაგრამ „ჰყავს ბავშვი“ (P [+სულ.]), ხოლო გარდაუვალი სემანტიკის დროს გადამწყვეტია სუბიექტის სულიერობა: „კაცი წევს“, მაგრამ „წიგნი დევს“.

5. სეპირის მიხედვით (Э. Сэпир, დასახ. ნაშრომი) აქტიური ენებია:

$$\text{ერგატივი } \frac{Ag}{\overline{Ag}} \quad \frac{P}{\overline{P}} \text{ ნომინატივი.}$$

6. იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1961; მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში (სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი), თბ., 1986.

7. Л. А. Драгунов, Исследования по грамматике современного китайского языка, АН СССР, М., 1952.

8. И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М., 1957.

9. И. Балашша, Венгерский язык, М., 1951.

10. В. Comrie, Subjects and direct objects in Uralic Languages: a functional explanation of case-marking systems, Cambridge, England.

11. ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი P-ს (და საზოგადოდ წინადადების ნებისმიერი წევრის) აქტუალიზაციისა არის სიტყვათა რიგისა და ინტონაციის შეცვლა: აქტუალიზებული წევრი (P) დაისმის წინადადების თავში და ინტონაციურად გამოიყვანება (მახვილით, ტონით ან სხვა სუპრასეგმენტური საშუალებებით). ზოგიერთ ენაში ამგვარი ემფაზის სპეციალური მორფოლოგიური საშუალებებიც არსებობს. მაგალითად, ინგლისურში, როგორც წესი, დამხმარე ზმნა ძი ასრულებს ამ ფუნქციას.

12. იმ ენებში, სადაც (2) ტიპის პოსესიური კონსტრუქცია ზედაპირულად არ გამოხატავს P-ს გრამატიკულ აქტუალიზაციას, არც (2) ტიპის პერფექტიული კონსტრუქციაა ჩვეულებრივ P-ს აქტუალიზაციის მაჩვენებელი (მაგ., ინგლისურში I have read the book).

13. დავუშვათ ჩვენ შევესწარიტ სიტუაციას, რომლის დროსაც მონადირემ მოკლა ირემი. ეს ფაქტი ენობრივად რამდენიმე საშუალებით შეიძლება გადმოიცეს:

პასიური

- ↑ (1) ირემი მოკლულია (ეგზისტენციალური სტრუქტურა).
- (2) ირემი მოკლულია მონადირის (მიერ) (პოსესიური).
- (3) ირემი მოკლული ჰყავს მონადირეს (პერფექტიული).
- (4) ირემი მოკლა მონადირის მიერ (პასიური).
- (5) ირემი მოუკლავს მონადირეს (პერფ-აქტიური დატიური).
- ↓ (6) ირემი მოკლა მონადირემ (აქტიური ერგატიული).

აქტიური

აქ ყველგან ირემი (P) არის აქტუალიზებული, შესაბამისი მოქმედების სხვადასხვაგვარი აქტიურობითა (რომელიც იზრდება (1)-დან (6)-მდე) და პასიურობით (რომელიც იზრდება სა-

პირისპირო მიმართულებით: (6)-დან (1)-მდე). ყოველ ენას ამგვარი შესაძლებლობების თავისებური ჯაჭვი გააჩნია, იმისდა მიხედვით, თუ რა ენობრივ ტიპს მიეკუთვნება იგი.

14. შდრ. ე. ბენვენისტის მიერ მოცემულ განსაზღვრებას პერფექტული კონსტრუქციისა: „...მდგომარეობის ცნება, შეერთებული ფლობის ცნებასთან დაკავშირებული მოქმედ პირთან; (ესაა) ფორმა, რომელშიც მოქმედი პირი წარმოადგენდა როგორც განხორციელებული მოქმედების მფლობელი“ (Э. Бенвенист, Пассивное оформление переходного глагола; Глаголы «быть» и «иметь» и их функции в языке. Общая лингвистика, М., 1974, გვ. 192—225).

15. ეს კარგად ჩანს პერფექტული კონსტრუქციების სიღრმისეული სტრუქტურიდან, რომელიც ორ წინადადებას გულისხმობს: მთავარს — „წიგნი (P(S)) არის ჩემი“ (Ag(Gen)) და ჩართულს — „მე (Ag(S)) დაწერე წიგნი“ (P(O)). ზედაპირზე ჩართული წინადადების Ag(S) ხდება Ag(Gen), P(O) კი — P(S). შედეგად მიიღება პერფექტული წინადადება „წიგნი არის ჩემი დაწერილი“.

16. ეს თეორია, რომელიც პ. უსლარიდან მომდინარეობს და რომელიც შემდგომ პ. შუხარდტმა და ხ. ულენბეკმა განავითარეს თავის ნაშრომებში, საკმაოდ პოპულარული და ფაქტობრივად ერთადერთი თეორიული ახსნა იყო ერგატიული კონსტრუქციებისა XIX ს. ენათმეცნიერებაში. (ერგატივის „პასიურობის“ თეორიის კრიტიკა იხ. ფ. ფინკის, ა. ტრომბეტის, ა. ღირისა და სხვთა ნაშრომებში).

17. Э. Бенвенист, დასახ. ნაშრომი; აგრეთვე, А. А. Пирейко, Основные вопросы эргативности на материале индо-иранских языков, М., 1966; М. Сахония, Посесивность, переходность и эргативность. Типологическое сопоставление древнеперсидских, древнеармянских и древнегрузинских конструкций, Тб., 1985.

18. Г. Климов, Типология языков активного строя, М., 1977.

19. როგორც აღნიშნავს ტ. პ. ვილბური, ერგატიული კონსტრუქციის აღწერის სამი შესაძლებლობა არსებობს: 1. გრამატიკული რელატივიზმი; 2. პასიური რეინტერპრეტაცია; 3. ერგატივის განზოგადება, როგორც ენის ბაზის ნაწილისა, ინგლისურისთვისაც კი. (Tenence H. Wilbur, The Ergative Case and So-Called Ergative Type Languages, Papers from 4th Meeting, Chicago, 1968.

20. P-ს როლის ამგვარი გაზრდის ერთ-ერთი შედეგია ენებში კლას-კატეგორიის წარმოქმნა და P-ს შემდგომი დეტალიზაცია მისი გარკვეულ საგნებთან (რომლებიც განსაზღვრულ კლასებს შეადგენენ) სიახლოვის მიხედვით და მორფოლოგიურად განსხვავდება არა ზოგადად P, არამედ გარკვეული კლასის წარმომადგენელი P (რაც გეაქვს, მაგალითად, დალესტნის ენებში, აგრეთვე. პაპუასურსა ან ზოგიერთ ამერიკულ ენებში).

21. რამდენადაც მანისა და ვინის რიგის პირის ნიშნები არ გამოხატავენ ამ ოპოზიციას (იხ. ალ. ონიანის, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978. აგრეთვე, კ. ბრეიტვეიტი, ა. სომერფელტი და სხვები: K. Braithwaite, Case, Shift and Verb Concord in Georgian, Dissertation, Austin, 1973; A. Sommerfelt, О понятии подлежащего в грузинском языке, Эргативная конструкция предложения, М., 1950, გვ. 183—185). „მთავარი-არამთავარი წევრობის“ შესახებ, რომელიც მართავს მ-/ე- პირის ნიშნებს, იხ. რ. ასათიანი — პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია ქართველურ ენებში, „მატენ“, ელს, 1986, № 2; სახელის სიღრმისეული კატეგორიების ტიპოლოგიური ანალიზი, „მატენ“, ელს, 1981, № 1; მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1982). თუმცა სინტაქსურ დონეზე ეს ცნებები მაინც ღირებულია, განსაკუთრებით აწმყო დროის ზმნური ფორმებისათვის (S/O სინტაქსური ნიშნების შესახებ ქართულში ახ. ა. პარისის ნაშრომი: A. Harris, Grammatical Relations in Modern Georgian, Dissertation, Cambridge, 1976).

22. ქართველური ენების ერგატიულობის შესახებ ბევრი სამართლიანად კრიტიკული ნაშრომი ვაჩნდა ამ ბოლო დროს: W. Boeder, Ergative Syntax and Morphology in Language change, The South Caucasian Languages, Ergativity, Toward Theory of Grammatical Relations, Acc. Press, 1979; A. Harris, დასახ. ნაშრომი; გ. ნებიერიძე, როგორი სისტემა უნდა აღდგეს ქართველურ ფუძე ენაში — ერგატიული თუ ნომინატიური? „მატენ“, ელს, 1988, № 2; გ. ნებიერიძე, არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში? „მატენ“, ელს, 1987, № 3; ზ. სარჯველაძე, სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში ზოგ გარდაუვალ ზმნასთან, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1971, № 2; თუმცა ქართველური ენების გარკვეულ ქვესისტემებში ერგატიული კონსტრუქციების არსებობა უცალობელი ფაქტია, მაგ., ინვერსიული ზმნებისა და აქტიური ზმნების III აგრის ფორმებში:

მე შენ მიყვარხარ $\approx$ შენ ხარ
 შენ მე გიყვარვარ $\approx$ მე ვარ
 ან მე შენ ამიშენებხარ $\approx$ შენ ხარ
 მას მე აუშენებხარ $\approx$ მე ვარ
 მას ის აუშენებია $\approx$ ის (კაცი) ა

მესამე სერიის ერგატივის პერფექტული წარმოშობის შესახებ იხ. მ. სახოკია, დასახ. ნაშრომი.

23. ქართველური ენების აქტიურობის თეორია უფრო ბუნებრივი ჩანს, თუმცა აქაც არის გარკვეული სირთულეები (იხ. ა. პარისის, გ. ნებიერიძის, ვ. ბოდერიის დასახ. ნაშრომები), კერძოდ, გამოიყოფა ჯგუფი ზმნებისა, „იგინებას“ ტიპის, რომელთაც აქტიური შინაარსი აქვთ, გაფორმება (ზმნური მორფოლოგია) კი პასიური.

24. ამგვარი დარღვევა საგანთა ლოგიკისა იწვევს ან პასიური ან ერგატიული კონსტრუქციების წარმოქმნას. რამდენადაც III სერიაში ყველა აქტიური ზმნა განიცდის ინვერსიას, უფრო ბუნებრივი და სამართლიანია ვილაპარაკოთ ერგატიულ კონსტრუქციებზე (იხ. შენიშვნა 22).

25. იხ. რ. ასათიანი, კომუნიკაციის აქტის როლი ქართველურ ენათა გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში, წლიური შრომა, 1986.

26. უფრო დაწერილებით ბასკური ენის მონაცემების ამგვარი ანალიზისათვის იხ. P. Асатиани, О своеобразных неэргативных формах глаголов баскского языка, Типологические изыскания, II, 1990.

27. А. Л. Грюнберг, Языки Восточного Гиндукуша, Мунджанский язык, Л., 1972.

28. А. М. Дирр, Глаголы в кавказских языках, Эргативная конструкция предложения, М., 1950.

29. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ გვაქვს ე. წ. ერგატივი I—II აიოთან და არა გვაქვს III-სთან, რაც მ. სილვერსტაინის იერარქიების საწინააღმდეგო ფაქტად უნდა გველიაჩვენა, თუკი მათ ერგატიულ კონსტრუქციებად მივიჩნევდით.

30. მაგრამ: აქტიურობის კატეგორია, რომელიც ღირებულება პირველი სერიის ზმნური ფორმებისათვის (აწმყოს დაბოლოება მესამე პირის აქტიური ზმნური ფორმებისათვის არის -ხ, პასიურისთვის კი — ა) და მეორე სერიაშიც ფუნქციონირებს (წყვეტილის დაბოლოება მესამე პირის მრავლობითი რიცხვის აქტიური ზმნური ფორმებისათვის არის -ეს, პასიურისთვის კი — ნენ), გავლენას ახდენს სახელურ მორფოლოგიაზეც და შედეგად წარმოიქმნება აქტიური კონსტრუქციები. ამგვარად, ერგატივი ქართულში არის არა მხოლოდ გარდამავალი, არამედ ზოგადად აქტიური კონსტრუქციის P-ის გამომხატველი (იხ. ლ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი). ე. ი. „ქართული არ არის (ტიპური) ერგატიული ენა“ (ა. პარისი, დასახ. ნაშრომი) და, მეტად, წარმოადგენს „აქტიურ“ ენას (II სერიის ფორმებისათვის). (ერგატივის გარკვეულ გავრცობას „აქტიურობის“ იერარქიის გასწვრივ (verba movendi-სთან) უშვებს ე. ბოდერიც (დასახ. ნაშრომი), თუმცა მას არ მიაჩნია ეს ნიშანი მთლიანად ერგატივის მმარ-ე-ე სემანტიკურ კატეგორიად.

31. И. Меликишвили, Общий принцип образования перфекта и способы его реализации, Тезисы, Либлице, 1990. აგრეთვე, მ. სახოკია, დასახ. ნაშრომი.

32. შდრ.: ე. ბრეიტვეიტის მოსაზრებას (დასახ. ნაშრომი), რომელიც ქართულისათვის დროების მიხედვით სამ განსხვავებულ ამოსავალ (სიღრმისეულ) სტრუქტურას ვარაუდობს.

33. ყოველი ენისათვის ეს სქემა თავისებურად აიგება, რაც განპირობებულია დანარჩენ კატეგორიებს შორის არსებული იერარქიული შესაბამისობით. ბუნებრივია, თუ რომელიმე ენისათვის (ან ენათა ჯგუფისათვის) გამოიყო დასახელებულ კატეგორიათაგან განსხვავებული სემანტიკურად დომინანტური გრამატიკული კატეგორია, მოცემული სქემა განიცდობა. სწორედ ამ დომინანტური კატეგორიის დამატებით, რაც შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

მოცემული სქემის მიხედვით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ა. კიბრიკის მსჯელობა ერგატიული და აქუზატიური (=ნომინატიური) კონსტრუქციების შესახებ: «Эргативность и аккузативность — не бинарное противопоставление, а элементы многочленного противопоставления» (А. Е. Кибрик, Материалы к типологии эргативности, М., 1974. გვ. 4), ანუ: ერგატივი = + [ს. შ.], აქუზატივი = — [ს. შ.] $\wedge$ + [S/O].

ЭРГАТИВНАЯ КОНСТРУКЦИЯ КАК ОДНА ИЗ ВОЗМОЖНОСТЕЙ ГРАММАТИЧЕСКОЙ АКТУАЛИЗАЦИИ ПАЦИЕНСА

Резюме

Одним из основных семантических свойств глагола является то, что непереходный глагол семантически ориентирован на субъект действия, а переходный глагол — на объект. Эта закономерность по-разному реализуется на грамматическом уровне разносистемных языков, вследствие чего возникают эргативные, пассивные, перфектные и посессивные конструкции. Следовательно, суть эргативной конструкции — грамматическое маркирование семантической согласованности переходного глагола с объектом действия и актуализация пациенса.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილება

წარმოდგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

მარკირების მიმართება წარმომშობსა და ფუნქციონალურ ფონოლოგიაში

წარმომშობი ფონოლოგიის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს ანტაქსური კომპონენტის მიერ წარმომშობილი ყოველი ზედპირისეული სანტაქსური სტრუქტურის ბგერითი მხარის აღწერა. აღწერის დროს გამოყენებული საშუალებებით ხდება გრამატიკის სირთულის შეფასება. აღწერა უნდა იყოს ეკონომიური და გვაძლევდეს ზოგადლინგვისტურ განზოგადებებს. ფონოლოგიური რეპრეზენტაციებისა და წესების სიმარტივე წარმოადგენს სწორი და მარტივი გრამატიკის აგების წინაპირობას. წარმომშობი ფონოლოგიის თავდაპირველ, „ძველ“ ვარიანტში¹ ფონოლოგიური წესებისა და რეპრეზენტაციების სიმარტივის საზომი იყო იმ დიფერენციალურ ნიშანთა რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო ამ რეპრეზენტაციების ან ფონოლოგიური წესების აღსაწერად. მით უფრო ეკონომიურად და სრულყოფილად ითვლებოდა ფონოლოგიური აღწერა, რაც უფრო ნაკლები იყო რეპრეზენტაციებისა და ფონოლოგიური წესების დასახასიათებლად საჭირო ფონეტიკური ნიშნების რაოდენობა (15).

წარმომშობი ფონოლოგიის „ახალ“ ვარიანტში (16, 10, 17) ამ თეორიის წარმომადგენლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წესთა და რეპრეზენტაციათა აღწერის ამგვარი კრიტერიუმი თუმცა ზოგ შემთხვევაში მართლა იძლეოდა ეკონომიური აღწერის საშუალებას, ჭეშმარიტებას მაინც არ შეესატყვისებოდა. წარმომშობი ფონოლოგიის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ დიფერენციალური ნიშნები სხვადასხვა კონტექსტში ღირებულებათა საოცარ ასიმეტრიას ავლენდნენ და რომ ეს ენათა უნივერსალური თვისება იყო. მათ შენიშნეს, რომ ზოგი ნიშანი გვხვდება ენათა უმეტეს ნაწილში და, ამგვარად, უფრო ბუნებრივი და ნორმალურია, ხოლო სხვა ნიშნები გვხვდება ენათა უმცირესობაში, ამდენად, უჩვეულო და არანორმალურია. ნიშანთა ამგვარი განსხვავებული მნიშვნელობა მათი განსხვავებული შინაგანი შინაარსის, მთელი ფონოლოგიური სისტემის ასიმეტრიულობის მაჩვენებელი იყო. ნ. ხომსკი და მ. ჰალე წერდნენ: „ნიშნის შინაარსი და არა განსაზღვრის ფორმა წყვეტს ბუნებრიობის საკითხს“ (10, გვ. 402). საჭირო გახდა შემოტანილი ყოფილიყო ისეთი აღმნიშვნელები, რომლებიც ნიშანთა შინაგან შინაარსს, მათ ასიმეტრიას და მათ შორის იერარქიულ მიმართებებს გაითვალისწინებდა. ძიების ამგვარმა გზამ ისინი მარკირების ცნებამდე მიიყვანა: „ჩვენთვის მისაღები იყო მარკირების ქველი. პრაღისეული ცნება, რომელიც ჩვენ შევეცადეთ შეგვეცვალა და გაგვეფართოებია“, — წერს მ. ჰალე პირველ სტატიაში, რომელიც მარკირების ახალ გავებას ეძღვნება² (16, გვ. 64).


შემუშავებულ იქნა წარმომშობი ფონოლოგიის ახალი ვარიანტი, რომელიც აღწერის სიმარტივის კრიტერიუმად მარკირების ცნებას იყენებდა (10, 17).

¹ ჰ. პოსტალი 1966 წლამდე წარმომშობი ფონოლოგიური თეორიას უწოდებს „ძველს“, ხოლო 1966 წლის შემდგომს — „ახალს“ (17, გვ. 263).

² ვ. ფრომკინი მარკირების ცნების შემოტანას წარმომშობი ფონოლოგიის თეორიაში მიაწერს აგრეთვე პ. ლაიტნერს და ს. შეინს, რომელთა ნაშრომები ჩვენთვის სამწუხაროდ, უცნობია (11, გვ. 32).

მარკირების ცნების გამოყენებას უნდა გამოვევლინებინა კონკრეტული უნი-
ვერსალური ფაქტები ენების ბგერების შესახებ, ე. ი. უნდა ერთმანეთისაგან
განესხვავებინა ის დიფერენციალური ნიშნები თუ ნიშანთა ერთიანობები, რომ-
ლებიც ენათა უმეტესობაში გვხვდება და თითოეულ ამ ენაში ხასიათდება გა-
მოვლენის დიდი სიხშირით, ისეთი დიფერენციალური ნიშნების თუ ნიშანთა
ერთიანობებისაგან, რომლებიც ენათა უმცირესობაში გვხვდება და ხასიათდება
გამოვლენის დაბალი სიხშირით.

წარმომშობი ფონოლოგიის თეორიაში მოცემულია ნიშნის მხოლოდ ორი
მდგომარეობა: ბუნებრივი, გავრცელებული, ანუ არამარკირებული, და არაბუ-
ნებრივი, ნაკლებად გავრცელებული, ანუ მარკირებული. ნიშნის ბუნებრივი
ღირებულება აღინიშნება ნიშნით $|u|$, ხოლო არაბუნებრივი — $|m|$ ³. ნიშნის
არამარკირებული და მარკირებული მნიშვნელობანი სისტემური ფონეტიკის
დონეზე იქნენ $|+|$ ან $|-|$ ღირებულებებს, ე. ი. როგორც არამარკირებულ
ისე მარკირებული ნიშანი შეიძლება რეალიზდებოდეს ნიშნის დადებითი ან
უარყოფითი მახასიათებლებით. გამოდის, რომ ბუნებრივი, უფრო გავრცე-
ლებული, ე. ი. არამარკირებული შეიძლება იყოს ნიშნის როგორც დადებითი, ისე
უარყოფითი ღირებულება და პირიქით, მარკირებული ნიშანი შეიძლება რეა-
ლიზდებოდეს როგორც დადებით ისე უარყოფით ღირებულებაში. ანუ:



ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში ირრვევა ცალსახა მიმართება მარკი-
რებულ და დადებითად დახასიათებულ ნიშანსა და არამარკირებულ და უარ-
ყოფითად დახასიათებულ ნიშანს შორის (როგორც შემდგომში დავინახავთ
სწორედ ასეთ. ცალსახა მიმართებას ჰქონდა ადგილი პრალის ფუნქციონალური
ფონოლოგიის სკოლაში). მარკირება გაპირობებულ ხასიათს იქნეს, რადგანაც
მარკირების გამოვლენა ნიშნის გამოვლენის პირობებზე ხდება დამოკიდებული⁴.
მაგ., უკანა რიგის ხმოვნები მსოფლიოს უმეტეს ენებში ლაბიალიზებული არიან.
ხოლო წინა რიგის ხმოვნები — არალაბიალიზებული. ეს იმას ნიშნავს, რომ
ნიშნის „ლაბიალიზებული“ არამარკირებული (ე. ი. ყველაზე უფრო ხშირად,
ბუნებრივი) ღირებულება იქნება $(+)$ ლაბიალიზებული) იმ კონტექსტში, როცა
ხდება უკანა რიგის ხმოვნების აღწერა, და $(-)$ (— ლაბიალიზებული). როცა
ხდება წინა რიგის ხმოვნების აღწერა, ე. ი. ნიშანი „ლაბიალიზებული“ ავლენს
 $|+|$ და $|-|$ ღირებულებებს კონტექსტისდა მიხედვით.

ვ. ფრომკინი შემდეგნაირად ახასიათებს ოპოზიციის არამარკირებულ წევრს:
„არამარკირებული წევრი ასახავს სამეტყველო ბგერების ნაკლებად რთულ ან
ნორმალურ მდგომარეობას. იგი გამოხატავს ბგერებს ან ნიშნებს, რომლებიც
გვხვდება ენათა უმეტესობაში და თითოეულ ამ ენაში დიდი სიხშირით ხასიათ-
დება, — ნიშანს ან ნიშანთა ერთიანობებს, რომლებიც ყველაზე ადრე აითვი-
სება ბავშვის მიერ და ყველაზე გვიან იკარგება ისეთ პათოლოგიურ შემთხვე-
ვებში, როგორიცაა აფაზია. იგი აგრეთვე გამოხატავს ნიშნის იმ ღირებულებას.
რომელიც ყველაზე ხშირად ჩნდება ნეიტრალიზაციის პოზიკიაში“ (11. გვ. 31).

წარმომშობი ფონოლოგიის თეორიის მიხედვით, არამარკირებული ნიშნები
გრამატიკას არ ართულებენ. გრამატიკას ართულებს მხოლოდ მარკირებული

³ $|m|$ აღნიშვნა უკავშირდება სიტყვას „marked“, ხოლო $|u|$ სიტყვას — „unmarked“.

⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. (1, 2).

ნიშნები: „...სისტემის სირთულე უდრის მისი წევრების მარკირებული ნიშნების ჯამს“ (10, გვ. 409). აქედან გამომდინარე, ოპტიმალური ფონოლოგიური სისტემის აგებისას უნდა გავითვალისწინოთ ნიშანთა სხვადასხვა ღირებულება, ანუ მათი იერარქია. ფონოლოგიური სისტემა მით უფრო რთულია (მარტივია), ნიშნების რაც უფრო მეტი (ნაკლები) მარკირებული ღირებულება შედის მასში. ამ პრინციპზე დაყრდნობით წარმომშობი ფონოლოგიის წარმომადგენლებს უნივერსალურ ფონოლოგიურ სისტემაში შეყავთ ხუთი თანხმოვანი და სამი ხმოვანი. ესენია: (p t k s n a i u) (10, გვ. 314). |a| სეგმენტის⁵ გარდა, რომელიც მთლიანად არამარკირებულ და. ამგვარად, მინიმალური სირთულის სეგმენტს წარმოადგენს, ყველა სახის სეგმენტს ახასიათებს მინიმალური მარკირება, რადგანაც ისინი მხოლოდ ერთი მარკირებული ნიშნით ხასიათდებიან. ამით არის ახსნილი ის ფაქტი, რომ ეს სეგმენტები არსებობენ უმეტეს ენათა ფონოლოგიურ სისტემაში.

წარმომშობ ფონოლოგიაში წარმოდგენილ მარკირების თეორიას საფუძველი მოუშადა, ერთი მხრივ, პრადის ფონოლოგიურ თეორიაში ჩამოყალიბებულმა მარკირების თეორიამ და. მეორე მხრივ, რ. იაკობსონის (7: 8; 9) და ჯ. გრინბერგის (13; 14) შრომებმა. პირველ შემთხვევაში გამოვლინდა ოპოზიციის წევრებს შორის არსებული არათანაბარი, იერარქიული მიმართებანი ერთი კონკრეტული ენის ფარგლებში. მეორე შემთხვევაში კი მარკირების მიმართებას უნივერსალური მნიშვნელობა მიენიჭა.

განვიხილოთ მარკირების ცნება პრადის ფუნქციონალური ფონოლოგიის თეორიაში და შევადაროთ იგი წარმომშობი ფონოლოგიის თეორიაში წარმოდგენილ მარკირების თეორიას.

სიტყვა „ნიშანი“ (mark) პრადის ლინგვისტურ წრეში თავდაპირველად აღნიშნავდა განსაზღვრული კორელაციისათვის დამახასიათებელ ნიშანს. მარკირებული ნიშანი ნიშნავდა კორელაციის ნიშნიან წევრს. ხოლო არამარკირებული — უნიშნოს. პრადის ფონოლოგიური ტერმინოლოგიის პროექტში კორელაციის ნიშანი დახასიათებულია როგორც ისეთი „ფონური ნიშანი, რომელიც უპირისპირდება რა მის არარსებობას, ქმნის კორელაციის ხარისხს“ (13, გვ. 308). მარკირების ცნება ოპოზიციის ორწევრა, ანუ ბინარულ, მიმართებას უკავშირდება, სადაც ოპოზიციის ერთი წევრი ხასიათდება როგორც ნიშნიანი, ანუ მარკირებული, ხოლო მეორე — როგორც უნიშნო, არამარკირებული.

მარკირების ცნება ნ. ტრუბეცკოის თეორიაში მოგვიანებით, მჭიდროდ დაუკავშირდა ნეიტრალიზაციისა და არქიფონემის ცნებებს. ამ თეორიის მიხედვით, სწორედ ნეიტრალიზაციის პირობა წარმოადგენს მარკირების მიმართების გამოვლენის საშუალებას, რადგანაც მხოლოდ ამ დროს ვლინდება განსხვავება ოპოზიციის მარკირებულ (ნიშნიან) და არამარკირებულ (უნიშნო) წევრებს შორის. ამასთან დაკავშირებით ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავს: „მე გავხაზავ, რომ ოპოზიციის წევრი არსებობს ნეიტრალიზებადი ოპოზიციის შემთხვევაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ოპოზიციის მარკირებულ და არამარკირებულ წევრებს შორის განსხვავებას ფონოლოგიური საფუძველი“ (19, გვ. 30). როგორც ცნობილია, ნეიტრალიზაციას განიცდიან მხოლოდ პრივატული ერთგანზომილებიანი ოპოზიციები. გამოდის, რომ ამ თეორიის მიხედვით მარკირების მიმართებას მხოლოდ პრივატულ ერთგანზომილებიანი ოპოზიციები ავლენენ. რაც მთელი ენის ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოად-

⁵ წარმომშობი ფონოლოგიის თეორიაში უარყოფილია ფონემის ცნება და იგი შეცვლილია ტერმინით „სეგმენტი“.

გენს. აქვე უნდა მიეთითოს, რომ ნ. ტრუბეცკოის თეორიაში მარკირების დონე-
რებულებას ფონემები (და არა ნიშნები) ატარებენ.

მსჯელობას იქითკენ მივყავართ, რომ პრალის ფონოლოგიურ თეორიაში
მარკირების მიმართება ერთი ცალკეული ენისთვისად ჩაითვალოს.
ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავს: „ამა თუ იმ კონკრეტული ოპოზიციის გრადუალურ
თუ პრივატულ ოპოზიციად მიჩნევა დამოკიდებულია ნაწილობრივ ფონემათა
სისტემის სტრუქტურაზე და ნაწილობრივ მის ფუნქციონირებაზე“ (5, გვ. 85).
აქედან გამომდინარეობს აზრი, რომ ერთ ენაში არსებული პრივატული ოპო-
ზიცია სხვა ენაში შეიძლება ასეთად აღარ ჩაითვალოს და, ამგვარად, ის, რაც
ერთი ენის ფარგლებში ოპოზიციის მარკირებულ და არამარკირებულ წევრე-
ბად ითვლება, სხვა ენაში ასეთად შეიძლება აღარ განიხილებოდეს. ამგვარად,
პრალის ფუნქციონალური ფონოლოგიის თეორიაში წარმოდგენილი მარკირე-
ბის თეორია უნივერსალურად, ცხადია, ვერ ჩაითვლება.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნ. ტრუბეცკოისთვის უცხო იყო საყოველთაო,
უნივერსალური ნიშნებისა და ფონემათა სისტემების საკითხი. თანხმოვანთა
ლოკალური რიგების დახასიათებისას ნ. ტრუბეცკოი მიუთითებს, რომ იგი არ
იცნობს ენებს აპიკალების გარეშე, ხოლო ენები ველარებისა და ლაბიალების
გარეშე მეტად იშვიათია (5, გვ. 141). იგი აღნიშნავს, რომ არ არსებობს ხმოვან-
თა არც ერთი სისტემა, რომელშიც ხმოვნები ერთმანეთს არ უპირისპირდებოდ-
ნენ ლიაობის მიხედვით (5, გვ. 121). მას ისეთი ენობრივი უნივერსალიაც ჰქონ-
და შენიშნული, რომლის მიხედვითაც ნახალიზებულ ხმოვანთა რიცხვი არასო-
დეს არ სჭარბობს არანახალიზებულ ხმოვანთა რიცხვს (5, გვ. 239).

ნ. ტრუბეცკოი თავის ნაკლებცნობილ სტატიაში „როგორ უნდა შეიქმნას
ხელოვნური საერთაშორისო დამხმარე ენის ფონეტიკური სისტემა“ (6) ცდი-
ლობს სიხშირულ მონაცემებზე დაყრდნობით ააგოს ხელოვნური ენის ფონე-
ტიკური ინვენტარი. ასეთ ინვენტარში იგი აერთიანებს მსოფლიო ენებში არ-
სებულ ისეთ ბგერებს, რომლებიც ადვილი გამოსატქმელია და რომლებიც გავ-
რცელებულია მსოფლიო ენათა უმეტესობაში. ასეთ „უნივერსალურ ფონეტი-
კურ სისტემაში“ მას შეჰყავს ხუთი ხმოვანი (u o a e i), სამი ხშული (p t k),
ორი ცხვირისმიერი (m n), ორი ნახევარხმოვანი (w j), ერთი სპირანტი (s) და
ერთი გლაიდი (l) (6, გვ. 18—25). თუ არ ჩავთვლით ნახევარხმოვნებს და გლა-
იდს, ფონემათა ეს „უნივერსალური“ ერთობა ძირითადად ემთხვევა ნ. ხომსკი'სა
და მ. ჰალეს მიერ გამოყვანილ უნივერსალურ ფონოლოგიურ სისტემას. გან-
სხვავება იმაშია, რომ წარმომშობი ფონოლოგიის წარმომადგენლები ამ მოვლე-
ნას ოპოზიციურ ერთეულთა შორის მარკირების მიმართების არსებობას უკავ-
შირებენ, ხოლო ნ. ტრუბეცკოი — გამოთქმის სიადვილეს (6, გვ. 26). პრალის
სკოლაში დამუშავებული მარკირების თეორია არ იძლევა იმის საშუალებას,
რომ იგი უნივერსალური მოვლენების ამხსნელ საშუალებად გამოგვადგეს.

შეგვიძლია დავასკვნათ: პრალის ფონოლოგიური თეორიის მიხედვით ოპო-
ზიციის მარკირებული წევრი ყოველთვის ხასიათდებოდა ნიშნის მქონეობით,
ანუ დადებითად, ხოლო არამარკირებული — ნიშნის არმქონეობით, ანუ უარ-
ყოფითად. მიმართება მარკირებულ ფონემასა და | + | ღირებულებას და არა-
მარკირებულ ფონემასა და | — | ღირებულებას შორის ყოველთვის იყო ურთი-

ერთცალსახა ანუ:

m	u
+	—

როგორც ზემოთ ითქვა, წარმომშობი ფონოლოგიის წარმომადგენლებმა
უარყვეს მარკირების ამგვარი გაგება, რაც, პირველ რიგში, იმაში გამოვლინდა,
რომ მარკირება განპირობებული, ანუ კონტექსტიდან გამომდინარე, ცნება გახ-

და. მ. ჰალეს აზრით, მარკირებულ და პლუს ნიშანსა და არამარკირებულ და მინუს ნიშანს შორის ერთი-ერთზე მიმართება მარკირების ცნებას სრულიად ზედმეტს ხდის პრაღის სკოლაში (16, გვ. 64). სიმქლერე-სიყრუის ოპოზიციაში მქლერი წვერის მარკირებულად მიჩნევა, ხოლო ყრუსი — არამარკირებულად მხოლოდ იმ პირობიდან გამომდინარე, რომ მქლერ ფონემას სიმქლერის ნიშანი ახასიათებს. ხოლო ყრუს — ეს ნიშანი არ ახასიათებს, მ. ჰალეს აზრით, არ არის სწორი, „რადგანაც ძალიან ადვილია მოვიფიქროთ ისეთი კონტექსტები, სადაც, მაგალითად, ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს სახმო სიმების რხევა, ვიდრე ამ რხევისაგან თავის შეკავება“ (16, გვ. 64).

წარმომშობი ფონოლოგიის წარმომადგენლები ძირითად განსხვავებას მარკირების მათ გაგებასა და პრაღის სკოლაში წარმოდგენილ მარკირების გაგებას შორის სწორედ ამ ცნების განპირობებულ ხასიათში ხედავენ: „ძირითადი განსხვავება მარკირების პრაღისეულ და ჩვენს გაგებას შორის არის ის, რომ პირველნი მარკირებულ კოეფიციენტი ყოველთვის არის $|+|$ და არამარკირებული — $|-|$ “. სწორედ ამას თვლიან ისინი იმის მიზეზად, რომ ამ ცნებამ აოპოვა მხარდაჭერა პრაღის სკოლის სხვა წევრებში (10, გვ. 404).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მარკირების ცნების ორგვარ გაგებას შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება. როგორც ითქვა, მარკირება, პრაღის სკოლის თეორიის მიხედვით, ფონემის დამახასიათებელი თვისებაა. წარმომშობ ფონოლოგიაში კი მარკირებულობა ვლინდება იმისდა მიხედვით. თუ ნიშანი როგორ შედის კომბინაციაში მეზობელ ნიშანთან, ანუ რამდენად ბუნებრივ, ხშირ და „ჩვეულებრივ“ ერთობას ქმნის ნიშანთან მოცემული გუფი. ამ თეორიაში მარკირება ვლინდება ნიშანთან კომბინაციის შემთხვევაში, რაც შესაძლებელია ფონემათა მიმდევრობაშიც რეალიზდებოდეს. ამგვარად, მარკირება წარმომშობი ფონოლოგიის თეორიის მიხედვით არ შეიძლება იყოს აბოლირებული ნიშნის ან ფონემის თვისება.

გარდა ამისა, წარმომშობ ფონოლოგიაში ბოლომდე ნათელი არ არის, თუ რომელი კრიტერიუმი უნდა ჩაითვალოს ძირითადად მარკირების დასახასიათებლად: ბუნებრიობა, გამოჩენის სიხშირე, ნეიტრალიზაციის პირობა, გამოთქმის სიმარტივე თუ ბავშვისა და აფაზიით დაავადებულ ავადმყოფთა მეტყველების დროს გამოვლენილი ფონოლოგიური სისტემის იერარქია. წარმომშობი ფონოლოგიის წარმომადგენლები არ იძლევიან იმ საერთოს, რომელიც ამ პარამეტრებს გააერთიანებდა. ამის გამო მარკირების ცნება წარმომშობი ფონოლოგიის თეორიაში ვერ ატარებს ისეთ მკაცრად განსაზღვრულ და ნორმირებულ სახეს, როგორიც მას აქვს პრაღის სკოლის ფონოლოგიაში.

მარკირების მიმართების ზემომოყვანილი ორი, ერთი შეხედვით საპირისპირო, გაგება ეჭვის ქვეშ აყენებს ორივე შემთხვევაში ერთი ტერმინის „მარკირების“ გამოყენების მიზანშეწონილობას. თ. გამყრელიძე გვთავაზობს აზრს, რომ ტერმინები „არამარკირებული: მარკირებული“ იმ გაგებით, რომლითაც იგი გამოიყენება თანამედროვე ენათმეცნიერებაში (წარმომშობ ფონოლოგიაში და შემდგომ), შეიცვალოს ტერმინებით „დომინანტური: რეცესიული“ (12, გვ. 10—11). ფონემიკური ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ მყარ და უფრო ბუნებრივ (არამარკირებულ) ნიშანთა კონებს, შეიძლება დახასიათდეს როგორც „დომინანტური“, უფრო ნაკლებად გავრცელებულ და ნაკლებად ბუნებრივ (მარკირებულ) ერთეულებთან შედარებით, რომელთაც თ. გამყრელიძე „რეცესიულს“ უწოდებს. თ. გამყრელიძის აზრით, ტერმინთა „არამარკირებული: მარკირებული“ შეცვლა ტერმინებით „დომინანტური: რეცესიული“ ხელსაყრელი ჩანს იმ ორაზროვნების გამო, რასაც მარკირების ცნება ატარებს. იმ ძირითადი განსხვავების გარდა, რომელიც ამ ცნების ორგვარ გაგებას შორის

არსებობს, უნდა მივეუთოთ მათ შორის არსებულ მსგავსებაზე, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია. როგორც მიუთითებს ი. მელიქიშვილი, ორივე შემთხვევაში „მარკირების მიმართება ოპოზიციურ ერთეულთა იერარქიულ მიმართებას წარმოადგენს“ (2, გვ. 19), სადაც ოპოზიციური ერთეულები (ფონემა იქნება იგი, ნიშანი თუ ნიშანთა გარკვეული ერთობა) არათანაბარ ღირებულებას ავლენენ, რაც, თავის მხრივ, იმის წინაპირობას წარმოადგენს, რომ ყოველი ფონოლოგიური სისტემა არათანაბარი ფუნქციონალური ღირებულების მქონე სისტემად იქნეს განხილული.

ლიტერატურა

1. ი. მელიქიშვილი, მარკირებულობის პირობები მეღერობის, სიყრუის, ლაბიალობისა და ველარობის ნიშნებისათვის, „მაცნე“. ელს, 1970, № 5, გვ. 147—158.
2. ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, 1976.
3. Гамкрелидзе Т., Отношение маркированности и взаимозависимость смычных и фрикативных фонем в парадигматической системе, в кн.: «Проблемы лингвистической типологии и структуры языка», М., 1977, с. 24—29.
4. Кодзасов С. В., Кривнова О. В., Современная американская фонология, М., 1987.
5. Трубецкой Н., Основы фонологии, М., 1960.
6. Трубецкой Н., Как следует создавать фонетическую систему искусственного международного вспомогательного языка, в кн.: Н. Трубецкой, Избранные труды по филологии, М., 1987, с. 15—28.
7. Якобсон Р., Звуковые законы детского языка и их место в общей фонологии, в кн.: Р. Якобсон, Избранные работы, М., 1985, с. 105—116.
8. Якобсон Р., Лингвистические типы афазии, იქვე, с. 287—302.
9. Якобсон Р., Значение лингвистических универсалий для языкознания, в кн.: Н. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, М., 1965, с. 383—395.
10. N. Chomsky, M. Halle, The Sound Pattern of English. New York, 1968.
11. V. Fromkin. The Concept of „Naturalness“ in a Universal Phonetic Theory, „Glossa“, 1970. № 4, გვ. 29—46.
12. Th. Gamkrelidze, Hierarchical relations among phonemic units as phonological universals: „Proceedings of the IX international congress of phonetic sciences“, Copenhagen. 1970. გვ. 7—15.
13. T. Greenberg, Synchronic and diachronic universals in phonology, „Language“, 42. № 1. 1966. გვ. 508—518.
14. T. Greenberg, Language Universals with particular reference to feature hierarchies, The Hague. 1966.
15. M. Halle, Phonology in Generative Grammar, „Word“. 1962, № 18, გვ. 54—72.
16. M. Halle, Markedness, Proceedings of the VII international congress of phonetic sciences held at Prague, 1967, Prague, 1970, გვ. 61—71.
17. P. Postal, Aspects of phonological theory, New York, 1968.
18. Project de terminologie phonologique standardisé, TCLP. 1931, № 4. გვ. 308—329.
19. N. Trubetzkoy, Die Aufhebung der phonologischen Gegensätze, TCLP, 1936, № 6. გვ. 29—46.
20. I. Vakheik, Prague Phonological Studies today, „Travaux Linguistiques de Prague“, 1966, № 1. გვ. 7—20.
21. J. Vakheik, The Linguistic School of Prague. Indiana University Press, 1966.

ОТНОШЕНИЕ МАРКИРОВАННОСТИ В ПОРОЖДАЮЩЕЙ И ФУНКЦИОНАЛЬНОЙ ФОНОЛОГИИ

Резюме

Существует два понимания маркированности.

Согласно пражской школе функциональной фонологии отношение маркированности присуще привативным одномерным оппозициям. Один член оппозиции характеризуется как признаковый (маркированный), другой — как беспризнаковый (немаркированный). Отношение маркированности не обусловлено окружением. Отношение между значимостью (—) и немаркированным членом оппозиции и значимостью (+) и маркированным членом оппозиции всегда однозначно. Отношение маркированности в этой теории присуще только фонемам.

Согласно теории порождающей фонологии отношение маркированности присуще дифференциальным признаком. Немаркированный член оппозиции понимается как более частый и естественный, чем маркированный. Дифференциальный признак приобретает немаркированную или маркированную значимость в зависимости от того окружения, в котором он реализуется.

В обеих фонологических теориях отношение маркированности представляет собой иерархическое отношение оппозитивных единиц.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

„პურის“ პელი შუმერულში

ყოველ სემანტიკურ ველში გამოიყოფა არამარკირებული სიტყვა, რომელიც ხასიათდება დიდი შინაგანი თავისუფლებითა და პოტენციით და იგუებს მრავალფეროვან კონტექსტებს. ამგვარი სიტყვის მნიშვნელობათა გამა შეიძლება მოიცავდეს, ერთი მხრივ, ძალიან კონკრეტულ, მეორე მხრივ, — უზოგადეს სიმბოლურ მნიშვნელობებს.

ერთ-ერთი ასეთი სიტყვა შუმერულ ენაში არის *ninda* („პური“), რომელსაც უნარი აქვს მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობები გამოხატოს. იგი შემდეგ კონტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს:

ა) *i-nun, zú-lum ga-gár ninda saġ-ġa 7-bi* — ნალები. ფინიკი, ყველი, პური, რიცხვით შვიდი - - (RA, XLIV, გვ. 56).

ama-mu ninda-iá-àm gù hé-em-me, ama-mu ninda-u-àm gù hé-em-me — დედაჩემი „ხუთი პურიო!“ დაიძახებს, დედაჩემი „ათი პურიო!“ დაიძახებს — (Dumuzi's Dream, by Bendt Alster, გვ. 52).

Kaš-ni 7 dug ninda-ni 60~70-nam UH INNANA-e ba-túm — 7 ღოჭი ლუდი, 420 პური და სხვ. ქურუმმა... მოიტანა მისთვის (Jestin, le verbe sumerien, II, გვ. 89).

ბ) *Ki-kaš-ninda níġ-dug mu-ni-ni-in-gár* — ლხინი (litt. — ადგილი ლუდისა და პურის), ყველაფერი, რაც კარგია მან მას იქ დაუწყო (RA, XLIV, გვ. 57).

úz bí-ninda, შენ (მ) აჭმევ თხას (წალს) (Jestin, le verbe sumerien, I, 276).

გ) *ninda dug₄-ga-ni, zi enim-ma-ni [-im]*, ვისი ბრძანებაც პურია, ვისი სიტყვაც სიცოცხლეა (RA, XXXIX, გვ. 91).

ninda-ს მსგავსი არამარკირებული სიტყვები კულტურულ დომინანტებს წარმოადგენენ. ყოველი კულტურის წიაღში განსხვავებული დომინანტები გამოუმუშავდება. თუმცა სავარაუდოა ტიპოლოგიური პარალელებიც და, ალბათ, გარკვეული უნივერსალებიც.

ninda-ს დომინანტურ მდგომარეობას შუმერულში ადასტურებენ ლიტერატურული ძეგლებიც, რომლებშიც შუმერული ცივილიზაცია გაიგივებულია პურის კულტურასთან. მაგალითად, ანუნაქების (იერარქიაში ყველაზე დაბალი რანგის ღვთაებების) სტატუსის საილუსტრაციოდ მათ შემდეგნაირად ახასიათებენ: „მსგავსად ადამიანებისა, პირველად რომ გაჩნდნენ, ანუნაქებმა არ იცოდნენ პურის ჭამა, არ იცოდნენ სამოსელით შემოსვა, ცხვრებივით პირით ძოვდნენ ბალახს, არხებიდან სვამდნენ წყალს“¹.

ასევე ახასიათებენ შუმერები მათთვის უცხო ტომებსაც. მაგალითად, მართეს ტომის შესახებ ნათქვამია, რომ მან „არ უწყის სახლი, არ უწყის ქალაქები, არ უწყის ხორბალი“ და სხვ.²

¹ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 152.

² იქვე, გვ. 153.

როგორც ჩანს, პური შესაწირიც ყოფილა. n(sil) zid ninda-tag-še ba-du, n — სილა ფქვილი... შესაწირი (მისაძღვნელი) პურისათვის მოზილეს (Jestin, le verbe sumerien, II, 246).

შუმერულ ენაზე შექმნილია არაერთი ჰიმნი მიწის მუშაკის სადიდებლად. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს. მიწათმოქმედება ღირსეულ საქმედ ითვლებოდა თვით მეფეებისთვისაც, რომლებიც თავის თავს ქვეყნის ენგარს, ანუ მიწათმოქმედს, უწოდებდნენ და სიამაყით აცხადებდნენ. — „მე მათი ენქიმდუ ვარ — ხალხს საუცხოო საკვებით ვკვებავ!“. „გუთნისა და თოხის გაბაასებაში“ გუთანი ამბობს: „მე ვარ ერთგული მიწათმოქმედი კაცთა მოდგმისა. ოდეს შუნუმუნის თვეში ჩემი ღღესასწაული იმართება, თავად ხელმწიფე მიკლავს საკლავს, ლუდს არ იშურებს. ჩემს სახელურს ხელით ეჭიდება, ჩემს ხარებს უღელში აბამს, დიდებულები გვერდში მომყვებიან“³.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით სიტყვებისა და მათი მნიშვნელობების შესახებ, მაგრამ რამდენადაც შუმერული დამწერლობა იდეოგრაფიული დამწერლობაა, ჩვენთვის საინტერესოა. თუ როგორ გამოიხატება ზემოთ განხილული სიტყვა და მისი მნიშვნელობები იდეოგრამის საშუალებით და როგორ ხდება ამ უკანასკნელის ინტერპრეტაცია.

ჩვენი აზრით, იდეოგრამა ახდენს არამარკირებული სიტყვის მნიშვნელობების ფიქსაციას გრძნობად-აღსაქმელი მნიშვნელობის მიხედვით. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ იდეოგრამის ფუნქცია სიტყვის მნიშვნელობათა მთელი სიმრავლის აღნიშვნაა, ვფიქრობთ, რომ არამარკირებული სიტყვის შემთხვევაში იდეოგრამა თვითონ იძენს ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელ სიმბოლურ ხასიათს.

როგორც ვიცით, გარდა მარტივი იდეოგრამებისა, არსებობს შედგენილი იდეოგრამებიც, სადაც საჭირო მნიშვნელობა ორი ან მეტი ნიშნით გადმოიცემა⁴ შედგენილი იდეოგრამის ყოველი ელემენტი შეიძლება იყოს კონსტატა ან პოტენციური ცვლადი, ე. ი. მოიცავდეს კონტექსტის ელემენტების მთელ სიმრავლეს, რაც სემანტიკურ ველს ემთხვევა. პოტენციური ცვლადის ადგილას შეიძლება ჩაიწეროს ან გვარეობითი ღირებულების მქონე სიტყვის (თუკი ასეთი არსებობს) აღმნიშვნელი იდეოგრამა ან არამარკირებული. სიმბოლური სიტყვის

იდეოგრამა, როგორიცაა ninda (პურის) იდეოგრამა (𒀭𒌷).

მაგალითისათვის მოვიყვანთ შუმერულ სიტყვას „kú“ (ჭაძა), რომელიც C — X ტიპის შედგენილი იდეოგრამით ჩაიწერება — 𒀭𒌷𒀭𒌷. ka + ninda პირი შიგ ჩახაზული პურით.

რადგან არსებობს შუმერული იდეოგრამის 𒀭𒌷 მეორე წაკითხვაც, როგორც níg (საგანი, ნივთი, არსებული) ჩნდება კითხვა — ხომ არ შეიძლება ზემოთ აღნიშნული იდეოგრამის გაშიფვრა, როგორც პირი და საგანი. სადაც პოტენციური ცვლადის ადგილას გვექნება გვარეობითი მნიშვნელობის აღმნიშვნელი იდეოგრამა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ ორი შემთხვევა:

³ იქვე, გვ. 216.

⁴ Дьяконов И. М., Языки древней Передней Азии, М., 1967. Зиндер Л. Р., Очерки общей теории письма, Л., 1987.

1. თუ შედგენილ იდეოგრამას გავშიფრავთ, როგორც $ka + ni\bar{g}$, პასუხი კითხვაზე უარყოფითი იქნება, რადგან პოტენციური ცვლადის პოზიციაში მყოფი გვარეობითი სახელის მნიშვნელობათა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს რეალური კონტექსტის ელემენტებს, ე. ი. სემანტიკურ ველს.

2. არსებობს შედგენილი იდეოგრამის წაკითხვის მეორე ვარიანტიც: $ni\bar{g}-ka-(ak)$, მით უმეტეს, რომ ფალკენშტეინის მიერ გამოცემულ $dumu-é-dub-ba$ -ს ტექსტში გვხვდება $ni(ni\bar{g})-ka-mu i-kúí$ — მე შევჭამე ჩემი საჭმელი, ანდა $ni-ka gub-mu si-ma-ab$ — ზომიტანე ჩემი საჭმელი. (Der Sohn des Tafelhauses, გვ. 173).

ამ შემთხვევაში ერთი იდეოგრამა ახდენს მეორის გარკვეული ნიშნით მარკირებას, ე. ი. მისი მნიშვნელობის ერთგვარ დაყვანას საჭირო სემანტიკურ ველზე. ასეთი კონსტრუქცია — მართულ მსაზღვრელიანი კომპოზიტი გამოუხატავი ნათესაობითი ბრუნვით — საკმაოდ გავრცელებულია შუმერულ ენაში: $ni\bar{g}-mi-uš-sa$ — მზითვეი (ის, რაც არის სიძის). $ni\bar{g}-ša$ — ქონება (ის, რაც არის ხელის). $ni\bar{g}-en-na(k)$ — (მიწა), გამოყოფილი ქურუმების შესანახად.

როგორც ვხედავთ, ყველგან ხდება $ni\bar{g}$ სიტყვის მეტად არამარკირებული მნიშვნელობის სხვადასხვა ნიშნით მარკირება, ამასთან ყველა კომპოზიტი ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სუბსტანტიურობას. $ni\bar{g}$ სიტყვის მასუბსტანტივირებელი ხასიათი კარგად ჩანს შემდეგი მაგალითებიდანაც: $ni\bar{g}-hu$ — ბოროტება (ის, რაც არის ცუდი), $ni\bar{g}-si-sá$ — ის, რაც არის სამართლიანი და არა სამართლიანობა. როგორც თვითნება. $ni\bar{g}-dug$ — ის, რაც არის კარგი. $ni\bar{g} ki-en-gi-ra ba-a-gu-ul-la, ku-ra ga-ám-mi-ib-gu-ul$ — ის, რაც შუმერში დანგრეულ იქნა, მტრის ქვეყანაში დევანგრიე (IRAQ, 22, გვ. 146).

თუ გავითვალისწინებთ ამ მაგალითებს, ნათელი გახდება, რომ ყველა კომპოზიტი, რომელიც $ni\bar{g}$ -ს შეიცავს, მეტად მარკირებულია, როგორც სუბსტანტივი, და მათი ხმარება პრედიკატის ან სხვა ფუნქციით შეუძლებელია.

საერთოდ კი, როდესაც არა გვაქვს სპეციალური მარკერი, შუმერულისათვის დამახასიათებელია სიტყვების სხვადასხვა პოზიციაში თავისუფალი გადასვლა სწორედ მათი არამარკირებულობის გამო: $ùz bi-ninda UR_6 AB, bi-zu-nag-e$ — შენ (მ) აჭმევ თხას.... შენ (მ) ასმევ (Jestin, le verbe sumerien, I, 276).

თავისთავად ის ფაქტი, რომ ერთნაირად ჩაიწერება $ni\bar{g}$ და $ninda$, ჩვენს შემთხვევაში კიდევ ერთხელ ადასტურებს პურის დომინანტურ მდგომარეობას შუმერულში, საერთოდ კი სვამს გვარეობითი სიტყვის ჩაწერის პრობლემას იდეოგრაფიულ დამწერლობაში.

რაც შეეხება თვითონ იდეოგრამას, ანტონ დაიმელი მიიჩნევს, რომ ის უნდა აღნიშნავდეს საჭმლის სათავეს, თეფშს⁵. ასეთი მაგალითები არსებობს: „რძე“ ჩაიწერება იდეოგრამით, რომელიც რძის ქოთანს გამოხატავს (№ 594), ასევე, „თაფლი“ — ქოთან + ტკბილი (№ 185). მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ აღნიშნული იდეოგრამა აღნიშნავდეს ვარცლს, რომელშიც პური იზილება, მით უმეტეს, რომ ასეთი ჩაწერის მაგალითებიც არსებობს — ლუდის მხდელი — ქოთან + პური (№ 448).

ამრიგად, რადგან $ni\bar{g}$ სიტყვის მკვეთრად გამოხატული სუბსტანტიურობის გამო მისი შემცველი იდეოგრამის პრედიკატის ფუნქციით ხმარება შეუძლებელია, შედგენილი იდეოგრამა $kú$ უნდა გავშიფროთ, როგორც $ka + ninda$.

⁵ P. Anton Deimel, Sumerisches Lexikon, I, Romae, 1947, გვ. 191, №970.

ისეთი სიმბოლური იდეოგრამები, როგორცაა პურის იდეოგრამა, სავსებით ეგუებიან კონკრეტული მნიშვნელობების გამომხატველ იდეოგრამებს. მაგალითად, ხალხი, რომელიც თევზს არ ჭამს — *lú ku₆ nu-kú-me-eš* და ხალხი, რომელიც პრასას არ ჭამს — *lú ga-ras nu-kú-me-eš* (Dumuzi's Dream, გვ. 66) ჩაიწერება, როგორც *lú ku₆ nu-ka+ ninda-me-eš, lú ga-ras nu-ka+ ninda-me-eš*.

არის თუ არა იდეოგრამის არამარკირებულობა საკმარისი იმისათვის, რომ მან დაიკავოს პოტენციური ცვლადის ადგილი შედგენილ იდეოგრამაში? ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ერთ სემანტიკურ ველში შეიძლება ერთზე მეტი არამარკირებული სიტყვა შედიოდეს და, აქედან გამომდინარე, გვქონდეს ერთზე მეტი სიმბოლური იდეოგრამა.

განვიხილოთ ჩვენი დებულება *ninda* და *ú* (ბალახი) იდეოგრამების მაგალითზე.

როგორც ზევით არაერთხელ აღვნიშნეთ, შუმერულ კულტურაში პური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად ითვლება. მაგრამ ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია მწყემსობაც (*nam-sipa*). შუმერი მეფის უპირველესი ტიტულებია ენგარ და სიპა ან სიპა-ზიდ. უკანასკნელი, როგორც ზ. კიკნაძე აღვნიშნავს, გულისხმობს მეფის მოღვაწეობას ხალხის გაერთიანებისა და წინამძღოლობისათვის. ურის III დინასტიის დამფუძნებელი მეფე ურ-ნამმუ ამბობს: „მე ვარ ჭეშმარიტი მწყემსი, თავის ცხვარს რომ ასუქებს⁶. ამ ფაქტით უნდა აიხსნას *ú*-ს (ბალახი) არამარკირებული ხასიათი შუმერულში. მისი მნიშვნელობები მეტად მრავალფეროვანია, რაც შემდეგი კონტექსტებიდანაც კარგად ჩანს:

1. *Kaskal-kalam-ma-ke₄ ú-gíd-da bi-in-mú* — ქვეყნის გზებზე მას გრძელი ბალახი ამოყავს (Jestin, le verbe sumerien, II, 175). *sag ú-a ga-an-šub* — თავს ბალახებში ჩავშალავ (Dumuzi's Dream, გვ. 64).

2. *Warad-¹¹ Sin... ú-a Uri^{kl}-ma... síb níg-ga giš-ḫar šu-du₇-du₇* (Jestin, le verbe sumerien, II, 380), -- არად-სინი... ურის დამპყრებელი (გამომკვებავი *litl.* დამბალახებელი). ...მწყემსი, რომელიც ყველა ღვთიურ მითითებას ასრულებს. *giš-banšur-sikil-la-ta ú sikil-li-|kú-e* — წმინდა მაგიდიდან შეჭამე წმინდა საჭმელი (Jestin, le verbe..., I, 35). *úg-bi ú-nir-gál kú-ú-dé, úg-bi a-nir-gal nag-nag-dé* — რათა თავის ხალხს დიდებულთა საჭმელი აჭამოს, რათა თავის ხალხს დიდებულთა სასმელი ასვას (RA, XXXIX, გვ. 84).

ú-ს არამარკირებით უნდა აიხსნას ისეთი ერთი შეხედვით გაუგებარი წყვილის არსებობაც, როგორცაა *ú--kaš* (ბალახი-ლუდი): *gú-bi kaš-ú-bi-e ḫu-mu-ra-an-mí (?)* — დაე, მისმა ნაპირებმა გაამრავლოს შენთვის სასმელი და საჭმელი (Jestin, le verbe..., I, 312).

სრულიად ბუნებრივი წყვილის *ninda—kaš*-ის საპირისპიროდ: *ninda-kú ú kaš₇ nu-mu-un-zu-uš-àm* — მათ არ იცოდნენ პურის ჭამა და ლუდი (Jestin, le verbe sumerien, I, 248).

ú-ს არამარკირებული მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ ნაწყვეტში „დუმუზის ვნებანიდან“, სადაც დახასიათებულია დაბალი რანგის დემონები, რომლებიც ქვესკნელიდან ამოჰყვებიან ინანას დუმუზის წასაყვანად:

⁶ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, გვ. 163.

ú nu-zu-me-eš,
a nu-zu-me-eš,
zi dub-dub-ba nu-kú-me-eš,
a-bul-bál-a nu-na₈-na₈-me-eš. (Dumuzi's Dream,
გვ. 64—66).

საჰმელი არ იციან,
სასმელი არ იციან,
დაფქვილ ფქვილ არ ჰამენ,
გამდინარ წყალს არ სვამენ.

საჰმელი

ბოლო ორი სტრიქონი ერთგვარ დაკონკრეტებას ახდენს, თუ რა იგულისხმება საჰმელისა და სასმელის არცოდნაში და ისინი დაპირისპირებულ სიდიდეებს ქმნიან ú-სა და a-ს ისეთ მარკირებულ მნიშვნელობებთან, რაც ანუნაქების დახასიათებისას გვხვდება:

დაფქვილ ფქვილს არ ჰამენ
გამდინარ წყალს სვამენ

↔ ცხვრებივით პირით ძოვენ ბალახს,
↔ არხებიდან სვამენ წყალს.

ú-ს ამგვარი ტრანსფორმაციის პარალელები შუმერულ ლიტერატურულ ტრადიციაში გვხვდება, რომლის მიხედვითაც ღუმეზი (მწყემსი). თუმცა ამარცხებს ენქიმდუს (მიწათმოქმედს), მაგრამ ითვისებს მის საქმიანობას და „ჯოგების მეუფე“ „ხორბლის ღმერთი“ ხდება⁷.

როგორც ჩანს, ú-ს სიმბოლური მნიშვნელობები პურთან მისი გადაკვეთის შედეგადაა მიღებული, ამის გამო, მიუხედავად მეტად არამარკირებული ხასიათისა, ბალახის იდეოგრამა ვერ იჭერს kú — იდეოგრამის პოტენციური ცვლადის ადგილს, რაც კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან:

ú ba-ra-an-da-ab-kú-e
(kú=ka+ninda)
a ba-ra-an-da-ab-nag-e —

შენ არ შეჰამ საჰმელს,
შენ არ დალევ წყალს.
(Jestin, le verbe sumerien. I. 145).

ამრიგად, არამარკირებულ სიტყვებს შორის არსებობს ერთგვარი იერარქია და პოტენციური ცვლადის ადგილს შედგენილ იდეოგრამაში იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი იდეოგრამა იკავებს. აქედან გამომდინარე, თუ მოცემული გვაქვს შედგენილი იდეოგრამა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იდეოგრამა, რომელიც პოტენციური ცვლადის პოზიციაშია, სიმბოლური, არამარკირებული ხასიათისაა, მაგრამ არ შეგვიძლია გავაკეთოთ საპირისპირო დასკვნა, თუ არ ვიცით სემანტიკურ ველში შემავალი ყველა სიტყვის მნიშვნელობები.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე სტატიაში ჩამოყალიბებულია მხოლოდ ძირითადი თეორიული დებულებები იმ საკითხისა, რაც შემდგომ გაღრმავებულ კვლევასა და დამუშავებას მოითხოვს.

М. Д. САХОКИЯ

СЕМАНТИЧЕСКОЕ ПОЛЕ СЛОВА «ХЛЕБ» В ШУМЕРСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В каждом семантическом поле выделяется немаркированное слово, которое характеризуется большой внутренней свободой и потенцией. Гамма значений таких слов может охватить, с одной стороны, очень конкретные, а с другой — самые общие значения.

Одно из таких слов в шумерском языке «ninda» («хлеб»), которое можно встретить в самых разнообразных контекстах.

Слова, имеющие такие символические значения, являются

⁷ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, გვ. 218.

культурными доминантами. В каждой культуре вырабатываются собственные символические доминанты. О доминантном положении в шумерском слова «pinfa», свидетельствуют и литературные памятники, в которых цивилизация отождествляется с культурой хлеба.

Мы думаем, что, так как идеограмма фиксирует немаркированное слово с помощью чувственно-воспринимаемого значения, можно заключить, что сама идеограмма немаркированного слова принимает символическую значимость.

В тех сложных идеограммах, в которых хотя бы один элемент является потенциальной переменной, ибо он охватывает все множество элементов контекста, на место таких потенциальных переменных вписывается идеограмма с именно такой символической значимостью.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

**ზედსართავი სახელთა მნიშვნელობის პრაგმატულ-შეფასებითი
ასპექტი და ანტონიმთა კლასიფიკაციის პრობლემა**

როგორც ე. ვოლფი აღნიშნავს, „შეფასების ფუნქციური სემანტიკა თემატურად ისევე ფართოა, როგორც გაურკვეველია. შეფასება მოიცავს ენობრივ ერთეულთა ფართო დიაპაზონს“ [2, 5]. შეფასების სემანტიკის ამგვარი ხვედრითი წონა ენობრივ სისტემაში განპირობებულია ენის სინამდვილესთან მიმართების მრავალფეროვნებით. როგორც იგივე ავტორი აღნიშნავს, „ენა ასახავს სამყაროს სხვადასხვა ასპექტში. უპირველეს ყოვლისა, ენაში წარმოდგენილია ობიექტური სინამდვილე — სამყაროში არსებული საგნები, თვისებები, მოქმედებანი, თვით ადამიანი თავისი აზრებით, გრძნობებით, ქცევით და აგრეთვე სინამდვილის ყველა ამ ასპექტის ურთიერთკავშირი. ენობრივ გამონათქვამთა ეს მხარე შეიძლება განვიხილოთ როგორც დესკრიფციული, მაგრამ ენაში ასახულია აგრეთვე სინამდვილისა და ადამიანის ურთიერთქმედება ამ სიტყვის უალრესად ფართო მნიშვნელობით. ამ ურთიერთქმედების ერთ-ერთ ასპექტად უნდა ჩაითვალოს შეფასებითი ასპექტი: მეტყველი სუბიექტები ანაწევრებენ ობიექტურ სამყაროს მისი შეფასებითი ხასიათის მიხედვით, იყენებენ რა ამ დანაწევრებისას სიკეთისა და ბოროტების, სარგებლობისა და ზიანის და ა. შ. კრიტერიუმებს. ეს სოციალურად განპირობებული მეორადი დანაწევრება ფრიად რთულ ასახვას პოულობს ენობრივ სტრუქტურებში“ [2, 5].

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, შეფასებითი სემანტიკა მოიცავს ენის ნომინაციურ ერთეულთა მთელ სისტემას, მაგრამ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს მისი როლი მეტყველების იმ ნაწილის ფარგლებში, რომლის პირველად ფუნქციას წარმოადგენს თვისებრიობის აღნიშვნა, ანუ ზედსართავი სახელის ფარგლებში. და მართლაც, როგორც აღნიშნავს ე. ვოლფი ზედსართავი სახელისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, „თვისებითი და ის ფარდობითი ზედსართავი სახელები, რომლებიც გათვისობითობის (იგულისხმება ფარდობითი ზედსართავი სახელის მიერ თვისებრივ ზედსართავ სახელად ქცევის ფაქტი — დ. თ.) ამა თუ იმ საფეხურზე იმყოფებიან, ასრულებენ, როგორც წესი, ორ ფუნქციას — დენოტატურს და კვალიფიკაციურს. ზოგიერთი ზედსართავისთვის მთავარია დენოტატური ფუნქცია, ზოგიერთისთვის კი — შეფასებითი“ [1, 28].

ჩვენი გამოკვლევის მიზნებისთვის საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ზედსართავი სახელის, როგორც მეტყველების ნაწილის, შინაგანი არსებითი კავშირი პოლარულობის, როგორც ზოგადენობრივი ფენომენის, ორ ფაქტთან: პირველია დესკრიფციულობისა და კვალიფიკაციურობის ის დაპირისპირება-შეთავსება, რომელზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი; მეორე ფაქტად კი უნდა ჩაითვალოს მეტყველების ამ ნაწილის მჭიდრო კავშირი ანტონიმთაგან. როგორც ვ. შმიდტი აღნიშნავს, „ურთიერთდაპირისპირებული სიტყვები (ანტონიმები) გვხვდება მეტყველების ბევრ ნაწილთა ფარგლებში..., მაგრამ მხოლოდ ზედსართავი სახელისთვისაა არსებითი ეს ცნებითი დაპირისპირებულობა“ [3, 194]. ჩვენი აზრით, ეს გარემოება იძლევა საფუძველს იმისთვის, რომ პოლარულობის პირველ ფაქტს (დენოტაციისა და კვალიფიკაციის დაპირისპირება ზედსართავის სემანტიკურ სტრუქტურაში) მიენიჭოს გარკვეული მნიშვნელობა ადიექტიურ ანტონიმთა კლასიფიკაციის პრობლემის გადაჭრისას. ჩვენ ვგულისხმობთ ანტონიმთა კლასიფიკაციის შესაძლებლობას პრაგმატულ-კვალიფიკაციურ კრიტე-

რიუმზე დაყრდნობით. ამგვარი კლასიფიკაციის შესაძლებლობა, ჩვენის აზრით, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თვით შეფასებას (კვალიფიკაციას), როგორც ენობრივ ფენომენს, საფუძვლად უდევს „კარგისა“ და „ცუდის“ დაპირისპირება ან ანტონიმიური სტრუქტურა: «საკუთრივ შეფასებითად უნდა ჩათვალოს ის სტრუქტურები, — ამბობს ე. ვოლფი, — სადაც გვაქვს აზრი „კარგი“ VS „ცუდი“» [1, 40].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ანტონიმთა სემანტიკაში კვალიფიკაციურ-შეფასებითი მომენტის ხვედრითი წონა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ ექსტრალინგვისტური სინამდვილის რომელ სფეროს უკავშირდება მოცემული ანტონიმიური წყვილი. ამ თვალსაზრისით ანტონიმიურ მიმართებათა მთელი სემანტიკური სივრცე შეიძლება დაიყოს ორ სფეროდ: პირველ სფეროში შევლენ ანტონიმიური წყვილები, რომლებიც უშუალოდ ახასიათებენ ადამიანს, როგორც სუბიექტს, მეორეში კი — ყველა დანარჩენი ანტონიმიური წყვილი. პირველი ამ სფეროთაგან საინტერესოა, ჩვენი აზრით, იმ თვალსაზრისით, რომ მასზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდები ზედსართავი სახელის მნიშვნელობაში დენოტატური და კვალიფიკაციური ასპექტების ურთიერთშეფარდების შესახებ. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ვარაუდები:

ა) რა თქმა უნდა, დენოტატური ასპექტი შეფასებით-კვალიფიკაციურზე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ დენოტატური ასპექტის ეს პრიმატი თავს იჩენს არა რომელიმე ცალკე აღებული ანტონიმიური წყვილის, არამედ ისეთი მთელი ნომინაციურ-სემანტიკური კომპლექსის მასშტაბით, რომელიც მიეკუთვნება ექსტრალინგვისტური სინამდვილის გარკვეულ სფეროს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხსენებული პრიმატი თავს იჩენს ანტონიმიურ მიმართებათა არა მიკრო-, არამედ მაკროსტრუქტურულ განზომილებაში. როგორც ე. ვოლფი თვლის, „ზოგადი ხასიათის შეფასებითი მსაზღვრელები („კარგი“, „ცუდი“) შეიძლება მივუწეროთ თითქმის ნებისმიერ საგანს ან მოვლენას“ [1, 36]. მაგრამ, მეორე მხრივ, ე. ვოლფს მიაჩნია, რომ „მუდამ ადვილი არ არის განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა მოცემული ზედსართავი სახელი შეფასებით სემას თავის შინაარსეულ სტრუქტურაში“ [1, 37]. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზედსართავი სახელები, რომლებიც იხმარებიან უშუალოდ ადამიანის დასახასიათებლად, როგორც წესი, შეიცავენ შეფასებით სემას, სხვანაირად რომ ვთქვათ, დენოტაცია ამ შემთხვევაში ორგანულადაა შერწყმული კონოტაციასთან და გულისხმობს მას.

ბ) ხსენებული დენოტაციური სფეროს ზედსართავ სახელთა მიდრეკილება შეფასებისაკენ განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ანტონიმიურ წყვილებში. უფრო მეტიც, სწორედ შეფასებით სემთა ოპოზიცია („კარგი“ — „ცუდი“) უნდა ედოს ამ შემთხვევაში საფუძვლად ანტონიმიურ დაპირისპირებას. ავიღოთ, მაგალითად, ანტონიმიური წყვილები, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის არამდგრადი გარეგანი მდგომარეობის დაპირისპირებულ მომენტთა აღნიშვნა¹. გერმანულ ენაში გვაქვს ამგვარ ანტონიმთა ოთხი წყვილი:

bleich:rosig
blaß:frisch

frisch:müde
reinlich:unreinlich

როგორც ვხედავთ, „კარგისა“ და „ცუდის“ დაპირისპირება გვაქვს ყველა ამ ანტონიმიურ წყვილში. უფრო მეტიც, ეს დაპირისპირება, როგორც უკვე ითქვა, გვესახება პრინციპად, რომელიც არეგულირებს ანტონიმიურობას მო-

¹ მოცემულ სტატიაში ჩვენ ვეყრდნობით ადიექტიურ ანტონიმთა კლასიფიკაციას, რომელიც მოცემული გვაქვს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში: „ადიექტიური ანტონიმია გერმანულ და ქართულ ენებში“, იხ. ავტორეფერატი, თბილისი, 1989.

ცემულ დენოტატურ სფეროში. ჩვენი მტკიცების სისწორე ადვილად დადასტურდება, თუ ჩვენ სემა „კარგს“ აღვნიშნავთ + -ით, ხოლო სემა „ცუდს“ — -ით. მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი ანტონიმიური წყვილები მიიღებენ „პლუს-მინუს“ ოპოზიციის სახეს.

ავიღოთ შედარებისთვის ისეთ ანტონიმთა ჯგუფი, რომლებიც კატეგორიულურად უკავშირდებიან წინა ჯგუფს და ამავე დროს უპირისპირდებიან მას. მხედველობაში გვაქვს ანტონიმები, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის არამდგრადი შინაგანი მდგომარეობის საპირისპირო მომენტების აღნიშვნა. გერმანულში გვაქვს ასეთ ანტონიმთა ექვსი წყვილი:

angeheitert:nüchtern
abgespannt:frisch
schläfrig:munter

schwindelfrei:schwindlig
unpäßlich:wohlauf
verschlafen:wach

როგორც ვხედავთ, ანტონიმთა ეს ჯგუფი არ განსხვავდება წინა ჯგუფისაგან ანტონიმიურ წყვილებში შეფასებითი სემების მოცემულობის თვალსაზრისით, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ადამიანის შინაგანი ფიზიკური მდგომარეობა ისევე ექვემდებარება შეფასებას, როგორც გარეგანი ფიზიკური მდგომარეობა. როგორც ჩანს, კოლექტიური ენობრივი ცნობიერება ცდილობს გამოვიდეს აგრეთვე შეფასების სუბიექტის როლშიც, როცა ადრექტიური (ამ შემთხვევაში — ანტონიმიური) ნომინაციის ობიექტად იქცევა თვით ადამიანი.

ზემოთ მოცემულ ჯგუფებს კატეგორიული თვალსაზრისით უპირისპირდებიან იმ ანტონიმთა ჯგუფები, რომლებიც დენოტატურად მიეკუთვნებიან ადამიანის ბევრად თუ ნაკლებად მდგრად ფიზიკურ მდგომარეობას. ვნახოთ, მოქმედებს თუ არა ამ შემთხვევაშიც დაპირისპირება „კარგი“ — „ცუდი“ როგორც გამჭოლი პრინციპი. მოგვყავს სია ანტონიმებისა, რომლებიც დენოტატურად მიეკუთვნებიან ადამიანის მდგრად გარეგან ფიზიკურ მდგომარეობას:

ansehnlich:unansehnlich

+ —

barhauptig:bedeckt

+ N

bärtig:bartlos

N

behende:schwerfällig

+ —

be leibt:mager

+

be schwingt:schwerfällig

+ —

f link:langsam

+ —

gedrungen:schlank

+ —

f ü llig:schlank

— +

ge lenkig:ungenkig

— +

grazi l:p lump

+ —

mißgestalt:wohlgestalt

— +

prompt:langsam

+ —

reizlos:reizvoll

— +

robust:zart

N

rundlich:mager

N

schlank:vollschlank

N

schmächtig:stark

— +

schmiegsam:starr

+ —

schwächlich:stark

— +

stämmig:schmächtig

N

stattlich:klein

+ —

hager|mollig

N

hold|unschön

+ —

hübsch|häßlich

+ —

corpulent|mager

N

kurzsichtig|weitsichtig

N

massig|schmächtig

+ —

sexy|reizlos

+ —

ungelenk|behende

— +

ungestalt|wohlgestalt

— +

unscheinbar|auffällig

-- +

zwerghaft|riesengroß

N

როგორც ვხედავთ, დაპირისპირება „კარგი“ — „ცუდი“ ამ შემთხვევაში დომინირებს, მაგრამ აღარ არის გამჭოლი. მოქმედი ჯგუფის თითქმის მესამედი არ შეიცავს მკაფიოდ გამოხატულ შეფასებით სემებს.

ახლა განვიხილოთ იმ გერმანულ ანტონიმთა მეოთხე ჯგუფი, რომლებიც დენოტატურად მიეკუთვნებიან სემანტიკურ სივრცეს — ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა, ანუ ანტონიმები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის მდგრადი შინაგანი მდგომარეობის დაპირისპირებულ მომენტებს:

arbeitsfähig|arbeitsunfähig

+ —

energisch|schwach

+ —

erwerbsfähig|erwerbsunfähig

+ —

gebrechlich|gesund

— +

invalid|gesund

— +

kampffähig|kampfunfähig

+ —

kernig|schwach

+ —

kräftig|schwach

+ —

kraftlos|kräftig

— +

kränklich|gesund

— +

kümmertlich|energisch

— +

geschick|ungeschickt

+ —

gesund|krank

+ —

hinfällig|kräftig

— +

impotent|potent

— +

lebensfähig|lebensunfähig

+ —

leidend|gesund

— +

rüstig|schwach

+ —

sieh|gesund

— +

stark|schwach

+ —

träge|behende

— +

ungesund|gesund

— +

manhaft|schwach

+ —

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში დაპირისპირება „კარგი“ — „ცუდი“ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, ე. ი. ამ შემთხვევაში კვალიფიკაციური თვალსაზრისი მთლიანად ერწყმის დენოტატურს. საინტერესოა შევადაროთ ეს ჯგუფი წინა ჯგუფს, რომლის ფარგლებში მოცემული დაპირისპირება არ იყო აბსოლუ-

ტური. გარდა ამისა, ჩვენ უკვე შეგვიძლია გავაკეთოთ აქ გარკვეული დასკვნა მთელი განხილული სემანტიკური სივრცის შესახებ. არის საფუძველი ვთქვათ, რომ ზემოთ მოყვანილი ოთხი ჯგუფიდან სწორედ ბოლო, მეოთხე ჯგუფი წარმოადგენს მაქსიმალური სისავსით მთელ განხილულ სემანტიკურ სივრცეს ადამიანის, როგორც სუბიექტის, თვისებრივი ასპექტის თვალსაზრისით: ამ შემთხვევაში მდგომარეობის შინაგანობა ერწყმის მის მდგრადობას.

როგორც ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, ზედსართავ სახელთა სემანტიკაში პრაგმატულ-შეფასებითი მომენტის გათვალისწინება იძლევა ანტონიმთა კლასიფიკაციის სრულიად ახალ და საინტერესო შესაძლებლობას.

ლიტერატურა

1. Е. М. В о л ь ф, Грамматика и семантика прилагательного, М., 1978.
2. Е. М. В о л ь ф, Функциональная семантика оценки, М., 1985.
3. W. S c h m i d t, Grundfragen der deutschen Grammatik, Berlin, 1977.



Д. К. ТУРМАНИДЗЕ

ПРАГМАТИКО-ОЦЕНОЧНЫЙ АСПЕКТ ЗНАЧЕНИЯ ПРИЛАГАТЕЛЬНЫХ И ПРОБЛЕМА КЛАССИФИКАЦИИ АНТОНИМОВ

Резюме

В статье ставится проблема классификации адъективных антонимов немецкого языка на основе их классификативно-оценочного значения. Предварительно рассматривается вопрос о прагматико-оценочной семантике прилагательных вообще. Конкретным материалом для исследования указанной теоретической установки служат адъективные антонимы, обозначающие физический аспект состояния человека.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრა

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

პუბლიკაცია

ლელა ხაჩიძე

ეფრემ მცირის უცნობი თარგმანი

ეფრემ მცირეს ქართული კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. მის სახელს უკავშირდება ახალი ეტაპი ქართულ აზროვნებაში. არეოპაგიტული წიგნებისა და იოანე დამასკელის ნაშრომების თარგმნით, მათზე დართული კომენტარებითა და შენიშვნებით ეფრემმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებას¹; ეფრემმა შემოგვინახა უნიკალური ცნობები იმდროინდელი ბიზანტიური მწერლობის შესახებ². მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ქართული ფილოლოგიის განვითარებაშიც — ორიგინალური ნაშრომების, „სიტყუადართულობის“ თუ მუშაობის მეთოდების სახით³. მან შეიმუშავა თარგმანის საკუთარი პრინციპები და მეთოდები, რომელთა მიხედვით თარგმნა ბიზანტიური მწერლობის მრავალი ნიმუში. ეფრემ მცირის მრავალმხრივი საქმიანობა ღრმა მეცნიერულ ხასიათს ატარებს, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. შეიძლება ითქვას, რომ ეფრემის მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა XI საუკუნის ქართული სამეცნიერო და საზოგადოებრივი აზრის დონე. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მსგავსად, არ დარჩენილა ძველი ქართული მწერლობის არც ერთი დარგი, რომელშიც ეფრემს საკუთარი სიტყვა არ ეთქვას⁴. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუბოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისი ნაღვაწი და ყველა ნაშრომი ისე გამოვცეთ და შევისწავლოთ, როგორც მის დიადს სულს, მაღალს გონებას და ღრმა სამეცნიერო ცოდნას და ნიჭს შეეფერება“⁵.

ეფრემის მრავალრიცხოვანი თარგმანები, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა დარგს მოიცავს, დღეისათვის ნაწილობრივად შესწავლილი. განსაკუთრებით ცოტა რამაა ცნობილი ეფრემ მცირის მოღვაწეობის შესახებ შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის — ჰიმნოგრაფიის სფეროში. კ. კეკელიძე ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის დარგში ასახელებს ეფრემის 3 თარგმანს: „მეთიმონს“ (Μηθιμον) ანუ „დიდი სერობის“ შედგენს, „ზიარებისაგან განყენებულთა ლოცვას“ და აღდგომის კანონს, რომელიც ეფრემს „უსაკუთრესითა სიტყვთა“ უთარგმნია⁶. აქედან ჰიმნოგრაფიის სფეროს განეკუთვნება მხოლოდ უკანასკნელი თარგმანი — იოანე დამასკელის აღდგომის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც ქრისტიანულ ლიტერატურაში საყოველთაოდაა ცნობილი. იგი ეფრემამდეც უთარგმნიათ ქართულად. ეფრემის თარგმანის მიზანია ორიგინალთან ზედმიწევნით მიახლოება, „უსაკუთრესითა სიტყვთა“ თარგმნა.

ძნელად წარმოსადგენია, რომ მხოლოდ ამ თარგმანით ამოიწურებოდეს ეფრემ მცირის მოღვაწეობა ძველი ქართული მწერლობის ისეთ დარგში, როგორიცაა ლიტურგიკული პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია. ეფრემის ინტერესები, მიმართული მისი თანამედროვე საზოგადოების ყველაზე არსებითი საკითხებისადმი, ერთი მხრივ, და ლიტურგიკული პოეზიის, ანუ ჰიმნოგრაფიის, ადგილი ჩვენს ძველ მწერლობაში, მეორე მხრივ, აპრიორულადაც გვაგარაუდებინებს ამ დარგში ეფრემის სხვა თარგმანების არსებობასაც. ამასვე ადასტურებს ეფრემ მცირის აქამდე უცნობი თარგმანი, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიო-

თეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერში — გეორგიკა 5-ში იქნა გამოვლენილი⁷. ეს ხელნაწერი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პარიზულ კოლექციაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შორის. იგი წარმოადგენს კრებულს, შედგება სხვადასხვა დროს გადაწერილი 3 ხელნაწერისაგან. გეორგიკა 5-ის I ნაწილს, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს წარმოადგენს, აქ აღარ შევეხებით⁸. არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა გეორგიკა 5-ის ხელით გადაწერილი II და III ნაწილების (217r — 292v) შესწავლა. ესაა უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის — ქართული მარხვანის ახალი, გიორგი მთაწმიდელის შემდგომდროინდელი რედაქცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე სრულიად უცნობი იყო. მარხვანის ეს რედაქცია შეიცავს ვრცელ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს — როგორც ძველ თარგმანებს, ისე ბერძნულიდან ახლად გადმოღებულ საგალობლებს. მარხვანის ამ რედაქციის შემდგენლის ვინაობა შემდგომ კვლევას მოითხოვს. ზოგიერთი მასალის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ჰიმნოგრაფიის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრებული, რომლის არსებობა აქამდე არც კი იყო ცნობილი, ეფრემ მცირის ან არსენ იყალთოელის მიერ უნდა იყოს შედგენილი. გეორგიკა 5-ში დაცული მარხვანის ამ რედაქციას, რომელსაც მისდევს რიგი სხვა ხელნაწერები, ცალკე განვიხილავთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ მარხვანის ამ რედაქციაში ისევე, როგორც გეორგიკა 5-ის I ნაწილში (გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში), დაცულია ზუსტი მითითებები საგალობელთა ავტორებსა და მთარგმნელებზე. პალეოგრაფიულად გეორგიკა 5-ის ეს ნაწილი XI—XIII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. ხელნაწერის ამ ნაწილში შესულია ეფრემის მიერ ბერძნულიდან „უსაკუთრესითა სიტყვთა“ თარგმნილი აღდგომის კანონი, რომელიც ქუთაისურ ხელნაწერში — K—79 მითითებული აქვს კ. კეკელიძეს⁹. ისევე როგორც K—79-ში, გეორგიკა 5-შიც ეფრემის ამ თარგმანს ერთვის შემდეგი სათაური „ახლად თარგმნილნი უსაკუთრესითა სიტყვთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანტონი ტბელისაჲთა“.

აქვე, ხელნაწერის 269r-ზე იწყება ეფრემის აქამდე უცნობი თარგმანი — დიდი პარასკევისათვის განკუთვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი. კანონის დასაწყისის გასწვრივ, აშიაზე, მიწერილია კანონის ავტორისა და მთარგმნელის სახელები — „თეოფანე, თარგმანი ეფრემ“.

ეფრემის მიერ თარგმნილი კანონი წარმოადგენს ღვთისმშობლის დატირებას მაცხოვრის „დაფლვასა ზედა“. კანონზე დართული სათაურის თანახმად (იხ. ტექსტი) ბერძნები ამ კანონს ასრულებენ დიდი პარასკევის მწუხრზე სერობის შემდეგ, საეკლესიო წესის თანახმად კი უფრო სწორია მისი შესრულება ამ დღის „მიმწუხრზე“. სათაურში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უკანასკნელი ფრაზა „ხოლო თავის წინა — ოდესცა ვის სთნდეს“. „თავის წინა“ ძველ ქართულში ნიშნავს „მარტო, მარტოკა“, ე. ი. — თავისთვის, ვისაც როდის მოესურვება. მაშინ იგალობოსო.

ამრიგად, უკვე სათაურიდან ნათელი ხდება, რომ ეფრემის მიერ თარგმნილი თეოფანე გრაპტოსის ეს კანონი განმტკიცებულია საეკლესიო წესითაც და იგალობება მარტოც — „თავის წინა“. ჰიმნოგრაფთათვის უჩვეულო ეს შენიშვნა თავიდანვე მიგვანიშნებს საგალობლის ლირიკულ ხასიათს. თვით არჩევანიც ამ ტიპის საგალობლისა ახალ შტრიხს სძენს ეფრემის — უმთავრესად დოგმატიკურ ნაწარმოებთა მთარგმნელისა და განმამტკიცებელის სახეს.

საგალობლის თარგმან იმითაც უნდა იყოს განპირობებული, რომ იგი ეკუთვნის ბიზანტიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ავტორს, ხატთაყვანისმცემელთა თვალსაჩინო წარმომადგენელს — თეოფანე გრაპტოსს. ხატმბრძოლობის ჩავლილი ეპოქა, როგორც ჩანს, ეფრემისა და მისი თანამედროვე ქართველი

საზოგადოების გარკვეული ყურადღებით სარგებლობდა. ამას მოწმობს ეფრემის სხვა თარგმანები, მიძღვნილი ამავე საკითხისადმი. „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, — წერს კ. კეკელიძე. — ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურული-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა, ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა“¹⁰.

რამდენიმე სიტყვა საგალობლის ბერძენი ავტორის შესახებ: თეოფანე გრაპტოსი ანუ სახეწარწერილი (დადიანი, ძველ-ქართულ წყაროებში „პირდაწერილი“) ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა IX საუკუნეში, იერუსალიმში. როგორც ცნობილია, VIII—IX საუკუნეებში ბიზანტია მოიცვა ხანგრძლივმა ბრძოლამ ხატთაყვანისმცემელთა და ხატმბრძოლთა შორის, რომელშიც ჩაება მთელი ბიზანტიური ეკლესია და, მასთან ერთად, საერო ხელისუფლება. ამ ბრძოლამ თავისებური ასახვა პოვა შუა საუკუნეების ხელოვნების სხვადასხვა დარგში. თეოფანე გრაპტოსი ხატთაყვანისმცემელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. უფროს ძმასთან — თეოდორესთან ერთად, მთელი ცხოვრების მანძილზე თეოფანე დაუცხრომლად იბრძოდა ხატთაყვანისმცემლობის განმტკიცებისათვის. ამის გამო იმპერატორ თეოფილეს ბრძანებით, რომელიც ხატმბრძოლთა მფარველი იყო, თეოფანეს სახეზე ამოუდარეს წარწერა, რომელიც მის თავგამოდებულ აღმსარებლობას (ხატთაყვანისცემას) მოწმობდა. ხატთაყვანისმცემლობის გამარჯვების შემდეგ დევნილი და დალდასმული თეოფანე ნიკიის ეპისკოპოსად აკურთხეს. სიკვდილის შემდეგ ბიზანტიურმა ეკლესიამ თეოფანე გრაპტოსი წმინდანად შერაცხა, დაიწერა მისი ცხოვრება, მისდამი მიძღვნილი საგალობლები.

თეოფანე ძალზე ნაყოფიერი ავტორია. ბერძნულ ხელნაწერებში მისი სახელით წარწერილია 162 კანონი და 19 „თვთ-ძლისპირნი“ (ანუ საკუთარი რიტმული საზომისა და მელოდიის მქონე) სტიქარონი¹¹. სლავურ ხელნაწერებში კი თეოფანეს სახელით 148 ჰიმნოგრაფიული კანონია ცნობილი¹². თეოფანეს საგალობლები გამოირჩევა დიდი უშუალობითა და ლირიკულობით. ბიბლიისა თუ წმინდა მოწამეთა წიგნების ცალკეული სცენები, ეკლესიის საყოველთაოდ ცნობილი დღესასწაულები თეოფანე გრაპტოსის ჰიმნებში მხოლოდ „შესხმის“ განდიდების საგანი არ არის. ისინი უკავშირდება მათი შემქმნელის ყველაზე უფრო პიროვნულ ემოციებსა და განწყობილებებს. თეოფანეს ჰიმნების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოეტის მთელი სულიერი ცხოვრება, მისი ფიქრი და განცდა დაკავშირებულია მხოლოდ „წმინდა ისტორიასთან“. ალბათ ამიტომაც უწოდეს მას „ტკბილხმოვანი სალამური“ (კალისტე), ე. ი. იარაღი ღვთაებრივის გამოთქმისა (შდრ. ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში კარგად ცნობილი ეპითეტი „ტკბილმგალობელი“, რომელიც რომანოზს მიეკუთვნება და რომელშიც პიროვნული მომენტიცაა ფიქსირებული).

თეოფანეს თარგმნა ქართულ ენაზე ადრე დაუწყიათ. მისი საგალობლების ქართული თარგმანები შესულია ჯერ კიდევ X საუკუნის I ნახევრის სინურ იადგარებში. თეოფანეს ჰიმნების მრავალრიცხოვან თარგმანებს ვხვდებით საქართველოში, ათონზე, შავ მთაზე და იერუსალიმში გადაწერილ ქართულ ხელნაწერებში¹³, ხოლო ათონი 2 ხელნაწერში დაცულია თეოფანესა და მისი ძმის — თეოდორეს მეტაფრასული „ცხოვრების“ ქართული თარგმანი¹⁴. „თუენში“ დაცული თეოფანეს საგალობლები აღნუსხულია ლ. კვირიკაშვილის მიერ¹⁵.

თეოფანეს ვრცელი პოეტური მემკვიდრეობიდან ეფრემ მცირეს სათარგმნე-

ლად აურჩევია ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლირიკული და ემოციური ნაწარ-
მოები. ეფრემის წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში „გალობანი გოდებო-
სათვს ღმრთისმშობელისა“ არ ჩანს. ეს საგალობელი შესული არ არის არც
გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „მარხვანსა“ და „პარაკლიტონში“, რომლე-
ბიც მაქსიმალური სისრულით გამოირჩევა და უშუალოდ წინ უძღვის ეფრემის
მოდვაწეობას. როგორც ჩანს, თეოფანე გრაპტოსის ეს კანონი ქართულ ენაზე
პირველად ეფრემ მცირეს უთარგმნია.

საგალობელი წარმოადგენს ღვთისმშობლის დატირებას მაცხოვრის ცხე-
დართან. იგი ქრისტეს ჯვარცმის დღეს — ვნების (დიდ) პარასკევსაა
განწესებული. როგორც ცნობილია, ვნების კვირას (შვიდეულს) უკავშირდება
ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი ლიტურგიკული წლისა. ამიტომ
ამ შვიდეულის ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ისევე, როგორც ლიტურგიის სხვა
ელემენტები, განსაკუთრებით მკაცრადაა დადგენილი და რეგლამენტირებული
ეკლესიის მიერ. ამ პირობებში თვით ფაქტი თეოფანე გრაპტოსის საგალობლს
შეტანისა მაცხოვრის ჯვარცმის დღეზე — დიდ პარასკევს მოწმობს მის დიკ-
ალიარებას ქრისტიანული ეკლესიის მიერ. დიდი პარასკევისათვის განკუთვნილ
კანონებსა და სამსაგალობლებში, რომლებიც კოზმა იერუსალიმელს, იოსებ
მგალობელს და სტეფანე საბაწმიდელს ეკუთვნის, ასახულია უშუალოდ ჯვარ-
ცმის სცენები — ეს „ტრადიციული“ სცენები სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვა-
დასხვა ძალითა და შთაგონებითაა გაცოცხლებული. თეოფანეს საგალობელში
არჩეულია ამ დღის სულ სხვა მონაკვეთი — ჯვარცმის შემდეგ მარტოდ დარ-
ჩენილი დედის დატირება. ეს იყო უაღრესად რთული ამოცანა, სადაც თვით
ავტორიც მარტო რჩებოდა საკუთარი თავის წინაშე, რადგან ამ ეპიზოდზე თვით
სახარებაშიც არაფერია ნათქვამი.

საგალობელი იწყება იოსებ არიმათიელთან ღვთისმშობლის მისვლის სცე-
ნით, რასაც მოსდევს პილატესაგან მაცხოვრის გვამის გამოთხოვა და ღვთის-
მშობლის გოდება. ესაა გულისშემძვრელი ადამიანური გლოვა, რომლის გულ-
გრილად წაკითხვა ალბათ შეუძლებელია. თეოფანე გრაპტოსის ეს საგალობე-
ლი, ეფრემ მცირის შესანიშნავი თარგმანის წყალობით, უდანაკარგოდ აღწევს
ქართველ მკითხველამდე. მოვიყვანთ საგალობლის ტექსტს გეორგიკა 5 ხელ-
ნაწერის მიხედვით:

წმიდასა და დიდსა პარასკევსა. მწუხრი

გალობანი გოდებისათჳს ღმრთისმშობელისა დაჟღვასა ზედა ღმრთივ-
გუამოვანთა ჳორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა გოლგოთას.
გამძენნი დიდისა პარასკევისა მწუხრსა სერობისად იტყჳან და სანკლესიოდ
მიმწუხრისანი არიან, ხოლო თავის წინა — ოდესცა ვის ჟინდეს

ქჳამ ბ გუერდი.

გალობამ ა

ძღ.: ზღუამ მეწამული

269 r დაბადებულთა
შენთა ცხოვნებაჲ
ინებე, მაცხოვარო ჩემო, ამისთვისთა
დამოციდე ჟუარსა და სამსკუთლითა
დაემსკუალე, ხოლო უხრწნელი
დედამ შენი მდგომარე,
გულითა შემწუარი,
მეუფეო,
ხედვიდა ნაკადულსა სისხლთა შენთასა.

თ ე ო ფ ა ნ ე
თარგმანი
ე ფ რ ე მ

თავი რაჲ საღმრთოჲ
მიიდრიკე შენ
და ძილი ცხოველსმყოფელი ბუნებისა
ჩუენისაჲ მიიძინე ძელსა ზედა,
მაცხოვარო ჩემო, ყოველნი
არსნი შერყეულ იქმნნეს,
ძრწოდეს ანგელოზნი,
გიხილეს რაჲ
კორცითა ვნებად ზეცისა ძალთა.

მყის მიისწრაფა
მშობელმან შენმან
ფარულად მოწაფისა შენისა იოსებისსა და
საიდუმლოდ გოდებით ევედრებოდა,
რამთა უხრწნელი გუამი შენი
მოწლედ გამოითხოოს
მსაჯულისა მისგან
სიცრუვისა —
პილატეს ყოელად განვრდომილისა:

„მიეც მადლი ესე
უცხოებასა
და უღონოებასა შინა შთავრდომილსა
და დევნულსა უსაძართლოთა მიერ
და მეცნიერთა და მეგობართა
ყოელად დატევებულსა
და ერთისა თანა
მოწაფისა,
მ იოსებ, გლოვით მოწყლულსა,

მისლვად შეჰკადრე
პილატეს მიმართ
და ნუ ორგულებ გამოთხოვად უხრწნელსა
გუამსა ქრისტეს მაცხოვრისასა
და გაოდამოჰქსენ ძელისაგან
და დადევ საფლავსა შინა,
რამთა არა კუალად
უგუმირონ მას
უწყალოთა გუერდსა ლახურიითა.

გალობაჲ გ
ძღ.: სამებაო წმიდაო

ვერეინ მკადრე არს გამოთხოვად გუამსა
უხრწნელსა მოძღურისასა.
აჰა, ძელსა დამოკიდებულ არს
მკუდარი შიშუელი, დატევებულ
და ყუედრებითა ზედა დასხმული
არავისგან შეწყალებულ არს,
უფროჲსა განიგუმირა ლახურიითა.

უარყო პირველ პეტრე და დაუტევეს
მოძღუარი ყოველთაჲ,
გელმოდენ ჩუენთვის, კეთილსახეო,
და გამოთხოით გარდამოჰქსენ შენ
გუამი მეუფისა ჩუენისაჲ, რამთა
მარტოებით ვსტიროდი შვილსა
საყუარელსა დედაჲ შეყუარებული!*

ჰხედვიდა რაჲ გლოვად მშობელსა შენსა
იოსებ, მეუფეო,
და ესმოდეს სიტყუანი მისნი
სალმობიერად თანალმობითა
გლოვად აღიძრა და მიისწრაფა,
რადთა ღირსებით გამოითხოვნეს
კორცნი შენნი უხრწნელნი.

წამისყოფასა შენსა ერჩდა და მიანიჭნა
კორცნი შენნი საღმრთონი
პილატე და გარდამოჰქსნნა ძელით
იოსებ ნიკოდემოსის თანა
და მიაწვინნა მიწასა ზედა,
ქუეყანაჲ ძრწოდა და საფლავთაგან
მკუდართა მოსცემდა მოსწრაფებით.

გალობაჲ დ
ძლ.: რაჟამს წინაჲწარმეტყუელმან

შეგიტებო შენ უბიწომან
და ამბორს-უყოფდა წყლულებასა
უხრწნელთა კორცთა შენთასა
და გეტყოდა შენ:
„შენ თანა შოვეულები, რამეთუ ვერ ვიტყრთავ
ხილვად, შეილო, ნაკადულსა მაგას
ყოვლად უბიწოთა სისხლთა შენთასა“.

269 v მოეხუა მუკლთა შენთა
მშობელი შენი, ქრისტე მეუფეო,
გოდებით ამბორს-უყოფდა
კელთა და გუერდსა
და შეიტიკობდა შენგან დამწთოლვარესა
სისხლსა და საცხებელ თვსსა ჰყოფდა
მიმოდათესვითა გონიერითა.

უკმოთა ბაგეთა შენთა
ზედა დაგასხნა ბაგენი თვსნი
ტირილით, ქრისტე მაცხოვარ,
მშობელმან შენმან,
ოდესმე ქუეყანასა ზედა მავალსა,
მეტყუელსა, ცხოველსა, ღმერთო ჩემო,
ვითარცა კაცსა — ღმერთსა ჩემსა.

„ძლუენი მოიღეს შენდამი,
მეუფეო, და ძრწოლით თაყუანის-გცეს
ჩჩვლსა, ვითარცა-რაჲ
ღმერთსა სპარსთა მეფეთა,
ხოლო აწ საფლავისა სულნელნი
მოუხუშმან ნიკოდიმოსს, ვითარცა მკუდრის
ვითარ შეგმურო შენ, ღმერთო ჩემო!“

გალობაჲ ე
ძლ.: შენდა აღვიმსთობთ

ვერ თავს ვიდებ მე
უკმობასა შენსა,
რომელსა გაწოებდ!
ჩჩვლებრ წიაღთა ტვრთულსა,

¹ ხელნაწერშია: გაწუებდ.

უკუეთუ შთახუალ
ჯოჯოხეთს ადამის მიმართ,
შთამოგუვე მეცა და ევას —
მიუთხრნე საიდუმლონი.

ვითარ ვიტყრთო
ტკივილი ნაწლევთაჲ
შვილო, ეხედვიდე რაჲ
თუალთა შენთა ძელსა ზედა
მირულებულთა,
რომელთა პირველ ვხედევდი
შუენიერთა სიკეთითა
თუალიერ მყოფელად ბრმათა?!

თანა შთამოგუვე
ჯოჯოხეთსაჲ შინა
ხილვად დიდებისა
შენისა, მ ძეო ჩემო,
რამეთუ აქა
ვერ თავს-ვიდებ უსულოთა
ასოთა შენთა, უძრავთა
და წყლულთა, ამბორისყოფად.

გალობაჲ ვ
ძლ.: მუცლად იღო

მაცხოვარი
ვითარ უარ-ჰყავ შენ,
მ პეტრე,
აღსარებული
შენ მიერ ქრისტედ, ძედ ღმრთისად
ცხოველისა და ესრეთ
დაუტევე ჯუარცუმული
ძელსა ზედა უსულოჲ და უსახური,
არცაღა თუ დაფლვაჲ
მისი ისწრაფე შენ" —
უბიწოჲ დედაჲ გოდებით ღაღადებდა,

მოუწოდდა
მენელსაცხებლეთა,
სიტყუაო,
უხრწნელი დედაჲ:
„მოვედით, მ მეგობარნო,
და სტიროდეთ მოძღურისა
გუჲსა მრავალგუემულსა,
მოვედით, ხედევდით პირსა უკმოსა,
ბაგეთა და თუალთა
უძრავთა, რომელსა
კელთა უპყრიეს სული ყოველთა არსთაჲ.

მეც მე სიტყუაჲ
ტკბილთა ბაგეთაგან,
სიტყუაო" —
ტირილით კმობდა
უბიწოჲ — „ვერ ვიტყრთავ მე
უსულოდ დადებასა
შენსა საფლავსა შინა,
ძეო ჩემო, მკუდართა აღდგინებაო!
მოიხილე, ტკბილო,
ვითარ-ესე განვლო
მახვლმან შენმან მგზებარე გოლო ჩემჲ.

მოისწრაფეთ
 ძალთა ზეცისათა,
 იხილეთ
 გუამი ქრისტესი,
 მეგობართა და მეცნიერთა
 და თავთა მოწათეთა
 მიერ დატევებული,
 აჰა, მხოლოდ ვკგოდებ შვილსა მოკლულსა,
 ჩემ თანა მოწათითურთ,
 მეერდსა მიყრდნობილით
 და საყუარელით, განგურემული გულითა“.

გალობაჲ ზ
 ძლ.: მ სასწაული

ზეცით გარდამო
 ანგელოზნი განკრებულნი
 ჰერობით ხედვიდეს შვილსა
 მკუდარსა წიაღთა
 შინა მშობელისათა —
 ძრწოლით ხილულსა
 მათგან წიაღთა
 შინა მამისათა, მკუდართა ცხოველსმყოფელსა.

მოსწრაფეთ მორბიოდეს
 ყოველნი ანგელოზთა წესნი
 ხილვად დედისა მკლავითა
 შეცეულსა ძესა.
 უსულოდ მდებარესა
 და კუალად-იქცეს
 მიერ შეძრწუნებულნი
 საღმრთოებისა მისთვის სახილავისა.

საიდუმლოსა
 შობისასა მომრთუმელსა მისდა
 ქალწულმან ჰრქუა: „მეუფეო,
 მ მე, გაბრიელ,
 სადა არს-გიხაროდენ,
 სადა-ხარებაჲ.
 სადა-კურთხეულარსი?!
 ნათელი საშობაჲჲ დამიშრტა ჟუარსა ზედა.

რასა ესტიროდი
 ყურიმლისცემასა შოლტვითურთ
 და ნერწყუევასა ბასრობითურთ,
 ანუ ჟუარცუმასა
 შენსა, ქრისტე ნავლითურთ,
 ანუ ლახურისა?
 ან ვითარ მიგაწვინო
 საფლავსა, ვითარცა მკუდარი, მ ძეო ჩემო?

გალობაჲ მ
 ძლ.: ცაჲ ვრცელი

ვითარ ერმან ამომან,
 შვილო ჩემო ტყბილო,
 შიშუელი ძელსა ზედა
 ეწყალოდ

ვიხილეს და მ'ეცებრივ
მიგზედნეს მძვინვარებით
და განგურიმეს საღმრთო გუერდი შენი?
ვითარ არაი დაიკსნნეს
არსნი და შეირყინეს?
არამედ კელმან
შენმან იცნა ყოველნი, სიტყუაო!

განცვბრდინ ცაი და ქუეყანაი
და შარაენდედნი
დაიფარენ. მზისთუალო,
რამეთუ
ქელსა ზედა დაჰქდა დღეს.
რომელმან საშოფთ ჩემით
აღმოსლვად სათნო-იყო, ვითარცა უწყის,
არამედ აღდგინებაი
ჰნებაეს ადამ მომკუდრისაი.
ვერ თავს-ვიდებ მე
ტკივილთა საღმობისათა!

შე ძეო ჩემო და ღმერთო,
ვითარ-მე დავფარენ
ბნელსა საფლავსა შინა
საფლავთა
ცარიელ მძმნელნი კორცნი?
ანუ ვითარ მივიქცე
ცარიელი კელითა? ვერ თავს-ვიდებ
შენგან განყენებასა
ძეო ჩემო. არამედ
შენ თანა მოვკუდე
თანა-შთამოსლვად ჟოჯოხეთს.

ჰე, თუმცა მესმა კმაი შენი
ტკბილი. მ იესუ" ---
კმობდა უბიწოი დედაი —
„და შესძრენ
ბაგენი შეუნიერნი
და თუაღნი ბრწყინეაღენი,
ყოვლითურო შემკულნი სიკეთითა.
ჰე, თუმცა აღდგომილი
ვიხილე. ძეო ჩემო,
და აღვიცსე მე
ცრემლთა წილ სიხარულითა.

გალობაი თ
მღ.: ნუ მტირ

სახუეველთა წილ სინდონნი
გმოსიან, ძეო ჩემო,
ბაგისა წილ საფლავსა
ბნელსა მიგაწვინე შენ,
მ ნათელი ჩემო.
სძისა წილ ეახტურებ
ცრემლთა უხრწნელთა
მაგათ ბაგეთა და ცხოველთა
მათ სიტყუათა შენთა წილ
მკუდარსა გეზრახები!“

„ნუ მტერ, დედაო ჩემო,
მეუღართაებრ საფლავსა შინა,
რომელსა ღმრთეებრ მხედველ
ასუფველთავე შინა
მოგუთა მიერ სპარსთა
ნაყუანისცემულად
და ანგელოზთა გესმა
მალალთა ზე ღიდებაჲ,
რამეთუ აღდგომილი
პირველ გეჩვენო შენ“.

„წარვედ, შვილო, ჯოჯოხეთად
და ღმრთეებრ აღადგენ
ადამისგანნი იგი.
თვთ მის ადამის თანა
განხრწნად მიცემულნი.
ხოლო მე დედობრივ
ეჭდე აწ საურებად ცრემლთა
ქარსა საფლავისასა
გოდებით და ვტიროდი,
ვიდრემდის აღსდგე შენ“.

„მ სანატრელო დედაო,
ნულარა საფლავისა
ბჰეთა ასურებ ცრემლთა
სიმწარით გოდებითა,
რამეთუ აწ აღვდგე,
აწ ვიდიდო და გრქუა
ძნობით-გიხაროდენი!
და გამოუთქუმელად რაჲ
მხიარულ გყო, ავმალდე
ზეცადვე მამისა“.

ვფიქრობთ, საგალობელი და მისი თარგმანი ვრცელ კომენტარს არ საჭიროებს. ჩვენ თვალწინაა ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუში, რომელიც ქართულ ენაზე ადეკვატური თარგმანითაა გადმოცემული. საგალობელი ქმნის ღვთისმშობლის საკმაოდ იშვიათ სახეს — ესაა მწუხარებისაგან გაოგნებული დედა, რომელიც „მოკვდავთაებრ“ სასოწარკვეთითაა მოცული. ემოციურობას კიდევ უფრო აძლიერებს არაერთგზის გამეორებული „შენ თანა მოვკუდები“, „თანა შთამოგყვე ჯოჯოხეთსაცა შინა“. „ვითარ ვიტყვითო ტკივილი ნაწლევთაჲ“, რომლებიც რეფრენივით გასდევს საგალობელს. უდიდესი ფსიქოლოგიური სიმართლე თითქმის ხელახლა განგვაცდევინებს ახალი აღთქმის ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტრაგიკულ ეპიზოდს. ამას ხელს უწყობს საგალობელში აღწერილი ღვთისმშობლის მოქმედებაც, რომელიც ისევე თავგანწირულია, როგორც მისი გოდება (იხ. გალობაჲ დ II ტროპარი).

საგალობლის თითქმის ყოველი ტროპარი შეიცავს შესანიშნავ მხატვრულ სახეებს, რომელთა ერთი ნაწილი ბიბლიური წარმომავლობისაა, ნაწილი კი ორიგინალური უნდა იყოს. ასე მაგ., IV გალობის III ტროპარი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ვითარ-ესე განვლო მახვილმან შენმან მგზნებარე გული ჩემი“. საგალობელში ამ სიტყვებით ღვთისმშობელი დასტირის მაცნობარს. ამ ფრაზის სათავეა ლუკას სახარება. სადაც, მირქმის სცენაში, სვიმეონი მიმართავს მარიამს: „და თვთ შენსაცა სულსა განვიდეს მახვლი, რაჲთა განჰსცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“ (ლუკა 2, 35).

ამ მახვილის სიმბოლური შინაარსი გახსნილია X საუკუნის დიდი ქართველ-

პოეტის — იოანე მინჩხის მიერ. მარხვანისათვის განკუთვნილ მინჩხის ერთ-ერთ საგალობელში სვიმეონი აუწყებს ღვთისმშობელს:

„და თუ სულსაცა შენსა
განვლოს მახვლმან მწუხარებისამან...“.

თეოფანეს საგალობელში ამ სახის ემოციურობა კიდევ უფრო იზრდება, ერთი მხრივ, „მგზებარე გულის“ ცნების შემოტანით, მეორე მხრივ იმით, რომ სვიმეონ მართალის მიერ წინასწარმეტყველურად ნათქვამ ამ ფრაზას საგალობელში თვით ღვთისმშობელი წარმოთქვამს.

განსაკუთრებით წთამბეჭდავია ღვთისმშობლის მიმართვა გაბრიელ მთავარ-ანგელოზისადმი, რომელმაც მას, თავის დროზე, მაცხოვრის უმანკოდ ჩასახვა ახარა:

„...მეუფეო,
მე, გაბრიელ,
სადა არს-გიხაროდენ,
სადა-ხარებაჲ,
სადა-კურთხეულარსი?!
ნათელი საშოისაჲ დამიშრტა ჟუარსა ზედა“.

ამგვარი სახეები, ორიგინალის მხატვრულობასთან ერთად, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი ხელოვნების ხასიათზეც მეტყველებს. თუ აქამდე გამოქვეყნებული თარგმანებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრის მიხედვით ეფრემი წარმოგვიდგება, როგორც ორიგინალთან ზედმიწევნით სიახლოვის დამცველი მთარგმნელი, რომლის თარგმანები მოკლებულია პოეტურობას, თეოფანეს ამ საგალობელში იგი განსხვავებული სახით გვევლინება. მთელი საგალობელი თარგმნილია ლაღი, ბუნებრივი ძველი ქართული ენით. ბერძნული კალკები და კონსტრუქციები აქ თითქმის არ იგრძნობა. საგალობლის საერთო მდინარებას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს გამოთქმები, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში არ შეგვხვედრია. ასე მაგ., საგალობლის I-ვე ტროპეარში ღვთისმშობლის შესახებ ნათქვამია:

„დედაჲ შენი მდგომარე,
გუ ლ ი თ ა შე მ წ უ ა რ ი“.

ჯვარცმასთან მდგომი ღვთისმშობლის შესახებ ქართულ ჰიმნოგრაფიაში (როგორც თარგმნილში, ისე ორიგინალურში) ჩვეულებრივ გვხვდება გამოთქმა „მგლოვარეჲ გულითა“, „გულითა შემწუარი“ კი არ ჩანს. იგივე შეიძლება ითქვას „დედაჲ შეყუარებულის“ შესახებაც. მრავალი ეპითეტია ნახმარი ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვა „დედასთან“ დაკავშირებით, მაგრამ არა „შეყუარებული“. ყურადღებას იქცევს საგალობელში მაცხოვრის შესახებ ნათქვამი „თუალიერ-მყოფელად ბრმათა“. ამ გამოთქმებს ეფრემი თითქოს საგანგებოდ ქმნის, რათა მეტი უშუალობა და ემოციურობა მიაწიოს ისედაც ლირიკულ თარგმანს. ამრიგად, „გალობანი გოდებისათჳს ღმრთისმშობელისა“ ახლებურად წარმოგვიდგენს ეფრემ მცირის მთარგმნელობით შესაძლებლობებს, ახალ კუთხეს უძებნის მის მიერ დატოვებულ დიდ მემკვიდრეობას.

საგალობლის სრულყოფილად წარმოსადგენად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ „გალობანი გოდებისათჳს ღმრთისმშობელისა“ როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ეკლესიაში სრულდებოდა მელოდიის თანხლებით — იგალობებოდა. საგალობლის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებული ზ გუერდი ჯმის ძლისპირები მხოლოდ საგალობლის რიტმულ საზომზე როდი მიუთითებს. ისინი მისი კილოს, ანუ მელოდიის, მაჩვენებელიცაა. თეოფანეს ეს საგალობელი დაწერილია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დიდო რეფორმატორის — კოზმა იერუსალიმელის ძლისპირებზე¹⁶. ამრიგად, უნდა

ვივარაუდოთ, რომ თეოფანეს ტექსტს თან ახლდა შესატყვისი გალობა, რომელიც მის ექსპრესიულობას კიდევ უფრო ზრდიდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საგალობელი სრულდებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის დღესასწაულზე — ვნების პარასკევს. ტრადიციის თანახმად, იგი უნდა შესრულებულიყო შესაბამისი ხატის — ჭვარცმის ან თვით ღვთისმშობლის გამოსახულების წინ, მრავალრიცხოვანი მრევლის თანდასწრებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით დაახლოებით მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა გავლენა უნდა მოეხდინა მსმენელზე თეოფანე გრაპტოსის ამ საგალობელს, შესრულებულს ეფრემ მცირის შესანიშნავი თარგმანით. მართლაც: „გალობანი გოდებისათვის ღმრთისმშობელისა“ შესული აღმოჩნდა რიგ სხვა ხელნაწერებში: სინა 70 (XII—XIII ს.); სინა 67 (XIII ს.), A—147 (XIV—XV ს.), K—79 (XV—XVI ს.). სინა 70, A—147 და K—79 მარხვანებს წარმოადგენს, სინა 67 კი პარაკლიტონია. ამრიგად, „გალობანი გოდებისათვის ღმრთისმშობელისა“, მარხვანთან ერთად, შესულია განსხვავებული ხასიათის ლიტურგიკულ კრებულშიც — პარაკლიტონში. საგალობლის შემცველი ეს ხელნაწერები XI—XVI საუკუნეებით თარიღდება და მიეკუთვნება ქართულ ხელნაწერთა ადგილობრივ და სინურ კოლექციებს; რაც შეეხება გეორგიკა 5-ს, ეს ხელნაწერი, ყველა ნიშნით, ანტიოქიაში, შავ მთაზე უნდა იყოს გადაწერილი და შედგენილი. ამრიგად, თეოფანეს ამ კანონს ფართო გავრცელება მიუღია ძველ ქართულ ტრადიციაში. იგი სრულდებოდა თამარის ხანაშიც და მონღოლობის დროინდელ საქართველოშიც. საინტერესოა, რომ ყველა ამ ხელნაწერში საგალობელი დაცულია ეფრემისეული თარგმანით. როგორც ჩანს, და ეს ბუნებრივია, მისი ხელახლა თარგმნა ეფრემის შემდეგ აღარავის უცდია.

გოდების ჟანრის ნაწარმოებებისადმი საგანგებოდ მიძღვნილ წერილში კ. კეკელიძე ასახელებს დ. გურამიშვილის ლექსს „ტირილი ღვთისმშობლისა“^{17, 18}. ეს ლექსი, როგორც ცნობილია, ჩართულია „დავითიანის“ შემადგენლობაში, „ჭვარცმის ამბის“ შემდეგ¹⁹. ესაა ჭვარზე გაკრულ მაცხოვართან მდგომი ღვთისმშობლის გოდება, რომელსაც კ. კეკელიძე ამ ჟანრის ერთ-ერთ შედევრად მიიჩნევს.

დ. გურამიშვილის შემოქმედების კავშირი ქართულ ჰიმნოგრაფიასთან სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდაა შესწავლილი. დ. გურამიშვილის შემოქმედების ამ თვალსაზრისით განხილვის შემდეგ ს. ცაიშვილი წერს: „დ. გურამიშვილი... იცნობდა ქართულ ენაზე არსებულ მდიდარ თეოლოგიურ ლიტერატურას. მაგრამ მაინც ყველაზე დიდ სიახლოვეს ...მისი ლექსების ერთი ნაწილი კლასიკურ ჰიმნოგრაფიასთან ამჟღავნებს“²⁰. აქვე ავტორს მოყვანილი აქვს ამ კავშირის დამადასტურებელი უტყუარი მაგალითები. კლასიკურ ჰიმნოგრაფიასთან ორგანული კავშირის გამო გურამიშვილის ამ ლექსებს ს. ცაიშვილი, სრულიად სამართლიანად, „სასულიერო ხასიათის ჰიმნებს“ უწოდებს²¹. დ. გურამიშვილის შემოქმედების სრულყოფილი კვლევა ამ კანონზომიერების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. დ. გურამიშვილის შემოქმედების კავშირი ქართულ ჰიმნოგრაფიასთან მონოგრაფიული კვლევის საგანიც გახდა²².

დ. გურამიშვილის ლექსის „ტირილი ღვთისმშობლისა“ და ეფრემ მცირის ახლადგამოვლენილი თარგმანის შედარებამ მეტად საინტერესო სურათი მოგვცა. ამ ორ პოეტურ ნაწარმოებს შორის საერთო აღმოჩნდა არა მხოლოდ სათაური, თემატიკა და საერთო განწყობილება, არამედ მხატვრული სახეებისა და ფრაზების უმეტესობაც. თეოფანეს საგალობლის ეფრემისეული თარგმანის I-ვე ტროპარში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყურადღებას იქცევს გამოთქმა „გულითა შემწუარი“, რომელიც, შესაძლოა, თვით ეფრემის მიერ იყოს დამკვიდრებული. მძიმე სულიერი განცდები თეოფანეს საგალობელში არაერთხელ გადადის ღვთისმშობლის ფიზიკურ ტკივილში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია

ჯვარცმასთან მდგომი დედის „ნაწლევთა“, როგორც მაცხოვრის მტვირთველი წიაღის, ტკივილი:

„ვითარ ვიტყვითო
ტკივილი ნაწლევთაჲ,
შეიღო...“

გურამიშვილის „ტირილშიც“ დასაწყისშივე ღვთისმშობლის შესახებ ნათქვამია:

„მოედვა მწარედ საკმილი, შეიქნა დადაგულობით,
დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევნი გათანგულობით“.

ეს მოტივი მეორდება XII სტროფში:

„ჩემნი იწვიან ნაწლევნი, ვხედავ შენს ჯვარზედ ენებასა“.

ეფრემის თარგმანში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყურადღებას იქცევს ღვთისმშობლის ვედრება მაცხოვრისადმი: „შენ თანა მოგკუდები“, „თანა შთამოგყვე ჯოჯოხეთსაცა შინა“, „შენ თანა მოგკუდე თანა-შთამოსლვად ჯოჯოხეთს“ და ა. შ. რამდენჯერმე გამეორებული ეს მოტივი თეოფანეს საგალობელს საოცარ ექსპრესიულობას ანიჭებს. იგივე მოტივი 3-ჯერ მეორდება გურამიშვილის „ტირილშიც“ (IV, V, XI სტროფები). მეტი სინათლისათვის მოვიყვანთ ამ მოტივის შემცველ 2 სტროფს ეფრემის თარგმანიდან და დ. გურამიშვილის ლექსიდან:

„ვერ თავს ეიღებ მე
უკმობასა შენსა,
რომელსა გაწოებდ
ჩხვლებრ წიაღთა ტვრთულსა.
უკუეთუ შეხუალ ჯოჯოხეთს
ადამის მიმართ,
შთამოგყვე მეცა და ევას
მიუთხრნე საიდუმლონი“.

„ბეო, შენს უკან გენუკო
ჩემს სულის ამორთმევასა,
გემუდარები, ნუ მიზამ შენ მე
ამაზედ თნევასა;
მომკალ, წინაწინ წავიდე,
შენი ვახარო ევასა;
იესო მოეა, დაგიცნის, მორჩები
პირველს წყევასა!“

ეფრემის თარგმანიდან მოყვანილი ამ ტროპარის I ნაწილი აშკარად მოგვაგონებს გურამიშვილის „ტირილის“ VII სტროფის დასაწყისს:

„რა გაიგონა დედამა კმა ტკიბილი თავის ძისაო,
მოკსენდა მის ძის კელთ-ქერა, ძუძუთ წოება სძისაო“.

ზემოთ ჩვენ მიერ გაანალიზებული სახე „ვითარ-ესე განვლო მახვლმან შენმან მგზებარე გული ჩემი“, რომელიც თეოფანეს საგალობელში სახარებიდან უნდა მოდიოდეს, გურამიშვილთან ასეა გარდაქმნილი: „მით მისმან კერძმან ლახვარმან ჭრა უფრო მიჰკერძისაო“. აქ ეს სიტყვები ღვთისმშობლის მიმართაა ნათქვამი და მათში იგულისხმება ამ სახის მთელი ისტორია. ტრადიციული „მახვილი“ გურამიშვილთან „ლახვრითაა“ შეცვლილი, ხოლო „ჭრა უფრო მიჰკერძისაო“ საოცარი ძალით წარმოგვადგენინებს ღვთისმშობლის სულიერი ტკივილის ზრდას. „ტირილი ღვთისმშობლისას“ XI სტროფში კი თვით ღვთისმშობელი ამბობს: „ვაიმე, ლახვარ სობილსა და გულსა დანა-ვლებულსა“. აქ „ლახვარსა“ და „მახვილს“ „დანა“ ენაცვლება, ემოციათა ძირითად წყაროდაც სახარებისეული „სულის“ ნაცვლად თეოფანესეული „გული“ გამოდის.

ეფრემის თარგმანსა და გურამიშვილის „ტირილს“ შორის საერთოა მაცხოვრის მიერ დედასთან გამოპასუხების მოტივიც:

„...ნუ მტირ დედაო ჩემო,
მკუდართაებრ საფლავსა შინა,
რომელსა ღმრთეებრ მხედველ
სახუვეელთაჲე შინა...“

„რა ესმა დედის ტირილი ძეს
მიკრულს ჯვარსა ზედაო.
შაემულაბნა მშობელი და
მისკენ გადმოხედაო
გამოედრახა, უბრძანა:
ეჰა, ნუ მტირი დედაო!...“

ვფიქრობთ, კავშირი გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისას“ და „გოდებანი ღმრთისმშობლისას“ ეფრემისეულ თარგმანს შორის ნათელია. კავშირი კიდევ უფრო ცხადი ხდება ამ ორი პოეტური ნაწარმოების მთლიანობაში აღქმისას. დ. გურამიშვილთან, ცხადია, შეცვლილია ლექსის საზომი, გამარტივებულია ენაც, მაგრამ, ვფიქრობთ, სრულიად ნათელია, რომ „ტირილი ღვთისმშობლისას“ ავტორი — კლასიკური ქართული ჰიმნოგრაფიის ჩინებული მცოდნე — კარგად იცნობდა „ღვთისმშობლის გოდების“ ეფრემისეულ თარგმანს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სრულდებოდა ქართულ ეკლესიაში ვნებას პარასკევს — უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გურამიშვილის „ტირილში“ აქცენტირებულია „გოდებანის“ მხატვრულად და ემოციურად ყველაზე ძლიერი ადგილები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, თუ რით უნდა იყოს განპირობებული გურამიშვილის მჭიდრო კავშირი წინააღმდეგ ქართულ ლიტერატურასთან. რ. სირაძის მეტად საგულისხმო დაკვირვებით: „ძველ ქართულ მწერლობაში ლირიკოს პოეტებს წარმოდგენილი ჰყავთ ხოლმე მათთვის იდეალური ავტორი, რომლის თვალთახედვითაც სურთ მათ მოგვაწოდონ საკუთარი სათქმელი“²³. „ტირილი ღვთისმშობლისას“ ავტორი იმ შემთხვევებშიც კი, სადაც უშუალო, ფრაზეოლოგიური დამთხვევა არ გვაქვს „გოდებანი ღმრთისმშობლისანთან“, ცდილობს ამ საგალობლის „კვალობაზე“ თქვას თავისი სათქმელი. ამავეარ შემთხვევებშიც ძალაშია „გოდებანის“ გავლენა გურამიშვილის შემოქმედებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია დ. გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისას“ კავშირი სულხან-საბა ორბელიანის „ღვთისმშობლის ტირილთან“, რომელიც საბას ერთ-ერთი ქადაგების („სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლოვისათვის სულისა“) ნაწილია²⁴. რ. ბარამიძის სამართლიანი დაკვირვებით, „სიტყვის ორივე დიდოსტატი მძაფრად განაცდევინებს მკითხველს შვილის დაკარგვით გამოწვეულ დედის უსაზღვრო მწუხარებას. განმაცვიფრებელი სიძლიერითაა შექმნილი მგლოვიარე დედის ტრაგიკული სახე“²⁵.

სულხან-საბა ორბელიანის ამ ქადაგებისა და თეოფანე გრაპტოსის საგალობლის ეფრემისეული თარგმანის შედარებამ ცხადყო, რომ ღვთისმშობლის ტირილის აღწერისას საბა იყენებს ეფრემის თარგმანიდან მომდინარე მხატვრულ სახეებს. ასე მაგ., ჯვარცმისკენ მიმავალი ღვთისმშობლის გლოვის აღწერისას საბა წერს: „მტკივნეულ იყო გული მისი, შეიწვებოდეს ნაწლევნი მისნი, კვნესოდეს ძუძუნი მისნი, ელმოდა მუცელი მწარედ“²⁶. თითოეული ეს სახე ანალოგიას პოულობს „ღვთისმშობლის გოდების“ ეფრემ მცირის მიერ შესრულებულ თარგმანში. აქედანვე უნდა მომდინარეობდეს საბასეული „ღვთისმშობლის ტირილის“ დამამთავრებელი ფრაზა „ძე მოწყლული კვნესოდა, ხოლო დედა შემწვარი ვაებდა“.

საბას მიერ შექმნილი ღვთისმშობლის სახეც სრულ ანალოგიას პოულობს ეფრემის თარგმანთან. ესაა მართოდ დარჩენილი სასოწარკვეთილი დედა, რომელიც არაერთგზის იმეორებს „რა-მე ვყო?“, „რა-მე ვყო შეიწრებულმან?“

ეფრემ მცირის თარგმანში არსებული სახარებიდან მომდინარე სახე („ვითარ ესე განვლო მახვილმან შენმან მგზებარე გული ჩემი“) საბასთან ასეა გარდა-

თქმული: „რომელსა განმიბობს გულსა ლახვარნი გვერდისა შენისანი“. აქ ღვთისმშობლის გულისმომწყველელ მახვილს ლახვარი ცვლის — ქრისტეს გვერდის გამპობი ლახვარი. ესაა ახალი სიმბოლიკა, რომელიც თვით საბას ხელიდან უნდა იყოს გამოსული. საინტერესოა, რომ ამ სახის გამოყენებისას დ. გურამიშვილი ორივე ტრადიციას ითვალისწინებს („ვაიმე, ლახვარ-სობილსა და გულსა დანა-ვლებულსა“).

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის „ღვთისმშობლის ტირილში“ საგრძნობია ეფრემისეული ტრადიცია. ვფიქრობთ, ამაში არაფერია მოულოდნელი. საბას „ქადაგებანი“ იწერებოდა მისი სასულიერო მოღვაწეობის პერიოდში, დავით-გარეჯის მონასტერში საბას ბერად აღკვეცისას. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ეფრემის თარგმანის შემცველი ქართული ხელნაწერები XI—XVI საუკუნეებით თარიღდება. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს საბას თანამედროვე ლიტურგიკულ ტრადიციაში ეფრემის ამ თარგმანის არსებობა.

ამრიგად, თეოფანე გრაპტოსის „გოდებანი ღმრთისმშობლისა“, შემოსული ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირის შესანიშნავი თარგმანით, არეკლილია სულხან-საბა ორბელიანის „ღვთისმშობლის ტირილში“ და უშუალო წყაროს წარმოადგენს დ. გურამიშვილის ლირიკული შედევრისათვის — „ტირილი ღვთისმშობლისა“.

ეფრემისეული თარგმანის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ ქართველოლოგიის ინტერესებით. ბერძნული და სლავური მარხვანის, აგრეთვე პარაკლიტონის არსებულ პუბლიკაციებსა²⁷ და თეოფანე გრაპტოსის საგალობლების პუბლიკაციებში²⁸ ეს კანონი შესული არ არის. უფრო მეტიც, მისი არსებობის შესახებ არავითარი მითითება არ გვხვდება თეოფანე გრაპტოსის შემოქმედების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში²⁹. ეს კანონი არ გვხვდება არც ბერძნული მარხვანის შემცველ უძველეს ხელნაწერში — სინა 734—735, რომელიც ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაშია დაცული და X საუკუნით თარიღდება. ამრიგად, ჩვენთვის ხელმისაწვდომ პუბლიკაციებსა და წყაროებში ამ კანონის ბერძნული ორიგინალი არ ჩანს³⁰. არ არის გამორიცხული, რომ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ეს შესანიშნავი ნიმუში დღეისათვის ძველქართული, ეფრემ მცირის მიერ შესრულებული თარგმანით იყოს შემონახული. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ძველი ქართული თარგმანების სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბიზანტიური მწერლობის კვლევისათვის.

საინტერესოა, რომ ქართულმა წყაროებმა შემოგვინახა არა მარტო თეოფანე გრაპტოსის ეს შესანიშნავი საგალობელი, არამედ მისი ავტორის გამოსახულებაც. 1718 წელს გადაწერილ ქართულ ხელნაწერში — A 425 შესული აღმოჩნდა თეოფანე გრაპტოსის (ანუ ნიკიელის) მინიატურული გამოსახულება. თეოფანეს ხსენება A 425-ში დადებულია ფილიპე მოციქულის ხსენებასთან ერთად — 11 ოქტომბერს. მინიატურაზეც ორივე მათგანია აღბეჭდილი. მინიატურაზე დართულ ტექსტში თეოფანე მოიხსენიება, როგორც „ნიკიის ეპისკოპოსი, რომელი იყო წელსა ექუსიათას სამას რვასა“. მღვდელმთავრის სამოსითაა შემოსილი მინიატურაზე მარჯვნივ მდგომი მისი ფიგურაც. როგორც წმინდანი, გამოსახულია ოქროსფერი შარავანდედით. ხელნაწერში დაცული სხვა მინიატურების დარად, თეოფანეს სახე მეტად ინდივიდუალურია, იგრძნობა დიდი შინაგანი ძალა. წმინდანის სახეზე ყურადღებას იქცევს მაყურებლისაკენ მოქცეული საგანგებოდ გადიდებული თვალი, რომელიც სიმბოლურად მისი შინაგანი ხედვის აქტიუობასა და ჭეშმარიტებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

XVIII ს-ის დასაწყისში გადაწერილ ქართულ ხელნაწერში თეოფანე გრაპ-

ტოსის ხსენებისა და მისი გამოსახულების არსებობა კიდევ ერთხელ მოწმობს ამ ავტორის ფართო აღიარებას ძველ ქართულ მწერლობაში. საინტერესოა ისიც, რომ A 425 შექმნილია თითქმის დ. გურამიშვილის თანამედროვე ტრადიციამ.

ამრიგად, ძველ ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი საგალობლის — ვნების პარასკევისათვის განკუთვნილი თეოფანე გრაპტოსის ჰიმნოგრაფიული კანონის ქართული თარგმანის ავტორია ეფრემ მცირე. ესაა ბერძნობისაგან თავისუფალი პოეტური თარგმანი, რომელიც ახლებურად წარმოგვიდგენს ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ხასიათს. ორიგინალისა და თარგმანის მაღალმხატვრული თვისებების შერწყმით უნდა იყოს განპირობებული ამ თარგმანის ფართო გავრცელება ძველ ქართულ მწერლობაში, აგრეთვე მისი დიდი სიახლოვე გურამიშვილის ლექსთან „ტირილი ღვთისმშობლისა“ და სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებაში ჩართულ „ღვთისმშობლის ტირილთან“. როგორც ჩანს, ეფრემის თარგმანი ორივე მათგანის წყაროს წარმოადგენს. დღეისათვის არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში თეოფანე გრაპტოსის ამ საგალობლის ბერძნული ორიგინალი არ ჩანს. ძველი ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ეს შესანიშნავი ნიმუში კიდევ ერთხელ მოწმობს ქართული ჰიმნოგრაფიის დიდ მეცნიერულ ღირებულებას.

შენიშვნები:

1. შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ. 394.
2. კ. კეკელიძე. Симеон Метафраст по грузинским источникам, ეტიუდები ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1950, გვ. 212—226; Иоанн Ксифилии продолжатель Симеона Метафраста, იქვე, გვ. 227—247.
3. ელ. მეტრეველი. ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 116—125.
4. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 256—269.
5. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 175.
6. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 218.
7. გეორგიკა 5-ის როტოპირი და მიკროფილმი დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.
8. ხელნაწერის ეს ნაწილი შესწავლილი გვაქვს ნაშრომში — „გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხეანის პარიზული ნუსხა“, კრებ. „ივირონი — 1000“, თბ., 1983, გვ. 264—287. აგრ. ჩვენს ნაშრომში — „იოანე მინჩხის პოეზია“, თბ., 1987, გვ. 59—75.
9. კ. კეკელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 268.
10. კ. კეკელიძე. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 185.
11. პ. გ. ბეკი, ეკლესია და თეოლოგიური ლიტერატურა ბიზანტიის იმპერიაში, მიუნხენი, 1959, გვ. 516—517 (გერმანულ ენაზე).
12. Ф и л а р е т. Исторический обзор песнопевцев и песнопения греческой церкви Спб., 1902, გვ. 268. თეოფანეს მცირე ფორმის საგალობლების რაოდენობა ბერძნულ და სლავურ ხელნაწერებში ჭრავრობით დადგენილი არ არის.
13. თეოფანე გრაპტოსის ქართულ „თთუენებში“ დატულ საგალობლებს სწავლობს ლ. კვირიკაშვილი.
14. კ. კეკელიძე. ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 176.
15. ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები ძველ ქართულ „თთუენებში“, კატალოგი შედგენისა და წინასიტყვაობა დაურთო ლიანა კვირიკაშვილმა, თბ., 1987.
16. ს. ევსტრატიადისი, ირმოლოგიონი, შენევიერი, ათენი, 1932, გვ. 162—163 (ბერძნულ ენაზე).
17. კ. კეკელიძე. „გოდების“ ქანრი და „გლოვის წესი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები, I, გვ. 198—230.
18. იქვე, გვ. 217.
19. დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1980, გვ. 18.

20. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984, გვ. 174.
21. იქვე, გვ. 177; იხ. აგრეთვე: ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 209.
22. ტ. მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული ჰიმნოგრაფია, საკანდიდატო დისერტაცია, 1982 (მანქანაზე ნაბეჭდი).
23. რ. სირაძე, დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“, წერილები, თბ., 1980, გვ. 119.
24. რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა. თბ., 1979, გვ. 205.
25. იქვე.
26. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, თბ., 1963, გვ. 133.
27. მარხვანი, რომი, 1879; ათენი, 1975 (ბერძნულ ენაზე; Триодъ Постная I—II, М., 1975; პარაკლიტონი, რომი, 1885 (ბერძნულ ენაზე).
28. ჟ. ბ. პიტრა, ბერძნული ეკლესიის ჰიმნოგრაფია, CXIII—CXVII: CXXXI—CXXXVII (ბერძნულ ენაზე); მისივე: ანალებქტა საკრა..., პარიზი, 1876, გვ. 408—410 (ბერძნულ ენაზე); ე. კრისტო, მ. პარანიკასი, ბერძნული ქრისტიანული საგალობლების ანთოლოგია, ლაიპციგი, 1871, გვ. 236—242 (ბერძნულ ენაზე); ს. პეტრიდესი, რომანოზ მელიდოსის გამოუქვეყნებელი თხზულება, ჟურნ. „ბიზანტინიშე ცაიტშრიფტ“, II, მიუნხენი, 1902, გვ. 363—369 (ბერძნულ ენაზე).
29. კ. კრუმბახერი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, მიუნხენი, 1897, გვ. 677 (გერმ. ენაზე); ს. ვაიე, წმ. მიქაელ სვნგელოსი და ძმები — თეოდორე და თეოფანე გრაპტოსები, ჟურნ. „ორიან კრეტიენ“, ლაიპციგი, 1901, გვ. 313—332, 610—642 (ფრანგულ და ბერძნულ ენებზე); თ. სვიდა, ჰიმნოგრაფი თეოფანე გრაპტოსი. ჟურნ. „ნეა ჰესტია“, 59, 1956, გვ. 155—160 (ფრანგ. ენაზე); ჰ. გ. ბეკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 516—517; ე. უელკი, ბიზანტიური მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის ისტორია, ოქსფორდი, 1961, გვ. 199—203, 236 (ინგლ. ენაზე); Ф и л а р е т, Исторический обзор песнопевцев и песнопений греческой церкви. გვ. 262—272.
30. სლავური მარხვანების სპეციალისტის — მ. მომინას ცნობით. ეს კანონი არ ჩანს არც სლავური მარხვანის შემცველ ხელნაწერებში.

Л. А. ХАЧИДЗЕ

НЕИЗВЕСТНЫЙ ПЕРЕВОД ЕФРЕМА МЦИРЕ

Резюме

Деятельность Ефрема Мцире — выдающегося ученого и филолога в сфере грузинской гимнографии до настоящего времени почти не изучена. В этой связи особого внимания заслуживает неизвестный доселе перевод Ефрема Мцире, который был выявлен нами в рукописи Georg. 5 (Парижская национальная библиотека). Это — гимнографический канон Феофана Граптоса (Начертанного, Исповедника) «Плач Богородицы во время погребения Спасителя нашего — Иисуса Христа», представляющий собой один из наилучших образцов византийской гимнографии.

Выясняется, что этот канон впервые был переведен Ефремом Мцире и внесен им в новую редакцию «Постной Триоди», составителем которой, по всей вероятности, является сам Ефрем. Нововыявленный перевод проливает свет на новый аспект переводческой деятельности Ефрема Мцире. В научной литературе бытует мнение, что принципом переводческой деятельности Ефрема является максимальная близость к оригиналу. Изученный же нами перевод отличается поэтической вдохновенностью, лиричностью.

Следует отметить, что перевод Ефрема Мцире широко распространен в древнегрузинской литературе. Он оказался внесенным в ряд грузинских рукописей — Sin. 70 (XII—XIII вв.), Sin. 67. (XIII в.), A 147 (XIV—XV вв.), K 79 (XV—XVI вв.).

Особого внимания заслуживает то обстоятельство, что этот перевод послужил источником для классиков грузинской литературы — Давида Гурамишвили («Плач Богородицы») и Сулхана-Саба Орбелиани.

Греческий оригинал канона Феофана Граптоса «Плач Богородицы во время погребения Спасителя нашего Иисуса Христа» в доступных нам публикациях и научных исследованиях не обнаружен; не внесен он и в известные нам редакции славянской «Постной Триоди». Поэтому древнегрузинский перевод канона Феофана Граптоса, выполненный в XI веке Ефремом Мцире, великолепным знатоком византийской церковной литературы, заслуживает особого внимания. В древнегрузинских рукописях сохранено и миниатюрное изображение автора этого канона (рук. А 425 — 1718 г).

В настоящей работе публикуется текст грузинского перевода из парижской рукописи — Georg 5.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პარგის ცაიშვილმა

კრიტიკა და ბიბლიობრაფია

„ათას ერთი ლამის“ პართულად თარგმნის ზოგიერთი საკითხი

ძველი დროიდან მოყოლებული თარგმანი უდიდეს როლს თამაშობდა ყველა კულტურული ერის ისტორიაში. ამდენად, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციებიც მრავალ საუკუნეს ითვლის. ქართულ თარგმანსა და ორიგინალურ ლიტერატურას ერთი ხნისანად მიიჩნევენ. შესაძლოა, პირველი უსწრებდა კიდევ მეორეს, თუ გავითვალისწინებთ მეცნიერთა მოსაზრებებს ბიბლიის ქართული თარგმანის დროის თაობაზე.

მხატვრული თარგმანის არსებობის მთელ მანძილზე მთარგმნელები თუ ლიტერატურის თეორეტიკოსები სვამენ ძირითად კითხვას — რა პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს მთარგმნელი, როდესაც მან ესა თუ ის ნაწარმოები თავის მშობლიურ ენაზე გადმოაქვს? ამ პრობლემას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა. ინტერესი მისადმი არათუ განელეზულა, ბოლო დროს უფრო გაცხოველდა კიდევ, მაგრამ ცალსახა პასუხი ზემომოყვასილ კითხვას არა ჰქონია, არა აქვს და არც შეიძლება, რომ ოდესმე ჰქონდეს.

აპრიორი იკარაუდება, რომ მთარგმნელმა, როგორც მინიმუმ, ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს როგორც მშობლიური ენა, ისე სათარგმნი ნაწარმოების ენაც (ამ შემთხვევაში „ენა“ ფართო გაგებით: საკუთრივ ენაცა და ორივე ხალხის ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა, რელიგია...).

რალა თქმა უნდა, უფრო სასურველია, მთარგმნელი ორიგინალიდან თარგმნიდეს, ეიდრე პწკარედით, ან შუამავალი ენით სარგებლობდეს. უფრო სასურველია-მეთქი, — იმიტომ ეამბობ, რომ არცთუ იშვიათად დიდოსტატი მთარგმნელი პწკარედისა და შუამავალი ენის გამოყენებითაც ახერხებს, საქმეს თავი ჩინებულად გაართვას. (მაგალითისათვის ახალი ქართული პნამდვილიდან გამოდგება „ყურანის“ მირიანაშვილისეული თარგმანი ფრანგულიდან. თამაზ ჩხენკელის, თინა კოპლატაძისა და სხვათა და სხვათა თარგმანები).

მაგრამ უფრო ხშირი მაინც ის შემთხვევებია, როცა შუამავალი ენა მრავალი კუროზის საფუძველს ქმნის. ორიოდ მაგალითით დაკმაყოფილდები. მარიოს ვარგას ლიოსას რომანში „ხულია დეიდა და მოკალმე“ („საუნჯე“, 1985, № 9), „ათლიის“ ნაცვლად „ჯვრის მამა“ გვაქვს, რაც უცილობლად იმის დასტურია, რომ თარგმანი შესრულებულია არა ორიგინალიდან (კერძოდ, ესპანური ენიდან), არამედ — რუსულიდან: ჯვრის მამა < крестный отец.

სხვა ქართულ თარგმანში „ცნობისმოყვარე მხეცუნას“ გაჩენაც იმის მაჩვენებელია, რომ აქაც შუამავალი ენა რუსულია. მთარგმნელმა ვერ გაითვალისწინა რუსული любопытный-ს ნიუანსი (ამ შემთხვევაში: „საინტერესო“) და უაზრობა მივიღეთ.

არ დაობენ იმის თაობაზე, რომ მთარგმნელმა შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა გადმოცეს სათარგმნი მასალის ენობრივი ქსოვილი, კოლორიტი, თავისებურება, მაგრამ არამც და არამც ეს არ უნდა მოხდეს მშობლიური ენის საზიანოდ. კარგი თარგმანის ეფექტი სწორედ ის უნდა იყოს, რომ კითხულობდე თარგმანს ვითარცა ორიგინალურ ნაწარმოებს, მაგრამ იმე დროს ქვეცნობიერად აღიქვამდე მას როგორც თარგმანს, გრძნობდე რა სხვა ენის არომატსა და უჩვეულობას.

ასეთი ერთიანობის კლასიკურ მაგალითად გამოდგება შექსპირის მაჩაბლისეული ქართული თარგმანები. დიდოსტატ მთარგმნელთა რიცხვს ეკუთვნიან გ. ქიქოძე, ვ. ქელიძე, ზ. კიკნაძე, ბ. ბრეგვაძე, და სხვანი.

თარგმანი ახლოს უნდა იდგეს დედანთან! მაგრამ ეს სიახლოვე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირად რეალიზდება და სწორედ აქ ელინდება მთარგმნელის უნარი და ლიტერატურული გემოვნება. ვახტანგ ქელიძეს შემდეგი მაგალითი მოჰყავს ნათქვამის საილუსტრაციოდ. როცა იგი მუშაობდა თარგმანზე ჰემინგუეის ცნობილი რომანისა „მშვიდობით, იარაღო!“ მას თურმე განსაკუთრებით გასჭირვებია, ქართულად გადმოეცა ამ ნაწარმოების ფინალი — პაწაწინა, სულ ოთხი სტრიქონის შემცველი აბზაცი. თავად ჰემინგუეისაც ბევრი უფიქრია ამ ფინალზე — ოცდაცხრამეტჯერ გადაუწერია, ეიდრე თავისთვის სასურველ დრამატიზმის გამოხატვამდე არ მიუღწევია. ამ ფინალში რომანის მთავარი გმირი მუდართ მიმართ თავს ღმერთს, ჩემთვის ძვირფას ადამიანს ნუ მომიკლავო. ათჯერაა გამეორებული please და ორჯერ deer Good.

როგორ უნდა მოქცეულიყო მთარგმნელი? სიტყვასიტყვით თარგმანს დრამატულად კი არა და, პირიქით, კომიკურად აღიქვამდა მკითხველი. ამიტომ მთარგმნელმა უარი თქვა ასეთ თარგმანზე და ათსავე შემთხვევაში ინგლისური please შეცვალა ბუნებრივი ქართული მიმართვით:

„ღმერთო!“ ხოლო dear (ძვირფასი, საყვარელი) საერთოდ ამოავდო, რადგან ქართველები¹ სიტყვას ღმერთის ატრიბუტად არ ხმარობენ. ეს ცვლილებები შესანიშნავად შეესაბამა ქართულის ქსოვილს: „ღმერთო, გადამირჩინე, ღმერთო უშველე, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! ღმერთო, ნუ მომიკლავ, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო!“²

ყველასათვის კარგად ცნობილი ამ პრეამბულის შემდეგ გავეცნოთ ზოგიერთ საკითხს, რომელიც დგება „ათას ერთი ღამის“ ქართულ ენაზე თარგმნისას.

აკად. გიორგი წერეთლის ინიციატივით 60-იან წლებში დაიწყო მუშაობა შუა საუკუნეების არაბული ძეგლის — ათასერთღამიანის — ქართულ თარგმანზე არაბული ორიგინალიდან, ძეგლისა, რომელმაც თავისი ლიტერატურული თუ ისტორიული თვალსაზრისით³ ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის საგანძურში. გიორგი წერეთელმავე გაუქმთარედაქცია მთელ ოპუსს, მაგრამ იგი მხოლოდ სამი ტომის გამოქვეყნებას მოესწრო. ამ შრომატევად საქმეს ხელი მოჰკიდეთ ნანა ფურცელაძემ და მე. მთელი სიმძიმე, რა თქმა უნდა, ნ. ფურცელაძეს დააწვა კისერზე — მან თარგმნა თხზულების პირველი ორი ტომი (შემდეგ V და VI ტომები), მე კი უკვე გაკვალული გზით წავედი, თუმცა სირთულეები არც მე დამეცლია. გ. წერეთლის დახმარებით იმთავითვე შემუშავდა არაბული საკუთარი სახელების (ფართო გაგებით, ე. ი. ანთროპონიმების, ტოპონიმების, ეთნონიმების) ქართულად გადმოცემის პრინციპი, დადგინდა, როგორ უნდა თარგმნილიყო „ათას ერთ ღამეში“ კლიშეებად ქცეული პოეტური სახეები, ფიგურალური გამოთქმები თუ იდიომები.

ქართული რვატომეული თარგმანის პირველი ტომი 1967 წ. გამოვიდა. ბოლო გამოქვეყნდება: 1991 წ.

„ათასერთღამიანს“ პირობითად თუ ვუწოდებთ ზღაპართა კრებულს. ამ ფოლკლორულ თხზულებაში, რომელიც იქმნებოდა IX—XVI ს-ში ეგვიპტესა და ერაყში. სხვადასხვა ჟანრის ზღაპრების გარდა შევიდა კურთუხაული ლიტერატურის ნიმუშები — რომანები თუ სატრფიალო ნოველები, აგრეთვე ანეკდოტები (ხშირად მეტად სკაბრეზული). ისტორიული მოთხრობები, ლეგენდები, იუმორესკები, ზნეობრივი ხასიათის იგავ-არაკები და სხვ.

როგორც ცნობილია, „ათას ერთი ღამე“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. მას მიეძღვნა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა. მეცნიერები სკრუპულოზურად იკვლევენ კრებულის წარმოშობის დროისა და ადგილის საკითხებს, აანალიზებენ მის ცალკეულ მონაკვეთებს. ლეინის არაბულ-ინგლისური მრავალტომიანი ლექსიკონი რომ არა (ლეინი ათასერთღამიანის მთარგმნელი და მისი ბრწყინვალე კომენტარების ავტორიცაა), თხზულების არაბულ ტექსტში ბევრი რამ დარჩებოდა გაუგებარი.

ნაკლები ყურადღება მიექცა კრებულის ენის შესწავლას — მასში სამი შრის (სპარსულის, ბალდაურისა და ეგვიპტურის) ტრადიციული გამოყოფა ხდებოდა სიუჟეტების ანალიზისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის და არა ენის საფუძველზე. ამის მიზეზი ისაა, რომ, სამწუხაროდ, ძეგლის ენა უნიფიცირებულია. იგი გამართულია კლასიკური არაბული ენის (ალ-ფუსჰა) მიხედვით და ამიტომ მასში დაიკარგა ამა თუ იმ დიალექტისათვის, მდებარე ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ეს კი გარკვეულ ღირსებას უკარგავს „ათას ერთ ღამეს“, როგორც ფოლკლორულ ძეგლს, თუმცა კი საკმაოდ უმსუბუქებს მთარგმნელს მის ამოცანას. ამიტომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები ცნობილ არაბულ ე. ი. ფილშტინსკის, როდესაც იგი მისი რედაქტორობით გამოცემულ პოლანდიელი ფოლკლორისტის მია ჰერპარდტის მონოგრაფიის რუსული თარგმანის ერთ-ერთ შენიშვნაში წერს: „Язык „1001 ночи“ в разных сказках весьма различен. Встречаются новеллы, язык которых соответствует самым строгим классическим нормам, а есть и такие, в которых можно встретить множество диалектизмов и простонародных разговорных оборотов“³. პირადად მე ჩემ მიერ გახაზული სიტყვების საილუსტრაციოდ „ათას ერთ ღამეში“ ევროპელი შემთხვევა ევროპოვე.

დღემდე არ არსებობს „1001 ღამის“ კრიტიკული, აკადემიური ტექსტის გამოცემა. კრებულის რუსულ ენაზე მთარგმნელი მ. სალიე ამას ხსნიდა ამ ძეგლისადმი რეაქციულად განწყობილი არაბი ფილოლოგების უარყოფითი დამოკიდებულებით. მართალია, თხზულება მაღალმხატვრულობით დიდად არ გამოირჩევა და ძალზე ჩამოუვარდება არაბული პროზის ისეთ შესანიშნავ ნიმუშებს, როგორიცაა „ქილილა და დამანა“, ალ-ჰარირის „მკვამბები“, ალ-ჯაჰიზის „ძუნწთა წიგნი“ და სხვ., მაგრამ იგი არაერთ შესანიშნავ ზღაპარს, მოთხრობას, თუ ნოველას შეიცავს. მაგალითისათვის შეიძლება დავასაჩუქროთ „ალი ბაბა და ორმოცე ყაჩაღი“, „სინდბადის

¹ იხ. ვახტანგ ქელიძე, ძვირფასი სილუეტები, თბ., 1989, გვ. 294-295.

² იხ. ეთ. სიხარულიძე, „ათას ერთი ღამე“ როგორც ისტორიული წყარო, სემიტოლოგიური ძიებანი, IV, თბ., 1988.

³ Искусство повествования (литературное исследование «1001 ночи»), М., 1984, гл. 10.

„მზავე“, „სპილენძის ქალაქი“, „აჭიბისა და ღარიბის ამბავი“ და სხვ. ეს კია, დიდი წილი აკმაოდ სუსტ ნიმუშებზე მოდის. ეს განსაკუთრებით ათასერთლამიანის ბოლო ნაწილზე ითქმის. სრულიად ულოგიკო ქმედებანი პერსონაჟებისა, დინამიზმს მოკლებული, ძალზე ხელოვნურად გაჭიმული თხრობა, როცა თვალნათლივ იგრძნობა იმის მცდელობა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ათას ერთ ლამემდე(!) მიიყვანონ შაჰრაზადის მონათხრობი, რაღა თქმა უნდა, არაბული პროზის კარგ ნიმუშად ვერ ჩაითვლება.

ზემოთ მოკლედ მოვიხსენიე ის საკითხები, რომლებიც დგება მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას. ახლა კი შევეცდები, ზოგიერთ მათგანი კონკრეტულად „ათას ერთი ლამის“ ქართული თარგმანის მასალაზე წარმოვადგინო.

ამთავითვე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ „ათას ერთი ლამის“ თარგმანზე მუშაობისას გამოირჩეული იყო ის სირთულეები, რომელთა დაძლევა მოუხდებოდა, ვთქვათ, დოსტოევსკის „ეშმაკის“, სერვანტესის „დონ კიხოტის“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ და ბევრ სხვა თხზულებათა მთარგმნელს, როცა მხოლოდ უცხო და მშობლიური ენების ჩინებული ცოდნა, მთარგმნელის საკმაოდ ლიტერატურული ნიჭიერება და გემოვნება ვერ შეეღობა საქმეს და საჭიროა სათარგმნ ავტორთა ფილოსოფიური, ხატოვანი აზროვნების ზედმიწევნით კარგი შესწავლა. „ათას ერთი ლამე“ კი ბულვარულ, შედარებით პრიმიტიულ ნაწარმოებათა რიგს განეკუთვნება. ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ თხზულების თარგმნას არ ახლდეს სიძნელეები. ისტორიული რეალობის, ეთნოგრაფიის უცოდინრად მთარგმნელი ფონს ვერ გაეცა. არას ვამბობ იმაზე, რომ საქმე ეხება არაბულს — მსოფლიოს ენათა შორის ურთულესს (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თხზულების ენა გაცილებით იოლია, ვიდრე, ვთქვათ, აბუ-ლ ალა მაარიელის პროზა, მაკამები, ყურანი და სხვ.). სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ათასერთლამიანის“ რუსულად მთარგმნელს მ. სალიეს, რომლის რედაქტორი თვით აკად. ეგ. კრაჩკოვსკი იყო, ბევრ შემთხვევაში სწორად ვერ გაუგია არაბული ტექსტი (შესაბამისი აღვნიშნავი ზუსტად მაქვს აღნუსხული. განსაკუთრებით ბევრი შეცდომაა პოეზიის ნიმუშების თარგმანში, ლექსები კი მრავლადაა ამ ძეგლში). ამას გარდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, რახან ან არსებობს „ათას ერთი ლამის“ ტექსტის აკადემიური გამოცემა, მთარგმნელებს მოგვიხდა ახვადასხვა გამოცემათა ურთიერთშეჯერებით მართებული ტექსტის დადგენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეუდეთ თარგმნას. მართებული ტექსტის დადგენა კი არაბული დამწერლობის თავისებურების გამო საკმაოდ რთული საქმეა — მცირე კორექტურულ შეცდომასაც კი დიდი გაუგებრობის გამოწვევა შეუძლია. საამისოდ ორიოდ ნიმუშს მოვიყვან:

ა) ბეირუთის გამოცემაში გვაქვს სიტყვა ჯარათ (მეზობელი ქალი), ოსმალურ გამოცემაში კი იკითხება მის ნაცელად ჰარათ (უბანი, კვარტალი). ამ შემთხვევაში მთარგმნელმა არ გააანალიზა ჯარათის სწორი ფორმა და შეცდომა დაუშვა თარგმანში: „მერე კაცი გაგზავნა და დაიბარა ცოლის მთელი ოჯახი და მეზობლის (ტექსტშია: მეზობელი ქალის. — თ. მ.) ოჯახი“ (IV, 10). კონტექსტისა და მიხედვით ლოგიკურია, რომ კაცმა დაიბარა ცოლური და მთელი უბნის მცხოვრებლები.

ბ) სინტაგმა — ჰარ უმში მ. სალიემ ერთ სიტყვად — ჰარამ — წაიკითხა და, რა თქმა უნდა, თარგმანში შეცდომა დაუშვა. იხ. ქართული თარგმანი, III, 223: „მაშინ... ჩემს ვირს დედამისის სარკხენელში დავაყენებ...“ (არაბული გინებაა). რუსულში IV, 10: „Тогда я поставлю моего осла в его гарем...“.

ერთი სიტყვით, „ათას ერთი ლამე“ მთარგმნელისათვის საჭილდოდ ქვას არ წარმოადგენს, მაგრამ მის თარგმნასაც ბევრი სირთულე ახლავს თან.

რადგან ზემოთ რუსული თარგმანი ვახსენე, უნდა აღვნიშნო, რომ თავისი გამომხატველი საშუალებებით ქართული უფრო ახლოსაა არაბულთან, ვიდრე რუსული. ეს სიახლოვე, ვფიქრობ, მაქსიმალურად უნდა იყოს თარგმნისას გამოყენებული. სიახლოვეს რომ ვამბობ, პირველ ყოვლისა, ლექსიკა მაქვს მხედველობაში — ქართულში გასაგები მიზეზით (ლიტერატურული ან ზეპირი გზით, უშუალოდ არაბულიდან, ან, უფრო ხშირად, სპარსულ-თურქული ენებიდან) დიდი რაოდენობით შემოვიდა ცალკეული არაბული სიტყვები, ზოგჯერ კი — გამოთქმები და პოეტური სახეები. ამ უკანასკნელთა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ვეფხისტყაოსნის“ „მარგალიტი ობოლი“, რომელიც არაბულის კალკია: ჯავჰარათ ჯათიმათ (ამ კუთხით ჩვენი პოემის შესწავლა საშურო საქმედ მიმაჩნია). ასეთია, მაგ., მოსაქმეობის აღმნიშვნელი ლექსიკა და სამოხელეო ტერმინები, რომლებიც უცვლელად გადმოვიტანეთ თარგმანში: დალაქი, ხაზაზი, დალაღი, ბაყალი, ზარაფი, ვაზირი, ეჯიბი, ამირახორი...

ქართულსა და არაბულში ბევრი მსგავსი ფრაზეოლოგიაც დაიძებნა:

ა) „შენ გენაცვალე“ — ანუ ფიდჰა. შევადაროთ ამას მეტად მოუქნელი რუსული ფრაზა: «А разве Исхак — я выкуп за тебя! — так искусен? (IV, 41).

ბ) „ალალი იყოს შენზე“ — ანთა ფე ჰილლინ მინჰუ. „... и ты свободен от ответственности за него“ (VII, 275).

გ) ემთხვევა ერთმანეთს არაბული და ქართული ექსკლამატიური კონსტრუქციები: დამატებიანი ზმნის კაუზატური ფორმა კითხვით წინადადებაში (მნ აფ'ალაჰუ) იდენტურია ქართულსა. ასე მაგ., მნ აჰმარაჟა — რამ გაგაწითლა? ე. ი. რა წითელი ხარ!

დ) არაბული პერფექტივისა და ქართული თურმეობითის ერთ-ერთი მნიშვნელობა კონკრეტული აქმყო. ასე რომ, „ატაჟუ“ და მსგავსი ფორმები ქართული თურმეობითით ითარგმნება: მომიცია (ახლა, ამ წუთში და არა ოდესღაც, თურმე).

რუსულში ასეთი თანხედრის არ არსებობის გამო, მთარგმნელს ნამყო დროით გადმოაქვს არაბული პერფექტივი და ხშირად უაზრობა გამოსდის. ასე მაგ., ერთი პერსონაჟი სთხოვს მეორეს, ნება მომეცი, მავანი კაცი მოვიწახულო. ამაზე ეს პასუხობს: „Я дал тебе разрешение его посетить“ (VIII, 177). გამოდის, რომ მეორემ კი დართო ამის უფლება, მაგრამ პირველმა ეს არ იცის, ან არ ახსოვს. სინამდვილეში კი ეს მეორე ეუბნება პირველს: კი, ბატონო, ახლავე გაძლევ (მომიცია შენთვის).

ე) ემთხვევა ერთმანეთს ისეთი ფრაზეოლოგია, როგორიცაა: მნ აუბჟინტა — რა გატირდა? (რატომ ტირი?) შდრ. что ты плачешь? და სხვ. მრავალი.

ეს მაგალითები იმითმ მოვიყვანე, რომ ამდაგვარი დამთხვევები, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქართველმა მთარგმნელმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს დედანთან რაც შეიძლება მეტი სიახლოვის მისაღწევად.

რაც შეეხება არაბული ფრაზეოლოგიის, ხატოვანი გამოთქმებისა და იდიომატიკის თარგმანში სიტყვასიტყვით გადმოტანას, ეს გზა იოლია, მაგრამ უმართებულო. სწორედ მას ადგას მ. სალიე, თუმცა იგი „ათას ერთი ღამის“ თარგმანის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს: „...смягчены излишние буквализмы“ (გვ. 438), მაგრამ ამას უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს, რასაც ნათლად მეტყველებს თუნდაც რამდენიმე მაგალითი.

1. ჰუვა 'ალა კაჟდი-ლ ჰაჟათი „... он еще в оковах жизни“ (III, 368) — იგი სულთმობრძავია (სულს ღატავს).

2. კმა ბაჟნა ჯადაჟი „...предстал меж его рук“ (VIII, 317) — წინ წარუდგა (ვახლა).

3. ტიბ ზაფხან ეა კირრა 'აჟნან „Сделай своё сердце сильным!“ ტმა ნიშნავს: იყო სასიამოვნო, საამური, დატება „и прохлады глаза“ (III, 175) — დაწყნარდი და დამშვიდდი.

4. „...ჰათთა საბაკათ რა'სუჰუ რიჯლაჟი „...как его голова обогнала ноги“ (IV, 139) — ...სანამ გონება არ დაკარგა (გული არ წაუვიდა).

5. ზაზა კალბუჰუ... „...пока его сердце не растает от бодрствования“ (VIII, 360) — ეს არაბული იდიომი ნიშნავს: გული შეეკუმშა, გული გაუსკდა, შეღონდა.

6. ნათესაობის გამომხატველი არაბული სიტყვები: აბუ — მამა, უმ — დედა, იბნ — ძე, ბინთ — ასული — დასმულნი სტატუს კონსტრუქტუსში, ზოგჯერ გადატანითი მნიშვნელობებით იხმარებიან. ასე მაგ., აბუ ასნან — კბილბასრი (სიტყვასიტყვით: მამა კბილებისა); უმ ატ-ტარბე --- დედაგზა (სიტყვასიტყვით: დედა გზისა — დამთხვევა ქართულთან!); იბნ ას-საბნლ --- მგზავრი (სიტყვასიტყვით: ძე ვზისა).

„ათას ერთ ღამეში“ ანალოგიურად იხმარება ბინთუ ჰალწლინ სიტყვასიტყვით: ასული ნებადართულობისა, კანონიერებისა. ერთ ზღაპარში ქმარი ცოლს ეუბნება: ამნ სტალაჟნ ან ბინთა ჰალწლინ? — აკი უკვე შევირგდით, შე კარგო ადამიანო!? (სიტყვასიტყვით: ...ასული ნებადართულობისა). ამ წინადადებას მ. სალიე სიტყვასიტყვით თარგმნის: „Равно мы не помнили, о дочь честного?“ (ხაზი ჩემია) (VIII, 371). და რუსი მკითხველი შეცდომით იგებს, თითქმის ამ პერსონაჟის სიმამრი წესიერი, პატიოსანი კაცი ყოფილა.

7. ქალიშვილის აღწერისას დედანში ვკითხულობთ: ნაღნღუ ასნანინ ჯალ'აბუ ბი'აკლი-ნ ნა-ზიმი ვა-ნ ნასირ. რუსული თარგმანიდან — „... и ряд зубов ее играл разумом нанизывающего и рассыпающего“ (IV, 179) — მკითხველი ვერ გაიგებს, რომ თურმე „ასულის კბილთა წყობა თავბრუს დაახვევდა (გონებას მისტაცებდა) მელექსესა თუ მთხრობელს (ე. ი. პოეტსა თუ პროზაიკოსს).

8. როდესაც ვინმეს მავანის გარდაცვალებას აცუობინებენ, არაბები სმარობენ გამოთქმას: 'აშა რა'სუჟა --- „იცოცხლოს შენმა თავმა“. რუსულში ეს ფიგურალური გამოთქმა უცვლელადაა გადმოტანილი და სიტუაციის არსს არ გამოხატავს: „О господин, да живет твоя голова! — знаи, что Кут-аль-Кулуб... умерла“ (VII, 267). კონტექსტისა და მიხედვით ეს გამოთქმა ქართულში ასე გადმოიციებოდა: „მავანმა კირი მოგქამა“ ან „ღმერთმა შენი თავი დიდხანს გვიცოცხლოს, მავანი კი მოკვდა“.

9. სინტაგმა --- ბაჰრ მწლოჰ --- არ შეიძლება ითარგმნოს სიტყვასიტყვით: „солёное море“ (VIII, 134); რადგან ბაჰრ „ზღვასაც“ ნიშნავს და „დიდ მდინარესაც“; როდესაც პირველი მნიშვნელობა ივარაუდება, მაშინ მასთან ხმარობენ ზედსართავს — მწლოჰ „მარილიანი“.

10. ყმაწვილის აღწერისას არაბულში ერთგან ნათქვამია, რომ იგია ტავინლუ-ლბზ'ი. მ. სალიეს ეს გამოთქმა უცვლელად გადმოაქვს — с длинными руками (IV, 289) და ვიღებთ სულ სხვა შინაარსს. ეს შესიტყვება ნიშნავს: ძლიერი, ღონიერი.

გამონაკლისს ვუშვებთ ყურანის ციტატებში. „კფიცავ ღამეს, ყოვლის საფარველს, და ღღეს აკაშქაშებულს“ 92, 1—2 (IV, გვ. 29): „ქეშმარიტად, ცათა და ქვეყნის შექმნაში, ღამისა და ღღის მონაცვლეობაში...“ (2, 159; IV, 302); „ალაჰს ღამე ღღეში შემოჰყავს, ღღე კი — ღამეში“ (22, 60; IV, 320) და სხვ.

ზოგჯერ შევეცადეთ არაბული ფიგურალური გამოთქმებისა თუ ანდაზების გადმოქართულებას. ასე მაგ.:

ა) აღირ აღ-ქილნა: 'ალა-ლ ბაკარი (ღამე 993) — (ეაზირმა გულში გაიფიქრა:) კამეჩთან მორქენალ ხარს რქები არ შერჩებო (სიტყვასიტყვით: მისივე ძაღლები ხარებს!).

ბ) ტუფაღლიფუნ ეა მუკთარიჰუნ (ღამე 408) — (სწორედ შენზეა ნათქვამი ანდაზა:) აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო (სიტყვასიტყვით: დაუპატიებლად მოსული თხოვნასაც არ იშლი!).

გ) ნადიმა ...ჰამსუ მჰ ჯან აფა'უჰუნ ნადამუ („ალი ბაბა და ორმოცე გაიღლი“) — ნანობდა... მაგრამ გვიანდა იყო თითზე კბენანი (სიტყვასიტყვით: ნანობდა... მაგრამ სინანული არარას რგებდა).

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს, მთარგმნელი შევადაროთ მუშაიტს — იგი ცდილობს, რაც შეიძლება დიდი სიზუსტით გადმოიტანოს თარგმანში დედნის ენის ქსოვილი და იმავე დროს არ დაუკარგოს ბუნებრიობა მშობლიურ ენას. მთარგმნელის ამ ბალანსირებაზე ბევრადაა დამოკიდებული მისი შრომის შედეგი. „ათასერთილამიანიდან“ მოხმობილი მაგალითებით შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა ეს დებულება.

თინა მარგველაშვილი